

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინსტიტუტი



მაცნე

675-ე/
1976 / 2

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3 · 1976



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

13356

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

13.178



თბილისი
ТБИЛИСИ

3 · 1976

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა კ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (შლივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რ ე დ ა კ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.7.76; შეკვ. 1219; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂;
ქაღალდის ზომა 7×108⁷/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,98; საადრიცვო-სავამომცემლო
თაბახი 15; უე 09737; ტირაჟი 1 700.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

მ. შინაბაძე, ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილი შკელეგარი	5
ო. გიორგაძე, ა. წერეთლის ისტორიული შოთხრობების თმატურ-იღური საშეარო	27
ლ. შორაშორიანი, „ზაქიანის“ ქართული ვერსიების საკითხები	42
ლ. გიუნაშვილი, შენიშენები სამაღ ბეჰარანგის შემოქმედების შესახებ	53
კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები	68
ა. შინაბაძე, „ჯვარისა“ და „ხატის“ შნიშენელობისათვის ქართულში	84 +
ა. შინაბაძე, „ნრდილ-“ ცნების შემცველი საერთო-ქართველური ტოპონიმები და ზოგი რამ ტოპონიმიკურ შესატყვისობათა შესახებ	93 +
პ. ჯაჯანიძე, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები	108 +
პ. პარტოზია, არაინერსიულ თურმობითა წარმოებისათვის ლაზურში	121
ა. ლომიძე, ეფუტიკური შმოვნები	131
შ. კობახიძე, ფონემათა დისტრიბუციული ანალიზის ცდა ქართული ენის CVC ტიპის ხიტყვებში	142

ცნობები და შინაშინა

მ. გუდიაშვილი, ერეკლე მეორის რამდენიმე წერილი დაღესტნის თემებისადმი	150 +
---	-------

მოგონებანი

მ. ბაბაშვილი, ივანე ჯავახიშვილის ხეშინარები	157 +
---	-------

პრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	175
ა. ბარამიძე, ნიკო მუსხელიშვილი	191

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Л. МЕНАБДЕ, Выдающийся исследователь древнегрузинской литературы	5
О. ГЕОРГАДЗЕ, Идеино-тематический мир исторических рассказов А. Церетели	27
Л. ЖОРЖОЛИАНИ, Вопросы грузинских версий сказания о Зохаке	42
Л. ГИНАШБИЛИ, Заметки о творчестве Самада Бехраири	53
К. ДАНЕЛИА, Древнегрузинские версии посланий Павла	68
А. ЧИНЧАРАУЛИ, К значению «джвари» и «хати» в грузинском языке	84
А. ЧКАДУА, Общекартвельские топонимы со значением črdil («тьень») и их топонимические соответствия	93
П. ДЖАДЖАНИДЗЕ, Топонимы Цхалтубского района	108
Г. КАРТСЗИА, К образованию неинверсивных результативных форм глагола в лазском диалекте	121
А. ЛОМТАДЗЕ, Эмфатические гласные	131
Ш. КОТЕТИШВИЛИ, Дистрибутивный анализ фонемного состава курдского языка в словах типа SVC	142

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. ГУДАВА, Несколько писем Ираклия II дагестанским обществам	150
--	-----

ВОСПОМИНАНИЯ

Б. ГАБАШВИЛИ, Семинары академика И. Джавахишвили	157
--	-----

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	175
А. БАРАМИДЗЕ, Н. И. Мухелишвили	191

ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი

ლევან მენაბდე

ძველი ქართული მწერლობის გამორჩენილი მკვლევარი

დიდი ქართველი მეცნიერი ი. ჯავახიშვილი თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველ ქართულ მწერლობას. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა დიდი ინტერესი ძველი ქართული წერილობითი კულტურის ძეგლებისადმი და ის სიცოცხლის მიწურულამდე შეინარჩუნა. საგულისხმოა, რომ მეცნიერის პირველი ბეჭდური შრომა „ბალავარიანის“ რუსული თარგმანი იყო, ხოლო უკანასკნელი მოხსენება, რომელზეც შეწყდა მისი გულისცემა, საერო-მხატვრული ლიტერატურის საკითხებს მიეძღვნა.

როდესაც ი. ჯავახიშვილი მეცნიერულ-შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა, გარკვეული მუშაობა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მიზნით უკვე ჩატარებული იყო. საქმარისია მოვიგონოთ ის მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელსაც ეწეოდნენ მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი და სხვანი. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ძველი ქართული სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ წიაღაგზე დააყენა ნ. მარმა. პეტერბურგის სამეცნიერო სკოლამ, სადაც აღიზარდა და გაიწაფა ი. ჯავახიშვილი, ერთობ დიდი და უადრესად სერიოზული მოთხოვნები წაუყენა ძველი ქართული მწერლობის მკვლევართ. თანდათან ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო ძველი ხელნაწერების კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით შესწავლა, ძველი ავტორების თხზულებათა ტექსტების კრიტიკულად დადგენა და მეცნიერულად გამოცემა, ქართველოლოგთა მემკვიდრეობის შემოწმება და შემოქმედებითად ათვისება, საცილობელ პრობლემათა დამუშავება. ყოველივე ეს ი. ჯავახიშვილმა სავსებით სწორად გაიგო, გაიაზრა და გაითვალისწინა.

ი. ჯავახიშვილი იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის გულდასმით გაცნობას, საფუძვლიან შესწავლასა და მეცნიერულ დახასიათებას. ხელნაწერი მემკვიდრეობის, წერილობითი ძეგლების სიყვარული ჩანს მის პირველსავე შრომებში¹. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი რეცენზია-ანოტაციები, რომლებშიც შეფასებულია ის მუშაობა, რომელიც გასწიეს ხელნაწერთა მეცნიერული აღწერილობის შედგენის მიზნით ნ. მარმა, თ. ყორღანიამ, ე. თაყაიშვილმა, ა. ხახანაშვილმა და სხვებმა². მკვლევარი საქმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ნ. მარისეულ აღწერილობას ხუთი

¹ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეუღის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ, „მოამბე“, 1900, IV, განყ. II, გვ. 1—27; მისივე, ხალხის აღწერისა და შემოსავლის დათვრები ძველ საქართველოში, „მოამბე“, 1901, IV, განყ. II, გვ. 1—17.

² BB, ტ. XI, ნაკვ. 1—2, 1904, გვ. 331—333, 335—336, 347—349, 351—352; ნაკვ. 3—4, 1904, გვ. 780—782.

ათონური ხელნაწერისას, ძალზე აქებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუხეუმის ხელნაწერთა აღწერილობას, რომელსაც წლების განმავლობაში აქვეყნებდა ე. თაყაიშვილი, არ ერიდებოდა კრიტიკულ შენიშვნებს თ. ქორდანიასა და ა. ხახანაშვილის შრომების მიმართ. მისი მართებული დასკვნით, აღწერილობაში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო ხელნაწერის ყველა არსებითი დამახასიათებელი ნიშანი, ზუსტად უნდა გარკვეულიყო მისი შედგენილობა, თხზულებათა ავტორები და ა. შ. სხვათა შორის, ხელნაწერთა აღწერის ის პრინციპები, რომლებიც ი. ჯავახიშვილმა თავის რეცენზია-ანოტაციებში წარმოადგინა, შემდეგ მან კიდევ უფრო სრულყო და დახვეწა და ხელნაწერთა აღწერისათვის საჭირო ინსტრუქციის სახით ჩამოაყალიბა³. სწორედ ამ ინსტრუქციით დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუხეუმის ხელნაწერთა განყოფილებამ (ჯერ კიდევ 1939 წელს) ქართულ ხელნაწერთა აღწერა; ამით დაედო საფუძველი იმ დიდ საქმეს, რომელსაც ახლა წარმატებით განაგრძობს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

რასაკვირველია, ი. ჯავახიშვილი არ იფარგლებოდა მხოლოდ სხვათა მიერ შედგენილი აღწერილობის აკურაციანობის ჩვენებით, ან ხელნაწერთა აღწერის ინსტრუქციის შედგენით. მან თვით გასწია უაღრესად შრომატევადი სამუშაო და ჩვენი მეცნიერება გაამდიდრა სინის მთის ძვირფასი კოლექციის აღწერილობით.

1902 წელს ი. ჯავახიშვილი თავის მასწავლებელ ნ. მართან ერთად ეწვია სინის მთას (არსებითად სწორედ აქედან იწყება ქართველთა მიერ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმამეცნიერული შესწავლა). მოგზაურობის აღწერილობა და მოპოვებული მასალის მოკლე დახასიათება საზოგადოებას მიაწოდა ნ. მარმა⁴. მისმა წინასწარმა ანგარიშმა დიდი გამოხმაურება პოვა და უცხოელთაც კი აგრძნობინა ქართული კულტურის სიდიადე და მნიშვნელობა (ა. შარნაკი).

ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილმა სინაზე მოიპოვეს და ვრცლად აღწერეს ადრე უცნობი ბევრი ხელნაწერი, დააზუსტეს და შეავსეს არსებული აღწერილობანი, გამოავლინეს არაერთი უცნობი ქართველი მწიგნობარი და ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება, გამოსაცემად მოამზადეს და შემდგომ გამოაქვეყნეს რამდენიმე დიდებული ძეგლი. სამწუხაროდ, ნ. მარმა გვიან განიზრახა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის გამოცემა. ისე გვიან, რომ აღარ დასცალდა მისი განხორციელება; იგი მხოლოდ 1940 წელს დაიბეჭდა⁵. ი. ჯავახიშვილი, ჩანს, ელოდა მასწავლებლის შრომის პუბლიკაციას. ამის გამო მისი აღწერილობის გამოცემაც დაგვიანდა: მკითხველმა საზოგადოებამ იგი მხოლოდ 1947 წელს მიიღო.

³ საქართველოს სახელმწიფო მუხეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუხეუმის ხელნაწერები (II კოლექცია), ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, I, დასაბეჭდად მომზადებულია ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1945, გვ. I.

⁴ Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. Джаваховым, и в Иерусалиме в поездку 1902 г. (апрель—ноябрь), СППО, т. XIV, № 7, II, № 1, 1903, гв. 1—51.

⁵ Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940.

⁶ ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947. ავტორის განზრახული ჰქონდა აღწერილობისათვის დავითო კულტურულ-ისტორიული ხასიათის გამოკვლევა ქართველების მოღვაწეობის შესახებ სინის მთაზე, მაგრამ განზრახვა განუხორციელებელი დარჩა (იქვე, გვ. VI).

ი. ჯავახიშვილმა, — ისევე, როგორც ნ. მარმა, — სინის მთაზე 44 ხელნაწერი აღწერა (№№ 1—22, 25, 26, 29—31, 34—40, 72—80, 97). მათგან ა. ცავარლის კატალოგში არ ჩანდა 15 (№№ 1—3, 7, 9, 10, 14, 17—19, 21, 25, 26, 72, 74). შემდეგ შესაძლებელი გახდა მათი შესატყვისების დაძებნა (№№ 1/63, 3/65, 7/46, 9/18, 14/41, 17/59, 18/58, 19/10, 25/74, 26/61, 72/25, 74/15). ასე რომ, ა. ცავარლის კატალოგში ჭერჭერობით ვერ დაიძებნა ი. ჯავახიშვილის მიერ აღწერილი 3 ხელნაწერი (№№ 2, 10, 21).

ჩვენ არ შევუდგებით სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ი. ჯავახიშვილისეული აღწერილობის ვრცელ დახასიათებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის წარმოადგენს ნიმუშს იმისა, თუ როგორ უნდა დგებოდეს ძველი ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა. დასახელებულ წიგნში იმდენი ზუსტი და დეტალური ცნობაა თითოეულ ხელნაწერზე, ისე ბრწყინვალედა ამოკითხული გადამქრქალი ტექსტები, ისე დამაჯერებლადაა გარკვეული ხელნაწერთა შედგენილობა და ისე სრულადაა მოცემული ძველ მწიგნობართა ანდერძ-მინაწერები, რომ მან იმთავითვე დიდი მოწონება დაიმსახურა და საერთო აღიარება პოვა. ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტის ე. გარიტის წიგნის გამოქვეყნებამ⁷ და სინის მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმებისა და ფოტოპირების მოპოვებამ სავსებით ნათელყო, რომ ჭერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ი. ჯავახიშვილმა შესანიშნავად გაართვა თავი ურთულეს ამოცანას და შექმნა ჭეშმარიტად შეუცვლელი წიგნი.

აქვე უნდა დავასახელოთ ი. ჯავახიშვილის მოზრდილი ნაშრომი: „*Материалы для истории грузинской патристической литературы*“, რომელიც პირველად 1912 წელს გამოქვეყნდა⁸. მასში, — ქართული ხელნაწერების კოლექციების არსებულ აღწერილობათა მიხედვით, — მოცემულია ცნობები ქართულ ენაზე შემონახული დოგმატიკური, ეგზეგეტიკური, ასკეტიკური, ჰომილეტიკური და სხვა ძეგლების შესახებ. „მართალია, ეს შრომა არ ემყარება პირველ წყაროებს, ავტორს აღუნუსხავს საეკლესიო ლიტერატურის ძეგლები სხვადასხვა დარგისა იმ დროს არსებულ აღწერილობათა და კატალოგების მიხედვით, ამიტომ ის არც სრულია და არც სწორი ყოველთვის, — წყაროთა შეცდომები იმაშიაც გადასულა. — მაგრამ მნიშვნელოვანია როგორც პირველი ცდა და მოწოდება, განსაკუთრებით ქართული ენის უკოდინართადმი, ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიის შესასწავლად“⁹.

ძველი ქართული მწერლობის ღრმამეცნიერული შესწავლის წინაპირობად ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა ძველ ხელნაწერებში შემონახული მასალის მეცნიერული პუბლიკაცია. მას კარგად ესმოდა, რომ ძველი ქართული ძეგლების გამოცემის საქმე არ იყო მოგვარებული. მართალია, არსებობდა რამდენიმე თხზულების ბრწყინვალე გამოცემა (განსაკუთრებით ნ. მარის პუბლიკაციები), მაგრამ საერთოდ ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულ-აკადემიური გამოცემის საქმე ერთობ ჩამორჩებოდა. განიცდიდა რა ყოველივე ამას ძალზე მწვავედ, მკვლევარი თავის ნაშრომებში ხშირად ეხებოდა ძველი ტექსტების

⁷ G. Garritte, *Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai*, CSCO, Vol. 165, Subs. 9, Louvain, 1956.

⁸ *XB*, ტ. 1, ნაკვ. 1, 1912, გვ. 6—29. მეორედ დაიბეჭდა 1956 წელს: ი. ჯავახიშვილი, *ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები*, თბ., 1956, გვ. 110—129.

⁹ *ქ. კეკელიძე*, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბ., 1960, გვ. 24.

გამოცემის საქმეს, მსჯელობდა არსებული გამოცემების ავკარგინაობაზე, აღნიშნავდა ცალკეულ ხარვეზებს, საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობდა მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციების არარსებობის სავალალო შედეგებზე. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის რეცენზია-ანოტაციები, რომლებითაც ავტორი გამოეხმაურა ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, ა. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილისა და სხვათა საგამომცემლო საქმიანობას¹⁰. ი. ჯავახიშვილი, ერთი მხრივ, ღირსეულად აფასებდა და დამსახურებისამებრ აქებდა ნ. მარის მართლაც რომ ღიღებულ გამოცემებს (მაგალითად, კოლაელთა მარტვილობას, ფიზიოლოგს, მეხობებებს), მეორე მხრივ, პირუთვნელად ამხელდა იმ ნაკლოვანებას, რომელიც, სამწუხაროდ, შეინიშნებოდა ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში.

ი. ჯავახიშვილი ხშირად გამოთქვამდა გულისტკივილს ძველი ქართული ძეგლების გამოცემის საქმეში არსებული ნაკლოვანების გამო. მაგალითად: „ნ. მარის მიერ სამაგალითოდ გამოცემულ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გარდა სხვა არც ერთი მარტვილობისა ან ცხოვრების ღირსეული სამეცნიერო გამოცემა ჯერ არ მოგვეპოვება. სირცხვილი ქართულ თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას, რომ მ. საბინინის უვარგისი გამოცემისა („საქართველოს სამოთხე“) და ორიოდ სხვა მდარე ღირსების გამოცემის გარდა ქართველ მარტვილთა და წმიდათა ცხოვრებათა ერთი ზეირიანი მეცნიერული გამოცემა არ მოგვეპოვება“¹¹. სხვა შემთხვევაში იგი წერდა: „გიორგი მთაწმიდელს იმდენად ღიადი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე, რომ მისი თხზულება უკეთესი გამოცემის ღირსია, ეს ჩვენი მოვალეობაც არის“¹². ან კიდევ: „ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორ-უპოვარი ქართველი მეცნიერი ფილოლოგოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მისი ნაღვაწი და ყველა ნაშრომი ისე გამოვცეთ და შევისწავლოთ, როგორც მის ღიად სულს, მაღალს გონებას და ღრმა სამეცნიერო ცოდნას და ნიქს შეეფერება“¹³.

ი. ჯავახიშვილი არა მარტო გულისტკივილს გამოთქვამდა ძველი ქართული ძეგლების მეცნიერული პუბლიკაციების არარსებობის გამო, არამედ ენერგიულად იღვწოდა ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით. ჯერ კიდევ ადრე, სინის მთაზე ყოფნისას, გადმოიწერა და 1914 წელს გამოაქვეყნა „თქმული წმიდა იოანე ოქროპირისაჲ ბაღდადელისათჳს და წინამთუვე განჩინებულისა კაცსა ზედა ღვთის მიერ კეთილისა და ბოროტისა ვითარმედ არა რაჲ“¹⁴; 1947 წელს „სინის შიის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ დაიბეჭდა იოანე მინჩხის პიმნები, „წამებაჲ წმიდისა ბიკტორისი და სტეფანია ნეტარისა დედაკაცისაჲ“, „წამებაჲ წმიდისა იგნატი ანტიოქელ პატრიარქისაჲ“, „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ“, „მოსაკსენებელი და მატანე პატრიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ“, ეფრემ ასურის სწავლანი, ანტონის ეპის-

¹⁰ BB, ტ. XI, ნაკვ. 1—2, 1904, გვ. 324—325, 336—340, 344—345; ნაკვ. 3—4, 1904, გვ. 762—772, 782—785; ტ. XII, 1906, გვ. 444—445.

¹¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 27. იხ. აგრეთვე გვ. 38, 44, 81, 111, 134, 151.

¹² იქვე, გვ. 144.

¹³ იქვე, გვ. 170. თუ რა მწვავედ განიცდიდა ი. ჯავახიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-აკადემიური გამოცემის არარსებობას, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

¹⁴ XB, ტ. II, ნაკვ. III, 1914, გვ. 275—280.

ტოლე, აპოკრიფები და სხვ.¹⁵ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, რომელიც მეცნიერმა მოამზადა სასტამბოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა. მისი მომზადებული ტექსტი მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა ა. შანიძემ¹⁶. ეს მართლაც ჩინებული პუბლიცაციაა. საყოველთაოდ ცნობილია ი. ჯავახიშვილის ჟღერითად მეცნიერული გმირობა, რაც ხანმეტი ტექსტების მოპოვებაში, წაკითხვასა და გამოქვეყნებაში გამოიხატა¹⁷.

ი. ჯავახიშვილის ნათლად ესმოდა, რომ ძველი ქართული წერილობითი კულტურის დიდებული ნიმუშების ისტორიული მნიშვნელობის საერთო აღიარებისათვის საქმარისი არ იყო ამ ძეგლების მხოლოდ ქართულად გამოქვეყნება. საჭირო იყო მათი თარგმნა და უცხოელი მკითხველებისათვის მიწოდება. იგი, ერთი მხრივ, დროულად ეხმარებოდა ქართული ძეგლების თარგმანებს და თავის კომპეტენტურ აზრს გამოთქვამდა მათ ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ¹⁸, მეორე მხრივ, თვით თარგმნიდა ცალკეულ ძეგლებს. ამ შეგვიძლია დავიმოწმოთ მის მიერ რუსულად თარგმნილი „ბალავარიანი“¹⁹ და გერმანულად თარგმნილი ევსტათი მცხეთელის მარტილობა²⁰. გარკვეულ ინტერესს იწვევს მისი ხელმძღვანელობით შესრულებული თარგმანი აბო თბილელის მარტილობისა²¹.

ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ შექმნილი ლიტერატურული საგანძური ი. ჯავახიშვილისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პირველწყაროს ქართველი ერის ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად და მტკიულ საბუთს ქართველთა კულტურული მოწიფულობის წარმონაჩენად. თავის კაპიტალურ ნაშრომში: „ქართველი ერის ისტორია“²² ი. ჯავახიშვილი თითქმის ყოველ ნაბიჯზე იყენებდა ძველ ქართველ მწერალთა თხზულებებს, ხშირად იმომეზბდა მათ გამონათქვამებს, მათ ჩვენებებს და ამ გზით კიდევ უფრო სრულად გვაცნობდა ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გზას, სახელმწიფოებრივ მშენებლობასა და პოლიტიკურ მდგომარეობას, საეკლესიო-სარწმუნოებრივ ვითარებას, სოციალურ გარემოს, ეროვნულ ტენდენციებს და ა. შ. რომელი ძველი ავტორი არ გვხვდება „ქართველი ერის ისტორიაში“: იაკობ ცურტაველი და იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე და ბასილ ზარზმელი, ათონელები და ეფ-

15 ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 145—251. სხვათა შორის, ი. ჯავახიშვილის მიერ სინის მთიდან ჩამოტანილი ფოტოპირის მიხედვით ს. ჯანაშიამ გამოსცა „ცხოვრება წმინდის მამისა ჩუენისა საბა ასურისაჲ“ („არილი“ თბ., 1926, გვ. 1—24; ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 156—185).

16 გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ი. ჯავახიშვილმა, თბ., 1946.

17 ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 274—366.

18 BB, ტ. XI, ნაკვ. 1—2, 1904, გვ. 323—325, 328.

19 Мудрость Балавара, ЗВОРАО, XI, 1899, გვ. 1—48; ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 163—196; Балавариани (Мудрость Балавара). Предисловие и редакция И. В. Абуладзе, Тб., 1962, გვ. 115—196.

20 Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha. Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin, XXXVIII, 1901, გვ. 875—902.

21 K. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis. Texte und Untersuchungen, N. Folge XIII, 4, Leipzig, 1905.

22 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I⁵, თბ., 1960; II³, თბ., 1965; თბ., III², თბ., 1966; IV², თბ., 1967.

რემ მცირე, რუსთველი და მეზობტენი, არჩილი და სხვა მრავალი. ასევე უხვად იყენებდა ი. ჭავჭავაძის ძველ ავტორთა ნაწერებს, როდესაც სწავლობდა ქართული სამართლის ისტორიას (იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი ათონელი, ეგრემ მცირე...)²³ და საქართველოს ეკონომიურ ისტორიას (იაკობ ცურტაველი, გიორგი მერჩულე, რუსთველი, დ. გურამიშვილი)²⁴, ქართული მუსიკის ისტორიას (გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, იოანე პეტრიწი, რუსთველი, ბესიკი...)²⁵ და ძველი მშენებლობის ხელოვნებას (ნინოს ცხოვრება, „ვისრამიანი“, „შაპ-ნამე“...)²⁶, საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებასა (კოლაელთა მარტვილობა, გიორგი მერჩულე...)²⁷ და მეფის უფლების ისტორიას (ევსტათი მცხეთელის მარტვილობა...)²⁸, საქართველოს საზღვრებსა (გობრონის მარტვილობა)²⁹ და ქართულ სიველთამცოდნეობას (გიორგი ათონელი, რუსთველი...)³⁰ და ა. შ. ძველ ქართველ ავტორთა თხზულებიდან გამოკრებილ მასალას ემყარება მეცნიერის უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული შრომები³¹. ცალკე უნდა გამოვეყოთ „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, რომელშიც არა მხოლოდ ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებია განხილული (ქართული ანბანის წარმოშობა, ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები და ა. შ.), არამედ ძველი თხზულებებიდან უამრავი მასალაა ამოკრეფილი ქართული სამწიგნობრო ხელოვნების შესახებ.

მა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ი. ჭავჭავაძის ძველ წყაროთა ჩვენებას არა მხოლოდ თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ იმორწმუნდა, არამედ ხშირ შემთხვევაში მათ საფუძველზე ცდილობდა ძველი ვითარების აღდგენას. სანიშნულად შეგვიჩვენებს „აბდულმესიაზე“ და ენახთ, როგორ გამოიყენა იგი მველევარმა:

„საქართველოს მბრძანებლის, მეფის სამოსელი და ნიშნები შავთელს აქვს საკმაო სისრულით „აბდულმესიაში“ ჩამოთვლილი:

შესამოსელი, შესამკობელი,
 გმოსიან ტანსა ოჭრონმესლნი,
 გვირგვინ-სიკიტრანი, ბისონ-მიტრანი,
 ძიწუელთა თანა-შექსულნი.
 ვაქვს-ლა პორფირთა შთაცმა, პოდირთა
 სამარაგდონი ერთგან ექსულნი
 დიადიმითა...

²³ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928; II, 1, თბ., 1929; II, 2, თბ., 1929.

²⁴ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930; II, თბ., 1934.

²⁵ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

²⁶ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.

²⁷ И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, I, ТРА-ГФ, VII, СПб., 1905.

²⁸ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თბ., 1905.

²⁹ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919.

³⁰ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, ქართული სიველთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926.

³¹ ი. ჭავჭავაძის ძეგლი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962; მისივე, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაყ. IV—V, თბ., 1964.

როგორც შავთელის ზემომოყვანილი ლექსიდან ჩანს, საქართველოს მეფეთა სამოსელი შედგებოდა ორი მთავარი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთს შესამოსელი ეწოდება, მეორეს შესამკობელი.

შავთელისაგან ჩამოთვლილ შესამკობელს საკუთრივ პოდირი, ბისონი და პორფირი შეადგენდა, გვირგვინი და მიტრა კი თავსაბურავი იყო. სკიპტრა, როგორც ცნობილია, სამეფო ნიშნად ითვლებოდა. გამოსარკვევია მხოლოდ დიადიმის რეალური მნიშვნელობა.

საქართველოს მეფეების კედლის მხატვრობაზე არსად მეფეს პორფირი წამოსხმული არა აქვს, იმისდა მიუხედავად, რომ შავთელს თავის „აბდულმესიაში“ პორფირი ქართველი მეფის სამოსლის კუთვნილებად სრულებით გარკვევით აქვს აღნიშნული:

გაქვს-ლა პორფირთა შთაცმა, პოდირთა
სამარაგდონი ერთგან ექსულნი.

თუმცა „აბდულმესიაში“, ნ. მარის აზრით, დავით აღმაშენებელზეა საუბარი და მას მართლაც ისევე, როგორც ამ შესხმაშია ნათქვამი, გელათის კედლის მხატვრობაში მიტრა ახურავს, მაგრამ პორფირი მაინც იქ არც მას უჩანს³². კიდევ ერთი მაგალითი „აბდულმესიანის“ გამოყენებისა:

„შავთელის თხზულების ერთი ადგილი საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, თმის გრძლად დაყენება იცოდნენ თუ, პირიქით, მოკლედ შეკრეპა XII ს. საქართველოში და ისიც გავიგოთ, თუ რა ეწოდებოდა მაშინდელ გემოვნებაზე გაკრეპილ თმას. მეხობტე ამბობს: მეფეს

აღვის ხეტანი, მსგავსად შემტანი
აქვს კოწოლ-დაყრით კვიპაროზისა.

შავთელის ზემომოყვანილი შედარებიდან ჩანს, რომ თმის მოგრძობა, კულულებად დაყენება სცოდნიათ, კულულებს კოწოლი ჰრქმევია, თვით თმის ასეთ დაყენების წესს კი კოწოლთ დაყრით... სწოდებია.

შავთელის ამ ცნობის სისწორე ქართული ისტორიული მხატვრობითაც მთლიანად მტკიცდება³³.

მსგავსი მაგალითების მოხმობა დაუსრულებლად შეიძლება. ასევე გულდამით აკვირდებოდა და იყენებდა ი. ჭავჭავიძე დავით ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა და საერო-მხატვრული ლიტერატურის თითქმის ყოველი ძეგლის ცალკეულ ადგილებს, ფრაზებს, სიტყვებს.

მაგალითად, მეღვინეობაზე მსჯელობისას მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ყურძნის დაკრეფა და დაწურვა ძველ საქართველოში ოქტომბერში ყოფილა და იმ თვეს წინათ სთველის თვე ეწოდებოდა. საილუსტრაციოდ მოხმობილია ერთი ადგილი „ვისრამიანიდან“: „ქართული „ვისრამიანის“ ავტორს სპარსული და მამ ე. ი. მეთათ თვე (რა თქმა უნდა, იგულისხმება მათი წელთაღრიცხვის მეთათ თვე) ქართულად სთველად აქვს გადმოცემული: „შენ სთველი ხარ და ვისი გაზაფხულიო“. თუმცა აქ სთველი შემოდგომის მნიშვნელობით აქვს ნაგულისხმევი, რაც გაზაფხულისადმი დაპირისპირებითანაც ჩანს, მაგრამ ფახრ ედ-დინ

32 ი. ჭავჭავიძე ილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 29—30.

33 იქვე, გვ. 34.

გურგანელის თხზულებაში ამ ადგილას ნათქვამია: „შენ მეათე თვე ხარ, ის კი გაზაფხულია“. ამგვარად, სველი ამ შემთხვევაში ოქტომბერსაც უდრის³⁴.

ტანისამოსის ნაწილებზე მსჯელობისას ი. ჯავახიშვილი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას საყელოზე და სათანადო მასალას „ვისრამიანში“ ეძებდა. მისი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ფრაზამ: „რა ვირომან ცნა მოაბადის საქმე და ცოლისა მისისა მისგან წაგურა, საყელონი გარდაიგლიჯნა, თავსა კელი იკრნა და უცნობი იქმნა“. სპარსულად თარემ ანუ თარემი, ანდა არაბული მართლწერით ტარიმ, ტარუმ, მრგვალ, კამარიან ნაგებობას, ან სავანს ნიშნავს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, ქართველი ავტორის საყელონი მისივე შეთხზული უნდა იყოს.

მეორე ადგილი: „რა რამინ თავისი ძმა მოკლული ნახა, გულსა შეუქდა და სისხლი აუღულდა, საყელონი გარდიხივნა, თავსა იცემდა და მოთქმა დაიწყო“. აქ საყურადღებოა, რომ სპარსული ტექსტის გამონათქვამი „ტანისამოსი მკერდთან გაიხია“, გადმოქართულებულია: „საყელონი გარდაიხივნა“³⁵.

კაბაზე მსჯელობისას კვლავ „ვისრამიანის“ მთარგმნელის ლექსიკამ მიიპყრო მეცნიერის ყურადღება: „შაბი მოაბადი თავის ძმას რამინს სწერს: ყველაფერი ამწვანებულია და აყვავებული, „მთამან ბერძელისა ოქსინოსა კაბა შეიკერაო“. სპარსულ „ვისრამიანში“ აქ აზრი სხვანაირად არის გამოთქმული: მთარუმის (ქსოვილის) ნაჭრით შეიმოსა. კაბა იქ ნახშირი არ არის და, მაშასადამე, ეს სიტყვა, როგორც სპარსულზე უფრო მარჯვე შედარება, თვით ქართველ ავტორს გამოუყენებია“³⁶.

„ვისრამიანის“ ქართული თარგმანის თავისებურებას წარმოაჩენდა მკვლევარი სხვა შემთხვევებშიც, სახელობრ მაშინ, როდესაც მსჯელობდა სარტყელზე, ლაფაჩაზე, თაჯზე და ა. შ.³⁷

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვისრამიანის“ ორი ტექსტის (სპარსულისა და ქართულის) გამოყენება არაა ერთადერთი შემთხვევა ი. ჯავახიშვილის მეცნიერულ საქმიანობაში. მკვლევარი ასევე ორ ენაზე არსებულ ტექსტებს იმარჯვებდა, როდესაც იყენებდა არსენ იყალთოელის (XI—XII სს.) მიერ ბერძნულიდან თარგმნილ „ხრონოგრაფს“ და ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავდა და მიუთითებდა, თუ ქართული სიტყვა დედანში რომელი სიტყვით იყო წარმოდგენილი³⁸. კიდევ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა იგი ბერძნულ დედნებს, როდესაც ექვთიმე ათონელის (955—1028) თარგმანებზე მსჯელობდა და ქართველი მოღვაწის სამართლებრივ შეხედულებათა გამოვლენას ლამობდა³⁹. სწორედ ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნული ენიდან თარგმნილი ძეგლების („კანონი შეცოდებულთანი, აღწერილინი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კონსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდა“, „წესი და განკლებად და სჯულისკანონი მეექუსისა კრებისა...“) დედნებთან შეჯერებამ და მთარგმნელის ნაღვაწისა და თარგმანთა თავისებურების გამოვლენამ ათქმევიანა მკვლევარს შემდეგი სიტყვები: «ქართული სამართლის ისტორიის» წაკითხვის დროს, იმე-

34 ი. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაკვ. IV—V, გვ. 17.

35 ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 82.

36 იქვე, გვ. 101.

37 იქვე, გვ. 108, 117, 144.

38 ი. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაკვ. IV—V, გვ. 11, 12, 25, 28, 96.

39 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 30—38.

დია, ყველა დანახავს იმ ინტენსიურ მუშაობას და დიდ შემოქმედებას, რომელიც ქართველ ერს სამართლის სფეროში გამოუჩენია თავისი სახელმწიფოსა და სოციალური წესწყობილების დასაწინაურებლად. უეჭველია, მკითხველი იმ დეაწლაც შეამჩნევს, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელს, ქართული კულტურის ამ დიდ მოამაგეს, ქართული სამართლის ისტორიის წინამუღ დანაშაულებების შესახებ თავისი ზოგადი მოძღვრებითა და სხვა კომენტარებით მიუძღვის. თუ აქამდის ის ცნობილი იყო მხოლოდ, ვითარცა სწორუბოვარი მთარგმნელი და სახელგანთქმული მწერალი, ამერიიდან ის უნდა ცნობილი იქმნეს, ვითარცა ერთი უდიდესი ქართველი იურისტთაგანი»⁴⁰.

მისთვის ჩვეული გულმოდგინებით განიხილა ი. ჯავახიშვილმა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ცნობილი ეპიზოდი — სამცხის გამოჩენილი აზნაურის მირიანის ვაჟის კათალიკოსად არჩევის ისტორია⁴¹. მკვლევარმა დაწვრილებით გააანალიზა გიორგი მერჩულის ცნობები, გვიჩვენა ქართველ სამღვდელთა უმრავლესობისა და ერისკაცთა უკმაყოფილება მირიანის მოქმედების გამო, გაარკვია გულამ მამფალისა და გრიგოლ ხანძთელის როლი საეკლესიო კრების მომზადებასა და ჩატარებაში, ნათელყო გრიგოლ ხანძთელის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გავლენა და ავტორიტეტი, საცნაური გახადა გრიგოლ ხანძთელის, — „ვითარცა დახელოვნებული მოპაეკრის“, — როლი არსენის კათალიკოსად არჩევის საქმეში და ცხადყო, „თუ რაოდენი მნიშვნელობა ჰქონია მამინაც თვით საეკლესიო ცხოვრებაშიაც ჭკუფობრივ ბრძოლასა და ძლიერი პიროვნებისა და შეუდრეველი ნებისყოფის პატრონ აღამიანს“⁴².

როგორც აღვნიშნეთ, მსგავსი მაგალითების მოყვანა და ჩვენება იმისა, თუ როგორ იყენებდა ი. ჯავახიშვილი ძველ ქართულ ძეგლებს, დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია.

ი. ჯავახიშვილს არ დაუწერია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კურსი ან მოზრდილი ნარკვევი ასეთი ხასიათისა. მართალია, მის კალამს ეკუთვნის ერთ რუსულ ენციკლოპედიაში მოთავსებული წერილი ძველი ქართული მწერლობის შესახებ, რომელშიც იმდროინდელი მეცნიერული დონის (1913 წ.) მიხედვით მოცემულია სურათი ქართული მწერლობის განვითარების ისტორიისა უძველესი თარგმანებიდან გარდაამავალ ხანამდე (ჩათვლით)⁴³, მაგრამ, რასაკვირველია, ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ წერილში ი. ჯავახიშვილი ვერ შეძლებდა თავისი ნააზრევების სრულად გადმოცემას; იგი ამ შემაჯამებელი ხასიათის წერილში მხოლოდ ზოგადი ცნობების მოწოდებით დაკმაყოფილდა.

საინტერესოა ი. ჯავახიშვილის ისტორიულ-ლიტერატურული შტუდები, რომელთაც ხშირად ვხვდებით „ქართველი ერის ისტორიაში“. ასეთია, მაგალითად, ქვეთავები თუ პარაგრაფები ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნების შესახებ⁴⁴, მსჯელობა ძველი ქართული მწერლობის კერებზე⁴⁵ და განსაკუთრე-

40 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. XII—XIII.

41 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, გვ. 16—21.

42 ი. ჯავახიშვილი, გვ. 21.

43 И. Джавахов. Грузинская литература. I. Древний период. Энциклопедический словарь (Т-изд. Гранат и К°). XVII. 1913. გვ. 238—251.

44 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I⁵, გვ. 349—375.

45 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II², გვ. 176, 185; III², გვ. 305, 403—404; IV², გვ. 184—185, 188—189.

ბით ათონის სკოლისა და ათონელი მოღვაწეების ვრცელი დახასიათება⁴⁶, ციკლი კვირეება საერო-მხატვრული ლიტერატურის აღმოცენებასა და სპეციფიკაზე⁴⁷, განალიზება მეხოტბეთა ნააზრებისა⁴⁸ და „ვეფხისტყაოსნის“ სილიადის წარმოჩენა⁴⁹, შენიშვნები II და IV პერიოდის ქართულ მწერლობაზე⁵⁰ და ა. შ.

ამ შტუდიებში ი. ჭავჭავიძელმა გამოამჟღავნა ძველი ქართული მწერლობის ღრმა ცოდნა და დიდი სიყვარული სახელოვანი წინაპრებისა, გამოთქვა არაერთი საინტერესო მოსაზრება დასახელებულ ძეგლებსა თუ ლიტერატურულ ფაქტებზე და დიდად შეუწყო ხელი ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმის დაწინაურებას. მიუხედავად ამისა, უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ი. ჭავჭავიძელის შრომების ორი კრებული: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“. პირველში მოცემულია ნარკვევები იაკობ ცურტაველის, ეესტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორის, იოანე საბანისძის, ვიორგი მერხულის, ბასილ ზარზუმელის, ვიორგი ათონელისა და სხვა ქართველ ჰაგიოგრაფთა შესახებ. ნარკვევები ჯერ კიდევ ადრე (1916 წ.) დაიბეჭდა, შემდეგ გადაამუშავდა, დაზუსტდა, საგრძნობლად შეიესო დამატებითი თავებით (მაგალითად, იაკობ ხუცესი, ეესტათი მცხეთელის მარტვილობა, კოლაელთა მარტვილობა) და განმეორებით დაიბეჭდა 1921 წელს. უკანასკნელად გამოქვეყნდა 1945 წელს⁵¹.

„ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ განხილული ძეგლები ავტორის მეტწილად აინტერესებდა როგორც წმინდა საისტორიო თხზულებანი, მაგრამ ნარკვევებში იმდენი საინტერესო დაკვირვება, საგულისხმო მსჯელობა და მართებული დასკვნაა, რომ მას გვერდს ვერ აუხვევს ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ვერც ერთი მკვლევარი.

ამ წიგნში, როგორც სწორად აღნიშნა ა. ბარამიძემ, — „ვრცლად განხილულია უძველესი პერიოდის მთელი ქართული ლიტერატურა. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავიძელი იკვლევს მის ინტერესთა წრეში მოქცეული თითოეული წერილობითი ძეგლის არა მარტო საისტორიო მხარეს, არამედ ლიტერატურულ და მხატვრულ მხარესაც. ი. ჭავჭავიძელი იხილავს თხზულებათა ფორმას, კომპოზიციას, ენას, სტილს, ავტორთა მხატვრული აზროვნების სახეს, ადგენს ლიტერატურული გავლენის გზებს, სტილებრივი ევოლუციის ბუნებას და ა. შ. ერთი სიტყვით, ი. ჭავჭავიძელი იძლევა ძეგლთა სრულყოფილ ლიტერატურულ ანალიზს“⁵².

ი. ჭავჭავიძელი სწავლობდა რა ძველ ავტორთა ნაწერებს, ცდილობდა გაურკვევა თითოეული მწერლის „პიროვნება“, — თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო, — აგრეთვე შეეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწავდა მას, როდესაც

46 ი. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, II³, გვ. 169—192, 339—346.

47 ი. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, I⁵, გვ. 399—400; II³, გვ. 307—308.

48 ი. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, II², გვ. 210—211, 308—310, 391.

49 იქვე, გვ. 309—315, 391—392; III², გვ. 309.

50 ი. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, II³, გვ. 299, 307—308, 389—392; III², გვ. 464; IV², გვ. 183, 343.

51 ი. ჭავჭავიძელი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), მეორე-მესამე შეესებულ გამოცემა, თბ., 1945.

52 ა. ბარამიძე, ივანე ჭავჭავიძელი და ძველი ქართული მწერლობა, „ლიტერატურული საქართველო“, 28.XI.1940, № 33 (156).

თავისი თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე ყოველთვის ცდილობდა, გაეგო რადარა და რამდენი სანდო წყარო ჰქონდა თითოეულ მათგანს და რა გზით და რა საშუალებით სურდათ და შესძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება⁵³. მას, როგორც ჩანს, აღუვლებდა ის გარემოება, რომ სპეციალისტები მხოლოდ სამოქალაქო ისტორიის შესწავლით იფარგლებოდნენ და ძველ ჰაგიოგრაფთა თხზულებანი — წამება-ცხოვრებანი უგულვებელყოფილი იყო. მისი მტკიცებით, „ვისაც ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლა სურს, არც შეუძლია და არც უფლება აქვს ქართულ საეკლესიო საისტორიო ძეგლებს, ქართველ მარტვილთა და წმიდათა ცხოვრებებს გვერდი აუხვიოს და განუხილველი დატოვოს“⁵⁴. სწორედ ამიტომ დაუთმო მკვლევარმა ასე დიდი ადგილი წამება-ცხოვრებათა ტექსტებს: ჯერ მოკლედ გამოთქვა თავისი ზოგადი შეხედულება მათ შესახებ⁵⁵, ხოლო შემდეგ ცალკე ნარკვევებიც უძღვნა.

განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა მკვლევარი უძველეს ქართულ თხზულებას — შუშანიკის მარტვილობას. ხშირად იყენებდა მათ თავის მრავალრიცხოვან შრომებში⁵⁶. მასვე მიუძღვნა სოლიდური ნარკვევი: „იაკობ ხუცესი“⁵⁷.

ი. ჯავახიშვილმა გულდასმით შეისწავლა იაკობის ნაწარმოები, შეუღარა იგი სომხურ რედაქციას, გაარკვია მისი ღირსება, წარმოაჩინა ავტორის, — ვითარცა მიუყვარძობელი მოხრობელის, — დამსახურება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის წინაშე.

ი. ჯავახიშვილმა ამ „უძველესი ქართული საისტორიო თხზულების“ ავტორად მიიჩნია შუშანიკის ხუცესი იაკობი და უხვად დაძებნა ნაწარმოებში ამ ადრეც გამოთქმული ვარაუდის დამადასტურებელი მასალა. მისი დაკვირვებით, იაკობი მოთხრობილი ამბის თანამედროვე, თვითმხილველი, თანადამხდური და მონაწილე იყო. იგი გაკირვების ეამსაც ახლოს იყო შუშანიკთან და მის მწუხარებას იზიარებდა. იაკობ ხუცესის ნაწარმოებში, როგორც თანამედროვის მიერ დაწერილ თხზულებას შეშენის, მაშინდელი საქართველოს შინაური თუ საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ მრავალი საუცხოო ცნობა მოიპოვება, რომელნიც მთელ მოთხრობაში ისე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, ისე უშუალოდ თან სდევნენ ამბის მიმდინარეობას, რომ მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი ეშუება.

ი. ჯავახიშვილმა პირველმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება შუშანიკის მარტვილობაში შემონახულ ცნობებს V საუკუნის ქართლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის, სარწმუნოებრივი ვითარების, სოციალური სტრუქტურის შესახებ. მანვე პირველმა გახადა მსჯელობის საგანად ის გულწრფელობა, უშუალობა და ბუნებრიობა, რომლითაც იაკობ ხუცესის მოთხრობის კილოა გამსჭვალული თავიდან ბოლომდის, რის წყალობითაც ნაწარმოებში მაშინდელი ყოფა-ცხოვრება მთელი თავისი ღირსება-ნაკულულებანებით

53 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 11.

54 იქვე, გვ. 13.

55 იქვე, გვ. 35—44.

56 იხ., მაგალითად, ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I⁵, გვ. 118, 208, 237, 239, 280—283, 297—299, 378—379; II³, გვ. 30,47; III², გვ. 303; მისივე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ენოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 268—269 და სხვა მრავალი.

57 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 45—54.

გვეხატება და არც ერთხელ ყალბი და განზრახ თუ უნებლიეთ გაზვიადებულნი და დაუჭერებელი სულიერი მდგომარეობის აღწერილობა არ გვხვდება. თხზულების ავტორის უშუალოდისა და „მართლის თქმის“ ტენდენციების საჩვენებლად მკვლევარი ყურადღებას ამახვილებდა შუშანიკის ზოგიერთ ისეთ პირად თვისებაზე (სიფიცხე, თავშეუკავებლობა და სხვ.). რომელთა მიჩქმალვა ავტორს არ უცდია, აგრეთვე სამღვდლო პირთა სუსტი მხარეების მხილებასზე და ა. შ.

შუშანიკის მარტივობის სკრუპულოზური ანალიზის შემდეგ მკვლევარი საესეებით მართებულად ასკვნის: „ყველა ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ იაკობ ხუცესის თხზულება როგორც თავისი ისტორიული, საგეოგრაფიო, ქრონოლოგიური ცნობებით, ისევე ყოფა-ცხოვრების აღწერილობით, მოთხრობის თვისებითა და კილოთი, დასასრულ ავტორის მიერ ნაამბობის ფსიქოლოგიურის უტყუარობით მართლაც თანამედროვის, თანადამხდურისა და მონაწილის მიერ დაწერილ ნაწარმოებად უნდა იქნეს ცნობილი“⁵⁸.

ასეთი დასკვნის შემუშავების შემდეგ ი. ჯავახიშვილმა დეტალურად განიხილა შუშანიკის მარტივობის ქართულ-სომხური რედაქციების ურთიერთობის საკითხი და დამაჯერებლად დაადასტურა იაკობ ხუცესის წიგნის პირველადობა. მან სწორად შენიშნა, რომ ქართულთან შედარებით სომხური ტექსტი ერთიორად უფრო ვრცელია, მაგრამ ეს სომხურის თავდაპირველობასა და დედნობას არ ამტყიცებს; სომხური ტექსტი გავრცობილია არაარსებითი მასალით (მაგალითად, შუშანიკის ლოცვა-ვედრებით), სამაგიეროდ მასში გამოტოვებულია დედნის საუკეთესო ადგილები, რომლებიც მაშინდელი ქართლის ისტორიას, გეოგრაფიას, ყოფა-ცხოვრებას გვაცნობენ, ავტორის თანადამხდურობის კვალი წარმოიქმნება, შუშანიკის ცოცხალი ადამიანური თვისებები მიჩქმალულია და ა. შ.

ნარკვევის დასასრულს ი. ჯავახიშვილმა განიხილა შუშანიკის წამების ქართული ვრცელი რედაქციის მოღწეული ტექსტი და დაასკვნა, რომ იგი იაკობ ხუცესის თხზულების მხოლოდ მეორე ნაწილია, ხოლო პირველი, — შუშანიკის ცხოვრების მომთხრობელი, — დაკარგულად მიიჩნია.

მართალია, შუშანიკის წამება ი. ჯავახიშვილს პირველ რიგში „ძვირფას და შინაარსიან საისტორიო წყაროდ“ მიაჩნდა, მაგრამ იგი იმასაც დასაქნდა, რომ „იაკობ ხუცესის უტყუარი მხატვრული ნიჭი და მშვენიერი ცოცხალი ენა ამ თხზულებას სასიამოვნო საკითხავ ნაწარმოებადაც ზღის“⁵⁹.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ი. ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე თარგმნა ევსტატი მცხეთელის მარტივობა. მან (ა. პარნაკთან ერთად) წერილიც გამოაქვეყნა ამ ძეგლზე გერმანულ ჟურნალში, რის გამოც შემდეგ კამათიც მოუხდა მ. ჯანაშვილთან⁶⁰, ხოლო შემდეგ სავანეებო ნარკვევი შეიტანა „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“⁶¹. მასში ავტორმა ყურადღება გაამახვილა ევსტათის ცხოვრებასა და მოწამებრივ აღსასრულზე, სპარსეთსა და ქართლში ქრის-

58 იქვე, გვ. 49.

59 იქვე, გვ. 54.

60 მ. ჯანაშვილი, ჩემი შენიშვნები, 590 წელს და არა 544-ს და არც 888-ს, „საქართველო“, 1908, № 5, გვ. 12; ი. ჯავახიშვილი, საისტორიო მასალები, პასუხი მ. ჯანაშვილს, „საქართველო“, 1908, № 10, გვ. 11—14; მ. ჯანაშვილი, ჩემი შენიშვნები, VI, ევსტატის წამებისა და უმეფობის გამოცემა, „ნიათი“, 1909, № 8, გვ. 11—15 (=მისივე, ქართული მწერლობა, II, თბ., 1909, გვ. 108—119).

61 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 54—68.

ტიანთა მდგომარეობაზე, უცნობი პავიოგრაფის მიერ მოწოდებულ პოლიტიკურ-ქრონოლოგიურ ცნობებზე, ნაწარმოებში მოცემულ სარწმუნოებრივ მოძღვრებაზე და ა. შ. მისი დაკვირვებით, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა მაშინდელი საქართველოს ცხოვრების შესახებ მრავალ საყურადღებო და ცოცხალ სურათს შეიცავს და უტყუარი ცნობებითაც არის შემკული; იგი „შინაარსიანი, ძვირფასი, სანდო საისტორიო წყაროა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და კულტურული ისტორიისათვის“⁶². მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თხზულების ცნობებს ქართლში უმეტესობის შესახებ.

ნარკვევში, რომელშიც ი. ჯავახიშვილმა აბო თბილელის მარტვილობას მიუძღვნა⁶³, ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებიცაა განხილული და აქა-იქ მის მხატვრულ ფორმაცეცაა საუბარი, მაგრამ ავტორის მსჯელობას ნათლად ეტყობა, რომ მის მთავარ მიზანს იოანე საბანისძის ნააზრუვის შეფასება და ქართულ საეკლესიო-საისტორიო მწერლობაში მისი როლისა და ადგილის გარკვევა წარმოადგენს.

ი. ჯავახიშვილის დასკვნით, იოანე საბანისძე ცნობილი მწერალი ყოფილა და მას უთუოდ სხვა თხზულებანიც ექნებოდა დაწერილი. მან გარკვეული მიმართულება შექმნა ცხოვრებასა და მწერლობაში და თავისი თხზულება ჩვეულებრივი მოთხრობის სახით კი არ დაწერა, არამედ ორიგინალურად გაიაზრა, გონივრულად დაგვემა; თავებდა დაყო და თითოეულ თავში განსაზღვრული დედაზრი გაატარა. იოანე საბანისძე ცხოვრებაში ღრმად ჩახედული მწერალია, მას კარგად აქვს შეგნებულთ სამშობლოში შექმნილი რთული სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებრივი ვითარების საშიშროება, სწორად აქვს გათვალისწინებული ქართველთა ეროვნული გრძნობის შესუსტებისა და არაბთა ძალმომრეობის ზრდის საეკლესიო შედეგები და სწორედ ამიტომ ყურადღებას ამახვილებს აბოს ტრაგიკულ აღსასრულზე. ი. ჯავახიშვილმა მახვილგონივრულად შენიშნა, რომ იოანე საბანისძემ, — „თავისი დროის მისაბამმა, სამაგალითო ისტორიკოსმა“, — შეძლო ის, რაც ვერ შეძლო, მაგალითად, ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორმა; „ცხოვრების კერძო მოვლენაში მან საზოგადო-მნიშვნელოვანი გარემოება დაინახა“, კონკრეტულ-ისტორიული მოვლენა — აბოს წამება — განაზოგადა და ქართველთა სამსჯავროდ გამოიტანა. მისთვის აბოს წამება იყო არა მხოლოდ აბოს ტრაგიკული აღსასრული, არამედ ქართველთა ავბედითი აწმყო და მადლდასტურებელი და კიდევ უფრო დანისლული მომავლის მაუწყებელი ფაქტი. ამიტომაც მან საგანგებოდ გაამახვილა ქართველთა ყურადღება აბოს წამების მნიშვნელობაზე, თავისი ღრმა მსჯელობითა და „პოეტური სურათებით“ მკითხველი გაიტაცა, დააფიქრა და ეროვნული თვითშეგნების გრძნობა გაუღვივა, თავის თანამოძმეებს დაანახა და აგრძნობინა არაბ დამპყრობთა ბატონობის სუსხი და სიმწვავე. აბოს მარტვილობა, „რომელიც იოანე საბანისძის მაღლიანმა კალამმა ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებულ საგულესმინერო შემთხვევად წარმოუდგინა, ამასთანავე ისტორიულ და სამარადისო-მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ქცეულიყო: ეს მოვლენა ქართველთა მიძინებული სარწმუნოებრივი გრძნობის გამოფხიზლებისა და გაცხოველების მიზეზად უნდა

⁶² იქვე, გვ. 59. ი. ჯავახიშვილი სხვა შრომაშიც დაბეჭდვებით აცხადებდა, რომ ევსტათი მცხეთელის მარტვილობა „როგორც საისტორიო წყარო უმაღლესი ნდობის ღირსია“. იხ. მისი: საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, გვ. 3.

⁶³ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 67—76.

2. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3

2022
 13.1.20

გამხდარიყო⁶⁴. ეს ასეც მოხდა და სარწმუნოებრივი გრძნობის ზრდას ეროვნული თვითშემეცნების გავლივებაც მოჰყვა! აი, ამაშია იოანე საბანისძის უდიდესი დამსახურება შობელი ხალხისა და მშობლიური მწერლობის წინაშე, — ასე შეაფასა ი. ჯავახიშვილმა აბოს ბიოგრაფი და მისი საისტორიო თხრობის წესი მაშინდელი ქართული საისტორიო მწერლობის დიდ მეთოდოლოგიურ წარმატებად მიიჩნია.

როგორც ცნობილია, ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის კარგა ხნის მანძილზე წარმოებდა სარწმუნოებრივ-დოგმატიკურ საკითხებზე კამათი და ბრძოლა, რაც გავლენას ახდენდა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ისე საკუთრივ მწერლობაზე. ი. ჯავახიშვილი გულმოდგინედ იკვლევდა საეკლესიო განხეთქილების საკითხებს⁶⁵. ბუნებრივია, მან სათანადო ყურადღება მიაქცია ცნობილ ანტიმონოფიზიტურ ტრაქტატს: „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, რომლის ავტორად გრიგოლ ხანძთელის (759—861) მოწაფე და თანამოღვაწე არსენ კათალიკოსი (IX ს.) მიიჩნია⁶⁶.

ასევე დიდი გულისყურით ეკიდებოდა ი. ჯავახიშვილი ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას და მის ამსახველ წყაროებს, კერძოდ — ნინოს ცხოვრებას⁶⁷.

პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 1895 წლის 15 დეკემბერს ი. ჯავახიშვილმა წარადგინა თავისი ნაშრომი: „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა „საქართველოში“, რომლითაც დაამტკიცა, რომ ანდრია მოციქული არასდროს არ ყოფილა საქართველოში და ცნობები ნინოს მშობლებისა და აღზრდის შესახებაც მერმინდელ შენათხზს წარმოადგენს. ამ შრომამ ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებსა და სასულიერო წოდების წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან იგი აქარწყლებდა მანამდე არსებულ ზღაპრებს საქართველოს ისტორიის სფეროში. ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ ამ გზით საფუძველი ეყრებოდა აკადემიურ კვლევა-ძიებას. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ი. ჯავახიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოვა და მისი შრომის გამოქვეყნება დაადგინა⁶⁸. მალე იგი დაიბეჭდა როგორც ქართულად, ისე რუსულადაც⁶⁹.

ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნინოს ცხოვრების უძველეს რედაქციას, რომელიც ე. თაყაიშვილმა ახალი ვარიანტის სახელით გამოაქვეყნა, ხოლო იგი შატბერდისეულს უწოდებდა. მან შეისწავლა ძეგლის

⁶⁴ იქვე, გვ. 72. იხ. აგრეთვე ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II³, გვ. 82—83, 88—91.

⁶⁵ И. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, ИАН, 1908, VI серия, II, № 5, გვ. 433—446; № 6, გვ. 511—536; მისივე, ქართველი ერის ისტორია, I³, გვ. 375—388.

⁶⁶ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 83—93.

⁶⁷ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I³, გვ. 98—99, 105—108, 176, 185—187, 195, 231—232, 457—460.

⁶⁸ შ. კაშმაძე, ივანე ჯავახიშვილი, „დროშა“, 1952, № 4 (9), გვ. 17. აქ გამოქვეყნებულია შ. კაშმაძის მიერ დაწერილი და ი. ჯავახიშვილის მიერ ჩასწორებული ბიოგრაფია დიდი მეცნიერისა.

⁶⁹ ი. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, „მოამბე“, 1900, V, განყ. II, გვ. 55—70; VI, განყ. II, გვ. 18—50; მისივე, Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии, ЖМНП, 1901, № 1, გვ. 77—113.

შედგენილობა, გაარკვია მისი არქიტექტონიკის აკვარგიანობა, ამხილა მისი კომპოზიციური ნაკლოვანებანი და ფსევდოპიგრაფიკულობა (ყალბსათაურიანობა).

ი. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა ერთ თხზულებად მიიჩნევს, არის ორი ნაწარმოების კრებული: პირველია უძველესი სამოქალაქო საისტორიო ძეგლი — მოქცევაჲ ქართლისაჲ მატიაზე, ხოლო მეორე — ნინოს ცხოვრება. სწორედ ამ უკანასკნელში გვხვდება ისეთი ცნობები ნინოს წარმომავლობაზე, აღზრდაზე, მოღვაწეობაზე და ა. შ., რომელთა შეწყნარება შეუძლებელია. ტექსტის ცნობა, რომ თითქოს ჩვენს ხელთ არსებული მასალა ნინოს მონათხრობის ჩანაწერიც მის თანამედროვეთა მიერ, რომელთაც სიკვდილის წინ ჰკითხეს და თხოვნით აამბობინეს თავგადასავალი ნინოს, მკვლევარმა ყალბად და ნატყუარად მიიჩნია. „წმინდა ნინოს ვინაობა ქართველებს მოქცევის შემდეგ მაინც უნდა სცოდნოდათ. განა ახლად მოქცეულნი მისი მოწაფენი პირველად მის ვინაობას არ გამოჰკითხავდნენ ან განა თვით წმინდა ნინო ქართველების გაქრისტიანების შემდეგ დამალავდა თავის ვინაობას? იმას პირველ ხანებში კიდევ შეეძლო დაემალა თავისი ვინაობა, როცა ქართველობის უმთავრესი ნაწილი, თვით სამეფო სახლობა წარმართები იყვნენ, მაგრამ, როცა თითქმის მთელი ხალხი, მეფე მირიანი თავისი სახლობითურთ გაქრისტიანდა და ყველანი თაყვანს სცემდნენ მას, როგორც წმინდანს, ნინოს დასამალავი რაღა ექნებოდა? რასაკვირველია, არაფერი. უამბობდა ყველას, ვინც გამოჰკითხავდა, ხოლო მკითხველი, მგონია, ბევრი უნდა ყოფილიყო და სიკვდილის წინ თავგადასავლის მოთხრობა საჭირო აღარ იქნებოდა“⁷⁰.

ი. ჯავახიშვილმა შეისწავლა ნინოს ცხოვრების ავტორის წერის მეთოდები, წარმოაჩინა მისი ძირითადი მიზანდასახულობა, ნაწარმოები გამოაცხადა ძველ ქართველთა აზროვნებისა და სულიერ მისწრაფებათა გასაცნობად საინტერესო ძეგლად⁷¹, მაგრამ მისი საისტორიო ხასიათის ცნობების დიდი ნაწილის შეწყნარება შეუძლებელად მიიჩნია.

მოზრდილი ნარკვევები უძღვნა ი. ჯავახიშვილმა ქართული ჰაგიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ბასილ ზარზმელსა და გიორგი მერჩულეს.

მაშინ, როდესაც გამოქვეყნდა ი. ჯავახიშვილის შრომა ბასილ ზარზმელზე (1916 წ.), სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება თითქმის სულ არ იყო შესწავლილი: ტექსტი არადაამკმაყოფილებლად იყო გამოცემული⁷², ხოლო გამოცემლის წინასიტყვაობაში ბევრი საკითხი მცდარად იყო გაშუქებული. ამდენად სწორედ ი. ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა; სწორედ მან შეაფასა ჯეროვნად აღნიშნული ძეგლი და გაარკვია მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა⁷³. ი. ჯავახიშვილის დასკვნით, ბასილ ზარზმელი გვიშლის უტყუარ სურათს სამცხის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარებისა, ნათლად გვიჩატავს სამცხის სამონასტრო კოლონიზაციას, გვაცნობს ზარზმის მონასტრის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიას, ყურადღებას

⁷⁰ ი. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, „მოამბე“, 1900, V, განკ. II, გვ. 61.

⁷¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 94—107.

⁷² მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. 1—46.

⁷³ ი. ჯავახიშვილი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 124—134.

ამხვილებს გლეხთა ცხოვრებაზე, ნათლად გვიჩვენებს გლეხობის ბრძოლას სა-
 მონასტრო მიწათმფლობელობასთან⁷⁴.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი. ჯავახიშვილმა სერაპიონ ზარზმელის
 ცხოვრების ქრონოლოგიის ვარკვევაში. მან სწორად შენიშნა, რომ ბასილ ზარ-
 ზმელისა და გიორგი მერჩულის წიგნებში მოხსენიებული მიქელ პარეხელი ერთი
 და იგივე პირია; ასევე ერთ პირად მიიჩნია შემოხსენებულ ავტორთა მიერ და-
 და სახელეუბლი გიორგი მაწყვერელი. მისი დასკვნით, რაკი მიქელ პარეხელი გრი-
 გონ ხანძთელის მეგობარი ყოფილა, მამასადამე, მისი მოწაფე სერაპიონი
 ხანძთელი არქიმანდრიტის უმცროს თანამედროვედ უნდა ჩითვალოს. სე-
 რაპიონ ზარზმელის ცხოვრების მონაცემების გათვალისწინებითა და ზოგი-
 ერთი სხვა წყაროს მოშველიებით ბასილ ზარზმელის მოღვაწეობა მან X საუ-
 კუნის პირველი ნახევრით დაათარილა. მისი მოსაზრება არსებითად შეიწყნარეს,
 გააღრმავეს, დაასაბუთეს და დააკონკრეტეს ე. თაყაიშვილმა⁷⁵ და კ. კეკე-
 ლიძემ⁷⁶.

ი. ჯავახიშვილი იყო პირველი მეცნიერი, ვინც საგანგებოდ გაამახვილა
 ყურადღება ბასილ ზარზმელის თხრობის წესსა და მეთოდებზე, მის წყაროებ-
 სა და საისტორიო ცნობათა ღირებულებაზე. კიდევ უფრო მაღალი შეფასება
 მისცა ი. ჯავახიშვილმა ნ. მარის მიერ „ხელმეორედ“ მოპოვებულსა და „საუ-
 ცხოოდ“ გამოცემულ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას⁷⁷. მკვლევარმა იგი მიიჩ-
 ნია „ფრიად საყურადღებო და ძვირფას საისტორიო თხზულებად“ და გაამახ-
 ვილა ყურადღება მის მხატვრულ ფორმაზე. მისი დაკვირვებით, ნაწარმოების ავ-
 ტორი კარგად ვეცნობს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი
 ეტაპის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებსა და იმ დროის ისტორიულ-კულტუ-
 რულ ვითარებას. იგი ძირითადად საქართველოში გაბატონებულ, ქრისტიანულ-
 ოფიციალურ იდეოლოგიას ატარებს, მისი „თხზულება თავიდან ბლომდის
 მონაზონური ცხოვრების აღტაცებითა და ამაყი გრძნობით არის გამსჭვალუ-
 ლი“, მაგრამ ამასთანავე „აღტაცებით შეჰხაროდა ბუნების ლამაზსა და მომზიბ-
 ლავ სურათებს“, „დიდი პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, სხვებსავით
 მარტო საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრებით არა აქვს დასშული მხედვე-
 ლობა“. მეორე ადგილას მეცნიერი წერდა: „საკმარისია აღაშინნა ვადაიკითხოს
 ჩვენი ისტორიკოსის თხზულების ის ადგილები, სადაც მას შატბერდის, ხანძთი-
 სა და დანარჩენი მონასტრების მიდამოები აქვს აღწერილი, რომ შეიტყოს, რამ-
 დენად ჰყვარებია მას ბუნება, რამდენად ფაქიზი და ნაზი ესთეტიკური გემოვ-
 ნების პატრონი ყოფილა იგი“⁷⁸.

ი. ჯავახიშვილმა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება არა მხოლოდ პირველ-
 ხარისხიან საისტორიო წყაროდ მიიჩნია და გააკრვია მის ჩვენებათა ღირსება
 თუ წყაროები, არამედ იგი აღიარა დიდ მხატვრულ ტილოდ, რომლის ავტორს
 ეხერხება ბუნების სურათების ხატვა და მოქმედ გმირთა ფსიქოლოგიური გან-
 ცდების გადმოცემა. დაუყვირდეთ რაოდენ მრავლისმთქმელია ი. ჯავახიშვილის

74 ი. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII
 საუკუნეებში, თბ., 1934, გვ. 2—4.

75 ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ,
 თუმ, I, 1919, გვ. 124—134.

76 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 146—150.

77 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 112—123.

78 იქვე, გვ. 116.

სიტყვები: „რაც უნდა ავეწეროს მან (გიორგი მერჩულემ. — ლ. მ.), ყველაფერი ხორცშესხმული გამოდის, სურათი ცხოველი და მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება იყო. ამ მხრივ იგი ნამდვილი მხატვარია. მისი აღწერილობა თვალწარმტაცი სიმკვირცხლით, მშვენიერის ხატოვანებითა და ფერადებით არის აღსავსე, მოთხრობა ბუნებრივად მიმდინარეობს და მკითხველის ყურადღებას შინაარსიანობით ხიბლავს. მარტივი, მკაფიო და ცხოველის ენით დაწერილი, მშვენიერის, კეთილშობილურის კილოთი გამსჭვალული მთლად პოეტური თხზულების შთაბეჭდილებას ახდენს“⁷⁹.

გიორგი ათონელის (1009—1065) მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი მონაწილეობა ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ზრუნვა მშობელი ერის სულიერ განსაზღვრებასა და კულტურულ-სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობის დაცვაზე ყოველთვის იქცევდა ი. ჭავჭავაძის ყურადღებას⁸⁰. მკვლევარმა კარგად წარმოგვიდგინა გიორგი ათონელის შემოქმედებითი საქმიანობა და ნათლად წარმოაჩინა მისი პროგრესული როლი ქართული კულტურის ისტორიაში. ი. ჭავჭავაძის დასკვნით, გიორგი ათონელი არა მხოლოდ „შესანიშნავი მთარგმნელი“ იყო, არამედ „გამოჩენილი ისტორიკოსიც“. მისი ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც იოანე და ექვთიმე ათონელების თავგადასავალს გვაცნობს, „უაღრესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივად შინაარსიანია, ღრმა და მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული აზრებით გამსჭვალულია. საუცხოო ქართულით და მომხიბლავი გულწრფელი კილოთი ნაწერი იგი სამართლიანად ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს“⁸¹.

ი. ჭავჭავაძელმა გიორგი ათონელის განსაკუთრებულ დამსახურებად აღიარა ის გარემოება, რომ მწერალი არ შემოიფარგლა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს თავგადასავალის გადმოცემით, მან გამოიყენა სათანადო წყაროები და შემოწმებული გადმოცემები, ოსტატურად მოიმარჯვა ნივთიერი საბუთები, ვრცლად ასახა ქართველ-ბერძენთა ურთიერთობა, დაადასტურა ქართველთა უფლებები ათონის მონასტერზე.

გიორგი ათონელის ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა ათივისა და განავითარა მისმა მაღალნიჭიერმა მოწაფემ გიორგი ხუცესმონაზონმა (XI ს.)⁸². შედარებით მეთოდის მომარჯვებით, „მშვენიერი, გულწრფელი კილოთი დაწერილი და ღრმა გრძნობითა და სიყვარულით გამსჭვალული“ თხზულებით, — გიორგი ათონელის ცხოვრებით, — მისმა ავტორმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული მწერლობის ისტორიაში.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ი. ჭავჭავაძის ნაჩვენები ეფრემ მცირეზე (XI ს.)⁸³. მკვლევარმა კრიტიკულად გააანალიზა წყაროთა ჩვენებანი ეფრემის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, საფუძვლიანად გააშუქა მისი ორიგინალური ისტორიულ-პაეოგრაფიული ნაწერების კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა, ვრცლად დაახასიათა მისი მთარგმნელობითი პრინციპები და მეთოდები.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ И. Джавахов, К истории персидских феодалов в Арменской Грузии (Географический), ЖМНП, 1904, № 2, გვ. 358—372; მისივე, ქართული საზოგადოების ისტორია, II, 1, გვ. 66—80; მისივე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 177—191, 341—345.

⁸¹ ი. ჭავჭავაძის იველი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 144.

⁸² იქვე, გვ. 145—151.

⁸³ იქვე, გვ. 152—170.

დები და ბუნებრივად დაასკვნა, რომ „ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორთველპირი“⁸⁴ არი ქართველი მეცნიერი ფილოლოგი და ისტორიკოსი იყო“.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ი. ჯავახიშვილის ნარკვევი: „ნიკოლოზ კათალიკოზი“⁸⁵. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის მოზრდილი ნაშრომი: „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“, რომელშიც თანამედვერობითაა განხილული სამი საკითხი: მოძღვრება ადამიანზე, ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები, ადამიანი ვითარცა მოღვაწე⁸⁶. ავტორი უხვად იმოწმებდა ძველი მოღვაწეების თხზულებებს, — ორიგინალურსა თუ ნათარგმნს, — და მათზე დაყრდნობით ზუსტსა და სრულ პასუხს იძლეოდა დამსულ საკითხზე.

ასეთივე გულისხმიერებით განიხილა ი. ჯავახიშვილმა კოლაელთა მარტვილობა, კოსტანტის მარტვილობა, გობრონის მარტვილობა და სხვა ძეგლები. სწორედ მან წარმოაჩინა კოლაელთა მარტვილობის, — ვითარცა ქრისტიანობისა და წარმართობის ურთიერთობის ამახველი ძეგლის, — მნიშვნელობა, დამატებითი მასალების მოხმობით სარწმუნო გახადა ვარაუდი მარტვილობის კოსტანტის, თომა არწრუნის (X ს.) მიერ მოხსენიებული კახასა და ატენის სიონის წარწერაში დასახელებული კახას იდენტურობის შესახებ⁸⁶, შეაქო სტეფანე მტბევაირი (IX—X სს.) საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ვითარებისა და აბულ-ყასიმის შემოსევის უტყუარი სურათის მოცემისათვის, მაგრამ, ამასთანავე, ამხილა მისი არაობიექტურობა და ქართველთადმი ზედმეტად მიკერძობება⁸⁷.

თავისი ხანგრძლივი კვლევა-ძიებით მიღებული შედეგები ი. ჯავახიშვილმა დასკვნის სახით ასე ჩამოაყალიბა: „ქართული საისტორიო მწერლობისა და აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით: იოანე საბანისძეს, რომელშიც თავისი შრომა გარკვეულ გეგმაზე ააგო და ცხოვრების კერძო მოვლენაში სასოგადლო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და თავის თანამედროვეებსაც დანახევა; ბასილ ზარზმელს, რომელსაც თხრობის წესისა და მეთოდების შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება; განსაკუთრებით კი გიორგი მთაწმიდელს, რომელმაც საისტორიო მწერლობის მეთოდები ჩვენში უადრესად განავითარა და მისაბაძი მაგალითი შექმნა; გიორგი ხუცესმონაზონს, რომელმაც ღვაწლის შედარებითი დაფასება პირველად შემოიღო ქართულ მწერლობაში, და, რასაკვირველია, ეფრემ მცირეს, ვითარცა საისტორიო მწერლობის მეთოდებისა და ტექნიკის საუკეთესო თეორეტიკოსსა და ჩვენში ანალოგიის შემომღებს“⁸⁸.

„ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხებში“ დაბეჭდილია რამდენიმე წერილი საერო-მხატვრული ლიტერატურის შესახებ. შედარებით მეტი ადგილი ეთმობა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. ასეთია, მაგალითად,

⁸⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 97—109.

⁸⁵ იქვე, გვ. 130—155.

⁸⁶ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 61—66, 77—81, 109—111.

⁸⁷ იხ. აკოპოე ი. Джавахов, К вопросу о времени построения грузинского храма в Атели по вновь обследованным эпитафиям, ХВ, ტ. I, ნაკვ. III, 1912, გვ. 283.

⁸⁸ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 31. შემდეგ მკვლევარი ასახელებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, „ისტორიკოს-ფილოსოფოს“ ნიკოლოზ კათალიკოსსა და ვახუშტი ბაგრატიონს.

„შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო“, „Личность и мировоззрение“, «რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“», «„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირავლივ», „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანის“ ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“, „შოთა რუსთაველისა და მისი უპოქის გამოფენა“ და სხვა⁸⁹.

ამ შრომების გაცნობა ნათელყოფს, რომ ი. ჯავახიშვილმა ჭეშმარიტად დიდი წვლილი შეიტანა რუსთაველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში. მკვლევარს აინტერესებდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებისა და გამოცემების ღირსება-ნაკლოვანებანი, პოემის ტიპაჟი და მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები, ავტორის ვინაობა და მოღვაწეობის ხანა, მისი ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა და ა. შ.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის წერილი: „შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო“, რომელიც ცხადყოფს, რომ დეაწლმოსილ მეცნიერს „**ჯული სიხარულთა და კმაყოფილებით აეცო**“, როდესაც გაიცნო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულის თაობაზე.

ი. ჯავახიშვილი საცხებით დარწმუნებული იყო, რომ „იმ მოღვაწეთა შორის, რომელთა ღვაწლი და შემოქმედება ქართველთათვის სამარადისოდ დაუვიწყარი დარჩება, რომელთა ქმნილებისათვის ვერც დროთა ცვალებადობასა და ვერც სიგარძეს ვერაფერი დაუტკობია, ერთი პირველი ადგილთაგანი, უმუქელია, შოთა რუსთაველს ეკუთვნის“⁹⁰. ასეთი ადამიანი, ასეთი შემოქმედი კი ღირსია იმისა, რომ შთამომავლობა ყველაფერს აყეთებდეს მისი სიღიადის წარმოსაჩენად; მეცნიერი ერთგვარი უკმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა, რომ „ქართულ მეცნიერებას თავისი გენიოსი მგოსნის წინაშე ზნეობრივი მოვალეობა მოხდელი არა აქვს“⁹¹. აღნიშნული გარემოების გამო რუსთაველისა და ქართველის საზოგადოებრიობის ურთიერთობის საკითხი ი. ჯავახიშვილის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. მან სწორად გაითვალისწინა, რომ ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოსანს“ ყველა „ერთნაირი გრძნობითა და აღფრთოვანებით არ შეხვედრია“. თუ, ერთი მხრივ, პოემას გამოუჩნდა ბევრი თაყვანისმცემელი და მადიდებელი, მეორე მხრივ, იყვნენ „ძლიერი მოწინააღმდეგენი უმთავრესად კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შორის“. მოწინააღმდეგეებს რუსთაველის „მომხიბლავი ნაწარმოების“ მოსაბომა არ შეეძლოთ, მაგრამ „იმდენი ძალა მაინც შესწევდათ, რომ ამ გენიოსი მგოსნის სახელი, ვინაობა და ღვაწლი საუკუნეთა განმავლობაში წყვედიადით ყოფილიყო მოსილი და იმდროინდელი ცხოვრების მომთხრობელის საისტორიო თხზულებებში მისი ხსენებაც კი არ გამოჩენილიყო“⁹².

ი. ჯავახიშვილმა მკითხველთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ თამარის ისტორიკოსთა ნაწერებში არსად გვხვდება ხსენება რუსთაველისა და მისი პოემისა და ამის ახსნა რუსთაველის გარშემო გაჩაღებული ბრძოლით მოიწადინა.

89 ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 5—56.
ი. ჯავახიშვილის რუსთაველოლოგიური შეხედულებანი მოკლედ განიხილა ი. მეგრელიძემ:
იხ. მისი: რუსთაველოლოგები, თბ., 1970, გვ. 212—224.

90 ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 5.

91 იქვე, გვ. 11.

92 იქვე, გვ. 6.

„ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანი შესწავლის წინაპირობად ი. ჯავახიშვილს პოემის ხელნაწერთა გულდასმით შესწავლასა და მეცნიერულ ანალიზზე დამყარებული კრიტიკული გამოცემა მიაჩნდა. მას ერთგვარად აოცებდა რუსთველოლოგიაში აღმოცენებული თეორიების სიმრავლე არსებულ ვითარებაში, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულად დადგენისა და მეცნიერულად გამოცემის, საქმეში მიუტევებელი ჩამორჩენილობა შეინიშნებოდა. ბევრ ხელნაწერში გვხვდება სხვათა მიერ შეთხზული სტროფები. პოემის კეთილისმსურველებსა თუ მტრებს არაერთი სტროფი მიუწერიათ ხელნაწერთა ველზე. შემდეგმა გადამწერებმა ყოველივე ეს საკუთრივ ტექსტში შეიტანეს და დღეს ძნელი გასარკვევია, რა ეკუთვნის რუსთველს და რა სხვას. ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ვახტანგ მეექვსემ, „ქართული მწერალთა და ინტელიგენტთა წრე ი. ჭავჭავაძის მეთაურობით“, ა. სარაჯიშვილმა, ნ. მარმა და სხვებმა, მაგრამ ძირითადი ნაკლი ნაკლადვე დარჩაო.

ი. ჯავახიშვილმა მოკლედ, მაგრამ კმაყოფილების გრძნობით დაახასიათა ჩვენში წარმოებული რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება, სიხარულით აღნიშნა, რომ „შოთა რუსთაველის დიდებული ქმნილების შესწავლა წარსულთან შედარებით გაცხოველდა, ძალიან დაწინაურდა და უკვე არაერთი ძვირფასი მონაპოვარიცა გვაქვს შეძენილი“, მაგრამ ისიც დასძინა, რომ „მთელი მსჯელობა წინანდებულად პოემის აღუდგენელ ტექსტზეა დამყარებული“⁹³. ამიტომაც მას ყველაზე საშურ საქმედ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემა მიაჩნდა.

რუსულად გამოქვეყნებულ წერილში: „Личность и мировоззрение“⁹⁴, რომელიც ინგლისურადაც დაიბეჭდა⁹⁵, ი. ჯავახიშვილმა მოკლედ, ძალზე შეკუმშულად მოგვცა თავისი შეხედულება რუსთველის პიროვნებაზე, განათლებაზე, მოღვაწეობის ხანაზე, არმოღწეულ თხზულებებზე და ა. შ.

მკვლევარმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი — შოთა რუსთველი დაბეჯითებით მიიჩნია თამარის ხანის მოღვაწედ, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მის სოციალურ წარმომავლობასა და მდგომარეობაზე, ნათელყო პოეტის სიმპათიები რაინდული წრეებისადმი, გამოავლინა მისი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი, განიხილა პოემაში პანთეიზმის ელემენტების არსებობის საკითხი⁹⁶, დაახასიათა რუსთველის თვალსაზრისი სიყვარულსა და მეგობრობაზე, გახაზა განსაკუთრებული პატივისცემა მანდილოსნისადმი და წარმოაჩინა ძიობა-მეგობრობის ყოვლისშემძლეობა.

მოსხენებაში — «რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“», რომელიც ი. ჯავახიშვილმა საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმზე წაიკითხა 1937 წლის დეკემბერში⁹⁷, საგანგებოდაა გაამახვილებული ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ კავშირ-ურთიერთობაზე იმდროინდელი საქართველოს სოციალურ კულტურასთან, მოცემულია მსჯელობა პოემის ტიპაჟზე და ა. შ. ი. ჯავახიშვილის აზრით, „რა თქმა უნდა, გენიალური პოეტის ქმნილება პოლიტიკური ტრაქტატი როდია“, მასში ყველა საკითხის წამოჭრა

93 ი ქ ვ ე, გვ. 10.

94 ი ქ ვ ე, გვ. 13—15.

95 „Georgica“, № 4—5, 1937, გვ. 10—12.

96 რუსთველის პანთეიზმზე შემდეგ ბევრმა მეცნიერმა დაიწყო წერა (მ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი, მ. ბაურა და ა. შ.).

97 ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 16—19.

ავტორს არ შეეძლო, მაგრამ „ქმნიდა რა დიად მხატვრულ პოემას, იგი, თავისი სამშობლოს მწვევე საკითხებით აღღვრებული, თავის უკვდავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეალს, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა ეხილა მაშინდელ საქართველოში“⁹⁸. მკვლევარმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ მატერიალური კულტურის თვალსაზრისით პოემაში გადმოცემულია ზოგიერთი ისეთი პირობა თუ ჩვეულება, რომელიც მაშინდელ საქართველოში იყო გავრცელებული. პოემის გმირები, მართალია, უცხოელები არიან, მაგრამ მათში „ქართველის გული ძგერს“.

თავის წერილებში ი. ჯავახიშვილი ხშირად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებზე. მაგალითად, რამდენჯერმე შეეხო იგი პოემის ვახტანგისეულ გამოცემას⁹⁹, დაახასიათა გ. ქართველიშვილის გამოცემის ავტორიანობა და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მისი «„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ» — გამოხმაურება იმ დისკუსიისა, რომელიც გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის გამოცემამ¹⁰⁰. მასში ავტორი სპეციალურად განიხილავდა „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხს და ასკვნია: „ვახტანგ მეექვსის გამოცემა ძველს ხელნაწერულს ტრადიციებზე უნდა იყოს დამყარებული და ინდოხატაელთა ამბავი და მასზე უწინარესი რამდენიმე ტაეპიც მერმინდელი დანართია“¹⁰¹.

ი. ჯავახიშვილის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა რუსთველოლოგიის ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორცაა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ ძველთაგან როგორ კამათს იწვევდა ეს საკითხი ჩვენს საზოგადოებრიობაში. ამ კამათს ვერც ი. ჯავახიშვილი გადაურჩა. ერთხანს იგი ნ. მარს უჭერდა მხარს და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევდა¹⁰². შემდეგ ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდა სპეციალურ ნარკვევში: „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც პირველად 1956 წელს გამოქვეყნდა¹⁰³. მასში ი. ჯავახიშვილმა დაწერილებით განიხილა ნ. მარსის თვალსაზრისი რუსთველის მკამბდიანობისა და XIV საუკუნეში ცხოვრების შესახებ და კატეგორიულად უარყო მისი შეწყნარების შესაძლებლობა, დაიმოწმა რუსთველის ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სპარსულობის შესახებ და გააანალიზა სხვადასხვა მკვლევართა შეხედულება ამ საკითხზე, საგანგებოდ შეისწავლა რუსთველის ცნობები სპარსეთის შესახებ და დაასკვნა, რომ ამ ცნობებში „შეუძლებელია აღამაინა არ შეამჩნიოს ინდოელთა ეროვნული გრძნობისა და ხვარაზმე-სპარსთადმი ძლიერი სიძულვილის ცხადი გამოხატულება... რაკი „ვეფხისტყაოსანში“ სპარსეთსა და სპარსთა სამეფო სახლს ასეთი მეორეხარისხოვანი და დამამცირებელი ადგილი აქვს დათმობილი და პოემა სპარსელებისადმი ცხადი პოლიტიკური სიძულვილით არის გამსჭვალული, საეჭვო და შეუძლებელიც-კია, რომ იქ მოთხრობილი ამბავი სპარსული იყოს. დედააზრითა და პოლიტიკური მრწამსით მას სპარსული არაფერი აქვს“¹⁰⁴.

98 იქვე, გვ. 19.

99 იქვე, გვ. 8, 22—24.

100 იქვე, გვ. 20—30.

101 იქვე, გვ. 30.

102 ი. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904, გვ. 41—42 და შმდ.

103 ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 31—47.

104 იქვე, გვ. 36.

ი. ჭავჭავაძის ნაზრევში აქა-იქ გვხვდება ზოგი რამ საკამათო თუ ჰიპოთეზური, მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, ოდნავადაც ვერ აყენებს ჩრდილს მის ღვაწლს.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. დიდი ქართველი მეცნიერი ი. ჭავჭავაძის თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველ ქართულ მწერლობას. ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ შექმნილი ლიტერატურული საგანძური მისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პირველწყაროს ქართველი ერის ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად და მტკიცე საბუთს ქართველთა კულტურული მოწიფულობის წარმოსაჩენად.

2. ძველი ქართული მწერლობა აღრევე აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძის ინტერესთა სფეროში. მისი ბირველი ნაბიჯები მეცნიერულ-შემოქმედებით ასპარეზზე უშუალოდ დაკავშირებულია ძველი ქართული წერილობითი კულტურის ძეგლებთან.

3. ხელნაწერთა აღწერითა და მათში შემონახული ძველ თხზულებათა პუბლიკაციებითა და თარგმანებით და განსაკუთრებით თავისი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევებით ი. ჭავჭავაძის დიდი წვლილი შეიტანა ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ შესწავლასა და მისი კულტურულ-შემეცნებითი მნიშვნელობის წარმოჩენაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ოთარ პირბაბაძე

ა. ჟერეთელის ისტორიული მოთხრობების თემატურ-იდეური საყვარო

„თითქმის ყოველი ისტორიული მოვლენა წარმოადგენს იმავე დროს წინამავალი განვითარების უკვე მომწიფებული ნაყოფის ვინმესთვის „უზრუნველყოფასაც“ და მოვლენათა ჭაჭვის ერთ-ერთ რგოლსაც, რომელიც მომავლის ნაყოფს ამზადებს“¹. ე. ი. ძველი, ახალი და მომავალი გარკვეულ დიალექტიკურ მთლიანობას ქმნის; ყოველი ახალი ძველის მომწიფებული ნაყოფია, იქედან მომდინარეა. „აწმყო შედეგია წარსულისა და მითითებაა მომავალზე“². „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“³. გ. წერეთელი აღნიშნავს: „ახალი, ძველის შეუსწავლელად, ფესვებდაკრილი ხეა, სათამაშოდ მიწაზედ დაყენებული... რომელ ხალხსაც სურს თავისი იერი შეინარჩუნოს, თავისი ვინაობა დარჩეს, ის უსათუოდ უნდა ჩაღრმავდეს და გაიცილოს თავისი ისტორიული ზრდა“⁴. წარსულ დროთა ხალხების გონებრივი და ზნეობრივი თვისებების შესახებ, — წერს ნ. ჩერნიშევსკი, — „არ შეიძლება... ვიცოდეთ სხვანაირად, თუ არა მათი ისტორიული მოღვაწეობის ფაქტების მიხედვით“⁵.

აკაკი შენიშნავდა: „მხოლოდ პირუტყვი იფიქრებს წარსულს, არ ჰფიქრობს მომავალზე და მარტო აწმყოთია კმაყოფილი.

კაცი კი, როგორც გონიერი და უმაღლესი არსება, სათავეს ერთმანეთზე აბამს და აკავშირებს, წარსულიდან გამოჰყავს აწმყო და აწმყოდან ჰსურს წარმოშობოს მომავალი“⁶.

გამორჩენილი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს“⁷.

მიუხედავად ისტორიის ამ განუზომელი მნიშვნელობისა, მას ბევრი უარყოფელი ჰყავდა წარსულშიც და ახალ საუკუნეებშიც. ჩვენი თერგდალუღუღების დიდ დამსახურებელ უნდა ჩაითვალოს, რომ მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს საერთოდ მსოფლიოს ხალხთა ისტორიისადმი და კერძოდ ქარ-

1 გ. პლეხანოვი, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, 1939, ტფ., გვ. 225.

2 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 775.

3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 200.

4 „კვალი“, 1893, № 26.

5 ნ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ., 1945, გვ. 239.

6 ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 72.

7 ი. ჯავახიშვილი, კართელი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 399.

თველი ერის სახელოვანი წარსულისადმი, მისი მეცნიერული შესწავლისა და მხატვრული ასახვისადმი. ქართველ სამოციანელებს, ისე როგორც სხვა ბევრ საკითხში, ამ საქმეში მაგალითს აძლევდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები: ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვ., რომელთა ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა რუსი ხალხის დიდი ისტორია.

ბელინსკი რუსეთის პროგრესულ მოღვაწეთა დამსახურებულ გამარჯვებულ თელის იმ ფაქტს, რომ მათ მიაკვლიეს და დაინახეს საკუთრივ რუსი ხალხის სახელოვანი წარსული, რომელიც საკნებით განსხვავებულია დასავლეთის სახელმწიფოთა ისტორიისაგან. მან გადაუდებელ ამოცანად დასახა ამ დიდი თავისთავადი ცხოვრების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა. „ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი გონებრივი წარმატება, — წერს ბ. ბელინსკი, — სწორედ ის არის, რომ ჩვენ, ბოლოს მივხვდით, რომ რუსეთს ჰქონდა თავისი ისტორია, რომელიც ოდნავადაც არ წააგავს ევროპის არც ერთ სახელმწიფოს ისტორიას, და რომ ეს ისტორია უნდა შევისწავლოთ და განვსაჯოთ თვით მისსავე საფუძველზე და არა ევროპის ხალხთა საფუძველზე, რომელთაც მასთან საერთო არ აქვს რა“⁸.

ჩვენი ახალი თაობა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ნათელი გაეხადა ყველასათვის, თუ რა მაღალი იდეებით სულდგმულობდა ქართველი ხალხი ერთ დროს, რა ეროვნული ენერჯია და ნიჭი ქმნიდა ამ ხალხის ღრმაშინაარსიან კულტურას, რა „საკუთარი ეროვნულობის ძალით“ ამუშავებდა კაცობრიობის მიღწევებს, რა ძალა იფარავდა მას მტერთა უთვალავი შემოსევებისაგან, გაპარტახება-გადაგვარებისაგან. მათ ყველაფერი გააკეთეს ქართველ ხალხში მიძინებული პატრიოტული გრძნობის გაძლიერებისა და გამოცოცხლებისათვის, დავიწყებული სიტყვა „მამულის“ გამობრწყინებისათვის. სამშობლოს „წარსული, მისი აწმყო და მერმისი კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა. „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა, გვერდს ამოუღდა სხვადასხვა მხრიდან და ერთიანის ძალღონით ფეხზე წამოაყენა გონების თვალის გულღვიძამდე გასაბნეველ. ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა. პროზით თუ ლექსით, ყველა ჰღალადებდა ადამიანის დარღვეულ უფლებების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა“⁹. შთამომავლობას აინტერესებდა, „თუ რა ახალი, გამოსადეგი შეიტანეს თავიანთი ქვეყნის შეგნებასა და ცხოვრებაში ისტორიულმა მოღვაწეებმა“¹⁰.

ამრიგად, ლიტერატურის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად იმთავითვე იქცა ქართველი ხალხის წარსული.

ა. წერეთელი განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის გამოძიება-ასახვას, თუ „რანი ვიყავით“ ძველად. მას ღრმად სწამდა, რომ „მხოლოდ ერთი უგნურება სჭერდება აწმყოს და მარტო მით კმაყოფილია, გონიერება კი მეტს მოითხოვს, გადადის წარსულში და იქიდან გამონაკვლევე ჭეშმარიტებას ფონად, გზად და ხილად უღებს... საჭიროა, რომ მარტო აწმყოზე არ შევჩერდეთ. ეს აღვგამაღლებს ჩვენ ზნეობრივად, აგვეცემა გული სიმართლითა და სიყვარულ-“

⁸ ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., გვ. 578.

⁹ ი. პავლევიჩი, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, თბ., 1953, გვ. 226.

¹⁰ Н. Николадзе, Газ. „Новое обозрение“, 1889, № 1959.

ლით... მაშინ შეგვეძლება, ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ: ვინც გვეძმო-
ბა — ვეძმობა“¹¹.

აკაკი ირწმუნება, რომ „ქარგი რამ არც ერთს საუკუნეში არ ჰკარგავს თა-
ვის ღირსებასა და ფასს“¹². მისი აზრით, ჩვენმა წინაპრებმა ბევრი რამ ისეთი
გვიანდერძეს, რომ მისი იგნორირება „ჩვენივე თავის უარყოფაა, გაწირვა და
სიკვდილის მიახლოვება“. ამიტომ პოეტი ეძებს და ნატრობს ისეთ თაობას, რო-
მელიც ამაღლება პირუტყვის მდგომარეობიდან, მიიხედავს უკან და კი არ
უარყოფს წარსულს, არამედ ღრმად შეისწავლის მას, გულთან მიიტანს მამა-
პაპათა ნაანდერძე საამაყო ტრადიციებს, „გამარგულულ და გამტკიცულ წარ-
სულს“ საფუძვლად დაუდებს აწმყო-მომავალს და მათ კვეშირგაუწყვეტლად
გააგრძელებს ისტორიულ ცხოვრებას.

ა. წერეთლის შეხედულებით, „როცა ერთი რომელიმე ერი იბრძვივებს მეო-
რეს და იძონებს, სცილობს, რომ წარსული დააიწყოს: უქარწყლებს ისტო-
რიულ ნაშთებს, უნგრევს ცინე-დარბაზებს, უბღალავს ტაძრებს, ჰმუსრავს ნახა-
ტებს, უქრძალავს დედა ენას... ასე მოქმედებდნენ ჩინეთის ყვანები, ლანგ-
თემურების და სხვანი. ამავე გზას ადგიან დღევანდელი მპყრობლებიც. ასეთია
იმათი უსამართლო, საბატონო პოლიტიკა“¹³.

არ არის ძნელი მისახედრი, თუ რატომ მზრუნველობს და იცავს აკაკი ქარ-
თველი ერის დიდ წარსულს, რატომ მიდის ის ასე ახლოს გარდასულ გმირთა
აკლამებთან და რატომ იწვევს იქიდან სასაუბროდ მათ აჩრდილებს. ევს არ
ტოვებს, რომ ისტორიულსადმი დამოკიდებულების რომანტიკული პრინციპი
აქ სახესებით გამოირიცხულია. ასეთ შემთხვევაში პოეტის ამოცანები და მიზნები
ისეთი მაღალეროვნული და პროგრესულია, ეროვნულ-განმათავისუფლებელ
მოძრაობასთან ისე ორგანულადაა დაკავშირებული, რომ ყოველგვარი ნიადაგი
ეცლება აკაკის ე. წ. „რომანტიკულ-ორბელიანებისეულ“ მიდგომას სიძველი-
სადმი. „რომანტიკულ კონცეპციასთან საერთო არაფერი აქვს აკაკის მიერ ის-
ტორიულის გაგებას“¹⁴. „შეუძლებელია ეთქვათ: აკაკის მიზნად ჰქონდა წარსულ-
ლის იდეალიზაცია“¹⁵.

ი. გომართელთან კამათში ა. წერეთელმა დაასაბუთა, რომ „ძველთა გმირ-
თა მოხსენება“ და საგმირო ეპოპეათა შექმნა არ არის უგუნურება და ღალატი
ნამდვილი ხელოვნებისა, რომ „ნიჭი და ხელოვნება საგნის დიაღობაში კი არ
არის, მათ ვა მ ო ხ ა ტ ვ ა შ ი და გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ა შ ი ა (ხაზი ჩვე-
ნია. — თ. გ.), გინდ დღევანდელი ვარამი იყოს ის და გინდ გადასული ძველ-
ბური ამბავი“¹⁶.

წარსულისადმი აკაკისეული ტრფილის არსში გაურკვეველმა პირებმა
აიძულეს მგოსანი, ეთქვა: „ჩვენ რომ ისტორიას მიემართავთ ხოლმე გარდასულ
გმირების საჩხრეკად, ამას განა იმიტომ ჩავდივართ, რომ ის ძველი ღრო გვე-
ნატრებოდეს, გვინდოდეს მისი დაბრუნება და მამულისათვის ქვა-კუთხედად
დადებამ. სრულიადაც არა. ჩვენ იმ გმირებს სამაგალითოდ ვაძლევთ დღევან-
დელ მაჩანჩალებს, რომ ამათაც იმ ძველებისაგან ისწავლონ, თუ როგორ უნდა

11 ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 274—275.

12 ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. XIV, გვ. 119.

13 ი. გ. ე. ვ. გვ. 226—227.

14 გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, I, თბ., 1958, გვ. 375.

15 დ. ვამეზარდაშვილი, ძველი ლიტერატურა როგორც თემატიკური წყარო აკაკისათვის. თბ. „აკაკი წერეთელი, საიუბილეო კრებული“, თბ., 1940, გვ. 221.

16 ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. XIV, გვ. 39.



სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, რომ დღევანდელ დროსა და ცხოვრების მოთხოვნილებას ისეთივე შესაფერი პასუხი გასცენ, როგორც ჩვენი წინაპრები აძლევენ იმ ძველ დროს¹⁷.

ახლა ვნახოთ, ა. წერეთლის პროზაული ქანრის ისტორიული თხზულებები, რომლებიც მაღალმატერული ოსტატობით აცოცხლებენ ქართველი ხალხის წარსულს, წარმოადგენენ თუ არა ამ პრინციპებისა და შეხედულებების ხორცშესხმას.

ა. წერეთელმა შექმნა საკმაოდ ბევრი მაღალმატერული ნაწარმოები, რომლებშიც მიმზიდველად არის გაცოცხლებული ქართველი ხალხის დიდი წარსული. ამ თემას პოეტმა უპირატესად მიუძღვნა პოემები და დრამატულ-პროზაული ხასიათის ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილმა ეს თხზულებები წარსულის იდეალიზაციის შემცველ რომანტიკულ ნაწარმოებებად მიიჩნია და ძველი ცხოვრების განდიდება „აკაიის აზროვნების დამახასიათებელ თვისებად“ ჩათვალა¹⁸.

მართალია, ჩვენი კვლევის საგანი ა. წერეთლის პროზა, მაგრამ მაინც გვინდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი ლირიკული და ეპიკურ-დრამატული თხზულება არ იძლევა იმის საფუძველს, ვამტყციოთ, თითქოს ა. წერეთელი „რომანტიკოსი პატრიოტია“ და მის ისტორიულ თემებზე შექმნილ თხზულებებში გაფეტიშებულია წარსული, შესამჩნევად არის შელამაზებული სინამდვილე, მიჩქმალულია უარყოფითი მოვლენები, ყველაფერს „რომანტიკული იდეალიზაციის ლეჩაქი აქვს გადაფარებული“.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბელეტრისტულ ნაწარმოებებში?

წარსულმა ა. წერეთლის პროზიდანაც ბრწყინვალედ გამოანათა. ამ თვალსაზრისით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, რომელიც ენება 1659 წლის კახეთის აჯანყებას სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ნაწარმოებში პოეტის ისტორიულ მასალას თავისუფლად ამუშავებს, თავის ფანტაზიას აძლევენ გასაქანს, მაგრამ ყველაფერი ეს არ სცილდება ზომიერების ფარგლებს და არ ღებულობს ზღაპრულ ელფერს. არც გარდასულ დროთა და გმირთა იდეალიზირების ფაქტთან გვაქვს მასში საქმე, როგორც ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი. „ბაში-აჩუკი“ წმინდა რეალისტური მოთხრობაა, რომელშიც ყველაფერი დანახული და წარმოჩენილია აწმყოს პოზიციებიდან და ემსახურება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მოკლებული ქვეყნის ინტერესებს. აქ ბევრი რამ ისეთნაირად არის დახატული, რომ გგონიათ — XIX საუკუნის ქართული სინამდვილე დგას ჩვენ წინაშე თავისი ქიროთა და ტყვიანობით და ითხოვს შევლას. ძველი და ახალი სატიკივარი ისეა მასში ჩაწნულ-გადახლართული, რომ ძნელი გასარკვევია, სად იწყება ან სად მთავრდება ერთი და სად — მეორე. მწერალი საერთოდ შორს დგას ნოვალისის ცნობილი შეხედულებისაგან, რომლის მიხედვით შორიდან ხრიოკი მთაც კი იქცევა პოეზიად, არამცთუ სახელოვანი წარსული.

აკაკიმ, როგორც საერთოდ სჩვევია მას ეპიკურ თხზულებებში, მოთხრობის დასაწყისიდანვე მიანიშნა მკითხველს, თუ ალავერდის ტაძარი — საქარ-

¹⁷ იქვე, გვ. 485.

¹⁸ ს ი მ. ხუნდაძე, ნარკვევები, თბ., 1941, გვ. 143—144; კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბ., 1962, გვ. 239; გ. ქიქოძე, რჩეული თხზ., ტ. I, თბ., 1963, გვ. 153—155; მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, თბ., 1962, გვ. 373; ვ. კობეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959, გვ. 373—380.



თველო როგორ დღეშია. აქვე აჩვენა ისიც, თუ რა არის საკითრთ გამძვინვარებულ ურჩხულის გასაგმირავად. ერთ-ერთი გმირის მოწოდება: „ვინ ქართველი და ვინ გულგატეხილობა?.. სირცხვილს სიკვდილი სჯობს და ორივე კი ერთად — ჯოჯოხეთიაო... არ გიჯობსთ, რომ წინ აღუდგეთ უწმინდურს და ბრძოლაში დალიოთ სული?“ — ცხადია, თანამედროვეთა საყურადღებოდაც არის წარმოთქმული და გამიზნულია ხალხის, მასების ისეთივე განწყობილების შესაქმნელად, როგორც კირილეს სიზმარშია მოცემული. შემდეგ პოეტი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გვიჩვენებს, თუ როგორ იქცა ეს მოწოდებანი საქმედ და რამ განაპირობა კახეთის აჯანყების წარმატებით დაგვირგეინება.

აჯანყების მოწყობის გეგმას ყველა როდი შეხვდა მოწონებით. მტრის წინააღმდეგ გალაშქრების საკითხზე, როგორც „პატარა კახში“, აქაც აზრთა სხვადასხვაობაა ახალი და ძველი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელ შორის. ამ უკანასკნელთაგან გამოირჩევა ზაალ არაგვის ერისთავი, რომელსაც ბაში-აჩუკმა შეატყობინა ბიძინა ჩოლოყაშვილის მტკიცე გადაწყვეტილება მტრის წინააღმდეგ მოულოდნელი გალაშქრების შესახებ. ზაალი თავის სიძეს, ბიძინას, და ბაში-აჩუკს, როგორც გამოუცდელ ახალგაზრდებს, არ უწონებს განზრახვას და სასტიკი წინააღმდეგობა აჯანყებისა. შალვა ქსნის ერისთავიც ყმაწვილად მიიჩნია და არ უკვირს მისი თანხმობა, მაგრამ ელიზბარ ქსნის ერისთავისაგან, რომელიც ძალზე ბევრი რამის მომსწრეა და არც გონიერება აკლია, არ ელოდა ჩოლოყაშვილისათვის დახმარების პირობის მიცემას. განცვიფრებული ზაალი მიმართავს მას: „... მიკვირს, ჩემო ელიზბარ... ლხინი ბევრი გინახავს და ჭირი კიდევ მეტი აგიტანია!.. მაღლობა ღმერთს, გამოცდილება არ გაკლია და როგორ გაივლეთ გუნებაში მაგისტანა ძნელი საქმე?“.

ელიზბარი დინჯად უპასუხებს: „... ღმერთთან სწორი სჯობს, მეც მივლება ქუთაში ამ ყმაწვილების განზრახვა!.. ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია! საქრისტიანო უნდა იმზობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ გულხელ დაკრეფილი?“.

ზაალს ამაზე ადრე ბაში-აჩუკი უმტკიცებდა: „ჩემი განსაცდელი რაღა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ როდესაც მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩაყარდნილიო“. ახლა ელიზბარმაც დაადგსტურა ეს, მაგრამ არაგვის ერისთავმა მაინც შორს დაიჭირა თავი და ქვეყნის ბედი განგებას მიანდო. ამან აღაშფოთა შალვა და მიმართა ზაალს: „უკეთეს დროს ჩვენ ველარ ჩავიდებთ ხელში... კახელების გულისგატეხა ქართლსაც გადაედება!.. ჯერ კიდევ, სანამ სასოება არ წარკვეთათ და კიდევ რაღაც იმედი აქვთ კახელებს, ჩვენც უნდა მივეშველოთ!.. თუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვნად მიანდ დავიხოცებთ“. მისი აზრით, ქვეყანა აღარ ითმენს დაყოვნებას: კახეთი გათათრდა, ერი გოდებით ივისო, მეფე ვახტანგი „დაცვეთილ შახნაეზად გადაიქცა“ და ამაზე მეტი უბედურება რაღა დაადგება ხალხს.

შალვას სიტყვებით კმაყოფილმა ელიზბარმა მეტად საგულისხმოდ დაამატა: „მტერი მოყვრულად მოსული მტერზედაც უარესია“.

რას ფიქრობდა ამ დროს ახმეტის ბატონი ბიძინა ჩოლოყაშვილი? ეს გახლდათ კაცი, „ბუნებისაგან უნაკლულად შემკული, რომლის გულიც ვერაფრით ვერ მოიგეს თათრებმა, ვერც რისხვითა და ვერც წყალობით“. ის საღ კლდესავით იდგა და მუდამყამ იმაზე ფიქრობდა, რით ეშველა კახეთისათვის. მას არ იტაცებს მტრის მიერ შემოთავაზებული თვალსაყუარ სიმდიდრე და დიდე-

ბა, რადგანაც „ცოტა წმინდა ურჩევნია ბევრ უწმინდურს“. ის აშკარად ხედავს, რომ ქართველებს აბუჩად იგდებენ, ატყუებენ, „შინ ლუკმას აცლიან პირიდან და გარედან კი ნასუფრალს უყრიან ძაღლებსავით“. ამიტომ მკაცრად ეუბნება სამშობლოს გამყიდველ ჯანდიერს, საკუთარ ბიძას: „უწმინდურ სიცოცხლეს მე წმინდა სიკვდილი მირჩევნია და სანამ მოკვდებოლე, მანამდე მაინც კიდევ ვეცდები, რომ ჩემი ლუკმა როგორმე დავიბრუნო“.

არ არის ძნელი ამოსაცნობი, რომ „ბაში-აჩუკში“ მხილებულია მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკაც და ის შედეგები, რაც მას მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში. აკაკი ძალზე მონერბებულად ესხმის თავზე როგორც ცარიზმს, ასევე გადარჯულების გზაზე დამდგარ ქართველობას. შაჰ-აბასის დრო კარგა ხნის ჩავლილი იყო და, ცხადია, მწერალს იგი დიდად არ აინტერესებდა. და მგოსანი თუ მაინც იგონებს ამ ეპოქას, ეს იმიტომ, რომ თავისუფლებასმოკლებულ ერს წარმოუდგინოს მაგალითი ერთ დროს მსგავს მდგომარეობაში მყოფი ქართველებისა, რომლებმაც მხოლოდ დიდი გონებამახვილობით, ენერჯის დაძაბვით, ერთიანი სულისკვეთებით, არნახული გმირობითა და თავგანწირულებით იხსნეს სამშობლო ვასაჰირისაგან. აკაკის მიზანია, დაარწმუნოს ხალხი, რომ, თუ აწმყოშიც გამოჩნდებიან ბიძინას, შალვას, ელიზბარისა და ბაში-აჩუკის მსგავსნი, თუ ერთმანეთისადმი დახმარებისა და გვერდში ამოდგომის ანალოგიური სურვილი იქნება, თუ მამაპაპური, მგზნებარე პატრიოტული სული უწინამძღვრებთ, გამარჯვება საეჭვო აღარ იქნება. ამ დიადი მიზნის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში პოეტი განსაკუთრებულ როლს აკისრებდა გლეხობას და დიდი იმედით ჰქონდა მათი. იგი ხედავდა, რომ „გლეხობას, იმ მუშა ხალხს, რომელიც ყოველდღე მამა-პაპების მოწამურ სისხლს, სამშობლოს მთა-ბარზე მსხვერპლად დათხეულს, პატროსან შრომის ოფლს აღვრიდა, არ ჰქონდა ჯერ კიდევ საერთო კავშირი გაწყვეტილი... მზად იყო, რომ კვარითი ანთებულოყო, და უცდიდა მხოლოდ ნაბერწკლებს, საიდანმე მონაკეესს!“

ნაწარმოებში ჩინებულად არის მოთხრობილი ამ ნაბერწკლების გაჩენაზე, რომლებიც შეერთებულმა ძალამ შემდეგ ალაღ აქცია და ქვეყანამაც სული ამოთიქვა. კმაყოფილებით აღნიშნავს აკაკი: „დიდი ხანია ქართლ-კახეთი ისე მოსვენებით არ ყოფილა, როგორც 1659 წელშიაო“. აი, ასეთი წლის დასადგომად რაზმავს პოეტი ქართველ ხალხს და მათ მიქანცებულ სულს მოსაღონიერებლად უხვად აწვდის ათასჯერ აწონილ-დაწონილ მაგალითებს თავისი საფიციარი სამშობლოს გმირული წარსულიდან.

აბა, ვინ იქნება, წაიკითხოს ზეარაკად გამზადებული ბიძინას, შალვასა და ელიზბარის სიტყვები დარბაზობის წინაშე და არ აღევზნოს მათდამი უდიდესი სიყვარულით, არ აენთოს გულში ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა და „არ დააკლას თავი თვისი მის დიდებათ ვითა მსხვერპლი“.

გ. ნატროშვილის დაკვირვებით, განსაკუთრებით იტაცებდა აკაკის სამსხვერპლო ზეარაკობის იდეა, „რადგან ეს იყო მისი აზრით ადამიანური სათნოების ყველაზე უმადლესი იდეალი“¹⁹.

მართებულად წერს პრაფ. ა. გაჩეჩილაძე „ბაში-აჩუკის“ შესახებ, რომ მასში „გარდასული დროის გმირობანი აწმყოს სამსახურშია ჩაყენებული“²⁰.

¹⁹ გ. ნატროშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1941, გვ. 97.

²⁰ ა. გაჩეჩილაძე, აკაკი წერეთელი, თბ., 1966, გვ. 123.

სწორად შენიშნავს პროფ. ა. მახარაძე: აქ აკაკი „მეფის რუსეთის თვალსაზრისით მპყრობელობის ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას უმიზნებს და ბაში-აჩუკისა და აბდუშაჰის შთამომავლობაც მის წინააღმდეგ საბრძოლველად ესაჭიროება“²¹.

არ შეიძლება, ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ა. წერეთელი ამ გმირულის, მაღალზნობრივისა და პატრიოტულის გვერდით კარგად ხედავს ეგოიზმის, სულმდაბლობის, ფარისევლობის, ურთიერთგადაცილების, შურის, სიხარბის, ღალატისა და სხვა ბევრი არაადამიანური ქცევის მაგალითებს. იგი მოულოდნელად კიცხავს როგორც მეფეებს, ასევე დიდგვაროვანთ, რომლებიც თავიანთი უუნარობითა და უღირსი საქციელით დიდ ზიანს აყენებენ ქვეყანას. პოეტს არ მოსწონს თეიმურაზ პირველი, რადგანაც, მისი აზრით, იგი იყო „მხოლოდ ქვეშევრდომთაგან უმდაბლესად შეგონებული“ მეფე და იშვიათად გააჩნდა პირადი ზეშთაგონების უნარი, დიდ საქმეთა გაძღოლის ნიჭი. პოეტი საყვედურს გამოთქვამს აგრეთვე თეიმურაზის პაპის, მამისა და ბიძების მიმართ, რომლებმაც, მისი შეხედულებით, დიდი ცოდვა დაატრიალეს როგორც საკუთარ ოჯახში, ასევე მის გარეთაც. აკაკი არც ვახტანგს, შაჰნავაზსა და წოდებულს, უყუარებს მაინცდამაინც კარგი თვლით. იგი არსებითად შაჰის გულის მოგებას ცდილობს და ერიდება რადიკალური ღონისძიებების გატარებას. ძალზე კმაყოფილი რჩება ვახტანგი, როდესაც, მისი გულის მოგების მიზნით, აბაშიძემ და წერეთელმა მხარითვეს ულამაზესი ასულები თეირანში გასაგზავნად. ეს გაიძვერა და მლიქვნელი ფეოდალები კი ერთმანეთს ექიშებოდნენ და იმის ცდაში იყვნენ, თუ რომელი აჯობებდა მეფის წყალობის დამსახურებაში. პირადი ვანდილების მიზნით იყვნენ აგრეთვე შეპყრობილნი ჯანდიერი და მაყაშვილი, რომლებმაც უღალატეს თავიანთ ხალხს და მტრის სამსახურში ამოყვეს თავი. მაყაშვილმა ბევრი თანამემამულის ოჯახი ააწიოკა და დაარბია, რომ თათრებისათვის სანუკვარი მორჩილება და სიმშვიდე დაემყარებინა კახეთში. ქვეყნის ორგულმა და გამყიდველმა საკარდისი სასჯელი დაიმსახურა ბაში-აჩუკისაგან. აღსანიშნავია, რომ ეს სულიან-ხორციანად გადაგვარებული პირები მაღალი წოდების წარმომადგენლებია და ძალზე დაცლებული არიან იმ ხალხისაგან, რომლის ზნობრივ სისპეტაკეს ყოველთვის აღფრთოვანებაში მოჰყავს აკაკი. მაყაშვილებს XIX საუკუნეშიც ბევრს ხედავდა პოეტი.

ნათლად დასტურდება, რომ აკაკის რეალიზმის პრინციპებიდან არასოდეს არ გადაუხვევია და არ გაუხდია კერპად, კულტად გარდასული დრონი. წარსული არ ყოფილა მისი სულის ნავსაყუდიელი. იგი ყოველთვის აწმყოს დასტრიალებდა თავს და მის ძირეულ გადახალისებაზე ოცნებობდა. კახეთის აჯანყებასთანაც სწორედ ამ დიდმა მიზანმა მიიყვანა იგი და შექმნა ხელოვნების ჭეშმარიტი შედევრი, რომელშიც თავიდან ბოლომდე გაუნელებლად გიზგიზებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პროფ. ს. ჭილაიას თვალსაზრისს, რომ ეს თხზულება „ერთიან, ეროვნულად დამოუკიდებელ, საქართველოს იდეას აყენებს“²². ეროვნულად დამოუკიდებელ, შინაური და გარეშე მტრებისაგან დაცულ, გონიერებისა და სიბრძნის ნაყოფით დამშვენებულ გაერთიანებულ საქარ-

21 აბ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952, გვ. 341.

22 ს. ჭილაია, აკაკის პროზა. იხ. „აკაკი წერეთელი, საიბიბლიო კრებული“, თბ., 1940, გვ. 50.

3. მაიცი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3

თველოზე გაბმულ ფიქრს წარმოადგენს აგრეთვე „ქუთათელის სიზმარობა“ მოთხრობა, რომელსაც მწერალი ისტორიულ ოცნებას უწოდებს, ღრმა შინაარსის შემცველია, ფრიად დამაფიქრებელი და ჭკუის მასწავლებელია. აქ მითითებული არის იმაზე, რომ კაცკასისის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს ყვეა-ყორნების მოცილება და გათავისუფლება სჭირდება. რომ ეს განხორციელდეს, მწერლის აზრით, ისეთივე სიბრძნე და წინდახედულობა არის საჭირო, როგორც ახასიათებდა დავით აღმაშენებელს, თამარს, ანტონ ჭყონდიდელს, ანტონ ქუთათელს და სხვ. ისევე როგორც ძველად, დღესაც საერო და სასულიერო წოდება ერთი მიზნით უნდა მოქმედებდეს, „ორგულს“ მაგალითს უნდა გამობდნენ, ხოლო „ერთგულს“ სიცოცხლეში სცემდნენ პატივს.

სათნობა, სიკეთე და სიმშვიდე ქვეყნის შიგნით, ვაგება და მეცნიერული განსჯა, შევარდნის მოქნილობა და ძლიერება, ნიჭისა და ღირსების დაფასება, თავდადებულისა და გაიძვერას ამოცნობის უნარი — აი, რით უნდა შეიარაღდეს ერი, მწერლის აზრით, რომ გაძლიერდეს, საკუთარ ფეხზე დადგეს, დააღწიოს თავი ხიფათს და მრავალყამიერი იყოს მისი სიცოცხლე.

თქმა არ უნდა, რომ ამ მოთხრობაში ყველაფერი სადღეისო ეროვნულ პრობლემებთან არის მისადაგებული.

დიდი მორალურ-პატრიოტული ზემოქმედების ძალა გააჩნია ისტორიულ მოთხრობას „ოთია მესხი“.

ოთია მესხის, სახელგანთქმული რაინდის, დისწულისადმი გამოტანილი სასიკვდილო მსჯავრი ქვეყნის წინაშე ადამიანის მოვალეობის განუზომელი მნიშვნელობით არის ნაკარნახევი. ოთია თავის აღზრდილ ასათიანს, შესანიშნავ ვაჟკაცს, ყოველთვის შთააგონებდა, რომ კაცისთვის ხალხისა და სამშობლოს ვალი „ყველაზე უპირველესი საქმეა“ და იგი არასოდეს არ უნდა იქნეს დაიწყებული. ამ შეგონების უარყოფელ დისწულს თვითონ ოთიამ უჩვენა მაგალითი პირადულ ინტერესებზე მაღლა საქვეყნო ზრახვების დაყენებისა, როცა ცადა, სიკვდილისაგან გადაერჩინა თავისი მოსისხლე მტერი ჭაჭიანი. საერთო საქმის ინტერესებმა უკარნახა ოთიას ბრძოლის ველიდან გამოქცეული „ამხანაგის“ დაცვა და თავისი საყვარელი გაზრდილის საკუთარი ხელით მოკვლა.

ბიძა-დისწვილის კონფლიქტზე ააგო აკაკიმ ძველებური ამბავი „დათუნა-გოცირიძე“. ამ მოთხრობის აზრი მშვენივრად არის გამოხატული დათუნას მიერ ივანე კვიციანიშვილისადმი მიმართულ სიტყვებში: „შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვივერებია, შინაური მტრობა რჯულის უარყოფა და ორივეს ღმერთმა შეგვიდნოს!“²³

დიდგვაროვანთა გაუტანლობა და მზაკვრობა, უმადურობა და ვერავობა დაგმო, ხოლო უბრალო ადამიანთა გმირულ და სპეტაკ სულს მიუძღვნა ქებათა ქება ა. წერეთელმა თავის შესანიშნავ ისტორიულ მოთხრობაში „კორინთელი“.

ეღიზიარ ერისთავის შინაყმა კორინთელი ნაწარმოებში გამოყვანილია როგორც მამაცი, ერთგული, პირდაპირი და სიტყვის კაცი, რომელმაც მტერიც კი მოხიბლა თავისი ძლიერი სულითა და კეთილშობილური ხასიათით, სამშობლოსა და რჯულისადმი უსაზღვრო სიყვარულით. კორინთელის აზრით,

²³ „დათუნა გოცირიძე“, ტ. VIII, გვ. 21.

„ვინც თავის მამა-პაპის რჯულს უღალატებს და თავის სამშობლოს გაუტანლობით მოშორდება, ის ვისგან რაღა სანდო კაცი იქნება?“²⁴

კორინთელი არ ინდობს ელიზბარ ერისთავს და მის მსგავსთ, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ, ერის ბედი თავიანთ სასარგებლოდ წარმართონ, პირად განზრახვებს დაუქვემდებარონ, მტყუანი და მართალი არ გაარჩიონ. ასეთი ორგული და ქვეყნის მოღალატე „დიდ-კაცები, — კორინთელის თქმით, — სანამ საფლავში არ ჩავლენ, ძვირად იცვლებიან“. ისინი მუდამ ღვარძლით არიან აღსავსენი, შურსა და მტრობას თესენ ქვეყნად. და ვაი მას, ვინც გაბედავს იმათ წინააღმდეგ ხმის ამოღებას, სიმაართლის გაცხადებას. თუ მას შეკახმული ცხენი მზად არ ეყოლა გასაქცევად, ველარაფერი უშველის.

ამ ნაწარმოებშიც ა. წერეთელი წარსულს აწმყოს პოზიციებიდან გასცქერის და ხატავს თანამედროვეთათვის გასათვალისწინებელ ცხოვრებისეულ მოვლენებს, რაც არსებით გადახალისება-გარდაქმნას მოითხოვს.

მწერალი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი წუთითაც არ ხუჭავს თვალს იმ მანკიერებათა წინაშე, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში. იგი ხშირად წარსულის ფონზე აწმყოსაც მკაცრად აკრიტიკებს და სრულ წარმოდგენას აძლევს მკითხველს როგორც ძველი, ასევე ახალი დროის უარყოფით მოვლენებზე. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს „გრიგოლ წერეთლის ირემი“.

ამ მოთხრობაში ა. წერეთელმა, ერთი მხრივ, მეტად მოხერხებულად ამხილა ცარიზმის სასამართლოს მოხელეთა ახირებულობა, უკანონო მოქმედება, მექრთამეობა და გამომძალველობა, ხოლო, მეორე მხრივ, ნათელყო ის შური და მტრობა, ერთმანეთზე მისევა და გადაიკიდება, მრუდე გზით გაძლიერებისა და აღზევებისაკენ მისწრაფება, რაც დამახასიათებელი იყო ძველად მსხვილი ფეოდალებისათვის. განსაკუთრებული კრიტიკის საგანად ჰყავს ქვეული მწერალს გრიგოლ წერეთელი, რომლის სიამაყემ, სიზვიადემ და გაღაპრებულობა სიმკაცრემ სიცოცხლე გაუმწარა არა მარტო ვლუხობას, არამედ დიდგვაროვანთაც. აკაკი წერს: „რაღა ერთხელვე გაიგერმა გრიგოლ წერეთელი, გაუგემრიელდა საშოვარი და სხვებსაც მიჰყო ხელი: დიდი ივანე აბაშიძე აიკლეს და ახალციხეში მოიკლა... წულუკიძეები ააოხრეს... ნიყარაძეები დაიჭირეს და სხვანი... სხვების დამცირება წერეთელს უფრო და უფრო ამოღებდა, იყო დიდ საშოვარში და დღითი დღე ძლიერდებოდა მისი ოჯახი. სხვები რომ ტირიოდნენ, ის იყო ერთს ლხინსა და შექცევაში“²⁵.

მწერალი აშკარად აღიარებს, რომ საქართველო დაღუპა და დააქცია დიდგვაროვანთა ასეთმა მგლურმა მისწრაფებებმა, პირადი ვანდილობისა და სახელისათვის ბრძოლამ. მართალია, მგზავრს, რომელთანაც საუბარი აქვს მწერალს, უკვირს, რომ ახლა გრიგოლ წერეთლის სასახლე ჩემოდანთა საუბარი აქვს მწერალს, მაგრამ აკაკი ადრე დაწყებული ეროვნულ-სოციალური ტრაგედიის საგსებით ლოგიკურ გავრძელებად მიიჩნევს ამ ფაქტს.

მწერალი მოთხრობის დასასრულს შენიშნავს: „დღესაც უსამართლოდ გაძლიერებულს რომ ვისმეს ვნახავ, გულში ვიშეორებ: „არა თუმცა აღაშენა უფალმა სახლი, ცუდად შერებთან მაშენებელნი მათი-თქო!“

აი, რისთვის დასჭირდა ა. წერეთელს საუკუნის წინანდელი ამბების გახსენება თანამედროვეთათვის. მწერალი არსად და არასოდეს არ ღალატობს

²⁴ „კორინთელი“, ტ. VIII, გვ. 248.

²⁵ „გრიგოლ წერეთლის ირემი“, ტ. VIII, გვ. 103—104.

თავის „წარსულის განკითხვის“ პრინციპს, რაც აწმყოსა და მომავლისადმი უანგარო სამსახურით არის ნაკარნახევი.

დიდგვაროვანთა კინკლაობისა და მტრობის, სხვადასხვა გარემოებათა გამო მეფის მიერ დაწინაურებულთა, ე. წ. „ახალკაცთა“ და თავადთა შორის გამუდმებული ქიშპობის კლასიკურ ნიმუშებს ხატავს ა. წერეთელი მოთხრობაში „ქართული ფულის თავგადასავალი“. მწერალმა მთავარ მოქმედ პირს, ქართულ ფულს, ბევრი რამ საინტერესო ათქმევინა ერეკლესდროინდელი საქართველოს შესახებ, მაგრამ ყურადღება მაინც განსაკუთრებით გადატანილია იმ საბედისწერო უთანხმოებასა და შეთქმულებაზე, რამაც განაპირობა, აკაკის აზრით, ერეკლეს დამარცხება ალა-შაჰმად-ხანთან ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ მწერალს ეს არ მიაჩნია მართო ამ საუკუნის სენად. მისი აზრით, თავადების „გულკოიტობამ დაღუპა საოცარი გმირი სააკაძე და მასთანვე ერთად საქართველოც“²⁶.

აკაკი როდი უარყოფს იმას, რომ „ზრდილობა და დარბაისლური თავდაბლობა ზნედ ჰქონდათ იმ დროში გადაქცეული საქართველოს გვარიშვილებს“, მაგრამ არსებობდნენ ისეთებიც, რომლებსაც მედიდურად ეჭირათ თავი, თავხედობდნენ, ერის ბედს არაფრად აგდებდნენ და ოქრო-ვერცხლის ტყვედ იყვნენ ქვეულნი. ზოგიერთი ასეთი კაცი სასახლეშიც იყო შემძვრალი, მეფისა და საქართველოს ერთგულებაზე ფიცულობდა, მაგრამ კრიტიკულ ქაშს ორივეს უღალატეს და დიდად დაეხმარნენ მტერს თბილისის აოხრება-გაჩანაგებაში. მოღალატენი იმითაც სარგებლობდნენ, — აკაკის თქმით, — რომ სხვადასხვა დედის შვილი უფლისწულები ნდობით არ უყურებდნენ ერთმანეთს და თითოეულ მათგანს თავ-თავისი მომხრეები ჰყავდა, რის გამოც საზოგადო საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო ყოველთვის. მწერალი არ ერიდება იმათ დასახელებას, ვინც უმუხტოლეს ერეკლეს და ბატონიშვილი გიორგიც მოატყუეს. ორგულთა და გამცემთა რიცხვი არც მთლად ცოტაა. აი, სწორედ ამათ დასცეს ძირს საქართველო და უფსკრულის წინაშე დააყენეს იგი „ხოჯა-ხანობის“ დროსო, — მწერად შენიშნავს ა. წერეთელი.

დასახელებული მოთხრობა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასში ძველისა და ახლის შეპირისპირების საფუძველზე წარმოჩენილია „დარღვეული“, მაგრამ თავისუფალი მამულის საგრძნობი უპირატესობა სხვის ხელში გათანგულ საქართველოზე. შედარება უმეტესად ზნეობრივ სფეროშია გადატანილი. მაგალითი მოყვანილია სასულიერო ცხოვრებიდან და ისე დაუფარავად არის ყველაფერი ნათქვამი, რომ სრული წარმოდგენა გვექმნება იმ უკუსვლაზე, რაც მწერლის აზრით, ქართველი ხალხის ზნეობამ განიცადა უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

ახალი დროის ეკლესიაში მოხვედრილი ფული ჩივის: „სიწმინდენაჩვევს, არაფრად მეჭამნიკა უწმინდური ღვინი; ტკბილი ვალობის ნაცვლად უქადრისი სიმღერა მესმოდა!.. წმინდა ამბორების მაგიერ, საზარელი „პროშტი“ იყო გახურებული და მეტანიის ნაცვლად კინტოური ბუქნა. მომიკვდა გული, მაგრამ რალას ვიზამდი“²⁷.

როგორც ეხედავთ, ყველაფერი აწმყოს განსაქიქებლად, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის უარყოფითი შედეგების საშიშვლებლად არის გამოჩნული.

²⁶ „ქართული ფულის თავგადასავალი“, ტ. VIII, გვ. 128. გ. სააკაძეს აკაკი ამართლებს და დიდ მამულიშვილად სახავს თავის შესანიშნავ მოთხრობაში „სიკვილი“.

²⁷ „ქართული ფულის თავგადასავალი“, ტ. III, გვ. 131.

ამდენად, თავის ისტორიულ ბელეტრისტულ თხზულებებში ა. წერეთელი არც ერთი წუთით არ იეჭვებს სინამდვილეს და არ ემიჯნება მას. იგი ყოველთვის გულწრფელად და დაუფარავად ლაპარაკობს იმაზე, რისი შთაგონება აუცილებელია იმ საზოგადოებისათვის, რომლის პირისპირაც დგას მწერალი და აქვს მასთან სისტემატური საუბარი. მისი მხატვრული სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, გამსჭვალული არის აწმყოს ცხოველი ინტერესით, მის სიღრმეში შეკრის ტენდენციით, მიმდინარე მოვლენების ობიექტურად ახსნის სურვილით, დაოსებული და იმედდაკარგული ხალხის გამოფხიზლებსა და მტრის წინააღმდეგ მათი ამხედრების ძლიერი პათოსით. მის ყველა ნაწარმოებში მიმდინარე ცხოვრების აქტიური სული ტრიალებს და ყურადღება მუდამ მიქცეულია იმისაკენ, რასაც უშუალო კავშირი აქვს ერის ბედთან, მის აწმყოსა და მომავალთან. აკაკის მოღვაწეობის უმთავრეს შინაარსს ტყვედპყრობილი სამშობლოს „გამოხსნა“ შეადგენს და ყოველგვარ გზასა და საშუალებას ეძებს ამ დიადი მიზნის მისაღწევად. ისტორიასა და წარსულის თემატიკასაც ამიტომ ჩასჰიდა ხელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მძლავრ სტიმულად აქცია იგი. მწერალი არასოდეს და არსად „არ იმეორებს რომანტიზმის მოტივებს“²⁸.

არ შეიძლება, დაკვირვებულმა თვალმა არ შენიშნოს, რომ გარდასულ დროთაგან აკაკის ძალზე იზიდავს დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა. მას ეს დრო ქართველი ხალხის ცხოვრებაში ბედნიერი და ყოველმხრივ ნაყოფიერ ხანად მიაჩნია. მას ახარებს, რომ ქართველი კაცის უნარმა და ნიჭმა ამ დროს პოვა სრული გასაქანი და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში დიდ წარმატებებს მიაღწია. ეროვნულმა კულტურამ კიდევ უფრო გაშალა ფრთები და მდიდარი სულიერი საზრდო მიეცა შემდგომ საუკუნეებს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკაკი ძალზე იშვიათად იყენებს იმეამინდელ ამბებს თავისი ნაწარმოებების თემად ან ფონად. არსებითად, ამ ხანას იგი მაშინ ეხება, როდესაც საჭიროდ თვლის, დაუმტკიცოს მტერს, თუ რანი ვიყავით, რას მივაღწიეთ და რატომ ჩამოვკვეთილეთ. სხვა შემთხვევაში კი პოეტს დაკვირვებისა და ასახვის საგნად უფრო მღელვარე, დაძაბული, შინაური აშლილობით, ხიფათებითა და კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქები აქვს აღებული. მისი ისტორიული თხზულებები უმთავრესად წინაპართა ცხოვრებაში არსებულ კრიტიკული მომენტებისა და მისგან თავის დაღწევის შემთხვევებს ასახვენ.

ა. წერეთელი, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენდა, ისტორიული ცხოვრებისა და გამოჩენილი გმირების მხატვრული დახასიათებით დადებითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოეხდინა თანამედროვეთა შეგნებაზე, შთაებერა მათთვის-მებრძოლი სული, დაენახებინა უმძიმესი სიტუაციებიდან თავის დაღწევის სანიმუშო მაგალითები და ამით ქართველი ხალხი ერთ მტკიცე ძალად შეეკრა, მომავალი გაერთიანებული სამშობლოს სახე ეჩვენებინა, სწორად მოიქცა, როცა აქცენტი გადაიტანა ქართველი ხალხის დარღვეულ, აწეწილ, მოუსვენარ და მშფოთვარე დღეებზე. ამით იგი ერთგვარ პარალელს ავლებდა წარსულსა და აწმყოს შორის და ძველზე მინიშნებით თავისი დროის საკიბროროტო საკითხებზე მიუთითებდა.

28 შ. რაღიანი, რჩული წერილები, თბ., 1970, გვ. 391.

ცნობლია, რომ ა. წერეთლის შემოქმედებაში, ისე როგორც ი. ჰავჭავაძის თხზულებებში, დიდი ადგილი უჭირავს გმირის, ერის წინამძღოლის, მეთაურის პრობლემას. ილიაცა და აკაკიც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების წილიდან ასეთი დიდი პიროვნების გამოჩენის შესაძლებლობისადმი. მათი აზრით, ახლა „გმირის დამბადი იგი ადგილი ჯავით ავსილა, ვერანად ქმნილა“. მაგრამ არც ილიასა და არც აკაკის ხელი არ ჩაუქნევიათ, გული არ გატეხიათ და ცდილობდნენ, შეექმნათ ისეთი გარემო, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოვლინებოდა ქართველ ხალხს რჩეული მამულიშვილები, რომლებიც უწინამძღვრებდნენ ჩაგრულ ერს.

აკაკიმ ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მიზნითაც ჩვენს წარსულს მიმართა და გამოიხმო იქიდან ისეთი ადამიანები, რომლებიც უკვდავების შარავანდედით არიან მოსილი საქართველოს ისტორიაში. პოეტმა მათ ახალი სული ჩაუდგა, ახალი სორცი შეასხა, დიდი ვატაკებით უმღერა, მაგრამ არ გაუყალბებია და გაუზვიადებია მათი დამსახურება, ზღაპრად არ გაუხდია სამშობლოსადმი მათი თავგანწირულება, რეალიზმის პრინციპებიდან არასოდეს გადაუხვევია. აკაკი ამით გზას უწაღდავდა ახალი საქართველოს მომავალ თაობას და აიმედებდა, რომ ასეთი წარსულის მჭონე ერი კვლავ აღზრდის სახალხო გმირებს, რომლებიც მისგან დახატული მამულიშვილების მსგავსად იბრძოდნენ. დავით აღმაშენებელი, თამარი, თორნიკე ერისთავი, ვახტანგ გორგასალი, პატარა კახი, ბაგრატ მეფე, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბაში-აჩუკი, მგოსანი გოჩა, კეკელია, გელა, გივი, ბააღური, ცოტნე დადიანი, ნათელა, ცირა, ტურფა, მარიამი, პირიმისა, პირმთვარისა, კორინთელი, ოთია მესხი, დათუნა გოცირიძე — ყველა წარსულის ფონზე გამოქრწილი რეალურ-იდეალური გმირებია, რომელთა საეროვნო საქმეები, აკაკის რწმენით, ყოველთვის შთააგონებენ და მისცემენ სულიერ საზრდოს ახალი საუკუნის ადამიანებს.

აკაკიმ კარგად იცის, რომ დიდბუნებოვანი ადამიანის, გამოჩენილი მეფისა და სარდლის ღვაწლი არ ჰგავს ჩვეულებრივი კაცის, როგორც კარგიც არ უნდა იყოს იგი, ნამოქმედარს. დიდ პიროვნებაში არის ბევრი რამ ისეთი, რაც ყოველთვის შეიძლება იყოს მისაბაძი და სახელმძღვანელო. „პიროვნებებს თავისი ხასიათის თავისებურებათა წყალობით შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოების ბედზე. ზოგჯერ ეს გავლენა მეტად მნიშვნელოვანიც არის ხოლმე“²⁹.

აი, ამ დიდი ადამიანების განსაკუთრებულ ხასიათებს, მათს განსაკუთრებულ ნებისყოფასა და რაინდულ სულს ევლება თავს სწორედ აკაკი და მიიჩნევს მას აუცილებელ ფაქტორად დაკნინებისა და დაჩიავების გზაზე დამდგარი ეროვნული სულის, ეროვნული ენერჯის მოღონიერებისათვის. მწერალს მის მიერ დახატულ გმირებში მოსწონს სამშობლოს ჩაუშქრალი სიყვარული, მაღალი ზნეობა, ბრძოლისა და შრომის ფრონტზე თავდადება, მტრის შეუბრალებლობა, მოყვრისადმი ერთგულება, ოჯახური სიწმინდე, ნათელი გონება, სპეტაკი სული. მართალია, ამ გმირთა ვალერეაში მეფეებიც არიან, მაგრამ მათი ბიოგრაფია აღსავსეა პოლიტიკური გამპრიახობით, მტრების წინააღმდეგ დაუშრეტელი ბრძოლის მომენტებით, ქვეყნის ბედზე შეუხელებელი ზრუნვით. აკაკის სწორედ ეს მაღალი თვისებები ხიბლავს და კიდევ უზრდის მათ თავისი ხოტბის საგნად. აკაკისთან ეს მოღვაწენი დიდი ადამიანები არიან და არა ტი-

29 გ. პლენანოვი, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, გვ. 37.

რანები. აღსანიშნავია, რომ ისტორიამ და ხალხის შემოქმედებამაც ასეთნაირად წარმოაჩინა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ქეთევან დედოფალი, მეფე ერეკლე, გიორგი სააკაძე, ცოტნე დიდიანი და სხვები. ეს ისტორიული გმირები, რომლებიც ქართული ხასიათის სრულყოფილ განსახებას წარმოადგენენ, ესმარებინა, შველიან პოეტს თავისი ეროვნული იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მაგრამ აკაკი აქროლი ჩერდება, მარტო მეფეთა და დიდებულთა საგმირო საქმეებზე მოთხრობით როდი კმაყოფილდება.

მისთვის არ არის „ისტორია მეფეთა მეცნიერება“, როგორც ამას ამტკიცებდა გერმანიის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ლიდერი ლეოპოლდ ფონ რანკე. არც ტომას კარლილისა და მე-19 საუკუნის სხვა ისტორიკოსების „გმირების თეორიას“ იზიარებს აკაკი. მისთვის უცხოა და წარმოუდგენელი, რომ ხალხს უყუროს, როგორც „მონათა ჯოჯს“, ხოლო გამოჩენილ მოღვაწეებს უმღეროს, როგორც „ზეადამიანებს“ და შექმნას მათი კულტი.

მართალია პროფ. გ. კილურაძის შეხედულება: „ისტორიაში მასების როლის შესახებ XIX საუკ. ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლებს მეტად დამაჯერებელი წარმოდგენა ჰქონდათ“³⁰.

იღვა რა სწორ თვალსაზრისზე, აკაკი მაღალი სული, გმირული შემართება, მამულის სიყვარული, ხმლისა და აკვისადმი ერთგულება, გაუტეხელი ნება მშრომელ ხალხშიც კარგად დაინახა და თავისი მხატვრული შედევრებით „ქართლის ცხოვრების“ ერთი დიდი ნაკლი შეასწორა — ჩვენს ისტორიაში ხალხი აღმოაჩინა და ტკბილი სიმღერები დაიგალობა მათზე. მან ქართველი ხალხის კეთილშობილური თვისებების მატარებელი დიდი ძალა ცნო იმ ჩაკერულ ბურჯად, რაზედაც უნდა გადებულიყო ახალი ცხოვრების ხიდი. პოეტის შეხედულებით, ამ ხიდის მშენებელიც, პირველ რიგში, მშრომელი მასა უნდა ყოფილიყო.

ამდენად, აკაკიმ დემოკრატიზმის პრინციპს არც გარდასულ დროთა გაცოცხლებისას უღალატა და კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მისი ფიქრი და ოცნება თავს ეველება მიწასთან და უკულმართ ბედთან შეკიდებულ მშრომელ ხალხს. ძველადაც ის მიაჩნდა მას სახელმწიფოს მთავარი საყრდენ ძალად და აწმყომიც მათზე ამყარებდა იმედებს. „პოეტი რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით ხატავდა წარსულის რეალისტურ სახეებს“³¹.

როდესაც ა. წერეთელი ქართველი ხალხის წარსულ ცხოვრებას აკვირდება, ერთი გარემოება იქცევა კიდევ მის განსაკუთრებულ ყურადღებას: წინაპრებს არ ჰქონიათ XIX საუკუნის ქართველებზე მეტი მოშაღდება და გამოცდილება, არც სხვა რამ ბუნებით მომადლებული თვისება, მაგრამ საქმეს უკეთესად ართმევდნენ თავს, ქვეყანას უკეთ უვლიდნენ. მისი აზრით, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მათ პირველ საზრუნავს სამშობლოს ბედი წარმოადგენდა, რაც ყველას რაზმავდა შინაურ თუ გარეშე საქმეთა მოსაგვარებლად. როცა დაირღვეოდა ეს პრინციპი, ქვეყანაც განსაცდელის წინაშე დგებოდა. ე. ი., აკაკის შეხედულებით, თუ საზოგადოებრივ-საქვეყნოზე პირადი ინტერესები ბატონდება, სამშობლოს სიყვარული ჩირაღდანვივით არ გვინათებს გზას, გული არ გეტკივა ერის ტრაგიკული მდგომარეობის გამო, წარმოუდგენელია თავი-

30 გ. კილურაძე, ახალი ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 44.

31 ზ. კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები, თბ., 1961, გვ. 031.

სუფლებზე, თვითმყოფობაზე, რაიმე წარმატებებსა და გამარჯვებებზე ლაპარაკი. ამიტომ თავისდროინდელი ზოგიერთი ქართველის შეცვლილ, ავადმყოფურ ხასიათს აკაკიმ წინაპართა ჯანსაღი და ეგოიზმისაგან გაწმენდილი ხასიათი დაუპირისპირა, ინდივიდუალიზმს — კოლექტივიზმი, სიმხდალეს — მამაცობა, მორჩილებას — ბრძოლა, ცრუპატრიოტიზმს — მგზნებარე პატრიოტიზმი.

როდესაც ა. წერეთლის ისტორიულ თემაზე დაწერილ თხზულებებს ვეცნობით, აუცილებლად მოგვხვდება თვალში ბევრი შეფარვით გამოხატული პოლიტიკური მნიშვნელობის აზრი, რომლის აშკარად გამოთქმა იმ დროს შეუძლებელი იყო. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, თუ როგორ მოხერხებულად აკავშირებს აკაკი ძველსა და ახალს და რა მოხდენილად აღწევს ამ გზით თავის მიზანს — კრიტიკის ცეცხლში გაატაროს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, იქადაგოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები, მოახდინოს ზეგავლენა და აღზარდოს მასები ამ სულისკვეთებით. ეს პროგრესული ჩანაფიქრი, რაც შენიღბულად მიჰქონდა მკითხველამდე პოეტს, უდიდეს ღირებულებას ანიჭებდა ჩვენ მიერ განხილულ ისტორიულ ნაწარმოებებს. და არა მარტო ამ მხრივ, არამედ სხვა ნიშან-თვისებების გამოც, რაზეც უკვე იყო საუბარი, განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ ისეთ მძიმე პერიოდში, როგორც იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარი.

განსაკუთრებული ინტერესი წარსულისადმი და მისი სიდიადის ნათელყოფა აკაკის მიერ ერთ დიდ საქმეს ემსახურება კიდევ: პოეტმა საჭიროდ მიიჩნია, ცარიზმისათვის, რომელიც ათვალწუნებით და მტრულად უყურებდა მის მიერ დამორჩილებული ერების წარსულსა და აწმყოს, დაესაბუთებინა, რომ დიდი შეცდომა არის საქართველოსადმი ასეთი თვლით ცქერა, რომ საქართველო არ არის უისტორიო ერი, ისეთი ერი, რომელიც მოკლებული იყოს ინტელექტუალურ-ეთიკურ საზრდოს, არ გააჩნდეს საკუთარი შემოქმედებითი ენერჯია და ძალა, რათა შეძლოს დამოუკიდებელი არსებობა. პოეტს უნდა ცხადყოს, რომ საქართველო ახლანდელ სავალალო მდგომარეობამდე მისი ხალხის ფიზიკურ სისუსტესა და სულიერ სიღარიბეს კი არ მიუყვანია, არამედ ეს, არსებითად, განაპირობა ამ ქვეყნის ბუნებით მდიდარი მიწა-წყლისა და დიდი პოტენციის მქონე ხალხისადმი გარეშე დამპყრობელი ქვეყნების გაუმადლარმა მიდრეკილებამ, მათმა აუარებელმა თავდასხმებმა, მათმა აგრესიულმა პოლიტიკურმა ზრახვებმა. ქარასავით ტრიალებდა ეს პატარა ქვეყანა, სასთუმალზე არ ეძინა ქართველ კაცს, ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში — გუთნის ხელსაკიდი და ისე იცავდა თავის მეობას, ინარჩუნებდა თვითარსებობას, ქმნიდა დიდ კულტურას. და თუ ახლა დაცემულია, უკან წასულია, დამორჩილებულია უკუღმართ ბედს, ეს მისი ბუნების, მისი ახალგეზავდგმულობის, ისტორიის სარბიელზე მისი უჩინარობის შედეგი კი არ არის, არამედ პირველ რიგში იმის ბრალია, რომ მას თავისი თავი აღარ ეკუთვნისო. პოეტმა საესებით შეგნებულად გაასმევიანა ხაზი ქართველი ხალხის დიდ წარსულსა და მხნეობაზე თვითონ ცარიზმის ერთგულ მოხელეს ვორონცოვს, რომელსაც უკვირს, თუ „რამ გამოცვალა ასე ქართველი? სადღაა მისი ამჟამის სახე, შეუპოვრობის გამომხატველი? ძალდატანებით შეშინებულსა, თითქოს დასმია რაღაც ბეჭედი; გამიბი ქცეულა ნაცარქეჟიად და მოუხრია მონურად ქედი“³². ვორონცოვის აზრით,

ხალხი, რომელსაც წარმოუშობავს
 დიდი სულმნათი შოთა რუსთველი,

³² „ვორონცოვი“, ტ. VI, გვ. 272—273.

მისი არსება რად უნდა იყოს
 ასე ორჟოფი და საეჭველი?..
 გაჭრობა ქვეყნად ამგვარი ერის
 არს შემოქმედის შეურაცხყოფამ³³.

აი, რისთვის სჭირდება ა. წერეთელს წარსულის შესწავლა და მისი პოპულარიზაცია. და ამ დიადმა მიზანმა იქამდე მიიყვანა, ისეთი, ერთი შეხედვით, უცნაური ნაბიჯი გადაადგმევინა, რომ ვორონცოვსაც კი დააკისრა ხელისუფლების საწინააღმდეგო მისიის შესრულება — ქართველების ქება-დიდება. ცხადია, ეს ერთგვარი ლიტერატურული ხერხია, რომლითაც პოეტს სწავლია მიაღწიოს მიზანს: აამაღლოს ჩვენი ხალხის ავტორიტეტი და გამოაძალოს ყოველგვარი საფუძველი ქართველი ერის დამსახურებისადმი ცინიკურ, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

ა. წერეთელი წარსულს შეპლაღადებდა და მისი ქებანი სჭირდებოდა იმიტომ, რათა მიეთითებინა ბიუროკრატ მოხელეთათვის, კატკოვის, იანოვსკის, სუვორინისა და სხვა მათ მსგავსთადმი, ასეთი ერი არაფრით არ იმსახურებს იმ დამცირებას, ფეხქვეშ გათელვასა და შეუწყნარებელ ქირდვას, რასაც ადგილი აქვს ახლა მის მიმართო. საჭიროა ერთა თანასწორობა, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ხალხთა შორის და არა ერთის ბატონობა მეორეზე, ერთისაგან გაჭრობა მეორესი. აკაკი არც წარსულში და არც აწმყოში არ ცნობს პრივილეგიურ და არაპრივილეგიურ ერებს. მისი აზრით, ყველა ერი, დიდია თუ პატარა, თანასწორუფლებიანი უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს თავისი ნიჭისა და უნარის თავისუფლად გაფურჩქვნა და სწორი გზით წარმართვა, რომ მოაღონიეროს არა მარტო საკუთარი ეროვნული საღარო, არამედ თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო ცივილიზაციის მიღწევებში.

ამრიგად, სინამდვილისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ, საღმა რეალისტურმა ხედვამ, ცხოვრების რადიკალურად გადახალისების საჭიროებამ, ნაციონალური ჩაგვრის სიმწვავემ, მის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის, ეროვნული სიდიდის ჩვენების ამოცანებმა განსაზღვრეს ა. წერეთლის განსაკუთრებული დანიტერესება ქართველი ხალხის ღრმაშინაარსიანი ისტორიული ცხოვრებით. პოეტმა საფუძველიანად შეისწავლა იგი და წარმტაც მხატვრულ სახეებში გაახვია მრავალ ტანჯვაში გამოტარებული გმირული სული, რომელმაც ყველა სიბელ-გუჭრიდან შემოანათა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების მაძიებელ მგოსანს. აწმყოთი გამწარებულმა, მაგრამ წარსულით აღფრთოვანებულმა პოეტმა შექმნა ისეთი მხატვრული მატთანე, რომლიდანაც დიდი ძალით ანათებენ საღღესო პრობლემებს მისადაგებული გარდასული ამბები და მოვლენები.

სიძველეთა ეს აკაკისეული გამონათება კი ჰგავს იმ ლამპარს, რომელიც სინენლეში მოხვედრილ გზაარეულ კაცს აძლევს იმედს, გააქტიურდეს, აიღოს სწორი ორიენტაცია დასახული მიზნისაკენ და გავიდეს სამშვიდობოზე.

ა. წერეთელმა წარსულს უბადრუკი აწმყოს გამაჯანსაღებელი როლი დააკისრა, რაც მისი ეროვნულ-პოლიტიკური კრედიტია ნაკარნახევი.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ლილი შორაშოლიანი

„ზაქიანის“ ქართული პერსიების საკითხები

(„უთრუთიან-საამიანის“ პროზაული და პოეტური რედაქციები)

ქართულ ენაზე ირანული ეპოსის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილის—ზაქიანის ამბის რამდენიმე ვერსია მოგვეპოვება. ისინი „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში („ფრიდონიანი“, „უთრუთიან-საამიანი“, „წიგნი საამ ფალაენისა“) შემაჯავლი ეპიზოდების, ან დამოუკიდებელი თხზულების (მაშუკა მდიენის „ზაქიანი“)¹ სახით წარმოგვიდგებიან.

ზაქიანის ეპიზოდის თავისებურებით „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს შორის გამოირჩევა „უთრუთიან-საამიანად“ წოდებული² ვერსია, რომელიც პროზაული და პოეტური რედაქციის სახით მოიპოვება. „უთრუთიან-საამიანის“ ტექსტი საერთოდ თავისებურია. „აქ შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი „შაჰ-ნამედან“ მომდინარე ის ეპიზოდები, რომლებიც ამა თუ იმ გმირის საფალაენო საქმეებს არ ასახავენ, ხოლო სამავიეროდ „შაჰ-ნამესათვის“ სრულიად უცნობი (უთრუთის, გვარჯასპის, ქარიმანის, ნარიმანის და სხვათა) საგმირო ეპიზოდების შეტანის ნიადაგზე გაფართოებულ-გაძლიერებულია ირანული ეპოსის გმირთა საფალაენო საქმეები³. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე ამ თხზულებას „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველის ქართულ თარგმანად მიიჩნევენ⁴. დ. კობიძემ ამ ვერსიის სპარსული წყაროების ძიებისას მასში მიმბაძველ-გამაგრძელებელთა თხზულებების მრავალი ეპიზოდი და ნაწყვეტი გამოყო, მაგრამ მისი შეხედულებით, „უთრუთიან-საამიანი“ არ ჩაითვლება ფრიდონის მიმბაძველის ან გამაგრძელებლის თხზულებად, რადგანაც „ჩვენს ძეგლში, თუმცა ცვლილებებით, მაგრამ ძირითადად მაინც „შაჰ-ნამეში“ მოთხრობილი ამბებია გადმოცემული“⁵.

ცნობილია, რომ ლექსითი „უთრუთიან-საამიანი“ პროზაული ვერსიის გალექსილ რედაქციას წარმოადგენს და უშუალოდ სპარსულ ტექსტს არ ეყრდნო-

1 „ზაქიანი“ დამოუკიდებელი პროზაული თხზულების სახით არის შეტანილი აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-1440 ხელნაწერში, როგორც მ. მამაცაშვილმა გაარკვია, იგი „ფრიდონიანის“ № 50 ხელნაწერის მსგავსი ნუსხიდან გამოუყვიათ ცალკე (იხ. შ. მამაცაშვილი, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერის გამო, „მაცნე“, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 3, გვ. 67—78).

2 სახელწოდება ა. ბარამიძის მიერ არის შერჩეული (იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 81).

3 დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959, გვ. 164.

4 იხ. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, თბ., 1916, გვ. XXVIII; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1956, გვ. 238—242; ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 81—85.

5 დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 197, 226.

ბა. პროზაული ვერსიის დედნის შესახებ კი დ. კობიძეს ორგვარი შეხედულება აქვს გამოთქმული: მისი აზრით, „ქართველ მთარგმნელს ხელთა აქვს საკმაოდ შეცვლილი, ჩანართებით გაკედილი (უფრო საფიქრებელია პროზაული) „შაჰ-ნამეს“ ვერსია“, რომელიც „ერთი ავტორის მიერ შემუშავებულ ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება“⁶. მკვლევარი ასევე შესაძლებლად თვლის საკითხის სხვაგვარად დასმასაც. იგი აღრუვე ფიქრობდა, რომ „შესაძლებელია, აღნიშნული თხზულების სახით ქართულ ლიტერატურაში შემონახული გვეპოვდეს ფირდოუსის პოემაზე ადრე შემუშავებული „შაჰ-ნამეს“ რომელიმე ვერსია, რომელიც თავის დროზე, ცხადია, ფირდოუსის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა“⁷. იგივე მოსაზრება განავითარა მკვლევარმა 1974 წელს ცნობილი არაბისტის გ. წერეთლის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში — „„შაჰ-ნამეს“ ერთი ქართული ვერსიის შესახებ“.

ფირდოუსის თხზულებამდე შექმნილი „შაჰ-ნამეების“ ტექსტთა ჩვენამდე მოუღწევლობის გამო ამ ვარაუდის დასაბუთება ძალზე ჭირს. სხვადასხვა წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ „უთრუთიან-სამიანი“ ფირდოუსის თხზულების რომელიმე ვერსიის კი არა, არამედ სამხედრო ეპოქაშივე შემუშავებული აბულ მუაჰადლ მაღისის ე. წ. დიდი „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი ნაწილის თარგმანი იყოს, რადგანაც გვაქვს ცნობები, რომ სწორედ ეს წიგნი (ან წიგნები) შეიცავდა ვრცელ თქმულებებს ირანის იმ მეფეებსა და ფალანგებზე, რომელთა შესახებ ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ და სხვა ეპიკურ თხზულებებში ან საერთოდ არაფერი იკითხება, ანდა ისინი სასხვათა-შორისოდ არიან მოხსენიებულნი⁸.

„უთრუთიან-სამიანის“ მთარგმნელის ვინაობა დაუდგენელია. თხზულების თარგმანი კი იუსტ. აბულაძის შეხედულებით XVI საუკუნის პირველსავე წლებში⁹, ხოლო კ. კეკელიძისა და დ. კობიძის აზრით XVI საუკუნის შუა წლებში¹⁰ არის შესრულებული.

„უთრუთიან-სამიანის“ ტექსტები გვაქვს როგორც ხელნაწერების, ისე ბეჭდური სახით. პროზაული ვერსიის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H—921 და S—1594¹¹ ხელნაწერებით¹². დ. კობიძის მიერ გამოცემული ტექსტი ამ ხელნაწერებს ეყრდნობა¹³.

„უთრუთიან-სამიანის“ ლექსით ვერსიას ერთიანი თხზულების სახით არც ერთი ხელნაწერი არ შეიცავს. პირველი ნაწილი კ. კეკელიძის სახელობის ხელ-

6 დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 197.

7 იქვე, გვ. 253.

⁸ იხ. 98—97 ص، ۱۳۳۳، ايران، تهران، حماسه سرايي در ايران، تهران، ۱۳۳۳.

9 იხ. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, გვ. XXI.

10 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 239; დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 137.

11 S—1594 ხელნაწერი ე. თაყაიშვილს „ყარამანიის“ ხელნაწერად მიაჩნდა (იხ.

E. Такашвиანი, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II, Тифлис, 1906—1912, გვ. 609—610). მისი შეცდომა ა. ბარამიძემ გაასწორა (იხ. აღ. ბარამიძე, შენიშვნები „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, საქართველოს არქივი, წიგნი III, ტფილისი, 1927, გვ. 65—66).

12 ამ თხზულების ტექსტის ერთ ნაწილს (დასაწყისიდან ზაჰის ამბამდე) შეიცავს აგრეთვე ლენინგრადის საჭარო ბიბლიოთეკის № 50 ხელნაწერი — „ფრიდონიანი“ (იხ. აღ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 37—40).

13 იხ. შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, III, თბ., 1974, გვ. 167—293.

ნაწერთა ინსტიტუტის H—61 და S—4000 ხელნაწერებშია წარმოდგენილი¹⁴, ხოლო ტექსტი დ. კობიძემ გამოსცა „უთრუთიან-სამიანის“ სახელწოდებით¹⁵. დ. კობიძის შეხედულებით, ამ ვერსიის პირველ ნაწილს „თუ ის მართლაც ცალკე ყოფილა გავრცელებული, როგორც ჩანს, „უთრუთიანი“ უნდა რქმეოდეს“¹⁶. თხზულების მეორე ნაწილი S—4528, S—1505 და A—808 ხელნაწერების საფუძველზე იუსტ. აბულაძეს აქვს გამოცემული „სამიანის“ სათაურით და იგი „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირველ ტომშია დაბეჭდილი.

„უთრუთიან-სამიანი“ „შაპ-ნამეს“ სრულ ვერსიას არ წარმოადგენს. პროზაული რედაქცია ქოიამარის (სპ. ქეიუმარს) მეფობით იწყება და „როსტომიანიში“ გადმოცემულ ამბებამდე (ხალის პოვნა ფსკუნჯის მიერ) გრძელდება. ლექსით რედაქციას პროზაულთან შედარებით რამდენიმე თავი აკლავს როგორც დასაწყისი, ისე შემდგომ ნაწილებში. „უთრუთიან-სამიანი“, მსგავსად „შაპ-ნამეს“ სხვა ქართული ლექსითი ვერსიებისა, რუსთველური შაირით არის გალექსილი. დადგენილია, რომ თხზულების მთელი ტექსტი გაულექსავს სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის კარზე მოღვაწე (მის ტყვეს) ბარძიმ ვაჩნაძეს XVII საუკუნეში¹⁷. ფიქრობენ, რომ „პოეტს ხელთა აქვს აღნიშნული თხზულების ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერთაგან რამდენიმე განსხვავებული ტექსტი“¹⁸.

ისეთ თხზულებაში, როგორც „უთრუთიან-სამიანი“, მოსალოდნელია, რომ ზაქის ამბის შემცველი ნაწილიც სახეშეცვლილი იყოს. ჩვენს მიზანს სწორედ ამ ცვლილებათა და თავისებურებათა გამოვლინება და ამ თხზულებაში მოცემული ზაქის ამბის ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ შესაბამის ნაწილთან (მოსკოვის კრიტიკული გამოცემის მიხედვით), ზაქის ამბის ზოგიერთ სხვა ვერსიასა და სხვადასხვა წყაროებში (ავესტა, ფალაური წყაროები¹⁹, ისლამური ისტორიები²⁰) ასახულ ზაქის ამბებთან მიმართებაში შესწავლა წარმოადგენს.

14 „უთრუთიან-სამიანის“ ლექსითი რედაქციის დასაწყისი ნაწილი (ზაქის ამბამდე) იკითხება აგრეთვე Q—1440 ხელნაწერში. როგორც გამოირკვა, იგი ბარძიმ ვაჩნაძის გალექსილი ტექსტის ნაწილს კი არ წარმოადგენს, არამედ ისაიან მეოფე უცნობი ავტორის მიერ არის შესრულებული (იხ. მ. შამაძე, ვილი, „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერის გამო, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 3, გვ. 67—70; დ. კობიძე, შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, III, გვ. 11—15).

15 იხ. შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, III, გვ. 65—166.

16 დ. კობიძე, შაპ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 232.

17 ქ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 241—242; დ. კობიძე, შაპ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 237.

18 ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 82.

19 ფალაურ წყაროებში გველხისმობით ზორასტრული სასულიერო მწერლობის ზოგიერთ გვიანდელ ძეგლს, როგორცაა: „ბუნდაპიშნი“, „დინაქარი“, „ლატიტანი-დინიკ“ და სხვა (იხ. Pahlavi texts, translated by E. W. West, part I—II, Oxford, 1880—1882).

20 ისლამური საისტორიო წყაროები ძირითადად არაბულენოვან ავტორთა თხზულებებია და ისლამის პერიოდშია (IX—XII სს.) შეთხზული. ისინი იმ მხრივ არიან საყურადღებო, რომ მათ ავტორებს მრავალ სხვა წყაროსთან ერთად პირდაპირი, თუ შუალობითი გზით გამოყენებული აქვთ ჩვენამდე მოღწეველი ფალაური „ხვატა-ნამაკ“. ზოგიერთ მათგანს (სა'ალაბი, ბირუნე) ფირდოუსის ძირითადი წყარო ანდ არ-რეზაყის „შაპ-ნამეც“ გამოუყენებია. ერთ-ერთი მათგანის (მაჰმალა-თავარისი) უცნობი ავტორი კი თავის წყაროთა შორის ფირდოუსის „შაპ-ნამესაც“ ასახელებს. ამ პერიოდის წყაროებიდან ჩვენ გამოყენებული გვაქვს:

ابو حنيفة احمد بن داود الدينوري، اخبار الطوائف، لندن، ۱۸۸۸. ترجمه تاريخ طبري از ابو على بلعمي، طهران، ۱۳۳۷. شاهنامه ثعالبي در شرح احوال سلاطين ايران، ترجمه محمود هدايت، تهران، ۱۳۲۸—۱۳۲۹. مجمل التواريخ و القصص،

ზაქის ამბავი იკითხება „უთრუთიან-საამიანის“ როგორც პროზაულ, ისე პოეტურ რედაქციაში. ჩვენ მათი ცალ-ცალკე განხილვა ვაჩვენებთ. პირველად პროზაულ რედაქციაში წარმოდგენილ ზაქის ეპიზოდს ვეხებით.

როგორც ვიცით, ზაქის ეპიზოდი ნაწილობრივ ჯიმშედ მეფის ამბავსაც შეიცავს. „უთრუთიან-საამიანში“ მოცემული ჯიმშედის მეფობის დახასიათება არ ეთანხმება არც „შაჰ-ნამეს“ და არც წყაროებში ასახულ ამ მეფის შესახებ თქმულებებს. ძველი ირანული წყაროებით (ავესტა, ფალაური რელიგიური წიგნები), ჯიმშედი უმაღლესი ღვთაების აპურა მანდას მოკავშირე და მომხრეა. მას მიწიერი ქვეყნის დასახლება და კეთილმოწყობა ავალა. ფირდოუსი და ისლამის პერიოდის ზოგი ისტორიკოსი (თაბარი, საალიბი, ბირუნი) ჯიმშედს ყოველგვარი ცივილიზაციის დამფუძნებლისა და განმანათლებლის სახით წარმოგვიდგენენ. ჩვენს თხზულებაში კი ამ მეფის ძლევამოსილება და დიდებულება თვით ჯიმშედის (სახელი ზოგჯერ ჯიმშეთ ფორმითაც იკითხება) და მისი ფალაუნების უთრუთის (გვხვდება ფათრათ ფორმაც), გორჯასპის (ტექსტში პარალელურად იკითხება აგრეთვე გვარჯასპ, გურჯასპ, გორასპ), აშქაშის (ვარიანტულად გვხვდება ჰშაქ და აშაქ ფორმებიც) და სხვების დევებთან ბრძოლითა²¹ და სხვა საგმირო-საფალაუნო საქმეებით განისაზღვრება, რომლის დამაგვირგვინებელს სადი მგლისთავასთან გაღახილი ომი წარმოადგენს.

თუ „შაჰ-ნამეს“ ძირითადი ტექსტის მიხედვით ჯიმშედი თავისი მიღწევებით გაამაყდება და თავს ღმერთად აცხადებს, ამ ვერსიის თანახმად, სადი მგლისთავასთან გამარჯვების შემდეგ ჯიმშედ მეფეს შეუხრნა ეშმაკი, „შეუღდა მანქანებითა და კაცად იჩუენა. ასრე მოახსენა ეშმაკმა, თუ: აგრე დიდი ჯელმწიფე შეიქენ, ღმერთი შენ ხარო, აღარავინ არის სხუა ღმერთიო“²². ჯიმშედმაც დაიჯრა მისი სიტყვა და ღმერთს ცილობა დაუწყო.

ეშმაკის მიერ ჯიმშედის ცდუნებას ფალაური წყაროებიც აღნიშნავენ, მაგრამ ყველაზე ვრცლად ამის შესახებ „თაბარის ისტორია“ მოგვითხრობს. ამ თხზულების მიხედვით, ეშმაკი ჯიმშედ მეფეს ანგელოზის სახით ეცხადება და უხსნის, რომ იგი არის ქვეყნიერების შემოქმედი, მაგრამ ზეციდან მიწაზე დაშვებისას მას თავისი ვინაობა დაავიწყდა. ეშმაკი ჯიმშედის ღმერთობის დამამტკიცებელ საბუთად მის ხანგრძლივ სიცოცხლეს (700 წელი) და ანგელოზის ხილვის ძალას ასახელებს და დასძენს, ადამიანებს ხომ ასეთი რამ არ ძალუძთო. ჯიმშედი იჯერებს მის სიტყვას და თავი მართლაც ღმერთი ჰგონია²³.

ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ ზაქის მამა მარდასი თახიანის მბრძანებელია. ამ ვერსიით კი ზაქის (პარალელურად გვხვდება ზაჰქ, ზჰაქ, ზაქ ფორმები) მამას მურადავა (იკითხება აგრეთვე მურადე, მურადე, მურად ფორმებიც) ჰქვია

بسمه ملك الشعراء بهار، تهران، ۱۳۱۸.

А. Бируни, Памятники минувших поколений, перевод М. А. Салье, Избр. произведения, т. I, Ташкент, 1957.

²¹ ფირდოუსის მიხედვით, დევებთან მებრძოლი და დევთა შემკვრელი (სპ. *დიობნდ*) ჯიმშედის მამა თამურასია, ჯიმშედი კი დამორჩილებულ დევებს აღმშენებლობით საქმიანობაში იყენებს. დ. კობიძეს შენიშნული აქვს ის გარემოება, რომ ამ მეფეს, ჩვენი ვერსიის მსგავსად, დევებთან მებრძოლად წარმოგვიდგენს ფ. გორჯანის პოემა „ვისო რამინი“, რომელშიც ირანული ეპოსის ზოგიერთი სხვა გმირიც ფირდოუსის „შაჰ-ნამესთან“ განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი (იხ. დ. კობიძე, „ვისრამინის“ საკითხები, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 87—89).

²² შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, III, გვ. 196.

²³ იხ.

და იგი ჯიმედ მეფის ფალავანია, რომელსაც ღვევებზე გამარჯვების შემდეგ მეფე მისრეთს, შამს და ალაბს უბოძებს საბრძანებლად. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზაქის მამა ფირდოუსის თხზულებაში მოყვანილი სახელისაგან განსხვავებული სახელებით იხსენიება ფალაურსა და ისლამურ წყაროებში, ასევე ზაქის ამბის ზოგიერთ ვერსიაში. ასე, მაგალითად, „ბუნდაპიშინი“ თანახმად, მას ხრუტასპი ეწოდება. ისლამის პერიოდის ზოგი ისტორიკოსი (თაბარი, საალიბი, ბირუნი) მას ორი სახელით იხსენიებს: არაბთა მიხედვით — ულვან, ხოლო სპარსელთა მიხედვით — ავრანდასფი (ანდარმასფი). კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის P—462 ხელნაწერისეულ „შაჰ-ნამეს“ შერყენილ სპარსულ პროზაულ ვერსიაში მოცემული ზაქის ეპიზოდის მიხედვით მას ფური ჰქვია, ხოლო ზაქის ამბის ერთი ქართული ვერსიის („სამ ფალავნის წიგნში“ წარმოდგენილი ზაქის ეპიზოდი) თანახმად მისი სახელია რიზვან.

„უთრუთიან-სამაიანში“ ზაქი არც ათი ათასი ბედაურის მფლობელია და არც ბივარასფად იწოდება. ზაქს ამ ეპითეტით ჩვენ მიერ გამოყენებული ყველა ფალაური და ისლამის პერიოდის წყარო იხსენიებს, მაგრამ, ვფიქრობთ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ „უთრუთიან-სამაიანის“ გარდა იგი „შაჰ-ნამეს“ არც სხვა ქართულ ვერსიებში არ გვხვდება და არც P—462 ხელნაწერისეულ ზაქის ამბავში იკითხება.

ისევე როგორც „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტში, ამ ვერსიის მიხედვითაც, ზაქს შეუჩნდა და დაუმეგობრდა ეშმაკი. პირველად ასეთი რჩევა მისცა: მამაშენი მოკალ, მისი და შენი ქონება ლაშქარს დაუბრუნე და ღვთის მოცილე ჯიმედს, რომელსაც მშველელი აღარ ჰყავს (უთრუთი და გორჯასპი ამ დროს ცოცხალი აღარ არიან, ხოლო აშქაშ ფალავანი განუღდა ღვთის შემოკლე ჯიმედს), ხელმწიფობა წავართვათო. ამ ვერსიის მიხედვითაც, ზაქი მცირე ყოყმანის შემდეგ ეშმაკს თანხმობას უცხადებს და მურადავა ეშმაკის მზაკერობის მსხვერპლი ხდება.

ეშმაკის მიერ ზაქის მამის მოკლა ამ ვერსიაში ასეა მოთხრობილი: „და მურადავს ერთი ზევი ეღდა თავისთვის სალოცავად, და ყოველსა ლოცვის ჟამსა მივიდის სალოცავად. ბერი კაცი იყო და თავისთვის ილოცევდის. წავიდა ეშმაკი, გზაზედა ორმო ამოთხარა, შიგან ლახვარი დაასო²⁴ და ზედა წახურა. რა ლოცვის ჟამსა მოვიდა მურადავ, სალოცავად წავიდა, როგორ წაიარა, ჩავარდა ორმოშიგან და მოკულდა“²⁵. „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტში მოცემული ზაქის ამბის მიხედვით კი, მარდასს ბაღში სამლოცველო (ზევი) არ ჰქონია და ეშმაკს მის დასაღუპავად გათხრილ ორმოში ლახვარი არ დაუსვია.

ფირდოუსის თხზულების ძირითადი ტექსტის შესატყვისი ნაწილისაგან განსხვავებით, ამ ვერსიაში ზაქი იგლოვს მამას და შემდეგ ჯიმედზე გასალაშქრებლად ემზადება.

„შაჰ-ნამეში“ მოყვანილი ზაქის ამბის თანახმად, ზაქი თვით ირანელებმა მიიწვიეს მეფედ. ზაქი არაბებისა და ჯიმედისაგან განდგომილი ირანელებისაგან შემდგარი დიდი ლაშქრით გაემართა ირანის ტახტის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ჯიმედსა და ზაქს შორის ბრძოლა არ გამართულა, რადგანაც ლაშქრისა და ქვეშევრდომებისაგან მიტოვებული ჯიმედ მეფე გაიქცა და

²⁴ ორმოში ლახვრის დასობის შესახებ მხოლოდ S—1594 ხელნაწერში იკითხება.

²⁵ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, III, გვ. 195.

ზაქი მის ადგილს დაეპატრონა. „უთრუთიან-საამიანის“ მიხედვით, მართალია, ჯიმშედს ფალავნები აღარ ეხმარებიან, მაგრამ მან მაინც მოახერხა ლაშქრის შეკრება და შეებრძოლა ზაქს. ამ ომში ჯიმშედი დამარცხდა. იგი ინდოეთს გადაიხვეწა, ხოლო ზაქი „დაჯდა ტახტზედა და გვირგვინი თავსა დაიდგა. და ერთობილთა თავადთა და ლაშქართა დალოცეს კელმწიფედ. აგრე ორნი ქალნი დარჩეს ჯიმშედს და ორნივე ცოლად დაირთნა ზაქ კელმწიფემან“²⁶.

თუ ძირითადი ტექსტით ჯიმშედი ემალება ზაქს და მას ასი წლის შემდეგ ჩინეთის ზღვაში შეიპყრობენ, ამ ვერსიით ინდოეთს გაქცეული ჯიმშედი ინდოთა მეფის ჯოგატის ქალს ირთავს ცოლად, შემდეგ კი სიმამრისა და მისი ძმის ბალრატის დამარებით ცდილობს უკან დაიბრუნოს თავისი სამეფო ტახტი. იმართება მეორე ომი ჯიმშედსა და ზაქს შორის. ზაქი ამ ომის დროს საკუთარი ხელით კლავს ჯოგატსა და ბალრატს. ჯიმშედ მეფე კვლავ გარბის ბრძოლის ველიდან და დეულა ქალაქს აფარებს თავს. ზაქი ალყას შემოართყამს ქალაქს და მის მცხოვრებლებს აიძულებს დაატყვევონ ჯიმშედი და მას მიჰგვარონ. ამ ვერსიით, ისევე როგორც ფირდოუსის თხზულებაში, შეპყრობილ ჯიმშედს ორად გახერხავენ, მაგრამ „უთრუთიან-საამიანში“ არ ჩანს რა დრო გადის ჯიმშედის ტახტის დაკარგვიდან მის მოკვლამდე.

როგორც აღვნიშნეთ, „შაჰ-ნამეს“ ძირითადი ტექსტით ზაქსა და ჯიმშედს შორის ომი საერთოდ არ შემდგარა, მაგრამ „უთრუთიან-საამიანში“ ვრცლად გადმოცემული ზაქ-ჯიმშედის ომების ამბავი ქართველი მთარგმნელის ფანტაზიის ნაყოფს როდი წარმოადგენს. დ. კობიძემ ამ თხზულების სპარსული წყაროების ძიებისას მიაკვლია მათ შორის ბრძოლის ამსახველი ამბების როგორც ვრცელ (იხ. „შაჰ-ნამეს“ თეირანის საიუბილეო გამოცემა, ტ. X, დამატებანი, გვ. 3021—3035), ისე მოკლე (იხ. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ПНС—333 და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის P—582 ხელნაწერები) რედაქციებს. მკვლევარმა ტექსტების შეპირისპირების შედეგად გაარკვია, რომ ჩვენი ვერსია ზაქ-ჯიმშედის პირველი ომის მხრივ ედრება როგორც ვრცელ, ისე მოკლე რედაქციებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იცნობს ინდოთ მეფე ჯოგატის, მისი ძმის ბალრატისა და ჯიმშედის ერთობლივ ბრძოლას ზაქის წინააღმდეგ. დ. კობიძის შეხედულებით, ჩვენს ვერსიაში გადმოცემულ ზაქ-ჯიმშედის ურთიერთობის შემოშავებაზე მძლავრი გავლენა უნდა მოეხდინა ასადი ტუსელის „გერშასფ-ნამეს“ ეპიზოდს²⁷, რომელიც „შაჰ-ნამეს“ ინტერპოლირებულ ხელნაწერებში სწორედ ჯიმშედის მიერ სამეფო ტახტის დაკარგვის შემდეგ ჩაერთვის და მისი ცხოვრების მალულად ყოფნის პერიოდს აღწერს²⁸.

ზაქის მხრებზე გველთა გამოსხმის ამბავი და ეშმაკის სხვა ხრიკები, რომლებიც „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტში ზაქის ჯიმშედზე გამოლაშქრებაში დე ხდება, ამ ვერსიაში გადაადგილებულია და მათ შესახებ ჯიმშედის მოკვლის შემდეგ არის მოთხრობილი. ქართულ ვერსიაში შეკუმშულად არის გადმოცემული ეშმაკის მზარეულობა და მის მიერ მომზადებული სხვადასხვა ნუგბარი კერძებიდან მხოლოდ ერბო-კვერცხია ნახსენები.

²⁶ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, III, გვ. 196.

²⁷ ჯიმშედის ცხოვრების ეს მონაკვეთი „გერშასფ-ნამეს“ მსგავსად არის აღწერილი აგრეთვე „თაბარის ისტორიაში“, „მაჰმალ ათ-თავარისხა“ და P—462 ხელნაწერში.

²⁸ დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 168—175.



თქმულება არმაილ-გარმაილის მიერ ზააქის გველებსაგან აღამიანთა ხა-
 წილის გადარჩენის შესახებ ჩვენს ვერსიაში არ იკითხება. ეს თქმულება, მარ-
 თალია, ძველ ირანულ წყაროებში არ დასტურდება, მაგრამ ისლამის პერიო-
 დის ყველა ჩვენ მიერ გამოყენებულ წყაროშია მოყვანილი. გასათვალისწი-
 ნებელია ის ფაქტი, რომ იგი არ იკითხება აგრეთვე „საამ ფალავნის წიგნში“
 მოცემულ ზააქის ამბავში.

ამ ვერსიაში ძალზე შემოკლებულია ზააქის საშინელი სიზმრისა და ზი-
 რაქის მიერ (სახელი გვხვდება აგრეთვე ზარიქ, ზარაქ ფორმებით) ამ სიზმრის
 ახსნის ამბავი. ძირითადი ტექსტის შესაბამისი ნაწილისაგან განსხვავებით,
 ზააქს სამი ფალავანი კი არ ესიზმრება, არამედ „ასრე ეზმანა: ურთი სხვილი
 კაცი მოვიდა, რქიანსა ჭარსა ზედა იჯდა, ხელთა დიდი ლახტი ჰქონდა, იმ ჭარი-
 სთა თაგისა ოდენი“²⁹. ამ „სხვილ კაცში“ ფრიდონი იგულისხმება, მაგრამ „შაჰ-
 ნამეს“ ძირითადად ტექსტმა არ იცის ხარზე ამხედრებული ფრიდონი. ეს გან-
 მასხვავებელი დეტალი მთარგმნელის ნაყალბევიად არ ჩაითვლება, რადგანაც
 ზააქის ამბის ზოგიერთ სხვა ვერსიაშიც (იხ. P—462 ხელნაწერი, „წიგნი საამ
 ფალავნისა“) ფრიდონი ზააქთან საომრად ასევე ხარზე ამხედრებული მიემარ-
 თება.

ფრიდონის ძმები — ქეიანუში და ფორმაიე „უთრუთიან-საამიანში“ არ
 იხსენიებიან.

ზააქის ამბის ამ ვერსიაში შემოკლებული და გადასხვაფერებულია ფრი-
 დონის დაბადება-აღზრდისა და მის მშობელთა შესახები ამბები. ფრიდონის
 მამა, რომლის სახელიც აქ რამდენიმე ვარიანტული ფორმით დასტურდება
 (ჰაფთინ, აფთონ, აფთია, აფთი, აფათა, აფთი), ჯიმშედის ძმისშვილია — „ჯიმ-
 შედის ძმას ფოლად ფრქუა. ფოლადის შვილი აფთი იყო. აფთის შვილი ფრი-
 დონ იყო“³⁰. იგი ზირაქის წინასწარმეტყველებისას უკვე მოკლულია: „მამა
 მისი რომე მოკალით, ჰაფთინ და ვეშაპსა შეაქამეთ, მისთვის მოკლავს“³¹.
 „მეფეთა-წიგნის“ ძირითად ტექსტში ჯიმშედის ძმა არ იხსენიება. ფირდოუსის
 მიხედვით ფრიდონის მამა აბთინი (აბთინი), თაჰმურასის (ჯიმშედის მამის)
 შთამომავალია და მას ფრიდონის დაბადების შემდეგ იუბრენ და კლავენ. ფა-
 ლაური წყაროს „ბუნდაჰისის“ მიხედვით, ჯიმშედს სამი ძმა ჰყავს (აქ ფირ-
 დოუსისთან ჯიმშედის მამად დასახელებული თაჰმურასიც ჯიმშედის ძმა
 არის), მაგრამ ამ ძმებს შორის არც ერთს არ ჰქვია სახელად ფოლად³².

„უთრუთიან-საამიანის“ მიხედვით, ფრიდონი ზააქის სასახლეში იბადება,
 რადგანაც დედამისი (მისი სახელი აღნიშნული არ არის) აფთიონის სიკვდილის
 შემდეგ ზააქს ემსახურება (მისი მესაქამაღდა). ამ ვერსიით ფრიდონის დედას
 ტყუბი შვილი (ქალი და ვაჟი) უჩნდება. იგი ვაჟის დაბადების ამბავს დაჰა-
 ლავს, რადგანაც ზააქს ყველა ახალშობილი ბავშვის დახოცვა აქვს ნაბრძა-
 ნები³³.

ზააქის ამბის ამ ვერსიაში არ იკითხება ფრიდონის მწყემსთან განხვნისა
 და მისთვის ძიძაობის გამწევი ძროხის შესახებ. არც ალბორზის მთაზე მცხოვ-

²⁹ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, III, გვ. 198.

³⁰ იქვე, გვ. 200.

³¹ იქვე, გვ. 198.

³² იხ. The Bundahis, თავი XXXI, § 2—3, Pahlavi texts, I.

³³ ზააქის მიერ ჩველ ბავშვთა ამოხოცვის შესახებ იკითხება აგრეთვე სა'ალიბისთან,
 P—462 ხელნაწერსა და „საამ ფალავნის წიგნში“.

რები განდევნილსათვის მისი აღსაზრდელად მიბარება არ არის ნახსენები. „უთრუთიან-საამიანი“ სასახლიდან ზაჰაის შიშით გაპარული ფრიდონის დედა თვითონ ზრდის შვილს ქოიალბუზის (მდრ. სპ. *كوه البرز*) მთაზე.

ქავას (ჩვენს ვერსიაში ეს სახელი ქავ ფორმით არის მოცემული) აჯანყების თქმულება ამ ვერსიაში, ისევე როგორც „შაჰ-ნამეს“ ძირითადი ტექსტიდან მომდინარე სხვა ეპიზოდები, შემოკლებული და გადაკეთებულია. „უთრუთიან-საამიანი“ ქავა მკედელს, რომლისთვისაც ორმოცი შეილიდან ოცდათვრამეტი უკვე წაერთმიათ ზაჰაის გველების გამოსაყვებად, უკანასკნელ ვაყებს ყარანსა და ყუბაღსაც ართმევენ³⁴ (ძირითად ტექსტში ქავას მხოლოდ ერთი ვაყის შესახებ არის საუბარი და მისი სახელი აქ არ იხსენიება). აღშფოთებულნი და მოთმინებიდან გამოსული ქავა სამართლის საძიებლად ზაჰათან მიდის. ზაჰაი მოისმენს მის საჩივარს და შეილება უკან უბრუნებს, თუმცა ეს უკვე ვეღარ ამოშვინებს ქავას. იგი აჯანყებას აწყობს.

ამ ვერსიაში არ იკითხება ზაჰაის სამართლიანობის დამადასტურებელი სიგელის შედგენისა და ქავას მიერ მისი დახვევის ამბავი. იგი ზაჰაის ამბის ქართული ვერსიებიდან მხოლოდ „ფრიდონიანში“ წარმოდგენილ ზაჰაის ეპიზოდში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ქავას თქმულების ეს ნაწილი არ იკითხება საალიბისთანაც, რომლის თხზულებაში მოყვანილი ზაჰაის ამბები ჩვენ მიერ გამოყენებულ წყაროებს შორის ფირდოუსის თხზულების შესაბამის ნაწილთან ყველაზე ახლოს დგას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქავას აჯანყებისას ფრიდონი დედასთან ერთად ისევ ქოიალბუზის მთაზე იმყოფება („მეფეთა წიგნის“ ძირითადი ტექსტით 16 წლის ფრიდონი ტოვებს ალბორზის მთას და მამისეულ სახლში ბრუნდება) და მამაცი მკედელი თავისი ვაჟებთან და აჯანყებულთა ლაშქრით ქოიალბუზის მთაზე მყოფ ფრიდონთან ცხადდება (P—462 ხელნაწერისა და „სამ ფალავნის წიგნში“ წარმოდგენილ ზაჰაის ამბავშიც ქავასა და ფრიდონის შეხვედრა მთაში ხდება), შესძღვნის მას სამკედლო წინსაფრისაგან გაკეთებულ დროშას, უყვება ზაჰაის ავაკობათა შესახებ (მათ შორის ფრიდონის მამის მოკვლისა და დედა-შვილის დევის შესახებ) და ჰაბუჯ ფრიდონს ზაჰაის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს. „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტში კი მთიდან დაბრუნებულ ფრიდონს მისი წარმომავლობისა და ზაჰაის ბოროტებათა ამბავს დედამისი მოუთხრობს.

ამ ვერსიაში, „შაჰ-ნამეს“ ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებით, ფრიდონი მხოლოდ ქავას მოყვანილი ლაშქრით როდი შეებრძოლება ზაჰას. იგი მკედლის რჩევით იხმობს ფალავნებს — ქარიმანსა და აშჰაშს. თავის მხრივ ზაჰაიც, როცა იგი ფრიდონის გამოლაშქრების ამბავს შეიტყობს, შეკრებს თავის ფალავნებსა და ურიცხვ ლაშქარს. იმართება ხანგრძლივი ომი მოწინააღმდეგე ფალავნებსა და ლაშქარს შორის. მართალია, ზაჰას უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი და ფალავანთა მეტი რაოდენობა ჰყავს (მის მხარეზე იბრძვიან ფალავნები: ყაითმაზ, ყორხმაზ, ასლამაზ, ყარამა, ყაითლ, მოყაითლ, აბულვარი ზანგი, თაბალი ჰინდო და სხვა), მაგრამ იმარჯვებს ფრიდონი. ამ გამარჯვებაში კი განსაკუთრებული დამსახურება გორჯასპის შვილს უძღვევლ ფალავან ქარიმანს მიუძღვის. ზაჰა-ფრიდონის ასეთი ხანგრძლივი ომი, გარდა

³⁴ ქავას დახოცილი და ცოცხალი შეილების რაოდენობის საკითხში „შაჰ-ნამეს“, მის ვერსიებსა და ისლამურ წყაროებს შორის სხვაობას აქვს ადგილი.



იმისა, რომ იგი ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ არ იკითხება, არც ზააქის ჩვენთვის ცნობილ სხვა ვერსიებში და არც წყაროებში არ დასტურდება.

„უთრუთიან-საამიანში“ ზააქის ამბის ფინალი ძირითადი ტექსტის შესაბამის ნაწილთან შედარებით რამდენადმე შეკვეცილი და გადაკეთებულია, ხოლო ზააქის მოურავის ქუნდრაუს შესახები ნაწილი საერთოდ არ იკითხება. ჩვენი ვერსიის თანახმად, დამარცხებული ზააქი ბრძოლის ველიდან იპარება. ფრიდონი ურიცხვი ალაფის მოლაშქრეთა და ფალავანთა შორის გაყოფის შემდეგ დაედევნება გაქცეულებს, ზააქს ველარ დაეწვიან, მაგრამ დაიპრობენ ზააქის ციხე ქალაქს, რომელიც ამ ვერსიით შამს მდებარეობს (ფირდოუსისთან ბეით ალ-მოყადდასი გვაქვს). ფრიდონი ეუფლება ზააქის ცოლებს ანუ ჯიმშედის ასულებს (მათი სახელები „უთრუთიან-საამიანში“ არ იკითხება) და ზააქის ციხე-კოშკში რჩება. მალე ზააქი ბრუნდება თავის ციხე-კოშკში, რადგანაც კარი დაკეტილი დახედება, იგი მარტოდმარტო ქამანდით ერდოზე აძვრება. ზააქის ერთ-ერთი ცოლი შეამჩნევს ერდოდან მოთვალთვალე ზააქს და ამის შესახებ ფრიდონს მოახსენებს. შეებრძოლებიან ერთმანეთს ფრიდონ და ზააქ. ჩვენი ვერსიის მიხედვითაც, ფრიდონი სძლევს ვეშაპებთან ზააქს და სურს მისი მოკვლა, მაგრამ ღვთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი (მისი სახელი აქ არ აღინიშნება, ფირდოუსის თხზულებაში კი მას სორუში ეწოდება) მას ამის ნებას არ აძლევს და უბრძანებს: „ნუ მოკვლო, ჯერეთ მაგისი დღე არ გათავებულაო, დამოვანდისა მთაშიგან ერთი ბნელი ორმო არის; და ზურგსა ერთი შოლტი ტყავი ააძრევ, კოჭნი გაუხვრიტენ და იმაშიგან თვედალმა ჩაკიდღ!“³⁵ ფრიდონი ემორჩილება ღვთის ნებას.

თუ „შაჰ-ნამეს“ ძირითადი ტექსტით ფრიდონს თვითონვე მიჰყავს ზააქი და დემავენდის მთაში საკუთარი ხელით მიაჯაჭვავს, ჩვენი ვერსიით ფრიდონმა დამარცხებულ ზააქს „მაგრად მკარნი შეუკრნა. მერმე გავზავნა ამოვანისა მთაშიგან“³⁶. ამის გამო აქ შირხანის ინციდენტი და სორუშის ფრიდონთან ხელმეორედ გამოცხადება არ იკითხება.

„შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტში ზააქის წინააღმდეგ ფრიდონის ომი (საერთოდ ზააქის ამბავი) ზააქის დატყვევებითა და მისი დემავენდის მთაში მიჯაჭვით მთავრდება. ამ ვერსიით, როგორც დ. კობიძემ შენიშნა³⁷, ფრიდონს ტახტისა და ხელმწიფოების განმტკიცებისათვის ზააქის თავიდან მოცილების შემდეგ მისი ვაჟის — ფარუხის და ძმის — თამაზის დამარცხება უხდება. ფირდოუსი თავის თხზულებაში არც ზააქის ძმას იხსენიებს და არც ზააქის შვილს. ცხადია, აქ არც მათი ბრძოლებია აღწერილი. ზააქის ძმა ზოგიერთ ისლამურ წყაროშიც (მაგ., დინავარის „ახზარ ატ-ტავალ“, ანონიმი ავტორის „მაჯმალ-ათ-თავარიხ“) არის ნახსენები, ხოლო მისი შვილების შესახებ საინტერესო ცნობა იკითხება „მაჯმალ-ათ-თავარიხში“. „ზააქს შვილთაგან ორი ასული ჰყავდა, ერთი ფრიდონმა შეირთო ცოლად და მეორე ქაბულისტანში მოხვდა. მეჰრბ მეფე, რომელიც როსტომის წინაპარი იყო, მისი შთამომავალია, ხოლო ზააქის ვაჟები ვერსად ვნახე მოხსენიებულიო“³⁸ — გვამცნობს ამ თხზულების უცნობი ავტორი.

³⁵ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, III, გვ. 216.

³⁶ იქვე, გვ. 216.

³⁷ დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 166.

ზაქის ებიზოდი, რომელიც „უთრუთიან-საამიანის“ ლექსით ვერსიაში წარმოდგენილი, ძირითადად იმავე თავისებურებით ხასიათდება, რაც ამ თხზულების პროზაული ვერსიისეული ზაქის ამბის განხილვისას იყო მითითებული. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ ბარძიმ ვაჩნაძეს, როგორც ეს პროზაული და ლექსითი ვერსიის ტექსტთა შეჯერებისას გაარკვიეს, შედარებით სიზუსტით გაულექსავს თავისი დედანი და, სადაც შესაძლებელი იყო, წერილმანებიც კი დაუცავს³⁹. ზაქის ებიზოდის ნაწილში არსებულ მცირე სხვაობათაგან ზოგიერთი უკვე შენიშნულია კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის მიერ. კერძოდ, ლექსითი ვერსია ზაქის ორ შვილს — ფარუხსა და გაგოს იხსენიებს, პროზაულით კი, როგორც აღინიშნა, ზაქს ერთი შვილი — ფარუხი ჰყავს. პროზაული ვერსიით ზაქის ცოლები ჯიმშედის ასულები (ქალები) არიან, ხოლო გალექსილში ჯიმშედის დების შესახებ არის ლაპარაკი⁴⁰, კ. კეკელიძის შეხედულებით, «ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ გამლექსავს, უეჭველია, ხელთ ჰქონდა აგრეთვე „შაჰ-ნამეს“ დასაწყისი ნაწილის ქართული თარგმანი „ფრიდონიანი“ და მამუკა მდიენის „ზაქიანი“»⁴¹. მართლაც, როგორც „ფრიდონიანი“⁴², ასევე „ზაქიანი“ ზაქის ცოლები ჯიმშედის დები არიან. ასევე „ზაქიანი“ ზაქს, „უთრუთიან-საამიანის“ პროზაული ვერსიის მსგავსად, ერთი შვილი ჰყავს, მაგრამ თუ „უთრუთიან-საამიანი“ მას ფარუხ ეწოდება, „ზაქიანი“ მისი სახელია გაგო (თვით „ზაქიანის“ გამლექსავს ეს სახელი „ფრიდონიანიდან“ უნდა აეღო, სადაც გაგო ზაქის ნათესავად არის თქმული). ა. ბარამიძის მოსაზრებით, «„უთრუთიან-საამიანის“ გამლექსავი იცნობს ორთავე ფაქტს, ის დაეკუთვნულია, ამიტომ ერთგვარის შეთანხმების თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ადგა და ორივე ზაქის შვილებად გამოაცხადა — წინააღმდეგ როგორც პროზაულ, ისე გალექსილ ვერსიათა ტრადიციისა»⁴².

აღნიშნულს ჩვენი მხრივ გვიჩნდა დავუმატოთ, რომ ამ თხზულების ლექსით ვერსიაში მოცემულ ზაქის ამბავში, ისე როგორც პროზაული ვერსიის H—921 ხელნაწერში, არ იკითხება ეშმაკის მიერ ზაქის მამის მოსაკლავად ორმოში ხმლის (ლახვრის) დასობის შესახებ. ლექსით ვერსიას აკლავს ზაქ-ჯიმშედის პირველი ომის ამბავი და აქ არ იკითხება აგრეთვე ფრიდონ-ზაქის ომის დროს ფალავან ქაიხიანის მოსვლამდე მოწინააღმდეგე მხარეების სხვადასხვა ფალავანთა ორთა ბრძოლების შესახებ. ამ ნაკლები ადგილებიდან ზოგიერთ ხელნაწერთა ფურცლების დაკარგვითაც შეიძლება აფხსნათ. სხვაობანი გვაქვს აგრეთვე საკუთარი სახელების ფორმათა მხრივაც (მაგ., აქ იკითხება გვაჯასპირ, აშაქ, ბაგრატ, ქაავ, მურადვ, დეულ ქალაქი, ამონის II ამოვანის მთა და სხვა), რომელთა ამგვარი სახით შემუშავებაში წილი უდევთ როგორც ბარძიმის დედანს, ისე მელექსეს (ლექსის ზომის დასაცავად სახელებში რომელიმე ბგერის ჩამატება ან ამოღება) და, ალბათ, ხელნაწერთა გადამწერლებსაც.

³⁹ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 241. ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 82. დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 235.

⁴⁰ ვასათელისწინებელია ის ვარაუდი, რომ თვით ფრიდონის თხზულების ხელნაწერებსა და კრიტიკულ გამოცემათა ტექსტებშიც გვაქვს წინააღმდეგობა ამ მხრივ.

⁴¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 241.

⁴² ალ. ბარამიძე, შენიშვნები..., გვ. 65.



ამრიგად, „უთრუთიან-საამიანში“ წარმოდგენილი ზააქის ამბის ბურებანი ძირითადად ასეთია:

1. თხზულებაში მოცემულ ზააქის ეპიზოდში, ისე როგორც სხვა ნაწილებში, ფირდოუსის „შაჰ-ნამესათვის“ უცნობი ბევრი ფალავანი გვხვდება, რომელთა საგმირო საქმეები ვრცლად არის აღწერილი.

2. საგმირო-საფალავნო ამბავთა ასეთი გაფართოებული სახით წარმოდგენის გამო (შესაძლოა, აგრეთვე ჩანართთა მიზეზითაც), ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტში მოცემული ზააქის ეპიზოდის შემადგენელი ამბებიდან ამ ვერსიაში ნაწილი გამოტოვებულია, ნაწილი გადაკეთებულ-გადასხვაფერებულა; ზოგი მათგანი ვაფართოებულა, ზოგი გადაადგილებულა, ხოლო ზოგიერთი შემოკლებულ-შეკვეცილია.

3. ზააქის ამბის ამ ვერსიაში ფირდოუსის თხზულების შესაბამისი ნაწილისაგან განსხვავებულ ზოგიერთ ამბავსა თუ დეტალს შესატყვისი მოეპოვება ზააქის ამბის სხვა ვერსიებში, ან სხვადასხვა წყაროებში ასახულ ძველ ირანულ თქმულებებში.

4. ამ თხზულების ლექსით ვერსიაში წარმოდგენილ ზააქის ამბავში პროზაული რედაქციის შესატყვისი ნაწილთან შედარებით მხოლოდ მცირეოდენი სხვაობა გვაქვს.

5. საკუთარი სახელების გადმოცემის მხრივ კი ასეთი ვითარება გვაქვს: მათი უმრავლესობა რამდენიმე ვარიანტული ფორმითაა წარმოდგენილი, არ იკითხება ზააქის ეპითეტი ბივარასფი და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი. ზოგიერთი მოქმედი პირი უსახელოდ მოქმედებს, ხოლო ზოგი მოქმედი პირი და შესაბამისად მათი სახელები აქ არ დასტურდება. ლექსით ვერსიაში ზოგიერთი სახელი პროზაული ვერსიისაგან განსხვავებული სახით გვხვდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ლ. ს. გიუნაშვილი

ЗАМЕТКИ О ТВОРЧЕСТВЕ САМАДА БЕХРАНГИ

Шестидесятые годы явились для Ирана годами значительных экономических и социальных преобразований, которые, естественно, направили соответствующим образом развитие современной персидской литературы. В это время расцветает творчество многих молодых иранских прозаиков, представителей младшего поколения иранских писателей, которые, взяв на вооружение славные традиции старшего поколения, поставили в своих произведениях ряд новых злободневных проблем, вставших перед иранским обществом в тот период. К числу этих молодых прозаиков следует отнести Самада Бехранги, интересного и многогранного писателя и исследователя персидской литературы.

Самад Бехранги родился в 1939 году в городе Табризе. С 1957 года он начал свою педагогическую деятельность в сельских школах Иранского Азербайджана. В течение одиннадцати лет он работал преподавателем школ различных районов Ирана, в числе которых можно назвать Момкан, Каджахан, Гуган, Ахирджан, Азаршахр¹.

Большую часть своего творчества С. Бехранги посвящает детям. Его перу принадлежит несколько сборников рассказов и сказок для детей². Наряду с крупными и мелкими проблемами детской литературы, которые всегда занимали С. Бехранги, в его творчестве большое место было отведено вопросам общего мировоззрения, вопросам истории, литературоведения и эстетики. Значительный интерес представляет сборник его литературоведческих работ³, в который вошли заметки и статьи, напечатанные ранее в различных литературных журналах, сборниках и газетах. Они затрагивают такие разнообразные и весьма актуальные вопросы, как состояние детской художественной литературы Ирана, проблемы современной прозы и поэзии, крестьянский вопрос, проблемы отношения литературы и искусства к действительности, к современному запросам общественного развития.

Большая любовь С. Бехранги к устному народному творчеству послужила основанием для кропотливого сбора фольклора тех районов и областей, в которых ему пришлось работать. Результатом явились 3 тома фольклорных материалов, которые впоследствии были изданы в Иране.

Творчество С. Бехранги, самобытное и оригинальное, к сожалению, в нашем востоковедении не подвергалось исследованию. Самад Бехранги писатель мыслящий, поставивший в своем творчестве целый

¹ С. Бехранги скопчался в конце 60-х годов.

² См. например, ۱۳۴۸ *بهرنگ تبریز*; *قصه‌های تهران ۱۳۴۹*; *تلخون تهران ۱۳۴۹*.

³ *صمد بهرنگی مجموعه مقاله‌ها تبریز ۱۳۴۸*.

ряд важнейших вопросов как литературного, так и социального аспекта. Настоящая работа фактически является первой попыткой анализа творчества С. Бехранги. Для исследования были привлечены литературно-критические статьи писателя, его путевые заметки и сборники рассказов. Взгляд на творчество писателя как на некую целостную систему является в современном литературоведении общепризнанным. Нам представляется необходимым, прежде чем коснуться конкретных тем, выделить основные свойства творческой системы С. Бехранги, что поможет установить характер отношения писателя к современной ему действительности.

Любовь к простому труженику — основной мотив рассказов и очерков писателя С. Бехранги. С. Бехранги писал рассказы, сказки, очерки, литературные статьи. Но во всех его работах он оставался певцом одной, самой главной на его взгляд, темы — темы человека социальных низов, формирующегося человека. Самад Бехранги ищет своих маленьких героев в гуще народа, в иранских деревнях, на лоне природы и в нищенских школах, в бедных кварталах Тегерана, в дешевых кафе и наблюдает их жизнь, всюду неотступно следует за ними. С. Бехранги вступил в художественную литературу в 1959 году. В этом году им был написан первый рассказ о деревенской школе, который называется «Привычка» и входит в сборник рассказов под названием «Талхун».

Рассказ этот, небольшой по своему объему, представляет нам деревенскую школу в одном из далеких, заброшенных уголков Ирана, где начинается свой педагогический путь молодой человек, полный надежд на будущее, энергичный, упорный и жизнерадостный. Рассказ пессимистичен своей концовкой, нет никаких надежд на лучшее будущее народа. Весь рассказ пронизан сатирическими умелыми автором, лаконично комментирующего события. С. Бехранги использует в этом рассказе сугубо сатирические приемы: противопоставление босых, голодных детей и их полуголодного учителя, жалкой хибары, именуемой школой, с напыщенными речами инспектора школ о долге, стремлении к прогрессу и цивилизации, и детях — как надежды и будущего страны; яркие сравнения и метафоры иронического характера и т. п. Первый рассказ С. Бехранги раскрывает перед нами трагедию человека, не сумевшего воплотить свою мечту в жизнь. По существу перед нами — психологический эпизод, передающий движение тайных желаний учителя. Описание крестьян, их психологии разнится с последующими рассказами С. Бехранги о крестьянах. Крестьянские дети описаны с большим вниманием. Уже в этом рассказе взгляд С. Бехранги проникает в самую суть их жизни: трудное и безрадостное детство, нищета, голод.

У сказок и рассказов писателя действенный характер. Они создавались на основе изучения детской психологии, на основе непосредственного наблюдения за детьми. От грустного к страшному, от страшного к надежде — такова его сказка «Юлдуз и вороны». Благодаря художественному мастерству, оригинальности композиции и изложения, динамичности образов и идейной целенаправленности, сказочное повествование С. Бехранги «Юлдуз и вороны» можно отнести к самым лучшим его произведениям для детей. Эта сказка, составленная из самостоятельных фрагментов, но не лишенная сквозного действия и общих героев, отличается от других сказок и рассказов С. Бехранги большой социальной заостренностью, которая заключена в существо

самих образов и действий — таким способом читателю преподносится ее мораль. Мотив победы беззащитного, слабого над сильным и злым (Юлдуз — ее мачеха), звучащий в сказке С. Бехранги «Юлдуз и вороны», служит выражением социальной идеи. Этой сказкой С. Бехранги стремится разбудить в детской душе способность сочувствовать чужому горю, радоваться с другим человеком. Это хорошо видно на примере отношений главных героев сказки Юлдуз и Яшера. Охарактеризовать суть стремлений и деятельности С. Бехранги в этой сказке можно словами К. Чуковского, который писал: «По-моему, цель сказочников заключается в том, чтобы какую угодно ценою воспитать в ребенке человечность — эту дивную способность человека волноваться чужими несчастьями, радоваться радостями другого, переживать чужую судьбу, как свою»⁴.

С. Бехранги стремится проникнуть в мир детских непосредственных, романтических представлений. Он отрицает схематический, узко-рассудочный подход к жизни. С. Бехранги обращается к детскому сознанию, как к особому типу простого и в своей простоте наиболее сложного восприятия действительности. В своей сказке «Юлдуз и вороны» С. Бехранги создает своеобразный радостный и справедливый сказочный мир, живущий особой необычной сказочной жизнью. Это радостный и веселый праздник кукол и животных в лесу, на который попадают обычные мальчик Яшер и девочка Юлдуз, причем попадают они туда по-сказочному, загадочно и волшебю: превращенные в голубей они прилетают в лес. Как и вообще во всех волшебных сказках, животные на празднике в лесу говорят человеческими голосами. Необычны и говорящие куклы, собравшиеся в лесу со всех уголков Ирана. Бехранги видит необходимость радости для детей. Однако он заставляет своих маленьких читателей переживать и волноваться за судьбу героев своих сказок — таких же маленьких и беззащитных мальчиков и девочек, воронят и кукол. Юлдуз — типичная героиня волшебной сказки, она — «золушка», хотя С. Бехранги начинает все с обычных описаний неудавшейся семьи.

В сказках и рассказах С. Бехранги мы сталкиваемся с детским непосредственным, поэтическим чувством, нарушающим законы реалистического рационализма. У С. Бехранги это чувство окрашено в тона удивительные и необычные. С. Бехранги показывает, что детское сердце всегда выступает как образец настоящего, чистого и беззлобного отношения к жизни и людям. Детство у С. Бехранги — источник морали, любви и человечности. Особенно ярко это проявляется когда С. Бехранги сопоставляет детей и взрослых (Юлдуз — ее мачеха, ее отец). С. Бехранги пытается посмотреть на мир с точки зрения детской непосредственности. К детскому сознанию он относится как к мерилу ценности наших представлений и взглядов («Юлдуз и вороны»). Из творчества С. Бехранги, посвященного детям, следует, что он обращался к детскому миру для того, чтобы в детской психологии почерпнуть непосредственные побудительные мотивы социального альтруизма, общественной активности и оптимизма (отношения Яшера, Юлдуз и ворон).

Стремление человека к полноценности, к счастью, хотя и неизведанному, но заложенному в свойствах человеческой природы и потому законно ожидаемому, — этот мотив звучит в «Плешивом голубятнике» и «Мальчишке-продавце вареной свеклы». В рассказе «Мальчишка-продавец вареной свеклы» С. Бехранги осложнил этот мотив

⁴ К. Чуковский, Об этой книжке, в кн. «Стихи», М., 1961, стр. 21.

мыслью о нравственной недопустимости примирения с жизненными обстоятельствами, даже если они принимают форму, казалось бы, роковой силы. С. Бехранги показывает, что и в этом случае неизбежны чувства гнева и возмущения против того, кто ограничивает полноту человеческой личности. Тариварди, крестьянский оборвыш, уже успел повидать жизнь. Оставшись без отца, он и его сестра зарабатывают свой нелегкий хлеб коврикатчеством. Но будучи согласным на тяжелый, изнурительный труд, полуголодное существование, Тариварди восстает против унижения личности, оскорбления человеческого достоинства, когда хозяин, соблазнившись красотой его молодой сестры, делает ему недвусмысленные намеки и предлагает лишние деньги за работу. Тариварди смело становится на защиту сестры перед роковой силой, которую в данном случае представляет хозяин. Следует отметить, что вообще сказки и рассказы С. Бехранги остро конфликтны, во всех них добро борется со злом. Полная победа добра, утверждение счастья — такова их идея. Верит в свое счастье, в свое будущее и маленький крестьянский мальчик Тариварди. Показательно, что у С. Бехранги, в противовес другим иранским писателям, ребенок перестал быть только объектом, на который направлено действие произведения для детей, а превратился в самого действующего. Описательности С. Бехранги противопоставил действенность своих рассказов, пассивности — активность своих героев — Яшера, Тариварди и многих других, их энергию, задор.

მართალია, ბერძნულში $\chi\alpha\gamma\iota\sigma$ ზმნა უპირველესად ფხანას, ქავილს ნიშნავს, მაგრამ კონტექსტში აღნიშნავს სიამოვნების მინიჭებას, ე. ი. წინადადების აზრი ასეთია. პავლე არიგებს ტიმოთეს: დადგება დრო, როცა ქრისტეს საღ მოძღვრებას ზოგიერთები არ მიიღებენ და თავის წადილისამებრ აირჩევენ მოძღვართ, რომლებიც მათ სმენას ასიამოვნებენ (კუმარტ მოძღვრებას დააცილებენ და ზღაპრებით შეიქცევენ მსმენელებს). სხვაობა: წყაროშია: „იყოს ყამი, ციტატაშია: მოვალს ყამი; შინაარსით ორივე იდენტურია, მაგრამ ბერძნულ წყაროსთან „მომართებით“ უფრო ზუსტია ძველი რედაქცია: $\xi\pi\alpha\sigma\epsilon\sigma\tau\alpha\upsilon\upsilon$ $\gamma\acute{\alpha}\rho$ $\chi\alpha\gamma\iota\sigma\varsigma$... თანაც ძველი რედაქციის „იყოს“ მომავლის („იქნება“-ს) მნიშვნელობით უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ციტატაში ნახმარი თხრობითის ფორმა „მოვალს“, რომელსაც უთუოდ მომავლის მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ადგილას. თითქოს ოდნავ მოდერნიზებულია ციტატა, თითქოს, რადგან მომავლის მნიშვნელობით აწმყოს თხრ. კილოს ფორმის გამოყენება ადრეულ ძეგლებშიც შეინიშნება.

ამრიგად, ბიბლიური ტექსტების ძველი ქართული რედაქციების დროის განსაზღვრისათვის (ან რედაქციული რაობის დასადგენად) ორიგინალურ თხზულებებში დაცულ ბიბლიურ ციტატებს არ შეიძლება გადაამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეს, რადგან ეს ციტატები მეტწილად პერიფრაზული — გადაკეთებული ჩანან თხზულების თხრობის საჭიროებისამებრ. უკეთეს შემთხვევაში ასეთი ციტატები დამატებით არგუმენტად თუ გამოდგება კრიტიკული მიდგომით.

2. **უძველესი ქართული თარგმანის დროის შესახებ:** დასმული საკითხი ვერც ლინგვისტური ანალიზის გზით წყდება საბოლოოდ. საქმე ისაა, რომ V—X საუკუნეების ლიტერატურული ძეგლების ენა მეტად მყარ ფორმებს ავლენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზანისა და ჰაეს ხმარების შემთხვევებს. ცხადია, IV—V საუკუნეებში თარგმნილი ბიბლიური ტექსტები X საუკუნის ხელნაწერში პირწმინდად და უცვლელად არ იქნება წარმოდგენილი, რასაც, სხვა რომ არა, ზანისა და ჰაეს ძველებური წესით უხმარებლობა ამტკიცებს. თანაც სამწერლო ენა თავისი კონსერვატიული ბუნების გამო ხშირად არაზუსტად ასახავს ცოცხალ ენაში მომხდარ ცვლილებებს და ამდენად სამწერლო ენის მონაცემებს შეუძლია ანაქრონიზმისავე უბიძგოს მკვლევარს. მაგ., ფაქტია, რომ IX—X და XI საუკუნეებისათვის ზანისა და ჰაეს ძველებური წესით ხმარება მოშლილია, მაგრამ ამ საუკუნეების ხელნაწერებში იგი მაინც ვლინდება აქა-იქ, როგორც ლიტერატურული ტრადიციის გამოვლინება, ოღონდ X საუკუნის ხელნაწერში გამოვლენილი ჰემეტობა იმის უფლებას როდს იძლევა, რომ მისი (ხელნაწერის) დაწერის დრო ჰაეს ბატონობის დროისთვის (VII—VIII სს.) გადავიტანოთ.

შესაძლოა პირიქითაც იყოს: რომელიმე ენობრივი ფაქტი შეიძლება ტექსტში ნეოლოგიზმად მოჩანდეს ხელნაწერის დროისათვის არსებულ სხვა ძეგლების ჩვენებათა ფონზე. მაგ., არს ზმნის ასახით გამარტივება იშვიათობაა V—X საუკუნეების ძეგლებში, მაგრამ დასტურდება ხანმეტ ლექციონარ-

სა⁸ და ბერძოლის მიერ გამოქვეყნებულ იაკობის პროტოევანგელეს ხანმეტ ტექსტში: „ჩუენ (ხ)უესავთ, ვითარმედ ი გ ი ა, რომელმან იკსნეს ისრაჳლი“ (ლკ. 24,21). „იოსეფისდა ხუ ე დ (რ ე ბ უ) ლ ა ქა(ლ)წული ესე“ (52). რა თქმა უნდა, ასეთი კერძობითი ხასიათის ფაქტი (კერძობითი სამწერლო ენისათვის და კანონზომიერი ცოცხალი ენისათვის) არამც და არამც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ხანმეტი ლექციონარის ტექსტი მოდერნიზებულ და ნეოლოგიზმების შემცველ გვიანდელ ტექსტად ჩაეთვალოთ.

ფილოლოგიური კვლევის დღევანდელ ეტაპზე ბიბლიის ძველი ქართული რედაქციების ისტორია (დრო, რედაქციული მიმართება, წარმომავლობა) შეიძლება მხოლოდ მიაზლოებით გაირკვეს და ისიც კომპლექსური შესწავლით, ლინგვისტური და ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებით მოპოვებული მასალები უნდა შეჭერებულ იქნეს ერთმანეთთან, თითოეული მათგანი ერთმანეთის საკონტროლო საშუალებად იქცეს და ერთმანეთის გამოუჩინებლობის შემთხვევაში გაეთდეს სათანადო დასკვნები.

თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ-ფილოლოგიურ მასალებს, პავლეს ეპისტოლეთა (ისე როგორც ოთხთავისა) ქართულ ენაზე თარგმნა IV—V საუკუნეებისათვის უნდა ვივარაუდოთ. ამ ვარაუდის ერთგვარი საფუძველი მოიპოვება V—VIII სს. ქართულ ორიგინალურ ძეგლებში.

აღნიშნული ვარაუდის სასარგებლოდ დამატებით აღვნიშნავთ შემდეგს. სამოციქულოს ძველ ქართულ (AB) რედაქციებში მოიპოვება დანართი („სტიქომეტრია“), რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პავლეს ეპისტოლეთათვის. ეს ასეა არა იმიტომ, რომ მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს ასეთი დანართები აკლდეთ, არამედ იმიტომ, რომ მათ საერთოდ არ ჰქონიათ ასეთი დანართები ძველ ქართულ რედაქციებში, როგორც ეს ამ თხზულებათა შემცველ ხელნაწერთა შედგენილობიდან ჩანს. ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულში დანართი თავდაპირველად მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებისთვის შეუდგენიათ 323—372 წლებს შორის, თუ 458 წლისათვის, ხოლო გვიან — 460 და 490 წლისათვის მოციქულთა საქმისა და კათოლიკე ეპისტოლეებისათვისაც. ამიტომ ლოგიკური იქნება, თუ დავასკვნით, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქცია, რომელიც დანართებს („სტიქომეტრიას“) იცნობს მხოლოდ პავლეს ეპისტოლეთათვის განკუთვნილს, შესრულებული უნდა იყოს მანამდე, სანამ მსგავსივე დანართები გაუჩნდებოდა ბერძნულში მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს. მანამდამდე, სამოციქულოს ძველ ქართულ რედაქციას შესრულებული ყოფილა არა უადრეს IV საუკუნის შუა წლები და არა უგვიანეს V საუკუნის დასასრულისა. ეს რედაქცია ტექსტუალურ-კომპოზიციური თვალსაზრისით (და არა წმინდა ენობრივით) არსებითად პირვანდელი სახით დაუცავთ X საუკუნის ხელნაწერებს. პირვანდელი სახით — იმიტომ ვამბობთ, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქციების შემცველი ხელნაწერები X საუკუნისა არ იცნობენ ვრცელ უწყებებს პავლეს ნაწილში და საერთოდ დანართებს — სა-

⁸ ხანმეტი ლექციონარი, ფოტობიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944.

⁹ ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და პავლეს ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმთა საძიებლები, თბ., 1971, გვ. 15.



მოციქულის სხვა ნაწილში. ბერძნულში კი სამოციქულოს მთელი აპარატის ჩამოყალიბება IV—VII საუკუნეების ფარგლებს არ სცილდება. ცხადია, ბერძნული სამოციქულოს გვიანდელი დანართები არ გადმოსულა და არ შესულა ძველი ქართული რედაქციების შემცველ X საუკუნის ხელნაწერებში.

3. **A და B რედაქციათა ურთიერთობისათვის.** პავლეს ეპისტოლეთა A და B რედაქციების ხელნაწერები ერთი დროისაა. ტექსტობრივად A და B რედაქციებს შორის დიდი მსგავსებაა, ზოგიერთი მუხლი მიყოლებით სავერდით ერთნაირია, ანდა ზოგჯერ სხვაობა მინიმალურია, ორთოგრაფიულ-გრაფიკულ-ლი ხასიათისაა. ასეთი სხვაობები კი ჩვეულებრივ ერთი რედაქციის ნუსხებს შორისაც არსებობს ხოლმე. ეს გარემოება საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ A და B რედაქციების ხელნაწერებში შემონახულია ერთი თარგმანის ტექსტი. ოღონდ საკითხავია: B რედაქცია A რედაქციის გადამუშავებითაა მიღებული, თუ ორივე რედაქცია დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა სავსებით არქეტიპიდან? სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო პირველი თვალსაზრისია მიღებული. პროფ. ილ. აბულაძე, სამოციქულოს შემცველ ძველ ხელნაწერთა შედარებისას, კონკრეტულად „მოციქულთა საქმის“ ტექსტის შესწავლის საფუძველზე, ფიქრობდა, რომ A (C) რედაქცია უსწრებდა B (A)-ს: „პარალელური შესწავლით ისიც ნათელი ხდება, რომ ერთი რედაქცია (C) წინ უსწრებს მეორეს (A-ს). პირველი ამოსავალი ჩანს მეორისათვის. აქედან კი ცხადია, რომ პირველი მათგანი X საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრეა შემუშავებული ქართულად, როდესაც გადაუწერიათ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები“¹⁰. ამავე აზრისაა ა. შანიძე: „მოციქულთა საქმის რედაქციებში უძველესია C (ხელნაწერები AK), ამისგან გამოდის A (ხელნაწერები CD)“¹¹. ანალოგიური შეხედულებაა გამოთქმული პავლეს ეპისტოლეთა მიმართაც: „უძველესია A რედაქცია. ამ რედაქციის ტექსტის გადამუშავებითაა მიღებული B რედაქცია. B რედაქციის ში ტიპის ტექსტს იყენებს C, ხოლო ამ უკანასკნელს უშუალოდ ემყარება D“¹².

სამოციქულოს ძველი ქართული რედაქციების ურთიერთმიმართებაზე გამოთქმული მოსაზრებები არსებითად სწორად გადმოსცემენ საქმის ვითარებას. ამის საფუძველს უპირველესად ის იძლევა, რომ B-ს A რედაქციისაგან განსხვავებული იკითხვისები უმრავლეს შემთხვევაში შეესატყვისება ბერძნულ წყაროს, ე. ი. B რედაქცია უფრო უახლოებს ძველ ქართულ თარგმანს ბერძნულ წყაროს. A რედაქციის ტექსტს ნაკლებად ეტყობა ასეთი გადამუშავება. ოღონდ საქმე ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ A-ს B რედაქციისაგან განსხვავებული იკითხვისები ყოველთვის სხვა (სომხურ-სირიულ) წყაროს გულისხმობდეს საფუძვლად. არა. როგორც A-ს, ასევე B-სა და C რედაქციების იმ სახით ჩამოყალიბებისას, რა სახითაც ისინი X—XI სს. ხელნაწერებშია დაცული, სხვადასხვა ტიპის ბერძნული ტექსტი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მაგ., ერთ ადგილას A რედაქციაში იკითხება: ქრისტე „დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, ვითარცა წერილ არს, და ეჩუენა კეფას და მერმე ათორ-

¹⁰ საქმე მოციქულთა, გამოსცა ილ. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, 1950, გვ. 011.

¹¹ იქვე, გვ. 05. საქმე მოციქულთას გამოცემაში გამოყენებული ხელნაწერთა ლიტერების ფარდი პავლეს ეპისტოლეთა გამოცემაში შემდეგია: AK = C¹B, CD = A¹.

¹² პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და ქ. დანელიამ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1974, გვ. 012.

მეტათა მათ“ (I კორ. 15,4—5). B რედაქციის **9,7** ნუსხებში კი ბოლო წინადადება ასე იკითხება: „ეჩუენა კეფას და მერმე ათერთმეტათა მათ“. ათორმეტ მოციქულზეა ლაპარაკი ბერძნულის უძველეს (სინურ, ვატკანურ, ალექსანდრიულ) და სხვა კოდექსებში: ...*ἄρα καὶ τὸν* *ἑβδόμου*. ამასვე მისდევს სომხური და სირიული ვერსიები: *Երկուთասնիցն*, ლათრე¹³ „სარ. ოლონდ სომხური ბიბლიის ოსკანის (1666 წ.) გამოცემაში იკითხება „ათერთმეტათა მათ“: *ძსათასნიცნ*, როგორც ეს აღნიშნულია ზოპრაბის გამოცემის ვარიანტებში. მაგრამ B-ს მსგავსად ათერთმეტ მოციქულს კითხულობს ზოგი ბერძნული და დასავლური, ლათინური კოდექსები. როგორც აღნიშნავენ, ორივე იკითხვის თავისებური გამართლება აქვს. დასახელებულ ადგილას უფრო ზუსტია თითქოს ათერთმეტი, რადგან, როცა ქრისტე აღდგა, ერთი მოწაფეთაგანი (იუდა) უკვე აღარ იყო ცოცხალი. მაგრამ ათორმეტ იც გამართლებულია, რადგან „12 მოციქულ“ წარმოადგენდა ქრისტეს მიერ მოწოდებულ პირველ მოწაფეთა ღირსების აღმნიშვნელ სპეციალურ-ტექნიკურ ტერმინს¹⁴. სახარების ძველსა და გიორგისეულ ვერსიაში საუბარია, რომ ქრისტე გამოეცხადა 11 მოწაფეს, თუმცა მაშინ იუდა და თომა არ იყვნენ იქ.

შესაძლოა B რედაქციაში ორი ფენა გამოიყოს: ადრეული (**9,7** ხელნაწერი) და მოგვიანო (**7,1** ხელნაწერი). ვიმეორებთ, ვიდრე ათონელების განთქმული სკოლა დაიწყებდა ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების შექცევასა და შესწორებას, მანამდე ეს თარგმანი, თუ მეტჯერ არა, ორ-სამჯერ მაინც უნდა ყოფილიყო გადახედულ-გადამუშავებული: A რედაქცია ძველი თარგმანის ბერძნულთან საგრძნობლად ახლო მდგომ ტექსტს წარმოადგენს, B რედაქციის **9,7** ხელნაწერები ბერძნულთან კვლავ დაახლოებულ ტექსტს შეიცავს (კლება-მატების, კავშირებისა და ნაწილაკების, ართრონის ზუსტად გადმოღების, გრამატიკული ფორმების გადმოღების, სიტყვათა რიგის დაცვის თვალსაზრისით), ხოლო **7,1** ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი აშკარად მორგებულია ბერძნულ ტექსტზე, იმდენად მორგებული, რომ **9**-სგან განსხვავებული იკითხვისები, რომლებიც **7,1**-ს აქვს, უდიდეს შემთხვევაში გადასულია გიორგისეულ რედაქციაში. ასე რომ, გიორგის, რომელიც B რედაქციის **7,1** ტიპის ტექსტს ემყარებოდა, თავისთავად ბერძნულთან საკმაოდ დაახლოებული ქართული ტექსტი ჰქონდა ხელთ, ხოლო თავად გიორგიმ რა გზით წარმართა რედაქციული მუშაობა, რომ ასეთი ტექსტი კიდევ უფრო ახლო მიეყვანა ბერძნულ დედანთან, ეს გარკვეული გეაქვს სხვაგან, ცალკე თავში (იბეჭდება ძველი ქართული უნის კათედრის შრომებში).

A და B რედაქციების შედარებისას ერთი საინტერესო ფაქტი გამოვლანდა. B რედაქციის ხელნაწერთაგან ყველაზე თავისებურია **9**, რომელიც არა თუ A რედაქციის, არამედ B რედაქციის სხვა ნუსხებისგანაც ხელშესახებლად სხვაობს. ოლონდ ეს სხვაობები ზოგჯერ შესატყვის ვერ პოულობენ ბერძნულ წყაროში. კითხვა იბადება: თუ **9** ნუსხის ტექსტი A რედაქციის გადაკეთებით და ბერძნულ წყაროსთან დაახლოებით არის ჩამოყალიბებული, რატომ არის მასში A-სგან განსხვავებული იკითხვისები, რომელთაც პარალელი არც ბერძნულში ეძებნებათ? ნაკლებ სავარაუდებელია, რომ **9**-ში ცვლილებები შეტანილი იყოს არა ბერძნული წყაროს საფუძველზე, ასეთი რამ VII—X საუ-

¹³ Толковая библия..., проф. А. Лопухина, 12, СПб, 1914, стр. 113.

კუნებისათვის თითქმის გამორიცხულია. ამიტომ ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი იკითხვები **4**-ში შეიძლება მოდიოდეს ძველი თარგმანიდან, **A** და **B**-ს საერთო არქტიპიდან? იქნებ ეს ისეთი იკითხვებია, რომლებიც გადაურჩა ადრეულ ელინოვილ რედაქტორთა რევიზიას? ამ ვარაუდის უარყოფა გაჭირდება. და თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ საცნაური გახდება, რომ ძველი ქართული თარგმანის თვდაპირველი იკითხვები მარტო **A** რედაქციის ხელნაწერებში კი არა, არამედ **B** რედაქციისაშიც უნდა ვეძიოთ.

A და **B** რედაქციებს რომ არსებითად ერთი ტექსტი, ერთი თარგმანი უძველესად, ამას თვალნათლივ წარმოაჩენს **A** და **B**-ს საერთო, მსგავსი იკითხვების შეპირისპირება გიორგისეული (**C**) რედაქციის სპეციფიკურ, განსხვავებულ იკითხვებთან. მაგ.

AB

ბავინთა სტყუენავ (7-ს ვარდა) (პრომ. 2,22).

და შეცნირ იქმნა (პრომ. 4,21).

ხოლო ცხოვრებას ქმრისასა მრუმეზად შეერაცხოს (პრომ. 7,3).

სათნო-ყოფილ ვარ მე (პრომ. 7,22).

არა შეამთხოვო დაბრკოლებამ... (პრომ. 14,33).

გული გეტყვს (I თეს. 3,6).

იღებატების (II თეს. 1,3).

C

საყრთხველსა სმარცუავ, *ἐνδωκα ἰεροσυλεις*

გულსავსე იქმნა, *πληροφορηθεις*

აწ უკუე ცხოვრებასა ქმრისასა მემრუმელ ეწოდოს *ἀρα οὐκ ἔθους τοῦ ἀνθρώπου*

μοιχαλὶς χρηματισει

რამეთუ თანა-მნებაეს მე, *σοφίδομαι γὰρ...*

არა დაუდგათ შესაბრკოლებელი, *μη τιθέναι πρόσοχουμα*

გსურს, *ἠελπισθόντες*

განმრავლებს, *ἀπεραχθένει*

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ **A** და **B**-ს ტექსტი სავსებით იდენტური იყოს. **B** რედაქციის ნუსხათაგან ყველაზე თავისებურ ტექსტს შეიცავს **4** ხელნაწერი (**S**—1138). თავისებურებაში იმას ვგულისხმობთ, რომ ის განსხვავებას ავლენს როგორც **A** რედაქციის, ასევე ზოგჯერ თვით **B** რედაქციის სხვა (**177**) ნუსხებში დაეულ ტექსტისაგან. მაგრამ თუ **4**-ს მაინც **B** რედაქციის ხელნაწერთა ჯგუფს ვაკუთვინებთ, ეს იმით, რომ უმრავლეს შემთხვევაში მისი **A**-საგან განსხვავებული იკითხვები განმეორებულია (ზოგ ნუსხაში ოდნავი ცვლილებით) **B** რედაქციის **177** ხელნაწერებში.

4. B-ს A-სგან განსხვავებული იკითხვები. რედაქციულ სხვაობებს წარმოვადგენთ გარკვეული კლასიფიკაციით. 1. მატება: **4** ნუსხა (და უმეტეს შემთხვევაში **177**-ც) **A** რედაქციის ტექსტთან შედარებით უმატებს ლიტყვებს, ფრაზებს, ნაწილ-აკავშირებს. ასეთი მატება უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება ბერძნულის ამა თუ იმ ტიპის წყაროს.

ა) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური დაზუსტება (**B** რედაქციის დამატებებს ფრჩხილებში ვსვამთ): შეწყნარებისათვის (+*ραδαთა* იგინიცა შეიწყნარენ [შეიწყალნენ **177**]) (პრომ. 11,31) ...*ενα και αιτοι νιν ἐλεησταις*. რამეთუ არარა (+სხუა **47**) დავიდევ გულსა ჩემსა (I კორ. 2,2), *ὃ γὰρ ἔκρινα ἐδῆνα: τὸ ἐν ἡμῖν*. მიგსწერ (+ამას **477**) (I კორ. 4,4) *γράψω ταῦτα*. სასუფეველი (+ღმრთისა **47**) (I კორ. 4,20), *ἡ βασιλεία τοῦ θεοῦ*. (+და კაცად-კაცი **47**) ვითარცა იჩინა (+ღმერთმან **47**) (I კორ. 7,17), *ἐκαστος ὡς ἐχέληκεν ὁ θεός*. ცანთ-ლა (+თქუნ **47**) (I კორ. 10,15), *κρίνατε ἡμῶς*. ეშმაკთა უებენ (+და არა ღმერთსა **47**) (I კორ. 10,20), *ἠελπισθόντες καὶ ὃς μὴ ἔσται*.

ბ) გრამატიკულ-სტილისტიკური დაზუსტება (ნაწერებისა და უღებების გადმოლება-მიმატება): სარწმუნოება (+იგი), პრომ. 4,9

4.7. ἢ πίστευε. სიკუდილითა (+მით), ჰრომ. 6,10 4.7, ἢ ἀγνοῖτε τὸν θεόν. არა უწყითა (+რამეთუ) ჰრომ. 6,3 4.7, ἢ ἀγνοῖτε τὸν θεόν. ასონი (+ეგე), ჰრომ. 6,19 4.7, τὰ μὲν.

2. კ ლ ე ბ ა: B რედაქციის 4.7.7 ნუსხებს A რედაქციის ტექსტთან შედარებით ზოგჯერ აკლია სიტყვები (უფრო უდეტრები), რომელთა ფარდი უმეტეს შემთხვევაში არც ბერძნულ წყაროშია. ჭეშმარიტებად ღ მ რ თ ი ს ა მ (-4.7) სიკრულით აქუნდა, ჰრომ. 1,18, τὴν ἀλήθειαν ἕν ἄνωθεν κατεχόντων. ყოველთა კ ა ც თ ა (-4.7), შესკოლეს, ჰრომ. 5,12, πάντες ἤμαρτον. დაგება სოფლისა იქმნა (-4.7), ჰრომ. 11,15, καταλαχρήχθη κτήματα. მამისა ჩუენისა და უფლისა ჩუენისა (-4.7), I კორ. 1,3, πατρὸς ἡμῶν καὶ κυρίου. გასწავებ თქუენ (-4.7), I კორ. 4,14, νουθετήσω.

3. ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ს ხ ვ ა ო ბ ა ნ ი: A და B რედაქციებს შორის განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულთა საგრძნობი ნაწილი სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებზე მოდის, ნაწილი — არა:

A

სიმათლჳ (ჰრომ. 3,7).
უძღურება (ჰრომ. 4,19).
ნიჳსა მოიგებენ (ჰრომ. 5,17).
კორცთა ნებასა (ჰრომ. 13,14).
ღმერთმან მისცა (I კორ. 3,5).
ხოლო თვთ ცხოვნდეს და ეგრე ცხოვნდებოდის (I კორ. 3,15).

B

ჭეშმარიტება, ἢ ἀλήθεια
მკვლრება (მკვლრება 7), τὴν νεκρωσιν
ნიჳსა... მიიღებენ, λαμβάνοντες
კორცთა ზრახვასა, τὴν σαρκὸς περιποίησιν
უფალმან მისცა, ὁ κύριος ἔδωκεν
ხოლო იგი (თვთ—7) განერეს და ეგრეთ
(ეგრევე 7, ეგრე 7) განერეს, αὐτὸς δὲ
σώσῃσθαι, οὕτως δὲ...

4. ფ რ ა ზ ი ს რ ე დ ა ქ ც ი უ ლ ი გ ა დ ა კ ე თ ე ბ ა:

A

მოქმედთა (ჰრომ. 2,7).
რომლითა მოუესასა გამოსცილდეს (ჰრომ. 14,22).
არა გუაქუს კელმწიფებად საქმედ (I კორ. 9,6).
მოვიდე თქუენ თანა (I კორ. 16,5).

B

ხოლო მოთმინეთა მათ, ...ἐπιμόνην ἔργον
რომელსა შინა გამოცადოს, ἕν ἢ δοκιμάσει
არა გუაქუს ფლობად საქმისა (საქმედ 7), οὐκ
ἔχομεν ἐξουσίαν μὴ ἐργάζεσθαι
მოვიდე თქუენდა, ...πρὸς ὑμᾶς

5. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ს ხ ვ ა ო ბ ა ნ ი:

A

ყოველსა აღვილსა (I კორ. 4,17).
სცთებთან (I კორ. 14,23).
რომელი-იგი აქუს (II კორ. 8,11).
ამას ვიტყვ (ვალ. 5,16).

B

ყოველთა აღვილთა, πανταχῶς
სცთებთ, μαίνεσθε
რომელ-იგი გაქუს, ἔχειν.
ამას გეტყვ, λέγω δε...
(B სწორია, რადგან II პირზეა ლაპარაკი).

6. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი (ს ი ტ ყ ვ ა თ ა რ ი გ ი ს) ც ვ ლ ა: ასეთ შემთხვევაშიც B-ს ნუსხები არსებობდა წინადადებაში სიტყვათა ისეთ რიგს მისდევენ, როგორც ბერძნულ წყაროშია:

A

მარტოა დაშთომილ ვარ (ჰრომ. 11,3).
კორცთა თვსთა მიმართ (I კორ. 6,18).
წვალება რამე თქუენ შორის არიან (I კორ. 11,18).
აწ უკუე, ძმანო, რა-მე არს? (I კორ. 14,26).

B

დაშთომილ ვარ მარტოა, ἄπειρα μόνος
თვსთა მიმართ კორცთა, εἰς τὸ ἴδιον σῶμα.
წვალება რამე არიან თქუენ შორის, οὐλομα-
τα ἐν ὑμῖν ἑσθᾶν
აწ უკუე რა-მე არს, ძმანო? Τί οὐν ἔστιν
ἀδελφοί.

B რედაქციის ტექსტი რომ A-ს ტექსტზე მეტად არის შეჯერებული და მიახლოებული ბერძნულ წყაროსთან, ამასვე ადასტურებს ქვემოთ განხილული 9.-სა და 27 ნუსხათა A-სგან განსხვავებული იკითხვისები.

5. ურთიერთმიმართება B რედაქციის ნუსხებს შორის: B რედაქციის ხელნაწერებს შორის სხვადასხვა სახისა და ზომის სხვაობანია. ამ მხრივ 9. ნუსხა, როგორც აღენიშნეთ, საგრძნობლად თავისებურია. მას აქვს თავისთავადი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იკითხვისები. ასეთი იკითხვისების დიდი ნაწილი პარალელს პოულობს ბერძნულ წყაროში, მცირე ნაწილი კი — არა. როცა 9. A რედაქციის ტექსტისაგან განსხვავებულ იკითხვისებს არევენებს, B რედაქციის სხვა ნუსხები მეტ-ნაკლებად A-ს მსგავს ვითარებას ავლენენ. ეს ფაქტი თავად იმის მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ A და B რედაქციებისათვის საერთო წყაროდ ერთი არქექტივი ჩავთვალოთ.

ა) 9. ნუსხის თავისებური იკითხვისები: 9. ნუსხაში ფრაზა გავრცობილი ან შემოკლებულია არსებითად იმის მიხედვით, თუ როგორია ვითარება ბერძნულ წყაროში: მატება არის როგორც ლექსიკური ხასიათისა, ასევე გრამატიკული დანიშნულებისა, რაც უმეტესად ნაწევრის, თანდებულის, კავშირის, ზმნისწინების გადმოღებაში გამოიხატება.

მატება: ა) ლექსიკური: შუალი უფლებს კაცსა ზედა: რაოდენ (რადენ + თ + ა მ 9.) ცოცხალ არს კაცი იგი (პრომ. 7,1)... *ἐφ' ἑσθν χρῆσιον ζῆ. ἀρα-με* რაჲ დასაშველ არს მათა (+ ა მ 9.) (პრომ. 8,1), *Οὐδὲν ἀρα νῦν κατὰ κράτος τείζ.* აღმაღვინებელი იესუსი (+ მ კ უ დ რ ე თ ი თ 9.) (პრომ. 8,11), *ἐξείρανος τὸν Ἰησοῦν ἐκ τῆς κρήνης.* ანუ არა ჭელ-ეწიფების მეკეცესა მისეე თივისაგან შეზელილისა რომელნიმე პატივონსად ქურჭლად | ანუ არა ჭელ-ეწიფების მეკეცესა მას თივისა მისივე შეზელილისა (+ შე ს ა ქ მ ე დ 9.) (პრომ. 9,21), ... *ἀραμαεὶς τῆς πηλῆς ἐκ τῆς ἀστῆς φεραμαεὶς πειρήσασαι.* არა ერი ჩემი (+ თ ქ უ ე ნ 9.) (პრომ. 9,26), *ὡς λαὸς μὴ σὺ μ ε ι ε.*

ბ) გრამატიკული დაზუსტება (ნაწევრების, ზმნისწინების, უდებრების გადმოღება): აღამისთვან (+ ვ ი დ რ ე 9.) მოსესადმდე (პრომ. 5,1), *ἀπὸ Ἀβὲμ μ ε χ ρ ι: Μωϋσῆας.* ჯორცითა (+ მ ი თ 9.) (პრომ. 7,4), *ὡς τῶσ ἀμαεὶς.* სათნო ყოფილ ვარ | თანა — მ ნ ე ბ ა ვ ს, (პრომ. 7,22) 9., *συσχῆμα.* სული ცხოველ სიმართლისა (+ თ ვ ს 9.) (პრომ. 8,10), ... *ὡς ἡ βλασφῆμια.*

კლება: კლების შემთხვევებშიც 9. ნუსხა არსებითად ბერძნულ წყაროს მიჰყვება: ნათლად მათა (— 9.), რომელნი არიან ბნელსა შინა (პრომ. 2,19), *φῶς τῶσ ἐν σκοτει.* სახარებას მას შინა (— 9.) ქრისტესსა, (I კორ. 9,12), *τὸ εὐαγγέλιον τῆς Χριστῆς.* რამეთუ კაცად-კაცადმან თქუნებან (— 9.) (I კორ. 11,21), *ἐκαστος ἑαυτῶν...*

სხვა რედაქციული ცვლილებანი: 9.-ს თავისებური იკითხვისების მეტი წილი არსებითად ლექსიკურ ცვლილებებზე მოდის 9. A რედაქციის ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს ცვლის სხვა ერთეულით, ხშირად სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებით, რომ ქართული თარგმანი უფრო ზუსტი გახადოს ბერძნულ წყაროსთან მიმართებით.

ა) ლექსიკური ცვლილებანი: რასა უკუე იტყვს წიგნი? (პრომ. 4,3), ... წერილი 9., *τί γὰρ ἢ γράφῃ λέγει;* უფლებდეს (პრომ. 6,9), *სუფედდეს 9.,* *καρτεῖται.* ხოლო საქმედ კეთილისა მის არა მიფლობს (პრომ. 7,18), *და ყოფად კეთილისა მის არა ვპპოვებ 9.,* *τὸ δὲ κατὰ κράτος ἐσθῆμα.* გამო-

ჩინებად არს (პრომ. 8,18), გამოცხადებად არს **ϕ**, ἀποκαλυφθήσεται. მსგავსივე შენაცვლება I კორ. 3,13-ში. განემარჯვს კეთილად (პრომ. 8,28), კეთილად წარემართის **ϕ**, σωσθήσεται... (შდრ. უფრო ზუსტი თარგმანი ეფრემ მცირისა: თანა-მოქმედ კეთილისა ექმნების). ელმინ (I კორ. 12,26), ევნებინ **ϕ**, παύσει. ჯორცნი ქრისტესნი (I კორ. 12,27), ასონი ქრისტესნი **ϕ**, σὺ μὲν καὶ Χριστός.

ბ) გრამატიკულ-სტილისტიკური ხასიათის ცვლილებად აზუსტებანი: არა შეერაცხოს სიძვად (პრომ. 7,3), რაათა არა იყოს იგი მრუშ **ϕ**, τὸν μὲν εἶπαι ἀντὶ τοῦ μισοῦσίνδ.

ზოგჯერ გრამატიკულ ფორმებსაც აზუსტებს ბერძნული წყაროს კვალობაზე: არა-მე წინდაცუეთილებად იგი მისი წინდაცუეთილებად შეერაცხოს (პრომ. 2,26), **ϕ**-შია: შეერაცხოს. ირ. დამატების ფარდი სიტყვა ბერძნულშიაც არა: οὐχ ἢ ἀκριβοῦσα ἀπὸ τοῦ εἰς περιτομῆν ἰσχυροῦσται. განახლებითა ცხოვრებისათა (პრომ. 6,4), განახლებულებითა ცხოვრებისათა **ϕ**. საწყისის გადაკეთება აბსტრაქტულ სახელად გასაგები იქნება, თუ გაეითვალისწინებთ, რომ ბერძნულშიც მსგავსივე წარმოების ფორმა: ἐν χριστῷ ἔσται. ჯაჟ. ყოველთა დღეთა (პრომ. 14,5), ყოველსა დღესა **ϕ**, πᾶσαν ἡμέραν. დიდებულმრთისა (პრომ. 15,8), სადიდებულად **ϕ**, μεγαλῶν τὸν θῆσιν. ეკლესიათა ღმრთისათა (I კორ. 1,2), ეკლესიასა ღმრთისასა **ϕ**, τῆς ἐκκλησίας τῆς θῆσιν.

გ) სინტაქსური (სიტყვათა რიგის) ცვლა: ასეთ შემთხვევაში **ϕ** უმეტესად სიტყვათა ისეთ რიგს გვიჩვენებს, როგორც ბერძნული ტექსტი: ხოლო ღმერთსა მადლი (პრომ. 7,25), ხოლო მადლი ღმერთსა **ϕ**, χάρις καὶ θεῶν. იგინი არიან შეიღნი ღმრთისანი (პრომ. 8,14), იგინი შეიღნი ღმრთისანი არიან **ϕ**, οἱ οὗτοι εἰσὶν ἐκ θεῶν. სულითა და ჯორცითა (I კორ. 7,34), ჯორცითა და სულითა **ϕ**, καὶ σῶματι καὶ τῷ πνεύματι. მოსაჯენებულად ჩემდა (I კორ. 11,25), ჩემდა მოსაჯენებულად **ϕ**, εἰς τὴν ἐκείν ἄνθρωπον.

ზემოგანხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ B რედაქციის ხელნაწერებში და მათ შორის **ϕ** ნუსხაში დაცული ტექსტი უნდა წარმოადგენდეს ძველი ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროსთან საგანგებოდ შეწამებულ-შეჯერებულს, ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად შეცვლილს, ვიდრე ეს A რედაქციის ნუსხებში დაცული ტექსტია.

ბ) B რედაქციის 27 ნუსხები: 27 (Sin 58/31) და 7 (Ath. 42) ხელნაწერები ერთი ღროსა (X საუკუნისა) და ტექსტობრივადც ახლოს დგანან ერთმანეთთან. ამთგან 7 თითქმის სრულია (აკლია მხოლოდ პრომ. 5,2—10,13), ხოლო 8 საგრძობლად ნაკლებია, აკლია: პრომ., I კორინთელთა, II კორინთელთა 1—2,10; I თეს. 4, 11—5,28; II თეს., ებრ. 1—5,5.

ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ „27 ნუსხებში წარმოდგენილ რედაქციას ეყრდნობა C რედაქცია (გიორგისეული)“¹⁴. სათანადო მასალები მაშინ არ მოგვიყვანია. ამიტომ საპიროდ ვთვლით ამაზე საგანგებო მსჯელობას. 27 ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტი უფრო შეჯერებული და მიახლოებული ჩანს ბერძნულ წყაროსთან, ვიდრე **ϕ** ნუსხისა. ამიტომ არის, რომ 27 ნუსხების **ϕ**-სგან და A რედაქციისაგან განსხვავებული იკითხვისების დიდი ნაწილი მისაღები აღმოჩნდა გიორგი მთაწმიდლისათვის.

¹⁴ პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები... გვ. 012.

Ω-ს AB რედაქციითა სხვა ნუსხეებისაგან განსხვავებული და გიორგისეულ რედაქციასთან საერთო იკითხვისებები:

ა) ტექსტობრივი დაზუსტება (მატება, კლება): ხოლო რომელი-იგი არა იქმნ და პრწამნ ხოლო (+ Γ, C) განმამართლებელი იგი უღმრთოთა... (პრომ. 4,5), *πιστευοντες δε και τον δικαιωτην*. საკვდელად თქუნდა გეტყვ თქუნენ (- Γ, C) (I კორ. 6,5), *προς εντροπον υμιν λεγω*. ბერძნულის მიხედვით და სტილისტურადაც სწორია Γ და C-ს იკითხვისი. ჰმატებდით საქმესა უფლისასა მარადის (+ Γ, C) (I კორ. 15,58), *πιστευουσας εν τω ξρη ταυ καιριου παντοτε*. დღესა მას უფლისა იესუსასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა Γ (II კორ. 1,14) უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა C, *εν τω ημαρτα ταυ καιριου ημας Ἰησους* (ზოგი ბერძნული წყარო უმატებს: *Χριστου*). რა-იგი არს ქრისტესს მიმართ ახალი დაბადებული (+ Γ, C). (II კორ. 5,17), *...καινη γενεα*. გურწამს, რამეთუ კეთილი... რამეთუ გურწამს, ვითარმედ კეთილი... Γ, C. (ებრ. 13,18), *πειθισμα ημερα ημε: καλην...*

ბ) ფრაზის რედაქციული (ლექსიკური) ცვლა: მადლ-სცემდეს **Ω**, მადლსა მისცემდეს **Ω**, (პრომ. 1,21), ჰმადლობდეს Γ, C, *ηχαριστησαν*, ე. ი. ძველი რედაქციების რთული ზმნის ფორმა ორგანულითაა შეცვლილი Γ-სა და C-ში, რაც შეესაბამება ბერძნული წყაროს იკითხვისს და ქართული ენის ბუნებასაც. ჯერისა მის (პრომ. 12,3), წესისა მის Γ, C, *η δε εφροισεν*. ნუ საქმლისათვს დაპქსნით საქმესა (პრომ. 14,20), ნუ ჰამადისათვს დაპქსნი Γ, C, *μη ενεχεν φραματας κατας τας ξρηται*. იყის თუ გარდაარეულ (I კორ. 7,36), იყის თუ გარდასრულ Γ, C, *εν τω απεραμω*.

გ) ფრაზის გრამატიკული ცვლა: ასეთ შემთხვევაში საგრძნობია, რომ ფრაზის გრამატიკული შინაარსის შეცვლა ხდება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 1. ბერძნული წყაროსა და კონტექსტისა, 2. ცოცხალ ფორმათათვის ანგარიშის გაწევით, ნეოლოგიზმებით.

1. ფრაზის გრამატიკული შინაარსის ცვლა ბერძნულ წყაროსა და კონტექსტის მიხედვით: ამას სამე ჰგონებ, კაცო...? (პრომ. 2,3), მაგრამ Γ უმატებს კითხვით ა ნაწილაკს: ჰგონება (ასეა C-შიც). ა-ს დამატება კონტექსტით გამართლებულია, რადგან წინადადება კითხვითია და ა ხაზს უსვამს ამ კითხვითობას. ბერძნულშიც წინადადება კითხვითია, მაგრამ კითხვითი ნაწილაკის გარეშე: *λοιπον δε και ταυτη, ο θεος...* აქ მხ ნაწილაკი გადმოცემულია სამე-თი, რომელიც შინაარსით უფრო დადასტურებითია, ნიშნავს: ნამდვილად, კი... კითხვითი ა ნაწილაკის დამატების შემთხვევები Γ-სა და C-ში სხვადა: (I კორ. 1,13; 3,16...). Ω-ს ცვლილება შეაქვს ბერძნული თანდებულის გადმოცემაში და ხშირად კონტექსტისთვის უფრო შესაფერის მნიშვნელობას არჩევს: და ერთ არს უფალი იესუ ქრისტეს, რომლისათვს ყოველი (I კორ. 8,6), *... რომლისა მიერ ყოველი Γ, C, δε ος τα παντα*. კონტექსტისათვის შესაფერია **Ω** და C-ს იკითხვისი (შდრ. и один Господь..., котрым все). ყოველი სიმწარე და გულის წყრომა... მოისვენ თქუნენგან (ეფეს. 4,3), *...თქუნენ შორის... Γ, C, εμμε ημε*. მართალია, ბერძნულ ჰპნ თანდებულს უფრო აგან* შეესატყვისება, მაგრამ კონტექსტისათვის, ქართული ფრაზისათვის „შორის“ უფრო შესაფერია: ყოველი სიმწარე... მოისპოს თქვენში, თქვენს შორის.

ბი ნუსხა ზოგჯერ ცვლის სახელის რიცხვისა და ბრუნვის ფორმას, ზმნის რომელიმე კატეგორიის (პირის, რიცხვის, მწკრივის) ფორმებს და ამ ცვლილებებს იმეორებს C-ც: თავ არს ეკლესიათა (ეფეს. 5,23), ეკლესიას ბ, C, ეკლესიას ო, *αεψλζ η ςξ ζαλ.ηαζδ*. მდიდართა მათ... ამცნებდ (I ტიმ. 6,17), ვამცნებ ო, ამცენ ბ, C, *παρὰ γὰρ*. ნუმცა ვის ჰგმობედ (ტიტ. 3,2), ჰგმობენ ბ, C. მუნ მი რჩევიეს დაზამთრებად (ტიტ. 3,12), მუნ ვირჩიე დაზამთრებად (დაზამთრება ბ) ბ, C, *αὐτὰρ ἡ ἀπαρχὴ ἡ πρώτη*. ბი სიტყვაწარმოებაშიც ავლენს აქა-იქ C-სთან საერთო ფორმებს: ესე არს ჩემ მიერ მათ მიმართ აღთქუმა (პრომ. 11,27), ესე არს ჩემ მიერი იგი... აღთქუმა..., *ὁ παρ' ἐμοῦ ἰσχυρῶς*.

ბი-ს შესწორება გამართლებულია ბერძნული წყაროთი, კონტექსტით: უბრალო დამატება „ჩემ მიერ“ შეცვლილა განსაზღვრებად „მიერ“ თანდებულის დერივაციულ ელემენტად გამოყენების გზით: ჩემ მიერი... აღთქუმა. თანაც ო ნაწევარიც „იგი“-თ არის გადმოღებული. დაწყნარებითა შეუენიერ (ტიტ. 2,3), დაწყნარებულებითა შეუენიერ ო, C, *ἐν κατανάσχησιν ἡσυχίας*.

2. ფრაზის ცვლა გრამატიკული ნეოლოგიზმების საფუძველზე: როგორც აღვნიშნეთ, ბი ნუსხები X საუკუნისაა, ისე როგორც AB რედაქციის სხვა ნუსხები. ამიტომ თითქოს მოულოდნელია გამორჩევით ბი ნუსხების გრამატიკულ ნეოლოგიზმებზე საუბარი. მაგრამ თუ მიანიც ვჩერდებით ამ საკითხზე, ეს შემდეგი გარემოების გამო: AB რედაქციის სხვა ნუსხებისაგან განსხვავებული ბი-ს ზოგიერთი იკითხვის გრამატიკული თვალსაზრისით უფრო ახალი ჩანს. რა თქმა უნდა, შესაძლოა მსგავსი ფორმები უფრო ადრეულ ხელნაწერებშიც იყოს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ბი-ში დადასტურებული ზოგიერთი ფორმა AB რედაქციის სხვა ნუსხებთან შეპირისპირების საფუძველზე ერთგვარი შეზღუდვით გრამატიკულ ნეოლოგიზმად ჩავთვალოთ. ასეთ ფორმებს C ჩვეულებრივ იმეორებს. ეს ფაქტი თავად იმის საფუძველს იძლევა, რომ ბი ნუსხებში დაცული ტექსტი ჩავთვალოთ B რედაქციის მოგვიანო გადამუშავების შედეგად.

ფონეტიკიდან აღსანიშნავია — სპირანტი *β, ξ* და უმარცვლო უ-ს დაკარგვის შემთხვევები, უცხო სახელებში ორი ერთნაირი ხმოვნის გამარტივება ერთის დაკარგვის გზით, ზმნისწინების გამარტივება თანხმოვნითი ელემენტის დაკარგვით: ჰებრაელ (II კორ. 11,22), ებრაელ ო, C; ჰსუამ (I ტიმ. 5,23), სუამ ბ, C; ჰხადიან (II ტიმ. 2,22), ხადიან ბ, C; ისააკის (ებრ. 11,9), ისაკის ო, C; შდარ. ისააკი (ებრ. 11,17), ისაკი *ϕλδ*, C; აღდა (ეფეს. 4,8), აგდა ო, C; აღოცოს (II თს. 2,8), ატოცოს *ϕ*, C; ჰუმევითა (კოლ. 2,22) ჰმევითა ო, C (მაგრამ C-ში ჰ შენარჩუნებულია).

„ეკლესია“ სიტყვა AB-ს ხელნაწერებში ხშირად უკვეცილია¹⁵, ბი-სა და C-ში კი კვეცას ემორჩილება: ეკლესიასაგან (ეფეს. 3,10), ეკლესიისაგან ო, C; თავი ეკლესიასა (კოლას. 1,18), თავი ეკლესიისა ო, ეკლესიისა C.

ბი ნუსხებში ზოგჯერ ნარიანი პირ. ობიექტის ნიშანი აკლია ზმნას¹⁶ (უფ-

¹⁵ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 105.

¹⁶ ზ. სარჯველაძე, ნ სუფიქსით გამოხატული მრავლ. რიცხვში დასმული სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში, „მაცნე“, 1969, № 3, გვ. 233.

6. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3



რო მაშინ, როცა ზმნის ფუძე ნარზე მთავრდება). ასეთ შემთხვევებს **C** შეგნებულად არ უშვებს: ჩუენ გამოგუდვენეს (I თეს. 2,15), გამოგუდვენეს **ნ**, მივსნა ჩუენ (კოლას. 1,13), მიკსნა ჩუენ **შ**; მათ არა იცნენს გზანი ჩემნი (ებრ. 3,10), იცნეს გზანი ჩემნი **ნ**.

ზოგჯერ კავშირებითი ფორმის მყოფადი თხრობითი კილოს ფორმითა შეცვლილი **შ**-სა და **C**-ში: დაე მტკიცოს ყოველი (II კორ. 13,1), დაე მტკიცებოს ყოველი **შ**, **C**.

ნეოლოგიზმად მოჩანს **ნ**-სა და **C**-ს შემდეგი იკითხვისი: არა შეუკრა პირი ქარსა მლუწველსა (I კორ. 9,9), შდრ. არა დაუკრა პირი... **წ**. ან კიდევ **შ**-ს ჩვენება: არა უნახავს (კოლას. 2,1), შდრ. არა უხილავს **წ**.

ზემოვანხილული მასალა გვაფიქრებინებს, რომ **შ** ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტი მივიჩნით **B** რედაქციის ბერძნულთან კიდევ უფრო დაახლოებულ სახეობად, რომელიც საყრდენი ჩანს გიორგი მთაწმიდლისეული ვერსიისათვის.

დასკვნები: **A** და **B** ვერსიათა ტექსტს საფუძვლად უნდა ედოს ერთი თარგმანი, საერთო არქეტიპი. **A** და **B**-ს ტექსტი იმ სახით, რა სახითაც ის არის წარმოდგენილი მე-10 საუკუნის ხელნაწერებში, წარმოადგენს საერთო არქეტიპის სხვადასხვა ზომით და სხვადასხვაგვარად გადამუშავების შედეგს. ორივე რედაქციაში გამოიყოფა რამდენიმე ტექსტობრივი ფენა. მათგან უძველესი უდიდეს შემთხვევაში საერთოა ორივე ვერსიისათვის და რამდენადმე მიახლოებით ასახავს არქეტიპს, ძველ ქართულ თარგმანს. მეორადი ფენის იკითხვისები სხვადასხვა მასშტაბითაა წარმოდგენილი თითოეულ ვერსიაში. **A**-ში ცოტაა, **B**-ში საგრძნობლად მეტი, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ **A**-ს ტექსტი **B**-სთან შედარებით ნაკლებ შეცვლილად და არქეტიპთან უფრო ახლო მდგომად მივიჩნით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **B**-ს **A**-საგან განსხვავებული იკითხვისების უდიდესი ნაწილი შეესატყვისება ბერძნული ტექსტის ჩვენებას, ხოლო **A**-სი — სომხურ-სირიულს (ამას სპეციალურად სხვაგან ვეხებით).

აშკარაა, რომ **B** რედაქციაში შემავალი ნუსხები ტექსტობრივ იდენტური არ არის და საკმაოდ სხვაობს ერთმანეთისაგან. **B** რედაქციის რომელიმე ნუსხის განსხვავებული იკითხვისი ხშირად ისევ **A**-ს ტექსტთან პოულობს პარალელს, რაც საერთო არქეტიპის სხვადასხვა ზომით გადამუშავების შედეგი ჩანს. ამდენად, **B** რედაქცია არ წარმოადგენს უნიფიცირებულ და მტკიცედ დადგენილ რედაქციას, ვთქვათ, ისეთს, როგორიცაა გიორგისეული **C** ვერსია, რომლის ნუსხებში ტექსტუალური სხვაობა მინიმალურია, უმნიშვნელოა. „**B** რედაქცია“ ტერმინში, თუ მკაცრი სიზუსტით შევადგინებთ ვითარებას, უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ტიპის ტექსტი, რომელიც აერთიანებს **A**-სთან მიმართებით ნაკლებად (**წ** ნუსხა) თუ მეტად (**შ**) შეცვლილ ტექსტს. **B** რედაქციის ნუსხათაგან **შ** ხელნაწერებში დაცული ტექსტი აშკარად ავლენს ამავე რედაქციის სხვა ნუსხებისაგან განსხვავებულ ტექსტობრივ ფენას, რომელიც მომდევნო, უფრო გვიანდელი (მესამე?) გადამუშავების შედეგი და ბერძნულ ტექსტთან მისადაგებული ჩანს. **შ**-ს განსხვავებული იკითხვისები, რომლებიც ბერძნულ ტექსტს შეესაბამება, ყოველთვის არ უპირისპირდება სომხურ-სირიულ იკითხვისებს, პირიქით, ზოგჯერ მიჰყვება მათ, მაგრამ ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ექვი შევიტანოთ ზემო აღნიშნულ

ვარაუდში: ში-ს რედაქტორი უფრო უახლოებს ქართულ თარგმანს ბერძნულ წყაროს, ავსებს და ავრცობს ტექსტს ბერძნულის კვალობაზე, აზუსტებს ფრაზების გრამატიკულ შინაარსს, ე. ი. ში-ს განსხვავებულ იკითხვისთა უდიდესი ნაწილი, ასე ვთქვათ, „ბერძნული ყაიდისაა“. ამის გამოა სწორედ, რომ გიორგი მთაწმიდელი ში-ს ბერძნულთან მისადაგებულ იკითხვისებს უცვლელად ტოვებს და პირდაპირ გადმოაქვს თავის რედაქტორულ ნამუშევარში — სამოციქულოს მისეულ რედაქციაში. ასე რომ, სანამ გიორგი მთაწმიდელი რედაქციულად გადაამუშავებდა სამოციქულოს, მანამ გიორგის ხელთ არსებულ ძველ ქართულ თარგმანს არაერთგზის ჰქონდა გავლილი სხვადასხვა სახისა და ზომის შესწორება უცნობი რედაქტორების ხელში. გიორგი რომ ქართული თარგმანის სხვადასხვა ტიპის ტექსტს იცნობდა, საეჭვო არ უნდა იყოს: ოთხთავის ანდრეაში ნათქვამი: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად — ხანმეტნიცა და საბაწმიდურიცა“ — ეს სამოციქულოზეც შეიძლება გავავრცელოთ. გიორგისეული რედაქცია ოთხთავისა ან სამოციქულოსი დიდი მასშტაბის რედაქციულ ცვლილებებს იმიტომ არ ავლენს, რომ გიორგი ძველი ქართული თარგმანის ისეთი ტიპის ტექსტით სარგებლობს, რომელიც საგრძობლად დაახლოებულია უკვე ბერძნულ წყაროსთან. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. სანამ გიორგი სამოციქულოს (თუ ოთხთავის) ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროსთან შეჭერებას შეუდგებოდა, მას ჯერ ქართული თარგმანის რედაქციები და ნუსხები უნდა შეესწავლა, შეეჩინა მათგან ისეთი, რომლის რედაქციული სახე მისთვის ყველაზე უფრო მისაღები იყო, მისი მთარგმნელობითი პრინციპების შესაბამისად რამდენადმე მაინც იყო შესრულებული.

A და B რედაქციათა ნუსხები რომ X საუკუნისაა, ეს გვაფიქრებინებს, რომ ორივე ვერსიის ტექსტი პარალელურად უნდა ყოფილიყო გავრცელებული და ხმარებული X საუკუნეში. დამახასიათებელია, რომ არა თუ X, არამედ XI საუკუნისთვისაც კი გიორგი მთაწმიდელი შესაძლებლად თვლის ძველი რედაქციების (ხანმეტის, საბაწმიდურის) გამოყენებას ქართულ ეკლესიაში. მაგრამ მოღწეული ხელნაწერების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ სამოციქულოს გიორგისეული ტექსტის კანონიზაციამდე უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო B რედაქციის ტექსტი, როგორც უფრო დაახლოებული ბერძნულ წყაროსთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ

აღმსი პინჰარაულო

„ჯვარისა“ და „ხატის“ მინიშნელოზისათვის ქართულში*

სიტყვა ხ ა ტ ი არაბული წარმოშობისა; არაბულად ხ ა ტ ტ ნიშნავს: „ხაზი; ნაწერი“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“). ქართულის გარდა ეს სიტყვა ზოგ სხვა ენაშიაც შესულა — თურქულში, სომხურში, ჩაჩნურ-ინგუშურში, ხუნძურში...

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით ხ ა ტ ი ნიშნავს: „გამოსახულება, ნახატი, მსგავსება, „ფერი“, სახე, სურათი, შესახედობა“¹. მაგ.:

...და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხ ა ტ ი მისი (შუშანიკისა, — ა. ჭ.) დაბარული და განსივებული (ი. ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტივლობა შუშანიკისი, VII,11); ... მაქუს სამოცდაათი წელი და უფროჲს, არა მიხილავს ხ ა ტ ი კაცისაჲ დღესამომდე (იოანე მოსხი, ლიმონარი, 114,12); ... რომელთაჲ ჳმაჲ ისმოდა, ხოლო ხ ა ტ ს ა არა ხედვიდეს (სიბრძნე სოლომონისი, იქ, 1); ... მიჩუენეთ მე დრაჳკანი. ვისი არს ხ ა ტ ი და ზედა დაწერილი? (ლ. 20,24); ... რამეთუ არს მონაზონთა დიდ ხ ა ტ მონაზონებისა ანტონისა იგი ცხორებაჲ (ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, 6,3); ... ხოლო ეშმაკნი... იმღერიან, ვითარცა კარავსა შინა, იცვალენ ხ ა ტ ს ა (იქვე, 35,25).

შემდეგ ხ ა ტ ი დერჳვა სურათს:

... შექმნა დედაკაცჲ მან ხ ა ტ ი სუმონისა, და დადგა იგი სარწმუნოებით სახლსა შინა თჳსსა, და ჳყოფდა ხ ა ტ ი იგი სასწაულთა მადლითა სულისა წმიდისაჲთა... (კიენი, I,270,9—10).

ხ ა ტ ის ეს მნიშვნელობები („სურათი“, „გამოსახულება“, „სახე“) საერო ლიტერატურის ძეგლებშიაც დასტურდება:

... მისი სახე გულსა ჩემსა ხ ა ტ ა დ ასრე გამოვ ხ ა ტ ე (ვეფხისტყაოსანი, 252,2); ... კვლა ერთი თვალი, სამსგავსო მზისა შუქ-მონამატისა, მას წინა ღამით ძალ-ედვის მ ხ ა ტ ვ არ ს ა ხ ა ტ ვ ა ხ ა ტ ის ა (იქვე, 1464,4); ... მათ სამთა თულთაჲან რომელიცა უკუნსა ღამესა დასდვი, ესრე ნათობდის, რომე მ ხ ა ტ ვ არ ი ხ ა ტ ს ა და ხ ა ტ ე ვ და (ამირანდარეჯანიანი, 200, სქოლიო, 2—3). ... მრცხენიანი... თუთ თაჳისა ჩემისაგანცა ესთენ, ვითა ველარა შევძლებ ხ ა ტ ის ა ჩემისა ხილვად (რუსუდანიანი, 275,19).

საბა წერს: „ხ ა ტ ი — მსგავსი სახე“², ხოლო ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ვკითხულობთ: „ხ ა ტ ი — სახე გამოწერილი, გამოხატული, образ, изобраз-жение, икона, лик“³.

* წაკითხულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1972 წ.

¹ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

² სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1948.

³ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

შუა საუკუნეებზე უფრო ადრე ხატი სამლოცველოსა (მოლენია) და ღვთაების („ხთიშვილის“), ხოლო ხატობა დღეობის, რელიგიური დღესასწაულის მნიშვნელობით ვერ დაავადსტურეთ. შემთხვევითი არ არის, რომ ხატის ასეთი მნიშვნელობა არც ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ჩანს.

შემდეგ ხატმა განივითარა ახალი მნიშვნელობები:

1. ადგილი, სადაც ხატი (იკონა) ასვენია, სალოცავი ადგილი (მოლენია).

2. ღვთაება, „ხთიშვილი“. ეს ასე იყო საქართველოს ბარში, აღმოსავლეთშიაც და დასავლეთშიაც. ვფიქრობთ, ამას დოკუმენტურად დადასტურებაც არ სჭირდება.

მანამდე ჩვენში (მთაშიაც და ბარშიაც) დღევანდელი ხატი-ის (მოლენია, божество) ნაცვლად გვქონდა სიტყვა **ჯვარი**, რომელიც, როგორც რელიგიური ტერმინი, ხატზე გაცილებით ძველია. ვ. თოფურია წერს: „საქართველოში, რამდენადაც სათანადო ისტორიული წყაროები ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, ჯვარი ქრისტიანობის გავრცელებას სდევს თან“⁴. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა, თუნდაც, ადიგენის რაიონის წყისის VI საუკუნის ქვა-ჯვარის წარწერა: „ესე ჟუარი ქრისტჳსი მე, კონსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე, სახელსა მცხეთისა ჟუარისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა ა, საცოდ ჩუენდა, ცოლისა და შვილთა. ნოემბერსა იზამენ“⁵.

3. ვ. თოფურია აღნიშნულ ნაშრომში შემდეგ წერს: „ისტორიული წყაროებით ქვა-ჯვართა დასაბამი საქართველოში მოქცევის პირველ ხანებს უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელებისთანავე ჯვარმა მოიცილა ფეხი. შემდეგში მის ადგილს იჭერს ტაძარი და, რაც საგულისხმოა, სწორედ ჯვარის ტაძარი. ამდენად, ჯვარის ტაძარი უშუალო გაგრძელებაა ჯვარისა თუ ქვაჯვარისა და ქვეყნის კულტურის აყვავების მაუწყებელია“⁶.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ ფხოვის, შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ შემდეგს გვაუწყებს: „ფხოველინ ჟუარი ის მსახურის არიან და ქრისტიანობას იჩემებენ“ (ქ. ცნა, II, III, 6). და მართლაც, ქრისტიანობის შესვლის შემდეგ მთაში სამლოცველოსაც (ნაგებობას) და სალოცავებსაც („ხთიშვილთ“) ჟვარი იწოდებოდა: ლაშარის ჟვარი, გუდანის ჟვარი, კაკმატის ჟვარი, კარატის ჟვარი, ანატორის ჟვარი... (ფშავსა, თუშეთსა და ხევსურეთში). ჟვარს უკავშირდება აუარებელი ძველი ტოპონიმი მთაში: დათვისჯვარი, ჟვართკორჯი, ჟვარჯიდი, ჟვარის ტყე, ჟვარისუბანი (ფშავი, ხევსურეთი), ჟორთანა, ჟორთკალო, ზემოჯორა (ხევი), ჟვარბოსელი, ჟვარის ქვიშები, ჟვარჩუა (ჯვართქუა) (თუშეთი) და ა. შ.

„საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის“ (1961 წ.) მიხედვით მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არ აღმოჩნდა არც ერთი დასახლებული პუნქტი, რომლის სახელის შემადგენელ ნაწილადაც შედიოდეს სიტყვა ხატი, სიტყვა ჟვარი კი ქართულ ტოპონიმიკაში (აღმოსავლურშიაც და დასავლურშიაც) ძალიან ხშირად გვხვდება: ჟვარი (ორ რაიონში), გომის ჟვარი, დიდი გარეჯვარი, დიდი გორიჯვარი, ვაკიჯვარი, კოდიჯვარი, მქალიჯვარი,

4 ვ. თოფურია, ქვა-ჯვარანი საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. IV, თბ., 1942, გვ. 30.

5 ა. შანშიძე, ძველი ქართული ქრესტომათია, ტფ., 1935, გვ. 25.

6 ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.



პატარა გარეჯვარი, საჯვარე, ცხეთისჯვარი, ჯვარზენი, ჯვართმუხა, ჯვარდნი, ჯვარისა, ჯვარისუბანი.

ისტორიული წერილობითი წყაროებითაც ეს ვითარება დასტურდება. სპეციალურად შესწავლილია დოკუმენტები X—XVIII საუკუნეებისა და ცალკე წიგნად გამოცემული (იხ. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის, I წიგნი, თბ., 1964 წ.). მასალა აზნაურად არის გაწყობილი, ანოტირებულია ტოპონიმის შემცველი დოკუმენტი და ნაჩვენებია მისი თარიღი. ამ საინტერესო და საპირო წიგნში ჯვარი ტოპონიმად ჯერ კიდევ 1058 წელს იხსენიება: სოფელი ბორცვის ჯვარი 1058 წელს ბაგრატ მეოთხეს შიომღვიმის მონასტრისათვის შეუწირავს. (იხ. სტატია: მანგლის-ქვეი, გვ. 137). აი, დანარჩენი ტოპონიმები, რომლებიც სიტყვა ჯვარს შეიცავენ: ბოცოს ჯვარი (1398 წ.); გარეჯვარ-ბაკურსუბანი (1348 წ.), გარეჯვარი (1535), გომიჯვარი (1658), გორისჯვარი (1590, ეკლესია), გორიჯვარი (1634, სოფელი), ზედაჯვარი (1689), კეხისჯვარი (1467, 1658), ლაშარის ჯვარი (XVII ს.), მარიამჯვარი (1579), რკინის ჯვარი (1515, 1535), საჯვარე (1688), ტყემავარის ჯვარი (1614), ფარის ჯვარი (1636), ციხიჯვარი (1564—1579), ძღვევისჯვარი (1579), წიფლისჯვარი (1615), ჯვარა (1398), ჯვარდამწვარი (1658), ჯვარი||ჯვარი (1964, 1477 და ა. შ.), ჯვარი (XVII), ჯვარი (მონასტ. 1398 და ა. შ.), ჯვარი (ქართველთა მონასტერი იერუსალიმში) (1666, 1683), ჯვარისა (1579), ჯვარისა (სოფ., 1660), ჯვარისუბანი (1492), „ჯვარის ქრისტე“ (1614), ჯვარ-ნასოფლარი (1579), ჯვარული გორა (1559). ხომ არ არის ადამიანთა-ც (1622) ოსურად გადაღებული ქართული ახალაჯვარა? ამ უქანასენელის გამოკლებით სულ ოცდაათი ტოპონიმი.

XV საუკუნიდან დოკუმენტებში ხატიც ჩანს ტოპონიმად. ხატისწობენი|| ხატის-წობენა (1477, 1505 და ა. შ.), ხატის-სოფელი (1665), ხატის მიწა (1681), ხატის-კარი (1579), ხატის თელეთი (1693). ოცდაათის წინააღმდეგ მხოლოდ ხუთი ტოპონიმი და ეს სრულიად ბუნებრივი შეფარდებაა: უძველესი ტერმინი (ჯვარი) ადრე დამკვიდრდა ქართულ ტოპონიმოკაში, რადგან მან გაცილებით ადრე მიიღო სამლოცველოს მნიშვნელობა, ხოლო ხატი ამ მნიშვნელობას გაცილებით გვიან იღებს და, ბუნებრივია, ქართულ ტოპონიმოკაში იგი ჯვარსაც ვერ ვრცელდება.

მთის ხალხურ პოეზიაში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სიტყვა ჯვარი და ჯვარობა:

ხევისურული: ... ომათა ნათელისძესა მოხევა გუდანის ჯვარიო (ხევს. პოეზ., 12,11); ... (ხევსურნო) წინ ვიდვასთ გუდანის ჯვარი, ყვიროდა ქარებულასა; მოგყვებისთ ჯაჭმატის ჯვარი, ტიროდა ქალეპურასა (ხევს. პოეზ., 171, 2—3); ... ლაშქრობა დაუგვიანდა ლაღსა გუდანის ჯვარსაო (ხევს. პოეზ. 37,1); ... ვინ იჯე ლორღლოვანასა? ვაგიწყრ კარატის ჯვარიო (ხევს. პოეზ. 2,16); ... ადგიან, ვაუმართინან, ვახევა არხოტის ჯვარიო (ხევს. პოეზ., 199,5); ... სიკვიდისა შუქიასას იწყენს წყალ-შუის ჯვარია (ხევს. პოეზ., 532,2).

ფშაური: ... ომუჩვეველსა კაბუქსა ომი ჯვარობა ეგონა (რაზიკ., III,52,12); ..ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია, ტანთ ნათხოვარი აცვია; ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის მკაშია (ვაჟა, V; 306); ... შავკერე ფაფანავაი, წამოვალ ჯვარობაშია (რაზიკ., III, 215,11); ... ნეტარ ველარ მიუსწრობთა დამსტეში ჯვარობასა? (რაზიკ., III, 168,17);

რომ აღრუ ბარშიაც ჯვარობას ამბობდნენ, ამას დ. გურამიშვილი გვი-
დასტურებს:

... მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორის უბანსა,
ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცვამდენ არ ავს ჯუბანსა
(„დავითიანი“, 72, 324,2).

ბარში ჯვარი ხატ-მა შეცვალა, მთაში კი, კერძოდ ხევსურეთში, დღემ-
დე დარჩა ტერმინი ჯვარი. სწორად არის ასახული ეს ვითარება „ქართული
ენის განმარტებით ლექსიკონში“:

ჯვარი 5. კუთხ. (ხევს. ფშ.) „იგივეა, რაც ხატი“ (მნიშვ. ვ).

ხატი 3. „წარმართული ღვთაება, რომელიც თითქოს მფარველობს მთელ
თემს ან ცალკეულ გვარს (სინონ. ხევს. ჯვარი)“.

ჯვარობა კუთხ. (ხევს. ფშ.) „რომელიმე სალოცავის დღეობა, — ხატო-
ბა“. ხატობა ძვ. რელიგ. „ხატის დღე; დღეობა, ხატის დღესასწაული, —
ჯვარობა“.

აქ საჭიროა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მთაში ხატი
არც წარმართულ სამლოცველოს ერქვა და არც ქრისტიანულს. ეს ტერმინი
„ბარიდან“ შევიდა მთაში გასულ საუკუნეში. მთაში სამლოცველოს, სადაც
ჯვარი ესვენა, — ჯვარი ერქვა, სალოცავ ღვთაებასაც ჯვარს ეძახოდნენ.
ასე იყო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ-
ლოცველოში ღვთისმსახურება დღემდე ნახევრად წარმართული დარჩა.

რა წარმართული ტერმინი შეცვალა ქრისტიანულმა ჯვარ-მა ძნელი სა-
თქმელია. სავარაუდოა, რომ ცალკეულ ლოკალურ სალოცავს თავისი სახელი
ჰქონდა (კობალა, იაკსარი, კვირაე...)⁷.

სიტყვა ხატი მე-18—19 საუკუნეებში ბარის მოსახლეებზე მთის რაიონ-
ებშიც (ფშავი, მთიულეთი) გაჩნდა „სამლოცველოსა“ და „სალოცავის“ მნი-
შვნელობით, ხევსურისთვის კი ხატი დღემდე არის მხოლოდ ჯვარედინი სა-
განი (ნაქარგი და მისთ.).

მე-19—20 საუკუნეებში ქართულ მწერლობასა და მეცნიერებაში მოხდა
უცნაური რამ: მთაში ოდითგან დამკვიდრებული ტერმინი ჯვარი თარგმნეს
ხატად: ფშავ-ხევსურეთის ხატები, ლაშარის ხატი, გუდანის ხატი... და შე-
იქმნა მცდარი აზრი, თითქოს მთიელები თავის ღვთაებებსა და სამლოცველოებს
ათადან-ბაბადან ხატს უწოდებდნენ.

ამ მცდარმა აზრმა ზოგი გაუგებრობა გამოიწვია მეცნიერებაში და დღე-
საც იწვევს. ჩვენ ქვემოთ ორიოდე მათგანზე შევჩერდებით.

I. ჩვენი სასიქადლო მეცნიერი აკად. კ. კეკელიძე „მარტილობაჲ შუშა-
ნიკისი“-ს ტექსტზე მსჯელობისას ედავება პ. პეტერსს და წერს: „P. Peeters
захотел восстановить в нем (შუშანიკის მარტილობის ტექსტში—ა. კ.) неко-
торые, измененные по его предположению, впоследствии формы. Но это
не всегда ему удаётся. Например, в предложении „ხატი დაამუ“ он „ხატი“
хотел исправить „тахти“. Но он не учёл, что хабти персидское слово, ко-
торое не могло быть(?) в произведении V века, его нет в Библии. В дан-
ном случае хატი значит не „икона“, как обыкновенно переводят это

⁷ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое гра-
фическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1977.

слово, а „молеельня“, „молитвенное место“, где справится какое-либо праздничное торжество. В таком смысле это слово бытует теперь пережиточно у некоторых горских грузин*8. (ხაზი აქაც და ჭვემოთაც ჩვენია,—ა. ჰ.).

აი, ადგილი შუშანიკის წამებდიან, რომელსაც ეხება პოლემიკა. გამოძინვარებული ვარსკენი ამბობს: «რამა კელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესე-ვითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: „შენ ჩემი ხატი დაამქუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წასრულ ხარ.

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამქუ. ხოლო მამამან შენმან აღმმართან სამარტკლენი და ეკლესიანი აღაშენა, და შენ მამისა შენისა საქმენი განპყუენ და სხუად გარდაქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახილ თვსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნე: მან ღმერთი ცათა და ქუეყანისა აღიარა და პრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყავ“ (IV).

ჩვენ მიერ ხაზგასმული ადგილი აკად. კ. კეკელიძეს ასე აქვს ნათარგმნი: „...ты разрушила молеельню мою и ложе моё посылала пеплом, ты оставила своё обиталище и удалилась в другое место“9. ამ კონტექსტში ხატი „молеельня“ ვერ იქნება რამდენიმე გარემოების გამო:

1. ხატის ეს მნიშვნელობა, როგორც ზემოთაც ითქვა, ძველ ქართულში არ არსებობს. იგი ჩნდება საშუალო საუკუნეებში, ჩვენ კი საქმე გვაქვს V საუკუნის ძეგლთან. არც ქართველ მთიელთა დამოწმება გამოგვადგება: სწორედ ქართველ მთიელებში გაჩნდა ეს მნიშვნელობა ყველაზე გვიან, ზოგან კი იგი ჯერაც უცნობია.

2. გამაზღვინებული ვარსკენი ჯერ კიდევ არ იყო მოსული სასახლეში, როცა შუშანიკმა მიატოვა იგი. რა მავღვიანური სამლოცველო (МОЛЕЛЬНЯ) უნდა ჰქონოდა ვარსკენს, რომ შუშანიკს იგი დაემხო, დაუნგრა? ცხადია, ქრისტიანულ სამლოცველოზე აქ საუბარი არ არის, მავღვიანური კი ჯერ არავის აღუშენებია.

3. იაკობ ტურტაველი ყველაფერს მოგვეთხრობს, რაც შუშანიკმა ამ დროს ფიზიკურად მოიმოქმედა ან სულიერად განიცადა. რისამე დამხობა-დანგრევაზე თხზულებაში საუბარი არ არის სწორედ იმიტომ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა.

4. შუშანიკის წამებაში სიტყვა ხატი სხვაგანაც არის ნახმარი და იგი აშკარად სახეს, პირისახეს ნიშნავს: „და ვითარ შევედ შინა, — გვიამბობს იაკობ ხუცესი, — ვიხილე ხატი მისი (შუშანიკისა — ა. ჰ.). და ბძარული და განსივებული“ (VII,11). ეს ადგილი თვითონ აკად. კ. კეკელიძეს უთარგმნია როგორც სახე, ლიცი: „Войдя, я увидел лицо её растерзанное и опухшее“ (გვ. 21).

* К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агнографической литературы, Тбилиси, 1956, გვ. 12. („შუშანიკის წამებაში“ ხატის ასე გაგების ფაქტზე მიგვიითია დოქ. რ. სირაძემ).

⁹ იქვე, გვ. 19.

5. სადავო ადგილის ხატი სახედ აქვს განმარტებული ძველი ქართულ-ლექსიკის დიდ მცოდნეს პროფ. ი. აბულაძეს.

ეს ასეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოყვანილი ადგილი საკმაოდ ბუნდოვანია, და ესაა სწორედ აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი, ამიტომ გაჩნდა „ტახტი“ „ხატის“ ნაცვლად ხელნაწერსა და პეტერბურგის გამოკვლევაში.

ვარსკვლავის სიტყვები: „საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ“ ხატოვანი თქმაა, რაც შეიძლება ასე „ეთარგმნოთ“: საწოლი შემვიგინე. ამის კვალობაზე „შენ ჩემი ხატი დამკუ“ აგრეთვე უნდა გავიგოთ, როგორც ხატოვანი თქმა: შენ მე (ჩემი სახე, პიროვნება) მიწასთან გამასწორე (შეურაცხყოფა მომყენე). სრულად: შენ მე მიწასთან გამასწორე, საწოლი შემვიგინე.

მთლად ნათელი არ არის შუშანიკის პასუხის პირველი წინადადების აზრი: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამკუ“. სავარაუდოა, რომ აქაც უბრალოდ საგნის აღმართვა-დამხობაზე კი არ არის საუბარი, არამედ მალაღმსახურული აზროვნების ნიმუშთან გვაქვს საქმე. წინადადება პირვანდელი სახით მოღწეული მაინც არა ჩანს. ექვს აღძრავს - მცა ნაწილაკი. შუშანიკი მომდევნო წინადადებას „ხოლო“-თი იწყებს (ხოლო შენ ესა და ეს ვააკეთო), რაც გვაფიქრებინებს, რომ პირველ წინადადებაში იყო თავის მართლება, ვთქვათ, ასეთი: შენი სახე ჩემი „აღმართული“ იყო (შენს ჩემთვის არსებობდო ისეთი, როგორც იყავი) და მე უარყავ იგი „დავამკუ“ — შუშანიკი ვარსკვლავის სიტყვას იმეორებს, რამეთუ ჩემი წარმოსახვის, ჩემგან მიღებული (და მოწონებული) ხატის, (სახის) უარყოფა („დამკობა“) მევე ტელშიწვივებოდა, ხოლო შენ მამაშენის რწმენას უღალატე, შენ შენი „შემოქმედი“ უარყავ და მეც ამიტომ შეურაცხყავიო. თუ ამ გაგებას მივიღებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სადავო წინადადებას ჰქონდა ასეთი სახე: ა) „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი, მემცა არა დავამკუ“ (ჩემგან შექმნილი რომ არ ყოფილიყო ის სახე, არ დავამხობდი) — ასეთი წაკითხვა - მცა ნაწილაკს გააძარცვებდა. ბ) შეიძლება ზმნა „აღმემართა“-ს აკლდეს კითხვითი ნაწილაკი: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი...“, მაშინ „მემცა“-ს ნაცვლად „მემცა“ უნდა ვივარაუდოთ... მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. შეიძლებოდა კიდევ ასეთი ვარაუდი: აქ საუბარია ვარსკვლავის ხატზე, სურათზე თუ გამოსახულებაზე, რომელიც შუშანიკმა შეაქმნევინა, ხოლო მრისხანების უამს „დავამკუ“. მაგრამ ტექსტის ასე პირდაპირ გაგება არ ეგუება ვარსკვლავის იდიომატურ თქმას: „საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ“. სრულიად განსხვავებულ აზრს ანიჭებს ამ ფრაზას აკად. კ. კეკელიძე მისეულ თარგმანში: „Я разрушила моленную, которую сама воздвигала?“ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ моленная („ხატი“) აქ არ შეიძლება იყოს. ამას გარდა კითხვითი წინადადება ლოგიკურ კავშირს კარგავს მომდევნო წინადადებასთან, რომელიც ასე იწყება: „ხოლო შენ“. ერთიც: თუ ეს ასეთი შინაარსის კითხვითი წინადადებაა, ქართულ ტექსტშიაც უნდა ჩანდეს ეს კითხვითობა.

„შუშანიკის წამება“ ჩვენი დამწერლობის უძველესი ძეგლია და, ბუნებრივია, რომ მასში ბევრი რამ იყოს გადამწერთა ლაღუსიცი და ინტერპოლატორთა ცოდვა. ერთ-ერთი ასეთი „შერყენილ“ ადგილთაგანი უნდა იყოს სადავო წინადადებაც.

ჩვენთვის კი ამჯერად არსებითი მაინც ის არის, რომ „შუშანიკის წამებაში“ ნახმარი „ხატი“ სამლოცველო ან სალოცავი არ შეიძლება იყოს.



II. უტრნ. „მაცნეს“ 1972 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა მისი მიხეილ ჩიქოვანის ვრცელი წერილი ოსური „ხათიგაუ“ და ქართული „ხატის ენა“ (გვ. 67—80). ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოსურ ნართულ ეპოსში დადასტურებული ტერმინები „ხათიგა ვეზაგ“ („ხათიური ენა“) და „ხათიგაუ“ (ზუსტი თარგმანი იქნება „ხათიელივით“ ანუ „ხათიურად“) არის ხევსურული „ხატის ენა“-ს კალკი (გვ. 73).

„ხათიგა ვეზაგ“-ს რჩეული ნართები იყენებენ, როგორც საიდუმლო და მაგიურ ენას, ამ ენაზე რომ დაილაპარაკებენ, დაკეტილი კიღობანი იხსნება და სხვ. და სხვ.

„ხათიგა ვეზაგ“ და „ხათიგაუ“ აკად. ვ. მილერს, ა. თიბილოვს, პროფ. ბ. ალბოროვს და ვ. გაგაკაევს აუხსნიათ, როგორც „ხეთური“, „ხათური“.

რ. პენიგი, ვ. თოთროვი, ა. ბიზიროვი და ტ. გურიევი ამ სიტყვის „ხატათს“ უკავშირებენ. ზოგ ამ ავტორთაგანს მონოგრაფიულად შეუსწავლია დასახელებულ ტერმინებთან დაკავშირებული საკითხები¹⁰.

მ. ჩიქოვანი წერს: „ვეფქრობთ, „ხათიგაუ“-ს ასახსენლად ზედმეტია ასე შორეული ექსკურსიები, ძირითადი წყარო თვითონ კავკასიაში, ოსების უშუალო მეზობლად არის საძიებელი. ეს წყაროა სასაუბრო ქართული ენა და მისი მთის დიალექტები, მითოლოგია და ფოლკლორი.“

„ხათიგა ვეზაგ“-ის პირდაპირი შესატყვისია საქართველოს მთიანეთში ტრადიციულად დამკვიდრებული „ხატის ენა“ ანუ „ჯვართ-ენა“, ოსური გამოთქმა ქართულის კალკია, სიტყვისიტყვი თარგმანია“ (გვ. 73—74). ავტორი განაგრძობს: „ხატის მოენებელ მიჩნეულ ქადაგებს ჰქონდათ სწორედ შემუშავებული ის სპეციალური საღმრთო ენა, რომელსაც ხალხი დღესაც ხატის ანუ ჯვარის ენას უწოდებს და რიტუალშიც გამოიყენება. წარმოშობით ეს საკულტო ენა მოქცევაშედეგია (IV ს.), რადგან ქრისტიანობას მისი შეზღუდვა-მოსპობა თუ შეეძლო მხოლოდ“ (გვ. 76—77).

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ „ხატი“ სალოცავის, ღვთაებისა და სამლოცველოს მნიშვნელობით არათუ ქრისტიანობამდე, არამედ მას შემდეგაც, გვიან საუკუნეებამდე, არ არსებობდა ქართულში და, ცხადია, არარსებულს ვერც ოსები ისესხებდნენ და ვერც ვინმე სხვა. მთაში არსებობდა ჯვარი („სალოცავი“, „ღვთაება“, „სამლოცველო ადგილი“) და ეს სიტყვა ისესხეს კიდევ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა.

ქართულიდან სიტყვა „ჯვარი“-ს ოსურში გავრცელების ბევრი მაგალითი (სხვათა შორის, თავისი „ხატი“-ს საზიანოდ) მოჰყავს თვითონ მ. ჩიქოვანს. ცხადია, ქართულიდან არის ოსურში შესული ტერმინები ძუ არ და ძუ არალაღ, ტოპონიმები: ავღ ძუ არ „შვიდი ჯვარი“, „შვიდი სალოცავი“, „შვიდი ღვთაება“, მათ ძუ არ „მათეს ჯვარი“, ძუ არ იყაუ „ჯვარის სოფელი“, ძირი ძუ არ „ძირის ჯვარი“, საუ ძუ არ „შვიდი ჯვარი“, ძასაძუ არ „ჯვარის უკან“, ღუღ-ძუ არ, მადიზანი ძუ არ „მდიზონის ჯვარი“, რეკომი ძუ არ... (გვ. 76—78).

ოსურში გავრცელებული ეს ქრისტიანული სიტყვა-ტოპონიმები ადრევე შენიშნეს მეცნიერებმა და ეს იმის დამატებითი საბუთია, რომ სიტყვა ხატი

¹⁰ სათანადო ლიტერატურა პროფ. მ. ჩიქოვანს აღნიშნულ წერილში აქვს დასახელებული და დაინტერესებული მკითხველი ამ ლიტერატურასაც და მის ჩიქოვანისეულ დაფასებასაც იქ იპოვის.

ოსურისათვის უცნობია ისევე, როგორც უცნობი იყო იგი ღვთაების მნიშვნელობით ქართულში გვიან საუკუნეებამდე.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ისიც არის ცნობილი, რომ ეს სიტყვა ჯ არ, ჯ გ რ-ის ფორმით შესულია ბალყარულ-ყარაჩულში (ვ. აბაევი), რომ აქედან არის წარმომდგარი ქისტური სოფლის სახელი ჯ არ ე გ ო („ჯვართანა“). ტომონიმი ინგუშეთში ჯ არ ი ა ხ ი (თ. გონიაშვილი) და სხვა, მაგრამ ხ ა ტ ი სალოცავის მნიშვნელობით არც ამ ხალხების ენაში დაუდასტურებია ვინმეს.

ახლა თვითონ ტერმინ „ხ ა ტ ი ს ე ნ ა“-ზე, რომლის პირდაპირი თარგმანიც მ. ჩიქოვანის მტკიცებით არის ოსურ ნართულ ებოსში დადასტურებული „ხათიავ პუზავ“. მთავი, კერძოდ ხეცურეთში, რომელსაც მ. ჩიქოვანი იმოწმებს, ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს ა რ ც „ხ ა ტ ი“ და ა რ ც „ხ ა ტ ი ს ე ნ ა“ და, როგორც ზემოთ ვნახეთ, არც შეიძლება იგი არსებობდეს. ხეცურეთში არის გამოთქმა „ჯ ვ ა რ თ-ენ ა“, „ხ თ ი შ ვ ი ლ თ ე ნ ა“, რასაც ჩვენი ღროის მკვლევარები „ხატის ენა“-დ თარგმნიან (გაუგებარ „ჯვარ“-ს გასაგები „ხატი“-თ ცვლიან ხოლმე).

არც რ. ერისთავს, არც გ. რადდეს, არც ვაჟა-ფშაველას, არც ვ. ბარდაველიძეს და არც სხვა მკვლევარს არ უთქვამს, რომ არის ტერმინი „ხატის ენა“, რაც ამას და ამას გულისხმობს. რ. ერისთავმა მის მიერ ჩაწერილ ქადაგობის ტექსტში ორადორი ტერმინი ახსენა ამ ეგრეთწოდებული „ენიდან“, იგივე გაიმეორა რადდემაც. რაღაც საიდუმლო თუ მაგიურ ენაზე არც ერთ მათგანს არაფერი უთქვამს.

დიდ პოეტსა და მთის საუკეთესო მცოდნეს ვაჟა-ფშაველასაც მხოლოდ ტერმინები აქვს დადასტურებული და განმარტებული, არც მას უთქვამს სადმე, რომ ხალხი ამას ეძახის „ხატის ენას“ ან „ჯვართ-ენას“.

თვით მ. ჩიქოვანის მიერ მოხმობილ თ. რაზიკაშვილისეულ სალექსიკონო მასალებში (1892 წ.) საუბარია „ქადაგ-მკითხავთა“, „მკითხავ-ქადაგთა“, „მკითხავ-ხევისბერების“ ენაზე (გვ. 75) და არა „ხატის ენაზე“.

რას წარმოადგენს თვითონ „ჯვართ-ენა“? მცდარია გავრცელებული აზრი, თითქოს „ჯვართ-ენა“ იყოს რაღაც საიდუმლო, წმინდა, ღვთაებრივი, მაგიური ენა. ამ „ენაში“ გულისხმობენ ასიოდ სიტყვას, რომელთაც ხევისბერი თუ ქადაგი, მკითხავი თუ მესულთანე ურთავდა ხოლმე თავის „ქადაგობაში“, „ხუცობაში“ თუ „ნასულთანარში“. ეს სიტყვებიც ცნობილი იყო თითქმის ყველა სრულსაკოვანი ხეცურისათვის, ყველამ იცოდა, რომ, მაგალთად, ფ ე რ უ გ ლ ე ლ ნ ი „წიწკოვანი მცენარეებია“, ო ქ რ ო ს ბ უ რ თ ვ ი, „ვავი-შილია“, ბ უ ლ ა უ რ ი „ხარია“, კ ი კ ი ნ მ ა ლ ა ლ ო „თხაა“ და ა. შ.

„ჯვართ-ენის“ წარმოშობის შესახებ საჯებები გასაზიარებელია თ. ოჩიაურის დასკვნა: „ჯვართ ენის“ წარმოშობის ერთი მიზეზთაგანი საქებარია ჯვარის ზებუნებრიობისათვის ხაზგასმის სურვილში და აქედან ამ ენის შემქმნელ ქადაგთა მიერ თავისი საკუთარი მდგომარეობის განმტკიცების ცდაში“¹¹.

ამრიგად, ეს არის არა რაღაც ღვთაებრივი, საიდუმლო და მაგიური ენა, არამედ „მაღალი შტილი“, რითაც თავს იწონებდნენ ქადაგ-ხუცესნი. ხალხს ეს ესმოდა და ზოგჯერ აქილივებდნენ კიდეც ამ „შტილს“. აი, რას ამბობს ერთი ხეცური მეღელქე:

11 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, 33-135.

... რაჲ ხელობა ვერ ვიცი რა წასვლა მინდა სხვათაჲ?
„ბულაურობით“ ქარს უნდა, „პირის საბანზე“ ცხეარსთანა,
„ჩქა-ჩანგიაზედ“ ვერძს უნდა, „იკინმაღალზე“ თხასთანა...

(ხევს. პოეზ., 667, 6—8).

ასე რომ, ოსური „ხათიაგ ავზაგ“-ის გამოყვანა არარსებული „ხატის ენა“-დან შეუძლებელია.

რაც შეეხება ნართების ოსურ ეპოსში დადასტურებულ გამოთქმა „ხათიაგ ავზაგ“-ს და „ხათიაგაუ“-ს, ძალიან საყურადღებო ჩანს რ. ჰენიგის, ვ. თოთროვის, ა. ბიანიროვისა და ტ. გურიევის მიერ ხათ-ძირის დაკავშირება ხატაეთთან, ჩინეთთან (მდრ. ქართული, სადაც „ჩინური“ გაუგებარს ნიშნავს).

არაფერი აქვს დასაწერი „ხათიაგაუ“ სიტყვის გურიევისეულ ლინგვისტურ ანალიზს: ხათ-ძირია, ავ მაწარმოებელი, ადიქტური სუფიქსი, რომელიც ქართული ულ-ს ან -ურ-ს უდრის, ხოლო -აუ ოსური ენის მეცხრე, მიმსგავსებითი (упадобительный) ბრუნვის ნიშანი.

ამას გარდა (და ეს მთავარია) მიხ. ჩიქოვანს სამხრული ოსურიდან მოაქვს რამდენიმე მაგალითი „ხათიაგაუ“ და „ხათიაგ ავზაგ“ სიტყვების ხმარებისა და სათანადო ფრაზების ი. კავკაზაგის მიერ შესრულებული სიტყვასიტყვითი თარგმანი (სხვათა შორის, მდრ. ხათიაგ — ხატაელი, კავკაზაგ — კავკასიელი).

აი, ორი მათგანი: უმან ია იუ უს ხათიაგ უდ „მისი ერთი ცოლი ხათიელი იყო“; უმან ია ხათიაგ უს აფთა ძურე „მას მისი ხათიელი ცოლი ასე ეუბნება“ (გვ. 71).

რას გვეუწყებს ეს მაგალითი? იმას, რომ „ხათიაგ“ ეთნონიმი და, რომ ოსურში „ხათიაგ ავზაგ“-ის გარდა არსებობს ხათიაგ უს — ხათიელი ცოლი“. ხომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „ხათიაგ უს“-იც ქართულის კალკია, რომ იგი ქართული „ხატის ცოლი“-ს პირდაპირი თარგმანია? ამრიგად:

1. სიტყვა „ხატმა“ ერთ-ერთი დღევანდელი მნიშვნელობა („სამლოცველო“, „სალოცავი“, „ღვთაება“) მხოლოდ საშუალო საუკუნეებში მიიღო. ხევსურულში ეს სიტყვა ასეთი მნიშვნელობით არ არსებობს (მას იქ ტერმინი ჯვარი ცვლის). ამდენად, ძველი ქართულისა და ხევსურულის დამოწმებით (ჯ. კეკელიძე) „შუშანიკის წამებაში“ ნახმარი „ხატი“ არ შეიძლება იყოს სამლოცველო (молельня).

2. ხევსურეთში არ არსებობს გამოთქმა „ხატის ენა“. ეს გამოთქმა ხევსურული „ჯვართ ენის“ ახალი „თარგმანი“ა. ამდენად, ოსური ნართული ეპოსის ტერმინების „ხათიაგაუ“ და „ხათიაგ ავზაგ“-ის ახსნა ვითომ ხევსურული „ხატის ენის“ მეშვეობით (მ. ჩიქოვანი) შეუძლებელია.

3. ოსური ნართული ეპოსის ტერმინებში „ხათიაგაუ“ და „ხათიაგ ავზაგ“ „ხათიაგ“ ეთნონიმი ჩანს. ამას ადასტურებს სამხრულ ოსური „ხათიაგ უს“ („ხათიელი ცოლი“).

4. მართლნი ჩანან რ. ჰენიგი, ვ. თოთროვი, ა. ბიანიროვი და ტ. გურიევი, რომელნიც თვლიან, რომ „ხათიაგაუ“ ხატაურა (ჩრდილო ჩინურს) ნიშნავს (მდრ. ქართ., სადაც გაუგებარ სიტყვას თუ ლაპარაკს „ჩინურს“ უწოდებენ).

საქართველოს სსრ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

აზვაკო ჭაალვა

„ჩრდილ-“ ცნების შემცველი საერთო-ქართველური
 ტოპონიმები და ზოგი რამ ტოპონიმიკურ
 შესატყვისობათა შესახებ¹

IV²

გეოგრაფიული პუნქტების სახელდებისათვის ქართული დიალექტების ტოპონიმიკაში საკმაოდ გავრცელებული ტერმინია „მზვარე“ და „ჩრდილი“. ქართულ ტოპონიმიკურ ლიტერატურაში ამ საკითხზე პირველად ს. ჯიქიამ გაამხვილა ყურადღება და დაასკვნა, რომ „... „მზვარე“ (ან მისი დიალექტური ფორმა „ზვარე“) და „ჩრდილი“ სიტყვები საქართველოში გავრცელებული იყო დიდი ხნიდან, როგორც ტექნიკური ცნებები გეოგრაფიული პუნქტების ტოპოგრაფიულად განსასაზღვრავად“³.

წინამდებარე ნაშრომიც ქართველურ ენებში „ჩრდილ-“ ცნების შემცველ მარტივფუძიან (resp. მარკირებულ და არამარკირებულ) საზოგადო და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საერთო ამოსავალი ფორმის (resp. არქეტების) დაშვებასა და საერთო-ქართველური ტოპონიმიკური შესატყვისობების დადგენას ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისით ქართველური ტოპონიმების კვლევა-ძიება ძირითადად ორ ასპექტს მოიცავს: ლინგვისტურსა და ტოპონიმიკურს. თითოეული ენისა თუ დიალექტისათვის საილუსტრაციოდ მოხმობილია მრავალთაგან მხოლოდ საერთო ფუძის შემცველი ტოპონიმები.

საერთო-ქართულში⁴ შემჩნეულია ფონეტიკურად მეტ-ნაკლებად განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად იდენტური და გენეტურად ერთი წარმოშობის ტოპონიმები: ჩ რ დ ი ლ ი, ჩ ი რ დ ი ლ ი, ჩ ი დ ი ლ ი, ჩ დ ი ლ ი, ჩ თ ი ლ ა, შ ტ ი ლ ე, ს ა შ ტ ი ლ ე (//ს ა შ ტ ი ლ ი ე), ჩ ე რ ო, ჩ ე რ ე ლ ე თ ი, ჩ ა ო //ჩ ა ვ ო⁵.

მოხმობილი საერთო-ქართულის ტოპონიმები სტრუქტურული თვალსაზრისით ორ განსხვავებულ მოდელს ქმნის. პირველ მოდელში განიხილება ის

¹ საერთო-ქართველურია ტოპონიმი, რომლის ფუძეც, მიუხედავად მისი ქრონოლოგიური რელაციისა და წარმოშობისა, საერთოა ორი ქართველური ენისათვის მაინც.

² ეს ნაშრომი გავრცელებულია წერილებისა: 1. რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძის მქონე ტოპონიმის ისტორიისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1974, № 3; 2. სვანეთის ტერიტორიაზე არსებული ზოგი -ონ ტოპოფორმანტიანი გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზი, თსუ შრ., VIII—IX, თბ., 1974; 3. შიშვილ-სა და ფოშვილ-ის შემცველი ტოპონიმების ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, კრ. „ტოპონიმიკა“, I, თბ., 1976.

³ ს. ჯიქია, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრ., 41, თბ., 1950, გვ. 187.

⁴ საერთო-ქართულით, ანალოგიურად საერთო-ქართველურისა, საერთო-სვანურისა და საერთო-ზანურისა, აღენიშნავთ ისეთ ტოპონიმებს, რომელთათვისაც ამოსავალი ფუძე, იქნება იგი ტოპონიმიკური თუ საზოგადო სახელი, საერთოა ქართულის სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში ლოკალიზებული ყველა ტოპონიმიისათვის.

⁵ ფლექსიურ-დერივაციულაფიქსებოანი ყველა ტოპონიმი, რომელთა რიცხვი საკმაოდ ბევრია, საილუსტრაციო მასალაში არ შევიტანეთ. სანაწიზო მაგალითად არ გამოდგება ტო-

ტოპონიმები, რომელთაც ძირეულ მორფემებად გამოეყოფა: ჩრდ- (ჩ რ დ ილი — იმერ., ქართლ., გურ., აჭარ.)⁶; ჩირდ- (ჩ ი რ დ ილი — აჭარ., ხევს., თუშ.)⁷; ჩიდ- (ჩ ი დ ილი — აჭარ.)⁸; ჩდ- (ჩ დ ილი — აჭარ., ქართლ., იმერ.)⁹; ს ჩ ა რ დ ი ლ ე — გურ.)¹⁰; ჩთ- (ჩ თ ი ლ ა / ჩ თ ი ლ ე — გურ., აჭარ.)¹¹; შტ- (შ ტ ი ლ ე / ს ა შ ტ ი ლ ე / ს ა შ ტ ი ლ ი ე — გურ.)¹². ჩამთვლილ ტოპონიმებში -ილ ფორმანტის გამოყოფას ისტორიული თვალსაზრისით დაბრკოლება არ უნდა ახლდეს. ძველი ქართულის ტექსტებში „ჩრდილის“ პარალელურად „სიჩრდილეს, ჩეროს“ აღმნიშვნელად დასტურდება „სიჩრდოც“: „დასხდეს ს ი ჩ რ დ ო ს ა ქუეშე ზლუდისასა“¹³, „განციგნის იგი ს ი ჩ რ დ ო ა ს ა გ ა ნ ღრუბლისა“¹⁴.

პირველი მოდელის ძირეული მორფემების ეტიმოლოგიური ძიება მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ვ. თოფურის აზრით, ჩირდ- ძირეულ მორფემაში ი ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი¹⁵. ს. ქლენტი იმავე პოზიციაში ი ხმოვნის წარმოშობას აქცესიურ კომპლექსთა წარმოთქმის თავისებურებას უკავშირებს¹⁶. ვ. თოფურის ვარაუდით, ჩ ერ ო -სთან ჩ რ დ ი ლ -ფუძის შეპირისპირება „ე-ს ამოღებასა და -დ-ს სუფიქსობაზედაც მიუთითებს“¹⁷, ზოლო თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს ქართული დიალექტური ჩირდ- / ჩიდ- სრულხმოვნიათი მორფემებისათვის ამოსავალ ფორმად *ჩრ-დ- მიაჩნიათ.

პონიმი ჩილდირი, რადგანაც იგი „გადათურქებული გამოთქმაა ქართული სახელისა ჩ რ დ ი ლ ის ტა“ (იხ. ს. ჯიქია, ხსენ. ნაშრ., გვ. 192), ზოლო ლ. ბერიძის მიერ მთიულურისათვის აღნიშნული ჩ ი რ დ ი ლ ი, უბრალოდ, კალმის შეცდომა უნდა იყოს (იხ. მისი: მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 98). მთიულურში „ჩრდილის“ აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „ჩირდილი“ (იხ. ლ. კაიშაძე, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 244).

6 ჩ რ დ ი ლ - ფუძის შემცველი გეოგრაფიული სახელები, ვაფორმებული სხვადასხვა სახის აფიქსებით, ქართული ენის დიალექტების ტოპონიმიში თითქმის ყველგან გვხვდება, ამდენად წყაროების მითითება საჭიროდ არ ევანით.

7 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958, გვ. 237 (შმდგ.: ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ტოპონიმია, I ან II); ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 13; ს. ჯიქია, ხსენ. ნაშრ., გვ. 187.

8 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ტოპონიმია, I, გვ. 237; II, გვ. 185.

9 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ტოპონიმია, II, გვ. 185; მისივე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია), საქ. ისტ. გეოგრ. კრებული, II, თბ., 1964, გვ. 163; ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 379; ს. ჯიქია, ხსენ. ნაშრ., გვ. 186.

10 რ. ძნელაძე, ჩონატაურის რაიონის ტოპონიმის ისტორიისათვის, სადილომო ნაშრომი, თბ., 1972, გვ. 101, 118 (ინახება ტოპონიმის ლაბორატორიაში).

11 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია), საქ. ისტ. გეოგრ. კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 121; შ. ნიჭარაძე, ქართული ენის ზემოქართული დიალექტი, ბათუმი, 1961, გვ. 51; რ. ძნელაძე, ხსენ. ნაშრ., გვ. 118.

12 იხ. რ. ძნელაძე, ხსენ. ნაშრ., გვ. 101, 118.

13 იხ. იოვანე მოსხი, ლომონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1960, გვ. 92,30; 157;

14 იხ. უძველესი რედაქციები ზსილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა ავბუღუბისათჲს“, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964, გვ. 62,2; 254; მისივე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

15 ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იქმ, I, თბ., 1946, გვ. 76.

16 ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 209.

17 იხ. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV, თსუ შრ., XXXb—XXXIb, თბ., 1947, გვ. 454.

თანხმად მათი ვარაუდისა, ჩირდ-/ჩიდ- მორფემებში **ი** ხმოვანი ინტერკონსონანტურ პოზიციაში ***რ** ელემენტის მარცვლოვნობის ხარჯზეა გაჩენილი, სადაც უმახვილო პოზიციაში გაუმარცვლოებული **რ** სონანტი ერთ შემთხვევაში დაიკარგა, მეორე შემთხვევაში შემოგერჩა, ხოლო გახმოვანების ნულსაფეხურიან **ჩრდ-** ძირეულ ბგერათკომპლექსში მარცვლოვნა ***რ** ელემენტმა უმახვილო პოზიციაში გაუმარცვლოება განიცადა და უმარცვლო ***რ** ელემენტს დაემთხვა¹⁷. კ. შმიდტის მოსაზრებით, ქართ. ჩრდ-ს **რ** მეორეულია, განვითარებული უნდა იყოს¹⁸.

სანალიზო მასალის დაწვრილებითი შესწავლა როგორც საზოგადო სახელების, ისე საერთო-ქართული ტოპონიმების პირველი მოდელის ფუძეთათვის საერთო ამოსავალ ფორმად რეკონსტრუირებულ *ჩერდ-ს უკერს მხარს. ჩვენი აზრით, გახმოვანების ნულსაფეხურიანი ჩრდ-/ჩიდ-/ჩთ-/შთ-/შტ- და ჩირდ-/ჩიდ- მორფემული ვარიანტებისათვის საერთო ამოსავალია *ჩერდ-. ე. ი. მას შემდეგ, რაც *ჩერდ- ფორმას დაერთო -ილ ფორმანტი, დაექვემდებარა იგი ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ პროცესებს და მივიღეთ განსხვავებული ფუძეები — ერთ შემთხვევაში: ჩ რ დ ი ლ- / ჩ ი დ ი ლ- / ჩ თ ი ლ- / შ თ ი ლ- / შ ტ ი ლ-, ხოლო მეორე შემთხვევაში: ჩ ი რ დ ი ლ- / ჩ ი დ ი ლ-.

მაშასადამე, ჩირდ-/ჩიდ- და ჩრდ-/ჩიდ-/ჩთ-/შთ-/შტ- ძირეული ელემენტები ერთი ამოსავალი ფორმის ფონეტიკურად განსხვავებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. ძირეული ბგერათკომპლექსების კომბინატორული ცვლილებების შედეგად მიღებული ალომორფები ფონეტიკურად გაპირობებულ კანონზომიერებებს ემყარება: ფონემათა ჩთ- მიმდევრობა, რომელიც დადასტურებულია გურულ-აჭარულის ტოპონიმებსა და იმერულის საზოგადო სახელში ჩ თ ი ლ¹⁹, წარმოადგენს ჩრდ- მორფემის რედუქციებულ ვარიანტს, ხოლო რედუქციის შედეგად მიღებულმა ჩდ- კომპლექსმა დასავლურ კილოებში (გურულ-აჭარულ-იმერულში) დ ფონემის ასიმილაციური დაყრუებით ჩ ყრუ აფრიკატის მეზობლობაში ჩთ- ბგერათმიმდევრობა მოგვცა. ასევე, გურულში დამოწმებული შ ტ ი ლ ე / ს ა შ ტ ი ლ ე / ს ა შ ტ ი ლ ი ე ტოპონიმების შტ- ჯგუფი ჩთ-ს ალომორფია. ტოპონიმებში ჩთ->შტ- პროცესისათვის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს შთ-, რომელიც დამოწმებულია ლეჩხუმურის საზოგადო სახელში შ თ ი ლ ი („ჩრდილი“)²⁰. ფონეტიკურად დასაშვები პროცესების თანხმად, ფონემათა ჩთ- მიმდევრობაში ჩ სიბილანტი დეზაფრიკატიზაციის შედეგად სპირანტულ შ ფონემითაა წარმოდგენილი, ყრუ ფშვინვიერთა შთ- მიმდევრობა კი დისიმილაციური გამკვეთრებით მოგვცა შტ: ჩთ->შთ->შტ-.

¹⁷ ა. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 100—105 (შმდგ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა).

¹⁸ K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 148 (შმდგ. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion).

¹⁹ ი. გიგინეიშვილი, ე. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 673 (შმდგ. ქართული დიალექტოლოგია, I).

²⁰ ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 680.



მეორე მოდელს ქმნის ჩერ- (ჩერო/ჩერ-ელეთი — ლხჩხ) (ჩაო//ჩა-ვო — აპარ.)²² ძირისეული მორფემების მატარებელი ტოპონიმები.

ჩერო და ჩაო//ჩავო ნათელი სემანტიკის მქონე ტოპონიმებია. გურულსა და აპარულში მათი მნიშვნელობა იგივეა, რაც ქართულში „ჩრდილი-სა“²³, ლეჩხუმურში დადასტურებული ტოპონიმი ჩერელეთი-ც ჩერ-ძირს შვიცავს²⁴. ჩავო-ც მნიშვნელობით იგივეა, რაც ჩერთ. ისინი ერთი მეორის მიმართ ალონიმებია. ფუძეთა მიხედვითაც ეს ტოპონიმები ერთი და იგივე წარმოშობისაა. მათ შორის სხვაობა მეორეულია და დიალექტური ფონეტიკის სპეციფიკურობით აიხსნება. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ აპარულში რ სონანტის გაუჩინარება შესაძლებელია სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში²⁵. ჩერ-/ჩა- ძირისეული მორფემების დაპირისპირებაშიც ხმოვანთა გარემოცვაში რ ფონემის დაჯარგვასთან გვაქვს საქმე, ხოლო წინა რიგის ე ხმოვნის უკან გადაწევით, რაც საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა აპარულში, ვლემულობთ ჩაო-ს: ჩერო > *ჩარო > ჩაო (მდრ.: რ > 0; სალიტ. არიან — აპარ. აიან, სალიტ. გარეთ — აპარ. გაეთ და სხვა²⁶; ქართ. ე — აპარ. ა: სალიტ. პერანგი — აპარ. პარანგი²⁷, სალიტ. კიდევაც — აპარ. კიდავაც, რუს. Этаж — აპარ. არტაჟა და სხვ.)²⁸. ჩაო-ს პარალელურად აპარულში დამოწმებულ ჩავო-ს ვ სონანტი ინტერეოკალურ პოზიციაში ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი ანალოგიურად პროცესისა: დაახვეწარავო, გაჩინდბავო (აპარ.)²⁹...

21 შ. ჩიქოვანი, ტოპონიმური ლექსიკონი, თსუ შრ., IX, თბ., 1939, გვ. 151; მისივე, ტოპონიმურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, ა. ს. ბუშინის საბ. თბ. სახელმწ. პედ. ინსტის შრ., VII, თბ., 1949, გვ. 235.
22 ი. სიხარულიძე, ტოპონიმია, II, გვ. 59, 133, 153; ზ. ქუშბურძიძე, რა გვია შენ? თბ., 1971, გვ. 221.
23 ს. ქლენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 253; ზ. ქუშბურძიძე, ხსენ. ნაშრ., გვ. 221.

24 ალ. დლონტი, ლეჩხუმური ტოპონიმია და ლექსია, იხ. კრებული — ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 42.
25 ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 389; შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი, გვ. 51.
26 ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 655-659.
27 შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი, გვ. 7.
28 ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 655, 665, 658.

შენიშვნა: გარდა აპარულისა, პალატალური ე-ს გაფართოება (ე > ა) სხვა დიალექტებისათვისაცა დამახასიათებელი. მაგ. ვურ. შამბოლი „მებრძოლი“ (ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 99, 31); ხევს. ჯაბირი „ჯებირი“; ხევს. ქაიფი „ქეიფი“ (ა. ჭიჭკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 14); ხევს. აგებ — ეგებ, მთელ. ზეზუერი „ზეზეურად“, იალა „იელი“ და სხვ. (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 549, 567); ხევს. ათერ „ეთერი“ (საქ. სახელ. მომწოდ. გ. ბორნაულიძე).

ეს პროცესი დასავლური კილოებისათვის, განსაკუთრებით — აპარულ-გურულისათვის, შესაძლებელია, ნაწილობრივ მიანც, ზანურის გავლენასაც მიეწეროს და, თუ ამას დავებთ ისიც, რომ „დასავლურ კილოებში ე უფრო ვიწროა ო-სთან შედარებით“ (შ. ძიძიგური, ზემოეთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იყ., I, თბ., 1956, გვ. 29), მაშინ ველარული ო-ს ნაწილობრივ ასიმილიაციურ გავლენასაც მეტი საფუძველი ექნება.

29 შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი, გვ. 60.
ჩაო/ჩავო ტოპონიმთა ვარიანტულ მიმართებებში ფონეტიკურ კურობის ვაწედაბლი: ინტერეოკალურ პოზიციაში რ სონანტი დიკარგა თითქოს იმიტომ, რომ იმავე ადგილზე ხმოვანთა გასაყარად ვ სონანტი გაჩენილიყო, მაგრამ ეს მოვლენა შედარებით გვიანდელია, ისტორიულად იგი ფუძისეულად ვერ ჩაითვლება.

პოვეტი (იმერ.), ბლუვი, ყრუვი (ქართლ., ლჩხ.)³⁰... ჩ ე რ ო / ჩ ა ო / ჩ ა ვ ო ტოპონიმების აუსლაუტური -ო ძირეული არაა. მისი ფუნქციაც იგივე უნდა იყოს, რაც ძველი ქართული „ჩრდილ-ო“ (=ახ. ქართ. „ჩრდილოეთი“) ტოპონიმის -ო ელემენტისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩ ა ო და მისი პარალელური ფორმა ჩ ა ვ ო ჩ ე რ ო ტოპონიმის ფონეტიკურად გაპრობებული ვარიანტებია და, მაშასადამე, ძირეული ჩ ა - ელემენტიც ისტორიულად ჩერ-ის ალომორფია. ამგვარად, მეორე მოდელის ტოპონიმებისათვის საერთო ამოსავალი იქნება *ჩერ-³¹.

ჩირდ-/ჩრდ- და ჩერ- ძირისეული ელემენტები სემანტიკური თვალსაზრისით იდენტურია, წარმოშობითაც ერთი და იგივე უნდა იყოს. კ. შმიდტის ვარაუდით: ჩ ე რ ო < *ჩ ე რ ო < *ჩ ე რ ლ ო³². რდ ფონემათა მიმდევრობას ასიმილაციის გზით რომ რ რ მოეცა, ე. ი. დ > რ სონანტის მეზობლობაში, შეუძლებელი ფონეტიკური პროცესი არაა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში იგი ნაკლებსარწმუნო გვეჩვენება, რადგანაც რდ ბგერათოპოლექსის არსებობა ანალოგიურ ფონეტიკურ გარემოცვაში ქართულსა და ზანურ-სვანურში ჩვეულებრივია (შდრ. ქართ. გვერდი/გვერდობი, ფერდი/ფერდობი... ქართ. ზრდა — მეგრ. რდულა — სვან. ლირდი id...). ჩერ- და ჩირდ-/ჩრდ- მორფემების ამოსავალი არქეტიპი რომ ერთი და იგივეა, ეს დაეძს არ უნდა იწვევდეს, ოღონდ ეტიმოლოგიური ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, სხვანაირად უნდა წარიმართოს.

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ერთობლივ ნაშრომში ჩრდ-ს დ ელემენტი ძირეულად არაა მიჩნეული და განხილულია, როგორც ნულსაფეხურიანი სუფიქსი³³. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ *ჩრ- ისტორიულად *ჩერ-მორფემის ნულსაფეხურიანი ვარიანტს წარმოადგენს და ისტორიულად დამომომხებული ჩერ- და ჩირდ-/ჩრდ- მორფემებისათვის თავდაპირველ ამოსავალ არქეტიპად *ჩერ- უნდა ვივარაუდოთ, რომელზედაც დერეივაციული აფიქსების დართვამ მისი სემანტიკური და ფონეტიკური სახესხვაობა მოგვცა³⁴. *ჩერ- არქეტიპზე -ო და -ელ-ეთ ფორმანტებს რაიმე ფონეტიკური ცვლილებები არ გამოუწვევია და ამდენად გვაქვს: ჩ ე რ ო, ჩ ე რ ე ლ ე თ ი, მაგრამ ჩირდ- და ჩრდ- მთელი რიგი კომბინატორული ცვლილებების შედეგად მიღებული მორფემები ჩანს. ვვარაუდობთ, რომ ჩირდ-/ჩრდ- ბგერათმომდევრობებში დ ელემენტი*-ელ სუფიქსის ხმოვანდაკარგული ვარიანტია, რომელსაც მოცემულ ლექსემაშიც ენის რომელიღაც დონეზე სიტყვაწარმოებითი ფუნქცია უნდა ჰქონოდა (შდრ. ყბა — ყბედი, ეტიმოლოგიურად — ყბიანი, აქედან — ბევრის

³⁰ ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 147-148.

³¹ ანალოგიური მოვლენა გვაქვს იმერულში სამხრეთისაკენ დაქანებული მზიანი ადგილის აღმნიშვნელ ზო სიტყვასთან (იხ. ალ. დლონტი, ქართული ენა-თქმათა სიტყვის კონა, I, თბ., 1974): ზ ო < ზ ო რ ე < მ ზ ო რ ე < მ ზ ე ა რ ე (შდრ. იმერ. ზ ო რ ე თ ი ს ჭ ე ე ი — ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1974 გვ. 756,7).

³² K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion, გვ. 148.

³³ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტის სისტემა, გვ. 310.

³⁴ შდრ.: ჩრდილი აჩრდილი დიდი, ზოლო მცირეთა ზეთა და ქვათასა ჩ ე რ ო ეწოდების, ზოლო ბალახთასა ბ ა ო — ს. თ ბ ე დ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ., 1949. თანამედროვე მნიშვნელობით კი: ჩერო იგივეა, რაც ჩ რ დ ი ლ ი; ჩრდილი მზეს მოფარებული ადგილი, — გრილო, ჩერო — ქგლ, VIII.



მოლაპარაკე)³⁵, მაგრამ დროთა ვითარებაში დაკარგა სათანადო ფუნქციონირების უნარი. ძირისეულად იქნა გაგებული, რომლის შემდეგაც, როგორც აუცილებელი პირობა მნიშვნელობის მქონე ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნისა, მას დაერთო -ილ სუფიქსი. დამატებითი ფორმანტის დართვამ კი უკვე ფუძისეულად გაგებულ ლექსემაშიც დიალექტებისადა მიხედვით ახალი ფონეტიკური ცვლილებები შეიტანა. *ჩერდ- მორფემაზე ფუნქციური -ილ ფორმანტის დამატებამ განაპირობა: 1. ჩრდილ-ში ე ხმოვნის გაუჩინარება, 2. ჩირდილ-ში ე ხმოვნის დავიწროება — ე > ი. ამათგან პირველი სალიტერატურო ქართული ენის, ხოლო მეორე დიალექტური მეტყველების კუთვნილებად იქცა, ე. ი.:

*ჩ ერ დ ე-> *ჩ ერ დ ი ლ- $\begin{cases} \text{ჩ რ დ ი ლ-} > \text{ჩ დ ი ლ-} > \text{ჩ თ ი ლ-} > \text{შ თ ი ლ-} > \\ \text{ჩ ი რ დ ი ლ-} > \text{ჩ ი დ ი ლ-} > \text{შ ტ ი ლ-} > \end{cases}$

მოცემული ეტიმოლოგიური ინტერპრეტაციების მიხედვით ს.-ქართული *ჩერ- არქეტიპისაგან ერთ შემთხვევაში მივიღეთ ჩ ერ ე ლ ე თ ი / ჩ ერ ო და ამ უკანასკნელს რეფლექსები: ჩ ა ო / ჩ ა ე ო, ხოლო მეორე შემთხვევაში — ჩ რ დ ი ლ ი / ჩ ი რ დ ი ლ ი სხვადასხვა ფლექსიურ-დერევაციული აფიქსებითა და ზემომოტივული ფონეტიკურად გაპირობებული ვარიანტებით.

ამ ორი ტიპის ერთნაირი მნიშვნელობის საზოგადო სახელების პარალელურად იმავე ფუძეებით ტაბონიმებიც რომ დასტურდება, ეს მოვლენა შედარებით გვიანდელია. საანალოზო ლექსემები საკუთრივ ტაბონიმებად არ არიან ჩამოყალიბებულნი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივე მორფემის ფარგლებში მნიშვნელობათა გაორება — საზოგადო > //საკუთარი — იმისი მაჩვენებელია, რომ არის რაღაც ტენდენცია საზოგადო სახელის განმზოლოებისა, საკუთრად ქცევისა (შდრ.: ჩ რ დ ი ლ ი ს ო ფ ე ლ ი და ჩ რ დ ი ლ ი თ ე ნ ლ). საფუძველი ამისა შეიძლება სხვადასხვა იყოს. ყოველ შემთხვევაში საკვლევ მასალათა სემასიოლოგიური დანაწევრება და მათი ტაბონიმებად ჩამოყალიბება მას შემდეგ დაიწყო, რაც *ჩერ- არქეტიპი ვარიანტებად დანაწილდა დიალექტებში და მიიღო მოქალაქეობრივი უფლება. ე. ი. ერთი მხრივ გვაქვს: ჩ ერ ო / ჩ ა ო // ჩ ა ე ო / ჩ ერ ე ლ ე თ ი, ხოლო მეორე მხრივ: — ჩ ი რ დ ი ლ ი / ჩ რ დ ი ლ ი და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩერ-/ჩირდ-/ჩრდ- ფორმებისათვის თავდაპირველი ამოსავალი ფუძე საერთო-ქართულის საზოგადო სახელებისათვის იქნება *ჩერ-, ხოლო ტაბონიმებისათვის — *ჩერ- და *ჩერდ-. ერთი ნაწილი ტაბონიმებისა რომ ამოსავლად იყენებს პირველი მოდელის მორფემებს, ხოლო მეორე ნაწილი — მეორე მოდელის მორფემას, ეს პროცესი გაცილებით გვიანმომხდარ ვითარებას წარმოგვიდგენს. მორფემათა ამგვარი დისტრიბუცია განაპირობა დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა. ე. ი. ტაბონიმური თვალსაზრისიდან ამოსვლით, მოცემული ტაბომორფემების გენეტური კავშირი მხოლოდ აპელატივურ დონეზეა საგულვედბელი და ამოსავალი ტაბომორფემების გენეტური კავშირის დაჩრდილვაც იწყება საზოგადო სახელის საკუთარ სახელში გადასვლიდან, ხოლო ტაბონიმადქცე-


35 -ელ/-ლ ფორმანტის კვალიფიკაციის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 59-61, 97-99.

36 დიალექტებში ფონეტიკურად დასაშვები ცვლილებები შეიძლება ამ გზითაც წარმართულყოფილ იქნას: ჩ ი რ დ ი ლ- > ჩ ი დ ი ლ- > ჩ დ ი ლ- > ჩ თ ი ლ- > შ თ ი ლ- > შ ტ ი ლ-.



ული სახელები უკვე იმ დიალექტის (resp. ენის) კუთვნილებას წარმოადგენს რომელ დიალექტშიც (resp. ენაშიც) ხდება ამა თუ იმ ტოპონიმის ჯერ ფორმირება და შემდეგ მისი სრულფუნქციონირება.

ფონეტიკურ-მორფოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური დიფერენციაციის გათვალისწინებით საერთო-ქართულის დონეზე ხსენებული ლექსემების ისტორიული გზა, მათი ტოპონიმოზაცია შემდეგი საფეხურების გავლით უნდა ჩამოყალიბებულიყო:



თუ ს.-ქართული ჩერ-/ჩირდ-/ჩრდ- ძირისეული მორფემებისათვის ამოსავალ ფორმად რეკონსტრუირებული *ჩერ-/*ჩერდ-ის მიჩნევა საფუძვლიანია, მაშინ ბუნებრივად დგება საკითხი ამ მორფემების ზანურ-სვანური შესატყვიანობების არსებობის კანონზომიერების შესახებ.

სვანურში ჩრდილიანი ადგილის, მზიანის საპირისპირო მხარის აღსანიშნავად საქმად გავრცელებული ტერმინია შ გ ე დ. იგი საზოგადო სახელია, მაგრამ არის ტენდენცია მისი ტოპონიმოკურ ტერმინად ქცევისა. ამას ადასტურებს სოფლების, ტყე-კლდეების, სათიბ-საძოვრებისა და სხვათა „შგედ“-ით ან მისი ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტებით სახელდება, სადაც მისი მნიშვნელობაა: მ ხ ო ლ ო დ ეს სოფელი, მ ხ ო ლ ო დ ეს ტყე და ა. შ. და არა საზოგადოდ „ჩრდილი“ ან „ჩრდილიანი მხარე“³⁷.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური შ გ ე დ სიტყვის შესახებ ორი ერთიმეორის გამომრიცხავი მოსაზრებაა წამოყენებული. გ. დეეტერსი სვან. „ლამ-შგედ“-ის შ გ ე დ-ს, როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად, ქართ. „ჩრდ-ილოეთ“-ის ჩრდ- ძირისეული ნაწილის შესატყვისად მიიჩნევს. კ. შმიდტის ვარაუდითაც, თუ ქართ. ჩრდ-ს ამოსავალ ფორმად ჩედ-ს დავუშვებთ, მაშინ მისი (ე. ი. ჩედ-ის) შესატყვისი იქნება სვან: შ გ ე დ³⁸.

ორივე მუცხოელი მეცნიერის მოსაზრება დასაბუთების გარეშეა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ეტიმოლოგიური მიგნება ჩვენთვის მისაღებია. ვერ

37 საზოგადო სახელის განმხოლოებას, მის საკუთრად ქცევას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მსგავსი მნიშვნელობის შ ა ჰ ე რ ა / შ ა ჰ ე რ ა (იხ. O. Wordrop, English-svanetian Vocabulary, IRAS, London, 1911, გვ. 623) ან უ ო რ ო უ სიტყვების არსებობამ. უ ო რ ო უ სვანურში მეგრულში ჩანს, თუმცა მეგრ. ო რ ო და სვან. შ ა ჰ ე რ ა / < შ ა ჰ ე რ ა (< შ ა -პ ო რ -ა), მნიშვნელობით — „ჩერო, ჩრდილიანი მხარე“, ისტორიულად ერთი წარმოშობისა უნდა იყოს (მდრ. მეგრ. ო რ ო „ჩერო, ჩრდილი“, тень (იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка. СПб., 1914, გვ. 294). სვანურში სიტყვის თავიდან და ბოლოკიდურ პოზიციაში ლაბიალური უ სონანტის არსებობა მეორეულია (მდრ. ქართ. უ თ ო -მეგრ. უ ნ თ ო -სვან. უ ო ნ თ ო უ...), ლოკალიზებულია ამავე ფუნქციის მქონე ტოპონიმებიც: უ ო რ ო უ სათიბ-საძოვარი, უ ო რ ო უ -მეგრია კლდე (მდ. ხაიშურას აუზში, მესტიის რ.), ო რ ო ფერდობი (ს. მუცავაში, წალენჯიხის რ.). აღდგომა სახელდება აქაც მოტივირებულია აღსანიშნი პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობით.

38 იხ. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion, გვ. 148. გ. დეეტერსის მოსაზრებას ამავე ნაშრომიდან ვსესხელობთ.



დავეთანხმებით გ. კლიმოვის მოსაზრებას, როცა სვან. შ გ ე დ-ს ოსურიდან შეთვისებულად თვლის. მისი ვარაუდით, სვან. შ გ ე დ ტყეს, მთის ჩრდილოეთის ფერდს ნიშნავს და მომდინარეობს ოსური *cæ g a t* სიტყვიდან, ხოლო ეს უკანასკნელი ინდოევროპულ ფუძეს წარმოადგენს³⁹. ოსური ც ა გ ა თ ინდოევროპულის რეფლექსად აქვს მიჩნეული ვ. აბაევსაც⁴⁰. არაა გამორიცხული, რომ ოსური ც ა გ ა თ რომელიმე სხვა ენის ტრანსფორმირებულ ფუძეს შეიცავდეს (შდრ. ბალყარული ჩ ე გ ე თ), მაგრამ სვან. შ გ ე დ რომ ოსურის ც ა გ ა თ-იდან არ უნდა მომდინარეობდეს, ამას თვან. გ. კლიმოვისეულივე შ გ ე დ სიტყვის ეტიმოლოგიური ინტერპრეტაციაც უშუქერს მხარს: I. შ გ ე დ-ის მნიშვნელობა არაა ლეც. ტყეს იგი საერთოდ არ აღნიშნავს და თუ აღნიშნავს, ტყის სახელწოდებად იგი მხოლოდ ტოპონიმებში გვხვდება და ამ შემთხვევაშიც მისი მნიშვნელობა მხოლოდ ტოპონიმითურია⁴¹; II. არაა აუცილებელი, რომ „შგედ“ მხოლოდ მთის ჩრდილოეთის ფერდის აღნიშვნელი იყოს. სვან. შ გ ე დ-ს მთის, ქედის თუ სხვათა ჩრდილიანი, ანუ მზეს მოფარებული ადგილების გადმოცემაც აკისრია (შდრ.: ლამშგედ ადგილი „ჩრდილიანი ადგილია“...); III. გ. კლიმოვისეულ ეტიმოლოგიას დაბრკოლება ახლავს ფონეტიკური თვალსაზრისითაც⁴².

ჩვენი ვარაუდით, სვან. შ გ ე დ წარმოადგენს პირველი მოდელის ს.-ქართულისათვის რეკონსტრუირებულ, ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი *ჩერდ-მორფემის ისტორიულ რეფლექსს და იგი, როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად, კანონზომიერი შესატყვისია მისი⁴³. ამ თვალსაზრისს

³⁹ გ. კლიმოვის მიხედვით: „Сванск. *šged* „ლეს“, „северный склон горы“ <осет. *cæ g e t* „северный склон горы“; *язык:гя индо-европейской основой, ср. лит. *kakta* „лоб“, др.-инд. *kaḥāṭikā* „часть лобной кости“ (об. Мисю, О лексике осетинского происхождения в сванском языке. Этимология, М., 1963, гл. 184).*

⁴⁰ В. Абаев. Историко-этимологический словарь осетинского языка. I. М.-Л., 1958.

⁴¹ იხ. თსუ ტოპონიმური ლაბორატორიის საარქივო მასალა, მესტიის რაიონი.

⁴² სვანურისათვის „ცაგათ“ სიტყვაში არსებული ყველა ფონემა, ცალ-ცალკეცა და ბგერათა შეხამებაშიც, ჩვეულებრივია. ამდენად, თუ გ. კლიმოვისეულ ეტიმოლოგიას გაცივზიარებთ, უნდა გაირკვეს, თუ რამ გამოიწვია ოსურიდან სვანურში ნასესხებ სიტყვაში ფონეტიკური ცვლილებები: 1. ოს. სისინა ც-ს დეზფიციტიზაცია და შიშინა შ სპირანტიზი ვადასვლა? ქართ. ც: სვან. შ-ს დონეზე იგი, როგორც არაონათესავე ენა, არ განიხილება; 2. ა-ს უმლაუტი და მისი სინკოპირება; 3. ოს. ა > სვან. ე; ოს. თ > სვან. დ. ერთი სიტყვით, სანამ ოსურ-სვანური და სვანურ-ოსური ბგერათმომართებათა კანონზომიერება არ გაირკვევა, მანამ ანალოგიურ ეტიმოლოგიურ ინტერპრეტაციებს ყოველთვისაა მოსალოდნელი, რომ დაუპირისპირდეს საწინააღმდეგო მოსაზრებას. ისე კი სუბცილურ ლიტერატურაში შემჩნეულია, რომ ქართველური ენებიდან შესულ სიტყვებს, რომლებიც თავიდან პოზიციამ პარამონიულს თუ არაპარამონიულს თანხმობანთა კომპლექსებს შეიცავენ, ოსური ენა, როგორც საერთოდ სხვა ირანული ენები, თანხმობანთ გასაყარ ხმოვანს ჩაურთავს, ხოლო ქართველურ შიშინა აფრიკატებს ოსური სისინა აფრიკატებით წარმოველიდგენს. შავ: გმირი — ოს. გუშმირ, ქლავი — ოს. ძღლაუშქ/შილიქუტ „მთის ნორი“... (იხ. Г. Ахведиани. Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тб., 1960, გვ. 171, 143); წყალი — ოს. ცაყალ „ტალი“, ჭარბალი — ცაზრა id., ჯვარი — ოს. ძუარ id., ცხელი — მეგრ. *ჩხაბი — ოს. ცაზრა id., ნაკვერცხალი, ნავერწყალი, ჩხირი — მეგრ. *ჩხინჯი (შდრ. აფხაზ. ა-ჩხენჯ „ქვიბის ჩამოსაყიდებლად მიწაში ჩასობილი ჯობი“) — ოს. ცაგინძა „ბობი“ (>ბალყ. ჩივინჯი id...).

В. И. Абаев. Осетинский язык и фольклор. I. М.-Л., 1949, гл. 325—326).

⁴³ თავდაპირველ ს.-ქართველური ფუძე ენის *ჩერდ-ის სვანურ შესატყვისად მოსალოდნელია სვან. შგილ (სვანურ სახლში კერის ზემოთ ჭერს ჩამოყიდებული ლაფა, რომელიც

ადასტურებს ქართულ-სვანური ფონეტიკური მიმართებანი: ქართ. ჩ: სვან. შგ, ქართ. ე: სვან. ე, ქართ. რ: სვან. რ ან 0, ქართ. დ: სვან. დ.

სვანეთში ლოკალიზებულია 40-მდე შგედ-ის შემცველი ოდენფუძიანი (მაგ.: შგედ/შკედ). წარმოქმნილი (მაგ.: შგედარ/შგედღერ/შგედლო/შგედალდ/შგადღჷარ/შგედლილდ/შშკედლილდ/შ) და რთული (მაგ.: შგედლილდ/შ სკიმ, კიბე შგედ და სხვ.) ტოპონიმი, რომელთაც ზოგს საფუძვლად უღევს სხვადასხვა დერივაციული აფიქსით გაფორმებული აპელატივური შგედ / შკედ, ხოლო ზოგ შემთხვევაში აპელატივი ფუძის სახითაა წარმოდგენილი ტოპონიმად. მაშასადამე, სვანეთში დადასტურებული ტოპონიმებისათვის ამოსავალი იქნება სამი ერთმანეთისაგან ფონეტიკურად განსხვავებული ფუძე: შგედ და მისი ვარიანტები: შგ ა დ- / შკედ. შკედ ფუძიანი ტოპონიმები დასტურდება ლენტეხურში. როგორც ცნობილია, სვანური ენის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ლენტეხურში, როგორც წესი, ხ და შ ყრუ ბგერების მომდევნო პოზიციასში მკლერი გ და დ ყრუვდებიან და ვლბულობთ ყრუ ბგერათა კომპლექსებს⁴⁴. ეს პროცესი ლენტეხურისათვის გვიანდელი ფონეტიკური მოვლენაა, ამდენად შკედ-ის შემცველი ტოპონიმები ადრეულ საფეხურზე შგედ-ით იყვნენ წარმოდგენილი. შგ ა დ- ფორმით, როგორც საზოგადო სახელი, არ დასტურდება. ამ სახით იგი თრად ორ ტოპონიმში გვხვდება მხოლოდ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ გავრცობილია -ჟ+არ (resp. -ჟ+არ/ - ჟ+არ) ფორმანტებით: შგ ა დ ჟ ჷ რ (მულახის ს. ს.) და შგ ა დ ჟ ჷ რ (იფარის ს. ს.)⁴⁵.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სვანურში ზოგი სახელის ფუძესთან -არ სუფიქსის წინ ბგერა ან მთელი მარცვალი ჩნდება. ვლინდება -ი, -არ, -ალ და ყველაზე ხშირად -ჟ სონორი. მაგ.: მხ. შუბ „შუბი“ — მრ. შუბბჷარ, მხ. წუშად „მწვადი“ — მრ. წუშადჷარ, მხ. მემჷშად „მუჷალელი“ — მრ. მემჷშადჷარ და სხვ. რადგანაც ბგერისა თუ მარცვალთა ჩართვა სხვადასხვა ფუძეებთან მთელ სისტემას ქმნის, ისინი ფუძისეულ ელემენტებად არ არიან მიჩნეული⁴⁶. გამოთქმული მოსაზრება ვრცელდება ტოპონიმ შგ ა დ ჟ ჷ რ / შგ ა დ ჟ ჷ რ-ის ჟ სონანტზეც. აქაც ჟ რომელიღაც მაწარმოებელი ელემენტია, მაკერას „იციავ ჰერიდან ჩამოცველი მტერისაგან, მაჩვიბს ჰერს კი იფარავს ნაპერწყლებისაგან“ — იხ. მ. ჩართოლანი, ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 50). სვანური შვილ-ის თანამედროვე დანიშნულება გვიანდელი ჩანს. ეტიმოლოგიურად მისი ადრინდელი მნიშვნელობა იგივე უნდა ყოფილიყო, რაც საზოგადოდ ჩერს სიტყვისა. კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა ზუსტადაა დაკული, სემანტიკური დიფერენციაცაა შეორეულია (შდრ. ქართ. ჩემი : სვან. მიშგუ... ქართ. მე : სვან. ში, ქართ. ზე : სვან. ეი... ქართ. პირი : სვან. პილ...). იგივე ძირი უნდა გვექონდეს სიტყვებში: ლგ-შგ „დახურული, დაფარული“, ლი-შგ-ი „დახურვა, დაფარვა“, ადი-შგ „დახურვა, დაფარვა“, რომელთა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „დაჩერ-ივებული, დაჩრდილ-ული“. შვილ/შგ სიტყვების მნიშვნელობათა ზოგადიდან კონკრეტულობისაგან გადაწევა შეორეულია და შედარებით გვიანდელი.

⁴⁴ იხ. სვანური პროზაული ტექსტები, I, ბზ. კილო, ტექსტები შერჩევის და გამოსცეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიაშ, თბ., 1939, გვ. XIV.

⁴⁵ ხშირად მოსალოდნელ გრძელ ხმოვნებს, განსაკუთრებით — ახალგაზრდები, მოკლედ წარმოთქვამენ. მაშასადამე, არის ტენდენცია მისი მოშლისა. იფარული ტოპონიმის ბოლოკიდურა მარცვლის მოკლე ხმოვნაობაზე, მსგავსად მრავალი მავალითისა, სვანურში გრძელი და მოკლე ხმოვნების უნიფიკაციის ერთ-ერთი დადასტურებაა (ამის შესახებ იხ. ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მიერ გამოცემული სვანური პროზაული ტექსტების შესავალი ნაწილი, გვ. XV).

⁴⁶ იხ. თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურის ბალს-ზემოური კილოს მიხედვით, იყვ, VI, თბ., 1954, გვ. 198—199.

რამ არა ფუძისეული⁴⁷. მ. ქალღანის ვარაუდით, ე>ნ> პროცესი გამოწვეულია მომდევნო პოზიციის უმარცვლო ზ-ს გავლენით⁴⁸. ამ მოსაზრების თანახმად, შგანდ-ის ნ-სათვის ამოსავალი იქნება ე ვოკალი და, ამგვარად, შგანდ-სარ/შგანდ-სარ ფორმებისათვის წინარე ვითარების ამსახველად *შგედ-სარ-ის მიჩნევა სრულიად კანონზომიერია. მაშასადამე, ისტორიული ხანის სვანურში „ჩრდილის“ აღმნიშვნელი ცნების ყველა ვარიანტისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო შ გ ე დ, ე. ი.: შგედ-სარ/შგედ-სარ თუ შ გ ე დ-სათვის საერთო-ქართულის რეკონსტრუირებული *ჩერდ-ის პოსტულირება მართებულია, მაშინ სვან. შ გ ე დ სიტყვის წინამორბედად უნდა ვიგულოვოთ *შგერდ, რომელშიც, სიტყვის შემდგომი ევოლუციის პროცესში, რ-ს გაუჩინარებას უნდა ჰქონოდა აღვილი (ანალოგიისათვის შდრ.: ძვ. ქართ. ფერჯ-ი — სვან. ბჯჯ/ბჯჯ id., მაგრამ: ახ. ქართ. ფეხ-ი და ფერხული — სვან. ბჯჯ/ბჯჯ id. (შდრ. ქედის სახელი ბაჯ), ქართ. ბარჯ-ი „კაპიანი ჯიბი, გინა სათევზე ხოკი“⁴⁹ — მეგრ. ბარჯგ-ი „ბოძი“ столб, подставка)⁵⁰. — სვან. ბჯჯ id., ქართ. მკერდ-ი — მეგრ. კიდრი-ი — სვან. მტქმედ/მტქმედ id., სვან. მგრშქ/მგრშქ „ჭიანჭველა“, სვან. ჩარჩ/ჩარჩ „წვერი“, ქართ. მარწყვი-ი — სვან. ბასყ/ბასყ id. და სხვ.)⁵¹.

ჭანურისა და მეგრულის წერილობით წყაროებში ქართული „ჩრდილ-“ და „ჩერ-“ ფუძეთა შესატყვისი არ ჩანს. არ დისტურდება ს.-ქართულისა და სვანურისათვის ჩვენ მიერ დაშვებული *ჩერ- ან *ჩერდ- არქეტაპების კანონზომიერი შესატყვისი *ჩქარდ-/ჩქარ-. მაგრამ ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ადგილებისათვის, სადაც მზის შუქი არ უღდება, ე. ი. მთისა თუ ხეობების ჩრდილიანი ადგილების სახელწოდებად მეგრულში დისტურდება შქერდ-/შქედ- ფუძეთა შემცველი ტოპონიმები — გავრცობილი ფლექსიური -ი ფორმანტიდა და ქართ. სა- —-ო-სა და სა- —-ე-ს მორფოლოგიური შესატყვისი ლა- —-ა- და ო- —-ე დერივატიული აფიქსებით: შ ქ ე რ დ-ი/შ ქ ე დ-ი, ლ ა- შ ქ ე რ დ-ა//ლ ა-შ ქ ე თ ა-⁵², ო-შ ქ ე დ-ე⁵³.

⁴⁷ სვანურისთვის დამახასიათებელ ლ>შ პროცესს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ მოცემულ შემთხვევაშიც არ იქნება გამორიცხული, რომ -უ-ი დეტერმინანტის ნაშთად მივიჩნიოთ: ს.-ქართვ. *ჩერდილ->სვან. *შგერდ-ილ-არ>*შგერდ-სარ>*შგერდ-სარ>შგანდ-სარ (ლ>შ შემთხვევებისათვის სვანურში იხ. Н. Марр, Где сохранилось сванское склонение, ИИАН. 1911, გვ. 1201; მ. ქალღანი, სვანური ენის ლახამულური ევოლუციის ფონეტიკური თავისებურებანი, იყ. VII, თბ., 1955, გვ. 153-154).

⁴⁸ მ. ქალღანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, თბ., 1969, გვ. 69...

⁴⁹ ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

⁵⁰ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, გვ. 201.

⁵¹ რონანტის გაუჩინარებას მოსალოდნელი იყო, რომ შგედ ფუძის ე ხმოვანი დაეგრძელა, მაგრამ ეს პროცესი მოცემულ სიტყვაში, ისე, როგორც ჩარჩ/ჩარჩ ტიპის მაგალითებში, არ განხორციელებულა ან იმიტომ, რომ იმდროისათვის რ ფონემის დაკარგვით საკომპენსაციო დაგრძელება წინამდებელი ხმოვისა არ მოქმედებდა, ან იყო გრძელხმოვანი და დროთა ვითარებაში მოიშალა.

⁵² ლ ა-შ ქ ე რ დ ა//ლ ა-შ ქ ე თ ა აღონიშნება. მათ შორის განსხვავება წმინდა ფონეტიკურია (შდრ.: ქართ. შვდ-ი — მეგრ. შქვით-ი, მეგრ. ბურცხა//ბუცხა//ბირცხა „ფრცხილი“, მეგრ. ტაონიმი ლაქარდა//ლაქად... იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, გვ. 210, 249).

⁵³ შქერდ-/შქედ- ფუძეთა შემცველი გეოგრაფიული სახელები საქმოდ გავრცელებულია სამეგრელოს ტოპონიმიკაში, განსაკუთრებით კი — სვანეთის მომიჯნავე წალენჯიხის, ჩხორო-

შქერდ-/შქედ- მორფემიანი ლექსემები მეგრულში საყოველთაო ხმარებისა არაა. ქართული „ჩრდილის“ ვადმოსაცემად ქანურში გამოყენებულია „ვავა“ და „ღარი“⁵⁴, ხოლო მეგრულში — „ორო“⁵⁵. რადგანაც მეგრულში შქერდ-/შქედ- მორფემიანი სიტყვების ლოკალიზაცია მხოლოდ ადგილის გეოგრაფიული მდებარეობით არის გაპირობებული, არაა იგი საყოველთაო ხმარების სიტყვა და აქვს ტენდენცია განმხოლოებისა (resp. ოდენტოპონიმად ქცევისა), რამაც განაპირობა მისი მნიშვნელობის დაჩრდილვა⁵⁶, გვაძლევს საფუძველს, რომ ისტორიულად ისინი დაუუკავშიროთ ქართულში „ჩრდილ-“ ცნების გამოხატველი სიტყვებისათვის პოსტულირებულ *ჩერდ-ს. დიაქრონიული ინტერპრეტაცია ამის საშუალებას იძლევა, მაგრამ, რადგანაც დარღვეულია ქართულ-ზნანური ბგერათმიმართებათა ისტორიული კანონზომიერების პრინციპი (ქართ. ჩ:ზან. ჩქ; ქართ. ე:ზან. ა), უფლება გვაქვს შქერდ-/შქედ- ფუძისეულ ტოპომორფემათა მეგრულობა სამეგრელოს ტოპონიმიაში ექვის ქვეშ დავაყენოთ და მივიჩნიოთ ისინი სვანზმებად. თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ, დასაშვებია ფონეტიკური პროცესების თანახმად, საანალიზო მეგრული ტოპონიმების ამოსავალ ფუძედ უნდა მივიჩნიოთ ან შქერდ-, მომდინარე სვანურში რეკონსტრუირებული *შგერდ-ისაგან, ან, თუ მეგრულის ტოპონიმებისათვის პირვანდელი ფუძეა შქედ-, მისი ამოსავალი იქნებოდა სვან. შგედ და მეგრ. შქერდ-ის რ სონანტი ფონეტიკურ ჩანართად ჩაითვლება⁵⁷, ხოლო სვან. შგ კომპლექსის წინაველარული გ ფონემის ასიმილაციური დაყრუებით შ ყრუ სპირანტის მეზობლობაში მეგრულში მივიღეთ შქ ყრუ ფემინეიართა კომპლექსი. ე. ი. სვანურის ნიადაგზე მეგრული ტოპონიმების ამოსავალ შესაძლებელია ორი პოსტულაის დაშვება: სვან. *შგერდ>მეგრ. შქერდ->//შქედ-⁵⁸, ან: სვან. შგედ>მეგრ. შქედ->//შქერდ-.

ამრიგად, თუ ს.-ქართველური *ჩერდ- არქეტიპის კანონზომიერ შესატყვისად სვანურში *შგერდ-ის აღდგენას მიზანშეწონილად ჩავთვლით, მაშინ ვარაუდამავალ საფუძვრად შეიძლება დაიშვას ზანური *ჩქარდ-, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება რეკონსტრუირებულ ძირეულ მორფემათა ს.-ქართველური შესატყვისობანი: ს.-ქართვ. *ჩერდ-:ზან. *ჩქარდ-:სვან. *შგერდ⁵⁹.

წყუსა და გეგეპკორის რაიონების ტოპონიმიაში (იხ. თსუ ტოპონიმის ლაბორატორიის საბრძოლო მასალა, შეკრებილი პ. ცხადაიას მიერ).

⁵⁴ Н. Марр. Грамматика чанского (лазского) Языка, СПб., 1910, გვ. 143, 200.

⁵⁵ И. Книшидзе. Грамматика мингрельского языка, გვ. 294.

⁵⁶ ზოგი მეგრულის მცოდნე პირისათვის შქერდი/შქედი სიტყვები საერთოდ უცნობია.

⁵⁷ იხ. ს. ქლენტო, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 70—71.

⁵⁸ რღ მიმდევრობაში რ ფონემის მეგრულში საკმაოდ მყარი პოზიცია უჭირავს (ს. ქლენტო, მეგრულ-ქანურის ფონეტიკა, გვ. 68), მაგრამ მორფემათა ვისაყარზე (ვევლისხმობთ, რომ რღ <“ვღ ისტორიულად მოქმედი მაწარმოებელი ფორმანტი იყო) რ-ს ვაუჩინარებას დ-ს მომდევნო პოზიციაში დიდი დაბრკოლება არ უნდა ხლბოდა (შეღარებისათვის იხ. ირ. ასათიანი, რ სუფიქსის კვალი მეგრულ ზნანში, იკე, XVIII, თბ., 1973, გვ. 273—283).

⁵⁹ სემანტიკური დიფერენციაციის მეორეულობით, მოსალოდნელ კანონზომიერებას უნდა სქონდეს ადგილი ჩვენთვის საინტერესო ფუძეზე დაყრდნობით უფრო გვიანდელი დიდიმური ვამოთქმების ქართველურ შეპირისპირებაშიც: ქართ. ჩრდილის მიყენება *მნიშვნელობის, ღირსების შემცირება, დაჩრდილვა... (ქკე, VIII; ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ., 1966, გვ. 171) — მეგრ. შქიდი ირ „კადრება“, ეტიმოლოგ. აღაჩრდილვა, ჩრდილის მიყენება — სვან. ლიშგდე id. (ზანურ-სვანური შეფარდება იხ.:



II. ზემოგამოთქმული მოსაზრება წმინდა ლინგვისტურია და, ამდენად, ზვესქვეს⁶⁰ მიერ ჰიპოთეტურად დაშვებული ფორმები სინამდვილესაც რომ ასახავდეს, მაინც რომელიმე სიტყვის ლინგვისტური ეტიმოლოგია⁶⁰, მისი სავარაუდო ამოსავალი ფორმის პოსტულირება ყოველთვის არ ნიშნავს ს.-ქართველ-ტოპონიმიკური შესატყვისობების დადგენას⁶¹. ტოპონიმიკურ დონეზე ამა თუ იმ ენისათვის (resp. დიალექტისათვის) პოსტულატად ჩაითვლება ის გეოგრაფიული ერთეული, რომელიც რაღაც ინფორმაციის შემცველია და აქვს სოციალური სანქცია იმავე ენაში (resp. დიალექტში), რომელშიც იგია ლოკალიზებული. ამდენად, სამეგრელოს ტოპონიმიკაში დადასტურებული შქერდ-/შქედ- ფუძის მატარებელი ტოპონიმები, ისტორიულად თუნდაც რომ სვანიზმები იყოს და სვანურის ადრინდელ სუბსტრატს წარმოადგენდეს, მაინც სინქრონიულ ასპექტში განიხილება; სუბსტრატულ თუ ნასესხებ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინტერპრეტაციაც წმინდა ტოპონიმიკურ დონეზე უნდა გადაწყდეს; ტოპონიმიკურ შესატყვისობათა გადაწყვეტაც, მათი ანალიზი ტოპონიმიკურ დონეს არ უნდა გასცილდეს და მის ამჟამინდელ ვითარებას უნდა ასახავდეს⁶². ამ დებულების თანახმად, საანალიზოდ მოხმობილ გეოგრაფიულ სახელწოდებებში ყალიბდება ს.-ქართველური ტოპონიმიკური შესატყვისობანი: ს.-ქართული ჩეოჩი/ჩი რდი/ჩი რდილი/ზან. (resp. მეგრ.) შქერდი/შქედი: სვან. შგედ⁶³.

ვ. თოფურიია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, „მომთხილველი“, თბ., 1926, გვ. 203).

განსხვავებულია გ. კლიშვიის მოსაზრება მისი ვარაუდით მეგრ. შქიდ-, სვან. შგედ- და მისი რედუცირებული შგდ- ლექსემების ამოსავალ არქეტიპად ს.-ქართველურში აღდება *შდ- (იხ. მისი, *Этимологический словарь картвельских языков*, გვ. 214).

⁶⁰ ლინგვისტური ეტიმოლოგია არ უდრის ტოპონიმიკურ ეტიმოლოგიას. ლინგვისტურ დონეზე გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიზაციამ მკვლევარი მოსალოდნელია, გულუბრყვილო დასკვნამდე მიიყვანოს (ეს საკითხი საგანგებო მსჯელობას მოითხოვს. ამაყრად კი იხ. და შდრ. В. А. Никонов, *Этимологические западни. Lingua Posnapiensis*, т. IX, 1962, გვ. 103; მისივე, *Введение в топонимику*, М., 1965, გვ. 52 და შმდ.).

⁶¹ ტოპონიმიკურ შესატყვისობად მიგვაჩნია ერთი და იმავე ფუძის შემცველი ისეთი ტოპონიმები, რომელთა ლოკალიზაცია ზერხდება ორ მონათესავე ენაში მაინც და, როგორც ტოპონიმი, უფლებამოსილია იმავე ენაში, რომელშიაც იგი დასტურდება.

⁶² წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევა არაობიექტურ სახეს მიიღებს. შქერდი/შქედი ან ლაშქერდა/ლაშქეთა/ოშქედე რომ სვანური ტოპონიმებიაო, არავინ იტყვის. სვანიზმებად ჩაითვლება მათი ფუძისეული მორფემები და არა ტოპონიმები.

⁶³ ტოპონიმიკურ შესატყვისობათა კრიტერიუმად აღებულია ერთი ენის (resp. დიალექტის) გარემოცვაში დამოწმებული ყველა ტოპონიმის ვარიანტისათვის ერთი საერთო ამოსავალი ფორმა.

А. ЧКАДУА


СБЩЕКАРТВЕЛЬСКИЕ ТОПОНИМЫ СО ЗНАЧЕНИЕМ ČRDIL-
(«ТЕНЬ») И ИХ ТОПОНИМИЧЕСКИЕ СООТВЕТСТВИЯ

Резюме

1. а. В общегрузинском языке (resp. в грузинских диалектах) для наименования населенных пунктов, нив, пастбищ, лесов, рощ и т. п. констатируются топонимы: črdili, čirdili, čidili, čdili, čt̃ila, št̃ile, sašt̃ile//sašt̃ilie; čero, čao//čavo, čerelet⁶⁴. Семантика основ этих топонимов ясна: čero, čirdili, črdili... с их фонетически обусловленными диалектными алломорфами в грузинском являются нарицательными словами со значением „тень“. Называние топообъектов со значением „тень“ апеллируют географическим расположением названных объектов и указывают на теневое или тенистое место.

Анализируемые нами общегрузинские топонимы образуют две разноструктурные модели. В первую модель входят топонимы, для которых исходными корневыми морфемами являются: črd-, čird-, čid-, čd-, čt-, št-, а во вторую модель — топонимы с исходными корневыми морфемами čer-, ča-.

Учитывая допускаемые комбинаторные фонетические изменения грузинских диалектов (в данной ситуации: синкопирование согласных или же гласных фонем, дезаффрикатизацию-спирантизацию, ассимиляционное оглушение и диссимиляционную абруптивацию и т. п.), исходным архетипом для морфем обеих моделей можно постулировать *čer-, последующее изменение которого вызвано исторически функционирующими деривационными аффиксами в том или ином диалекте грузинского языка. Картина эволюции архетипа *čer- в общегрузинском предполагается следующим образом:



б. В сванском языке для передачи теневой стороны географических местностей употребляется слово šged (с алломорфой šk̃ed). По справедливому мнению Г. Дестерса, сванский šged („тень“) является закономерным соответствием груз. črd- морфеме (в слове črd-iloeli „север“); по К. Г. Шмидту общим исходным архетипом для грузинского črd- и сванского šged⁶⁵ реконструируется *čed-, а Г. Климов предполагает, что сванск.

⁶⁴ Приведенные нами формы топонимов отражают общую картину всех семантически подобных корнеслов (resp. морфем) общегрузинских топонимов. Поэтому топонимы, оформленные разнозначными деривационными и флективными аффиксами, число которых довольно обильно, в данный труд не вошли.

⁶⁵ По мнению Т. Гамкрелидзе и Г. Мачавариани, для корнеслова črd- и čird- исходным является *čr-d-, где дентальная фонема -d квалифицируется как суффикс нулевой ступени огласовки (см. совместный труд авторов: «Система сонантов и аблаут в картвельских языках», Тбилиси, 1965, стр. 310).

šged осетинского происхождения, исходным для которого постулируется *soegat* (осет. „северный склон горы“).

Синтетический анализ интересующих нас морфем дает основание высказать дополнительное мнение о том, что реконструированная *šerd- отражает картвельское языковое состояние на общем грузинско-(занско)-сванском хронологическом уровне, историческим рефлексом которого является сванск. šged.

Хронологическую последовательность структурных трансформаций сванских морфем следует представить так: *šerd- > сванск. *šgerd > šged > šked.

В занском (гесп. мегрело-чанском) языке реконструированным нами грузинско-сванским архетипам должно было соответствовать закономерное *š kard-, но такой морфемы в занском ни в нарицательных, ни в собственных именах не прослеживается. Вопреки этому, в топонимии Мегрелии для обозначения теневых местностей встречаются термины škerd-/šked- с разными смысловыми различиями аффиксами, но эти морфемы в мегрельском языке, по всей вероятности, неологизмы и являются усвоенными из сванского языка на уровне апеллативов. В дальнейшем они санкционируются в языке и подвергаются характерным для мегрельского языка фонетическим изменениям, а именно: звонкая заднеязычная фонема *g* в звукосочетании *šg* под влиянием глухого сигнанта *š* подверглась ассимиляционному оглушению: сванск. šg > мегр. šk, а сонант *g* можно квалифицировать или как исторически корневой элемент, или же как фонетическое наращение; т. е. сванск. *šgerd > мегр. škerd- > šked-; сванск. šged > мегр. šked- > škerd-. Фонетически и тот и другой вариант эволюции корнеслова в мегрельском можно допустить, но в обоих случаях škerd-/šked- не исконные морфемы для занских диалектов. Следовательно, мы вправе гипотетически допустить в занском закономерное соответствие реконструированного *šerd-: *šgerd, которое одновременно являлось бы и переходной ступенью между грузинско-сванскими морфемами. Естественно, следуя за историческим ходом регулярных звуковых чередований картвельских языков, такой морфемой может быть лишь *š kard-. В конечном счете, гипотетически можно сформулировать фонетико-семантические закономерные соответствия донсторических общекартвельских основ: общекартв. *šerd-: (занск. *š kard-): сванск. *šgerd.

II. Предложенные интерпретации носят чисто лингвистический характер и, как бы реально они ни выглядели, все же выявленные лингвистической этимологией генетически связанные основы не в состоянии быть единственным критерием для топонимических исследований, тем более — для топонимических соответствий. На уровне топонимических исследований того или иного языка (гесп. диалекта) постулатом, исходной топоединицей может считаться только тот географический феномен, который содержит какую-нибудь информацию и имеет социальную санкцию в том языке (гесп. диалекте), где он локализован. Следовательно, в данном случае констатируемые в Мегрелии географические названия с основой škerd-/šked- рассматриваются в синхронном аспекте и анализируются как исконно мегрельские топонимы. В подобных ситуациях интерпретации той или иной основы

топонима должны решаться только на топонимическом уровне того языка (resp. диалекта), где они констатируются, и топонимические соответствия должны отражать ту картину, которая свойственна данному периоду, учитывая всю специфику топонимов исследуемого региона⁶⁶.

Исходя из вышесказанного, анализируемые нами топонимы имеют общий исходный архетип лишь на уровне апеллятивов, но оформившись в географические имена, считаются уже топонимами собственно того языка (resp. диалекта), чьими морфо-фонологическими и семантико-синтаксическими признаками они обладают, т. е. для таких общегрузинских топонимов, как: črdili (зафиксирован в топонимии Имерети, Картли, Гурии, Аджарии), čirdili (в Аджарии, Хевсурети, Тушетии), čdili (в Аджарии, Картли, Имерети), sačdile, štile, saštile, saštīle (в Гурии), štīla, štīle (в Гурии, Аджарии), čidili, čao//čavo (в Аджарии), čero, cereleti (в Лечхуми)—общими исходными являются: čero, čirdili, črdili; для топонимов, локализованных в Мегрелии—skerdī, laškerda //lašketā, škerdī, oškede—škerdī, škerdī, а для топонимов Сванети—šged, šgedār, šgediēr, šgedil, šgedalg, šgädwār, šgedilgās, škegilgās, šked—šged.

Таким образом, на основе выделения общих исходных топонимов для каждого языка в отдельности, мы предполагаем следующую структуру общекартвельских топонимических соответствий: общегрузинск. čero, čirdili, črdili: мегрельск. škerdī, škerdī: сванск. šged.

⁶⁶ Было бы наивно считать сванизмами такие топонимы, локализованные на территории Мегрелии, как škerdī, škerdī, oškede, lašketā... Сванизмами являются лишь их корневые морфемы, а не топонимы в целом.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

პოლიკარამ ჯაჯანიძე

წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები

ყოველი ენობრივი კოლექტივი გარკვეულ ტერიტორიაზეა განლაგებული. თავისი ცხოვრების პირობებით იგი მეტად მტკიცედაა მიჯაჭვული მასზე. ეს ტერიტორია ენობრივი კოლექტივის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ხშირად ბუნების დიდ სტიქიასაც კი უძნელდება ადამიანები აიძულოს დატოვონ სამეგვიდრეო, მამა-პაპათა საცხოვრისი, გადასახლდნენ სხვაგან, თუნდაც უკეთეს მიდამოებში. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ გადასახლებულთ თან მიაქვთ ძველი საცხოვრისი ადგილების სახელები და მსგავსების რომელიმე ნიშნის მიხედვით არქმევენ ახალ სამოსახლოს ცალკეულ უბნებს.

ადამიანები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობასაც ვერ წარმართავენ სრულყოფილად ადგილთა სახელების — ტოპონიმთა გარეშე, რადგან ეს სახელები ენის ლექსიკური შედგენილობის მეტად მნიშვნელოვან და თანაც აუცილებელ მარაგს წარმოადგენს.

წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები¹ სტრუქტურის თვალსაზრისით არაფრით განსხვავდება საერთო ქართული ტოპონიმებისთვის დამახასიათებელი ყალიბისაგან. აქ ტოპონიმების წარმოების ექვსი ჯგუფი გამოიყოფა.

1. უაფიქსო ანუ ძირეული ტოპონიმები. ძირეულია ისეთი ტოპონიმები, რომელთაც ამჟამად მაწარმოებელი აფიქსები არ მოეპოვება. ასეთი სახელები ადვილებს, დელებს, მდინარეებს, ტბებს, წყაროებს თუ სხვ. შერქმეული აქვთ რაიმე ნიშნის მიხედვით. გამორიცხული არაა ის, რომ ფუძის რეინტერპრეტაცია მეორეული, გვიანდელი მოვლენა იყოს.

ასეთი ტოპონიმებია: სორმონი (სოფელი), ტევრი (ფარცხანაყ.), ეწერი (იქვე და სხვაგანაც), მეჩხერი (ს. რიონი), ბოჯირი (ს. დღნორისა და სხვაგანაც), რეზი (ს. გეგუთი), ქაჭარი (ს. მუხიანი), ყუმი (ს. ჩუნუში), ჯვარი (ს. დღნორისა)... წუგნა (ს. დღნორისა), ჰალა (წყალტ.), ტბა (ს. რიონი), ყუა (ს. რიონი), ლია (ს. მდლაკი), ჭომა (ქუთაისი)... ლაშე (ს. ლეხიდრისთავი), კოდე (ს. ფონეთი), სოხანე (ს. ოფშვეითი), ციხე (ს. ქვილიშ.), ტვაპე (ს. ოფშვეითი), ტაპო (ს. ბანოჯა), ჭყო (ს. ჯიმიტარო), ჩხოკო (ს. ქვიტირი), კოჯო (ს. გვიშტიბი)...

შესაძლებელია ისტორიულად მოყვანილ ტოპონიმებში აფიქსებად გამოიყოს ელემენტები: -ახ: პარტ-ახ-ი; -იფ: ხვილ-იფ-ი; -ეტ: კაპ-ეტი; -ავ: ბულ-ავ-ი... -ირ: ბოგ-ირ-ი; -ერ: მეჩხ-ერ-ი...

-ავ, -ახ, -ერ, -ირ, -ეტ, -იფ... ამ ელემენტებს ფუძეთსაწარმოებელ აფიქსებად ენა არ იცნობს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგ სავარაუდო განმანაკლისს).

¹ 1600-მდე ტოპონიმი აღწერა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრამ.

ზოგიერთი ძირეული ტოპონიმი მეგრული წარმოშობისა უნდა იყოს: ოტრო (პატარა მდინარე ბანოჯაში), ოღუე — ლეღუ თეკლათში (ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971), ღობილო, ღობირო (შდრ. მეგრ. ღობერა), ოგრო (ს. ოფუჩხეთი)... ეს ტოპონიმები მეგრული უნდა იყოს — სავგორა-ე. საზოგადოერ წყალტუბოს რაიონის ტოპონიმთა შორის მეგრული წარმოშობისა ჩანს აგრეთვე: ბანოჯა, ჯიმასტარო, ვაჭეიში, კუჩხია, ტოფათიში, მარგვენა, ოკატიში, ონტოფი, ოქონა, ოლასკურა, ოჩიები, ოწესი, ოხვედო, ოხოლვანი, ოჯუნეთი, ოჩხადაპური, ჩუნეში, ჩქუნა, ჯარგვალი, ჯანგვალი, ოფუჩხეთი და სხვ.

წყალტუბოს რაიონში არსებული მეგრული ტოპონიმებისაგან ზოგი პირდაპირ მეორდება, ზოგიც ქართულ-მეგრული ბევრათა შესატყვისობით არის წარმოდგენილი. უფრო საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ე. წ. მეგრული ტოპონიმები წყალტუბოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია (სოფლები — ოფუჩხეთი, ღღნორისა, ზარათი, რიონი) მოჭარბებული. ამ უბანში უფრო დიდხანს ხომ არ ცხოვრობდა მეგრული მოსახლეობა?

2. პრეფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები: ნა-პრეფიქსიანი წინავითარების სახელები შეიძლება ზმნის ფუძისაგან იყოს ნაწარმოები. ამ შემთხვევაში მითითებაა მასზე, რომ რაღაც სახის მოქმედება მოხდა ამ ადგილზე. სახელდების ნიშნადაც ეს მოქმედება მიღებული. ასეთი ტოპონიმები გასუბსტანტივებული ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობაა: ნა-ქცევი (ს. ღღნორისა), ნა-ხნავი (იქვე); ნა-რღოვი (ს. რიონი), ნა-თიბი (ს. ვანისქალა)...

სახელის ფუძისაგან ნაწარმოები წინავითარების ტოპონიმები: ნა-მეწყრი (ს. ჩორთისა, ს. ხევი), ნა-სახტრი (ს. ქეტირი, ს. პატრიკეთი). მეწყერ-ში-ერ, ხოლო ნასახტრში (არ სუფიქსები გამოიყოფა, მაგრამ ნა-პრეფიქსთან მათ არ უნდა ჰქონდეთ კავშირი).

სა-: სა-ხრავი (ს. ღღნორისა). სა-სლექი (ს. მალაკი), სა-ქოლაგი (ს. ჭაშ-ლეტი), სა-ბეკი (—საბეკი. ს. ღღნორისა), სა-ცივი (ს. ცხუჩკური; სა-წუმ-ი (ს. ზარათი), სა-ტოფი || (—სატოფავი, ს. ოფუჩხეთი. უკავშირდება „ტობს“).

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ წინავითარებასა და დანიშნულებას გამოხატავენ ნა-, სა-პრეფიქსებით ნაწარმოები მიმღეობები, რომლებიც წარმოშობითვე ჩვეულებრივი მსაზღვრელებია (ნა-ხნავი ადგილი, სა-ხრავი რაღაც. როცა მსაზღვრელები თვით იქცნენ სახელებად — ტოპონიმებად, საზღვრული წევრები გაუჩინარდნენ).

3. სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები. წყალტუბოს რაიონის ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოდენ-სუფიქსებითაა ნაწარმოები. გამოყენებულია სუფიქსები:

-ა: ბოსტან-ა (ღღნორისა), სიპ-ა (ს. რიონი), ბალ-ა (რიონი), კოდ-ა (იქვე), მიწდორ-ა (ს. ლეხიდრისთავი), ქვაბ-ა (ს. ოფშვიეთი), გოდორ-ა (ქუთაისი), ლეღ-ა (ს. კოლევი), ჩიჩქინ-ა (ს. მალაკი).

-ა სუფიქსით ტოპონიმები იწარმოება არსებით და ზედსართავ სახელთაგანაც და მიმღეობიდანაც: ბოსტან-ა (ს. მალაკი), თეთრ-ა (ს. ღღნორისა), დამპალ-ა (ს. მალაკი)...

ზოგჯერ -ა სუფიქს სახელობითის -ი-ც მიჰყვება: ბოსტან-ა-ი. ფონეტიკურ ნიდაგზე ვლელობთ: ბოსტან-ა-ი—ბოსტან-ე-ი—ბოსტან-ე.

² თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ქართული ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1966, გვ. 140.

-ა სუფიქსიანი წარმოებისა ჩანს შედგენილობით როული სახელები: ნებ-წყალ-ა (ს. მალლაკი), ორმელ-ა (ს. ოფშკვითი), კურმუხხ-ა (ს. ჩორთისა), ქემტერ-ა (ს. ჩუნგში). წარმოდგენილი სახელები მარტივი არაა, მაგრამ მათი შემადგენელი ნაწილების ვაზრება არ ხერხდება.

გრამატიკაში -ა კინობითის მაწარმოებელი სუფიქსია³, მაგრამ ტოპონიმებში იგი აღნიშნავს:

მ ს გ ა ე ს ე ბ ა ს: გოდორ-ა (გოდორის მსგავსი), კუჭუპა-ა (კუჭუპის, პატარა ქოთნის მსგავსი), ქვაბ-ა (ქვაბის მსგავსი).

ქ ო ნ ე ბ ა ს: გრძელ-ა (სიგრძე რომ აქვს, ისეთ ადგილს ეწ.), თეთრ-ა, შავ-ა (თეთრი ან შავი რომ არის).

-ა — არს: დამპალ-ა — ისაა, რომ დალაბა, დამპალია, დამპალ არს. ჩაქცეულ-ა — ჩაქცეულია, ჩაქცეულ არს.

ჩვენს საკვლევ ობიექტში -ა სუფიქსის ერთი უცნაური თვისება ისიცაა, რომ იგი ტოპონიმების მაწარმოებელ თითქმის ყველა სუფიქსს მოჰყვება. ასეთ შემთხვევაში ძნელია მის რაიმე განსაზღვრულ ფუნქციაზე ლაპარაკი.

-ია: ანარ-ია (ს. ფარცხანაყანევი), აკვან-ია (ქუთაისი), რომა-ია (ს. ქეტირი), სალ-ია (ს. ფარცხანაყ.), სერგ-ია (ს. ტყაჩირი), ფოფრ-ია (ს. ფარცხანაყ.), ჩახსალ-ია (ს. საყულია), ხიცი-ია (ს. ზარათი).

ამ სახის ტოპონიმებიდან გამოყოფილი ფუძეების სემანტიკა მეტწილად უცნობია, რაიმესთან მათი დაკავშირება არ ხერხდება, რაც -ია სუფიქსის ფუნქციის დადგენასაც აძნელებს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წყალტუბოს რაიონის -ია-ზე დაბოლოებული რამდენიმე ტოპონიმი მეგრულ ტოპონიმებს იმეორებს: ლ ი ა — ს. მალლაკი და ლ ი ა — წალენჯიხის რაიონში. ა ნ ა რ ი ა — ს. ფარცხანაყანევი და ა ნ ა რ ი ა — ს. გუდავას სასოფლო საბჭოში. ხ ი ც ი ა — ს. ზარათში და ხიცი-შ(ი) ოხორი (ხიციას ნასახლარი) — გრიგოლიშში.

-იან: ქაცე-იან-ი, ვაშლ-იან-ი, ფსხლ-იან-ი, ტილიფ-იან-ი, თელ-იან-ი, ძელქე-იან-ი, ათყუდ-იან-ი, ერთ-იან-ი, ჩიტ-იან-ი, მაწაქ-იან-ი.

-იან-ის ი არ ჩანს ტოპონიმში: ატმანი (ატმიანი).

-იან-ა: ბიანა, ჯაფრიანა, ყორიანა, ბლიანა, მაჩვიანა, ლეღვიანა, ბეოლიანა, ატმიანა...

ბოლოკიდური ა- ზოგჯერ ემსგავსება სახელობითის ი-ს და ე-დ იქცევა, ხოლო ი იკარგება: ლეღვიან-აი → ლეღვიან-ეი → ლეღვიან-ე, ძელქვიან-ე, ბეოლიან-ე...

-იან-ებ: ქერმიან-ებ-ი, ნიგვზ-იან-ებ-ი, ქე-იან-ებ-ი, მუხ-იან-ებ-ი, ბლიან-ებ-ი...

შესაძლებელია აფიქსები გადასმული სახითაც იყოს -ებ-იან: ვაშლ-ებ-იან-ი, ატმ-ებ-იან-ი.

არც -იან-ებ და არც -ებ-იან სუფიქსები მრავლობითობაზე არ მიუთითებენ, მაგრამ ამ სუფიქსებს შორის განსხვავება მაინცაა: -იან-თან -ებ სუფიქსი მხოლოდ ადგილის სიდიდეს ვახაზავს, ტოპონიმი კი ერთია. მას -ებ სუფიქსი მრავლობითად ვერ წარმოადგენს. -ებ ტ ო პ ო ნ ი მ ი ს ს ი დ ი დ ე ს აღნიშნავს. ეს -ებ სუფიქსის ახალი ფუნქციაა ტოპონიმიაში. -ებ-იან წარმოებაშიც ტოპონიმი ერთია, მაგრამ საწარმოებელი ფუძეა მრავლობითში: მხედველობა-შია ის ადგილი (და არა ადგილები), სადაც ბევრი ვაშლია.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 181.

დასადგენია, რატომაა, რომ ორივე წარმოება რაიონის სამხრეთი ნაწილში სოფლებში (ს. მუხიანი, ქვიტირი, ფარცხანაყანევი, მაღლაკი) არის გავრცელებული.

-ებ: ეს სუფიქსი ტოპონიმთა მაწარმოებლად მეტად ფართოდაა გავრცელებული: მუხ-ებ-ი, ლაიშ-ებ-ი, წყარო-ებ-ი, დობილ-ებ-ი, ტოტ-ებ-ი, ბეოლ-ებ-ი... -ებ, როგორც ტოპონიმთა მაწარმოებელი, ყოველთვის არ გამოხატავს მრავლობითობას და არც კრებითობაზე მიუთითებს⁴. მხედველობაში გვაქვს ტოპონიმები: ჭალეები, კოდილეები, ნიკელეები, ფონეები, ყაროულეები, გვირგვინოულეები...

მოცემულ შემთხვევაში „ჭალეები“ ბევრ ჭალას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ამ სახელით ცნობილი ადგილი დიდია. მაშასადამე, -ებ სიდიდეს აღნიშნავს. ასევე, „ქვიშნები“ ნიშნავს, რომ ადგილი, რომელსაც ეს სახელი ეწოდება, ცნობილია ალუბლის — ქვიშის ბევრი მცენარით. -ებ ამაზე მიუთითებს და არა იმაზე, რომ ბევრ ადგილზეა ლაპარაკი. კიდევ მეტი, „წყაროებს“ რომ ეძახიან ადგილს, იქ ერთი წყაროა. მის ირგვლივ მდებარე დიდ ადგილს ეწოდა „წყაროები“. აქაც -ებ წყაროს მრავლობითობას კი არ აღნიშნავს, არამედ ამ წყაროს ირგვლივ არსებული ადგილის სიდიდეზე მიუთითებს.

ზოგჯერ -ებ სუფიქსის წინ ე არის: მაღალ-ე-ები, ფონ-ე-ები, ნიკელ-ე-ები, ქედ-ე-ები. ასეთ ფორმებში -ებ-ის წინ ივარაუდება -ა სუფიქსი: (მაღალ-ა-ები-ი...), რომელიც ასიმილაციით ე-დ იქცევა.

-ებ სხვა სუფიქსებთან: -ოურ (-ეურ) -ებ: აფხაჭ-ოურ-ებ-ი, ყაროულე-ებ-ი; -ეთ-ებ: მეჭერ-ეთ-ებ-ი (ს. პატრიკეთი), -თ-ებ: გულ-თ-ებ-ი (-გულმთა-ებ-ი?); -იელ-ებ: გვამრ-იელ-ებ-ი...

-ათ, ათ-ა:

-ათ სუფიქსი მეტად იშვიათად არის გამოყენებული. სულ ხუთიოდე ტოპონიმი და არც ერთის ფუძე არაა გამკვირვალე. არ ჩანს რისი სახელია, რისგან არის ნაწარმოები ტოპონიმი: გუმ-ათ-ი, მშვენ-ათ-ი, რულდ-ათ-ი, კაკ-ათ-ი, ზარ-ათ-ი.

-ათ-ა: ჭახ-ათ-ა; -აქ, იკ-ა: მაღლ-აკ-ი, გორ-იკ-ა, ფელ-იკ-ა, ქაჩან-იკ-ა; -არ, -არ-ა: წიფ-არ-ი, წაბლ-არ-ი, თხილ-არ-ი, ვაშლ-არ-ი, ისლ-არ-ი... თხილ-არ-ა, ვაშლ-არ-ა, ცხილ-არ-ა...

უფრო გავრცელებულია -არ-ა; ჩანს, იგი უკეთ ეგუება კლთხური მეტყველების ბუნებას.

-ეთ, -ეთ-ა: გაბი-ეთ-ი, ბეჭერ-ეთ-ი, პატრიკ-ეთ-ი, აფშილ-ეთ-ი, სოლორ-ეთ-ი, ყონ-ეთ-ი, ლი-ეთ-ი, აპორ-ეთ-ი, მალი-ეთ-ი... (25-მდე ერთეულია).

-ეთ სუფიქსს ძველ ქართულში კრებითი მნიშვნელობაც აქვს და ეთნიკური ერთეულების (სახელმწიფოთა, ქვეყანათა და სხვ.) მაწარმოებლადაც გვხვდება⁵. „-ეთ სუფიქსი რისამე ან ვისამე მრავლადმყოფობის ადგილს აღნიშნავს“⁶.

წყალტუბოს რაიონის ტოპონიმებში -ეთ სუფიქსის ფუნქციის ზუსტად დადგენას შეუძლებელს ხდის მის მიერ წარმოებულ ფუძეთა მნიშვნელობის დეზორიენტაცია: მალი-ეთ-ი ადგილის სახელია, მაგრამ რა არის მალ-ი, არ ჩანს.

⁴ შდრ. თ. ზურაბიშვილი, დასახ. შრ., გვ. 144.

⁵ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1926, გვ. 36.

⁶ არნ. ჩიქობავა, ოს სუფიქსი მეგრულში: უნ. მოამბე, 1926, ტ. VI, გვ. 308.



საკულისხმოა, რომ აქაც, მსგავსად ძველი ქართულისა, ტოპონიმურ გვხვდება ადამიანის სახელი -ეთ სუფიქსით: სოლომანეთ-ი⁷ — ეწოდებოდა უთუოდ იმ ადგილს, სადაც სოლომანის შთამომავალი ცხოვრობდა.

გაქვეყნებული სახით იხმარება ქონების სუფიქსები: -ოვ-ან, -ოვ-ან-ა: მსხლ-ოვ-ან-ი, ენდ-ოვ-ან-ი (ო-ს ჩანაცვლებით: ბზ-ვ-ან-ი, ვულ-ვ-ან-ი); რიკ-ვ-ან-ა, ბლ-უ-ან-ა. აქაც იკარგება ო ოლონდ უკანასკნელ მავალითში ოვ-ს უცვლის.

-ნარ-, -ნარ-ა: ამ აფიქსებით ყოველგვარი სახელისაგან იწარმოება ტოპონიმი. ფუნქციით ისინი ქონების -იან სუფიქსს ეტოლებიან: ნაბად-ნარ-ი — დისიმილაციით: ვერხ-ნალ-ი, ლედე-ნარ-ი — სურ-ნალ-ი, იფ-ნარ-ი — ბარდ-ნალ-ი, ციე-ნარ-ა — ყორ-ნალ-ა, ტყვიმ-ნარ-ა — ქვარ-ნალ-ა, იფ-ნარ-ა — ვერხ-ნალ-ა.

-ოულ (←ეულ) სუფიქსით უმეტესად ადამიანის გვარის ან სახელისაგან იწარმოება ტოპონიმი: გოგიბერ-ოული-ი, გოგიტ-ოულ-ი, ბეჟან-ოულ-ი, ჩხაბერ-ოულ-ი.

ეს -ოულ (←ეულ) უნდა მომდინარეობდეს სოულ — სეულ-ისაგან⁸, რაც ნიშნავს, თუ ძველად ვის ეკუთვნოდა სახელდებული ადგილი.

„სეული“, როგორც წესი, კუთვნილებას გამოხატავს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან: მესხისეული, ჯოხხაძისეული, ერთი ხ იკარგება — მესხისეული, ჯოხხაძისეული.

გვაქვს ეულ-ას ფონეტიკურად სახეცვლილი ოულ-ა: ხოკერ-ოულ-ა, ბრეგ-ოულ-ა... დისიმილაციით: სახელ-ოური, ჯულუხოური.

ტოპონიმთა მაწარმოებლად გვაქვს სუფიქსები: ელ-ა: ბოს-ელ-ა, ბაბინ-ელ-ა... -ილ-ა: კოდ-ილ-ა, სხვ-ილ-ა... -ულ-ა: ჭერ-ულ-ა, კიბ-ულ-ა... -უკელ: ბერძ-უკელ-ი; -უკელ-ა: ბერძ-უკელ-ა; -უთ: გვგ-უთ-ი, -ეერ: მუხ-ეერ-ი, ოთ: კულ-ოთ-ი, წყა-ოთ-ი, ით: ომშკე-ით-ი, ჭიხე-ით-ი; -ურ: ყათ-ურ-ა, მზი-ურ-ა; -ან-ა: კობიტ-ან-ა; ომ-ა: დილ-ომ-ა, -უმ-ა: ვალის-უმ-ა, იდ-ა: ქვა-იდ-ა, იან-ეთ-ა: ლედე-იან-ეთ-ა⁹ | ლედე-ინ-ეთ-ა.

✓ წყალტუბოს რაიონის მიკროტოპონიმების საწარმოებლად იშვიათად არა-ქართული, ზანური ან სვანური სუფიქსებიც არის გამოყენებული, რაც ნაშთი უნდა იყოს იმ დროისა, როცა ეს ტერიტორია ზანებით იყო დასახლებული და არც სვანებისათვის იყო ხელმიუწვდომელი (ვვარაუდობთ რაიონის ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით სვანური მოსახლეობის არსებობას):

-აშ: კორე-აშ-ი (ს. დღნორისა, სპოვარი), -ეშ: ჩუნ-ეშ-ი (სოფელი ცხუნ-კურის სას. საბჭო), -იშ: სხვორ-იშ-ი (ტყე ს. ქაშლეთში), ონჭე-იშ-ი (სოფელი), ვაჭე-იშ-ი, ოკატე-იშ-ი (ს. დღნორისა).

რამდენიმე ტოპონიმი ნაწარმოებია -ის-ი, ის-ა სუფიქსებით, ამგვარი ერთეულები მსაზღვრელად გამოყენებულ ნანათესაობითარი სახელებია¹⁰, „რომელთაც თავის დროზე საზღვრული დაუკარგავთ... დამოუკიდებელ სახელებად იქნენ და სახელობითის ი ნიშნით გაფორმდნენ“¹⁰:

⁷ ვ. დონდუა, ლიბარიტოეთ-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXIII, 1948, გვ. 133. პოზიტური ტოპონიმის წევრად აღებული.

⁸ ა. შანიძე, ქართული გრამ. საფ., გვ. 130.

⁹ ა. შანიძე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის, „თბილისი 1500“, 1958, გვ. 20—21.

¹⁰ თ. ზურაბიშვილი, დასახ. შრ., გვ. 151.

-ის-ი: სობტარ-ის-ი (ს. კაშლეთი, ტყე), მუგუნე-ის-ი (იქვე, მაღლობი ადგილი), ქუთა(თ)-ის-ი (ქალაქი, „ვილაც მდიდარ ქუთათას მმართველობაში შედიოდა. აქედან წარმოდგა „ქუთათისი“. პეტრე ჭაბუკიანის აზრით, სახელი სვაწური წარმოშობისა).

-ის-ა: დღნორ-ის-ა (სოფელი, ადრე „დღნორი“ ერქვა), ბედ-ის-ა (დედებთან ადგილი), სიპ-ის-ა (ბუჩქნარი ადგილია დღნორისაში), ცინ-ის-ა (ს. ზარათში, მინდორი), ჩორთ-ის-ა (ნასოფლარია, შედის დღნორისაში),

-ის-ი და ის-ა აფიქსებს ტოპონიმთა წარმოებაში ერთნაირი ფუნქცია აქვთ, მაგრამ კუთვნილება უფრო ნათლად -ის-ი სუფიქსითაა გამოხატული.

4. პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები. პრეფიქს-სუფიქსები აღნიშნავენ ადგილის თუ სხვა სახელსაღები ერთეულების თვისებას — ქონებას, წინაეთარებას, მრავლობითობას, კრებითობას, დანიშნულებას, სიდიდესა და სხვ. გეოგრაფიულ სახელთა ამ წარმოების დამახასიათებელია პრეფიქსთა ერთფეროვნება (მხოლოდ სა- და ნა- პრეფიქსებია გამოყენებული) და სუფიქსთა მრავალფეროვნება.

ფორმულა ასეთია: პრეფიქსი სა- ან ნა- + სუფიქსი; პრეფიქსი სა- ან ნა- + სუფიქსი + -ა (-ა პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებაშიცაა შემოკრილი).

დანიშნულების ადგილს აწარმოებს: სა- — -ა: სა-ცურაგ-ა, სა-ლოცავ-ა, სა-ქარ-ა, სა-თიბ-ა, სა-ბძოლ-ა; სა- — -ე: სა-სახლ-ე, სა-კალმახ-ე, სა-კირ-ე, სა-აგურ-ე, სა-ბუე-ე, სა-ბაწრ-ე, სა-იხვ-ე, სა-ბაღ-ე, სა-ქულბაქ-ე, სა-ბეჯოღ-ე...

ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სა-ქულბაქ-ე¹¹ „— ძე. ადგილი სადაც დუქნები იყო. სადუქნე, დუქნები (შდრ. ქულბაქი)“ (ქგლ.). მართალია, მითითებულ ადგილზე დუქნები არაა ახლა, მაგრამ მცხოვრებთა დამოწმებით, იქ დუქნები მართლაც ყოფილა. შემონახულია ძველი სახელი (ქულბაქი — ძე. „ბაზარია“: — საბა; „ბაზრის დუქნები“, — დ. ჩუბ.).

სწორად სა- — -ეს ემატება -ა სუფიქსი. იქნება სამეღემენტოვანი მაწარმოებელი. ასეთ შემთხვევაში სუფიქსები ეა დისიმილაციით იას გვაძლევს, როგორც ეს ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლური დიალექტებისათვის. გარეგნული შთაბეჭდილებით თითქმის ამ ტიპის წარმოებაში სუფიქსური ელემენტი იყოს -ია: სა-მამლ-ია (←სა-მამლ-ე-ა), სა-მარწყვ-ია (←სა-მარწყვ-ე-ა), -სა-ქაჯ-ია (←სა-ქაჯ-ე-ა), სა-ვარდ-ია (←სა-ვარდ-ე-ა), სა-მაჩვ-ია (←სა-მაჩვ-ე-ა), სა-ჯანგ-ია (←სა-ჯანგ-ე-ა), სა-პილ-ია (←სა-პილ-ე-ა).

ამ ტიპის წარმოებისაა სათაფლიის ტერიტორიაზე ერთი კუთხის სახელი — სა-ყვერბ-ია (←სა-ყვერბ-ე-ა). ეგებ ეს ტოპონიმი ნაწარმოებია „ყვერბი“-ისაგან, რაც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით არის „ცეცხლის სანთები ადგილი, კერა, საცეცხლური“. „საყვერბია“ ხომ არ არის შემოკლებული ფორმა „საყვერბელისა“, რაც საახალწლოდ გამოიმცხვარ დიდ პურს (შუაში ჭვარით) ეწოდებოდა? ს. საყულიაში ერთ ადგილს „საყურბია“ პქვია (ახლა იქ ვაზია გაშენებული). ზოგის გადმოცემით, „ეს ადგილი კაი „საყურბელი“ რო იყო, მითო დეეთქვა — საყურბია“. ერთი თქმულების მიხედვით კი ყოველ ახალ წელიწადს აქ დააბრუნებდნენ და შეჰამდნენ დიდ ჭვრიან პურს.

¹¹ ი. ქავთარაძე, რამდენიმე საკითხი ქართული ენის ისტორიიდან, „მნათობი“, 1971, № 9, გვ. 176—177.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სათაფლიის „საყვერბია“ და სოფელ საყულის „საყურბია“ ერთი და იგივეა — სალოცავ ადგილს ეწოდება. ყვერბეულსაც აქ მიიტანდნენ ახალ წელს.

დანიშნულების სახელებს აწარმოებს: სა- — ელ: სა-რტყ-ელ-ი, სა-რბი-ელ-ი, სა-ფიცხოვ-ელ-ი. უფრო მოხშირებულია სა-ელ-ა: სა-ბრგვ-ელ-ა, სა-ლოცვ-ელ-ა, სა-ცხვ-ელ-ა, სა-რეცხ-ელ-ა, სა-ხტომ-ელ-ა, სა-წნახ-ელ-ა.

ზოგჯერ ამ ტიპის მიკროტოპონიმები სახელობითი ბრუნვის ნიშანს დაირობავს, რის შედეგადაც გვაქვს ასიმილირებული ფორმები: სარეცხელი — სარეცხელი — სარეცხელი. ა ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელებიც ანალოგიურ ფორმებს წარმოაჩენს ქვემოიმიერულსა და ზემოგურულშიც. ამ შემთხვევაშიც მიკროტოპონიმთა წარმოება ქართული ენის საზოგადო სახელთა ბრუნვის სისტემაში თავსდება: სა- — -ურ: სა-კვანძ-ურ-ი, სა-ბაღ-ურ-ი; სა- — -ურ-ა: სა-მზე-ურ-ა, სა-ჩხე-ურ-ა; სა- — -ო: სა-გაბრიელ-ო, სა-კვამ-ო, სა-მაჩაბრ-ო, სა-ეკლესი-ო, სა-აბულაძ-ო, სა-ბერ-ო, სა-გვარ-ო. „სამღებრ-ო-ც“ ამ რიგში შევა, ოღონდ მღებარ მიძლეობიდან არის ნაწარმოები ტოპონიმი სა- — -ო აფიქსებით. „სამაჩაბრ-ო-ში“ რ-თი შეცვლილია ლ: „სამაჩებლო“ ის ადგილი იყო, რომელიც მაჩაბელს ეკუთვნოდა. სა- — -არ-ა: სა-ქუხ-არ-ა, სა-ბზი-არ-ა (ეს უკანასკნელი მიღებული ჩანს სა-მზე-არ-ა-საგან).

წარმოების იშვიათი ფორმებია: სა-მაჩვ-ა-ნი (ს. საყულია, ვაზია გამუნებული), რომელშიაც **ნ** მრავლობითობის ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ შევნიშნავთ იმასაც, რომ მხოლობითის ფორმა „სამაჩვა“ არ იხმარება. სა-რბ-ებ-ი იგივე უნდა იყოს, რაც „სარბევი“ (ს. საყულია, სათიბი), ე— ბგერათა მონაცვლეობა ქმნის ამ განსხვავებას. სა-გველ-ეთ-ი — ამგვარი წარმოების მხოლოდ ეს ტოპონიმი დადასტურებული.

წინავითარების გამოშხატველი მიკროტოპონიმებიც პრეფიქს-სუფიქსებითაა ნაწარმოები. საწარმოებელ ფუძედ აღებულია უმეტესად მცენარეთა სახელები: ტყემალი, ნიგოზი, ცაცხვი, ხახვი, ისლი, ბამბა, პილიპილი. სხვა სახელები: ოდა, ციხე, ღელე, ჯოგი, ბელელი, ფაცხა... იშვიათად ზმნის ფუძეებიც: კედლა, წვა, ხენა და სხვ.

ნა- — -არ: ნა-ოღ-არ-ი, ნა-ხახვ-არ-ი, ნა-ბეკლ-არ-ი, ნა-ისლ-არ-ი, ნა-ბამბ-არ-ი, ნა-ციხე-არ-ი, ნა-ღელე-არ-ი, ნა-ჯოგ-არ-ი, ნა-ვენახ-არ-ი, ნა-წისქვილ-არ-ი, ნა-ეკლესე-არ-ი.

ეზო-სა და კალო-საგან ნაწარმოებ ფორმებში ბოლოციდურით **ო** შეცვლილია ვ-თი: ნაეზვ-არი, ნაკალე-არი.

ციხე, ღელე და ეკლესია — ფუძეთაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში ბოლოციდურად **ვ** აღმოჩნდება: ნაციხე-არი, ნაღელე-არ-ი, ნაეკლესე-არ-ი. ხომ არ არის აქ ეს **ვ** ანალოგია იმ სახელებისა, რომელთაც ბოლოციდურად **ვ** მოდის (ცაცხვი — ნაცაცხვარი, ნახახვარი, ნაფეტვარი...). სპეციალურ ლიტერატურაში ვარ — ი მაწარმოებელ სუფიქსად არის გამოყოფილი¹².

პარალელურად გვაქვს -ა- სუფიქსიანი წარმოებაც: ნა-ბამბ-არ-ა, ნა-ფეტვ-არ-ა, ნა-ციხე-არ-ა, ნა-ბაღ-არ-ა, ნა-ნესე-არ-ა...

ჩვენი დაკვირვებებით, არავითარი განსხვავება არაა ნა-ბამბ-არ-სა და ნა-ბამბ-არ-ას შორის. ინფორმატორების თქმით, „ნა-ბამბ-არ-ა უფრო შინაურული სახმარია, საშინაო სახელია. საბუთებში ნა-ბამბ-არი, ნაფეტვარი გვიწერია“.

¹² ი. ს. ხ ა რ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი II, 1959, გვ. 29.



თუ სახელის ფუძეში რ ბგერა შედის, დისიმილაციით -არ სუფიქსის ნაცვლად გვექნება -ალ: ნა-ქართ-ალ-ი, ნა-კაზარმ-ალ-ი, ნა-ბურ-ალ-ი, ნა-ცერცვ-ალ-ი, ნა-საქირ-ალ-ი, ნაჭერ-ალ-ი, ნა-მარწყვ-ალ-ი.

გვაქვს -ა- სუფიქსიანი ტოპონიმებიც: ნა-ფარცხ-ალ-ა, ნა-პურ-ალ-ა.

ნა — ებ: ნა-ქალაქ-ებ-ი, ნა-ეკლესი-ებ-ი, ნა-ლობი-ებ-ი, ნა-სოფლ-ებ-ი, ნა-კუთნ-ებ-ი, ნა-წვავ-ებ-ი, ნა-საყდრ-ებ-ი, ნა-მჟადრ-ებ-ი.

ზოგჯერ -ებ-ის წინ -არ სუფიქსიც გვხვდება: ნა- — არ — ებ. ნა-ბამბ-არ-ებ-ი, ნა-მალ-არ-ებ-ი, ნა-ომ-(ა)რ-ებ-ი.

ნა — ებ და ნა — არ — ებ მაწარმოებლებში ებ სუფიქსი არც მრავლობითობას გამოხატავს და არც კრებითობას. ადგილის სიდიდეზე მითითებაც არ ჩანს: არავითარი განსხვავება არაა, ერთი მხრივ, ნა-ბამბ-ებ-სა და ნა-ომ-ებ-ს, ხოლო, მეორე მხრივ, ნა-ბამბ-არ-ებ-სა და ნა-ომ-(ა)რ-ებს, ნა-მალ-არ-ებ-ს შორის. განსხვავებას ვერც -არ სუფიქსი ქმნის. პარალელურ ფორმებს თვით ინფორმატორებიც ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან.

იშვიათი წარმოების ტოპონიმები: ნა — -ო: ნა-ჭა-ო (ს. ფარცხანაყანავი, სათესი), ნა-მდეკრ-ო (ს. ღღნორისა, საძოვარი, ბუჩქნარი), ნა — -ა: ნა-შვავ-ა (ს. ღღნორისა, საძოვარი), ნა-ცხვარ-ა (ს. ღღნორისა, საძოვარი), ნა — -იშ-ი: ნა-ბუე-იშ-ი (ს. ბენთქოულა, ტყე), ნა — -ავ-ე: ნა-ბელ-ავ-ე (ს. უნეთი, სა-თესი საძოვარი), ნა — -ახ: ნა-ძველ-ახ-ი (ს. მექვენა, ვანი, სათესი).

მოყვანილი მაგალითების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. გაუგებარია რას უკავშირდება „მდეკრ“ ფუძე. თითქოს „ნამდეკრო“ (—სამრეკლო) ხალხის შესაყრები ადგილი იყო. მოუხმობდნენ ზარით. სახელიც „სამრეკლო“ უნდა იყოს ტოპონიმისა. 2. გამოყენებულია „წვავ“, „ხნავ“ ზმნების ფუძეები. საგანგებოდ გამოყოფთ ამ ფაქტს, რადგან მეტად იშვიათია ზმნის ფუძისაგან ტოპონიმთა წარმოების შემთხვევები. „ნაწვავა“, „ნახნავა“ იმასვე გამოხატავს, რასაც —ნაწვავი, ნახნავი. ამ გაგებისათვის ა სუფიქსი ზედმეტია. იგი აქაც ანალოგიით უნდა იყოს დამკვიდრებული (ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს იმერული „ნაწვავა“ — წვავდა თურმე და „ნახნავა“ — ხნავდა თურმე). 3. მეგრული ჩანს ტოპონიმი — ნაბუეიში.

ნა — -ევ-ური: აფიქსებია სავარაუდებელი ტოპონიმებში: ნა-ფიცხ-ევ-ური (ს. გვიშტიბი, ტყე-ბუჩქნ.), ნა-ტბ-ევ-ური (ს. სორომონი, ტყე), ნა-კად-ევ-ური (ს. ჭოლები, ძველად დიდი კლდე იყო), ამ უკანასკნელში ძირი უნდა იყოს — კლდე — ნა-კლდე-ევ-ური.

5. **სიტყვაშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები.** წყალტუბოს რაიონში?

ფართოდაა გავრცელებული მიკროტოპონიმთა სიტყვაშეერთებითი წარმოება. ამ რიგის ადგილთა, მდინარეთა, ღელეთა, მთათა თუ სხვათა სახელებში უფრო სრულყოფილი დახასიათებაა მოცემული მიკროტოპონიმებისა. ყველასათვის ხელმისაწვდომია მათი მნიშვნელობა. ეს უთუოდ იმითაც აიხსნება, რომ სახელებმა აღწერილია: ორი, სამი სრულმნიშვნელოვანი სიტყვითაა ნაწარმოები. იშვიათად ხდება კომპოზიტის რომელიმე წევრის სახის დაკარგვა, გაუჩინარება: ფონეტიკური პროცესები აქ შედარებით უფრო მეტ დაბრკოლებას ხვდება.

სიტყვაშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმთაგან აქ გვხვდება: 1. ფორმა-უცკლელმსაზღვრელიანი სახელები, რომელთა მსაზღვრელ ელემენტად, როგორც წესი, ადგილის ზმნიშვნელობა. ისინი განარჩევენ სახელების ობიექტის ადგილსამყოფელს. საამისოდ ხშირად გამოყენებულია ზმნიშვნელების



სამირისპირო ფორმები: ზედა — ქვედა, მალა — დაბლა, გაღალმა — დაბლა, გაღალმა — გამოღალმა: ზედა ვაკე, დაბლა კოდი, გაღალმა ტვერი, გამოღალმა ვუგა, შემო ეზო, ქვედა მესხეთი, ზენა ხიდი, წინა ველი, ქვე თავი...

2. მართულ მსაზღვრელიანი სახელები აქაც მეტად მრავალფეროვანია. მართულ მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი სახელი, შინაარსისა და ფორმის მიუხედავად, მაგრამ ჩვეულებრივ ადამიანის გვარი, სახელი ან კიდევ ფრინველის, ცხოველისა და სხვათა სახელები: ჩიტაიანის წყარო, ბერაძის ტბა, წიქორიძის ჩიქვები; კოსტას ჩაბალი, ივანეს წყარო, სილიას მინდორი; თევზის ტბორი, აბანოს ვაკე, ბოგირის თავი.

გვაქვს ისეთი ტოპონიმებიც, რომლებიც სამი ფუძისაგან შედგება — ნათესაობითი დასმული ორი მსაზღვრელი ახლავს სახელს: ჰალის ტყის წყალი¹³, ბეჟანის კოდის წყალი, ციცხვის ძირი (ს) ვაკე...

სამფუძიანებია აგრეთვე: დიდ ღელის თავი, ორ პირის ულიცა, ქვა ბულარის თავი, პი ჭვარის წერი.

მართული მსაზღვრელი ნაწარმოებია: ბეჭერეთის ხელიფი, გამგებლის ეელი, ნაურების ღელე, მეცხენის საყდარი.

მართული მსაზღვრელი მრავლობითშია: ბერძნების მინდორი, ჩიტაიანების წყარო.

უფრო ხშირია შემთხვევა, როცა საზღვრული არის მრავლობითში: კანიეს ტყეები, ტურის ზერელები...

მართულმსაზღვრელიანი მიკროტოპონიმების უკანასკნელი ფუძე დაირთავს -ა სუფიქსს: ხარის თავ-ა, თხის ზურგ-ა, მუხის ძირ-ა.

ზოგჯერ ეს -ა მართულ მსაზღვრელს მოუდის: ქვატაფიას ჰალა, მთა შავას გორა.

მართული მსაზღვრელი კარგავს -ს ელემენტს: ლაში პირი, ჭი ღელე, ბაღა გვერდი, ქვაბი კარი, ვარდი გორა, ჭვარი ღელე...

ნათესაობითის ნიშანი სულ იკარგება: სიმონ მინდორი, ხატ ალაგი, ტურ ბეჩო...

✦ მხოლოდ ერთ ტოპონიმში გვაქვს მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი: დედა ღელისა (—დედაი ღმრთისაი).

6. ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმები. წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე ასევე ფართოდ არის გავრცელებული ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმები, როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობით.

როცა ატრიბუტული მსაზღვრელი პირველ ადგილზე დგას, იგი მხოლოდ ფუძის სახითაა წარმოდგენილი: დიდ ველი¹⁴, დიდ ქვა, გრძელ მინდორი, დიდ ბოგირი, ორ ღელე, ცივ წყალა...

✦ ატრიბუტული მსაზღვრელი მნიშვნელოვნადაა შემოკლებული: დი მინდვრები (—დიდი მინდვრები), დაფან წყლები (—დაფანტული წყლები)...

ატრიბუტული მსაზღვრელი დაირთავს -ა სუფიქსს: თეთრა მიწა, გუბია წყალი, დამპალა ღელე.

უფრო ხშირად -ა სუფიქსი საზღვრულს მიჰყვება: სამ წყალა, შავ ტალახა, ცივ წყალა, დიდ მიდორა...

¹³ ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი განსაზღვრავს მომდევნო სახელს, მომდევნო სახელი კი უშუალოდ უკავშირდება საზღვრულს — ჰალის ტყის წყალი...

¹⁴ ხშირად ატრიბუტული მსაზღვრელები საზღვრულთან არის შეერთებული.

მსახვრელ-სახვრული ცალ-ცალკეა: საბეკო გორა, თეთრი წყარო, მა-
 ლალი მიწა.

პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები უფრო მცირეა — ტბა შავი, ქვა
 ნატეხი, ქვა ბილარი, ქვა დიდი, გორ მაღალი, მამა წმინდა.

რამდენიმე ზმნაც უნდა გვქონდეს ადგილის სახელად გამოყენებული:
 გ(უ)-უ-მალ-უ — მდინარე (ს. ცხუნკური. ამ მდინარეში კაცი ჩავარდა და იღრ-
 ნობოდა, ნაბირიდან დაუძახეს: „გუუძალე და გამოხვალ“); მ(ე)-ერი-ა — ღელე
 (ს. ჟონეთი). აქ დაამარცხეს თათრები — ჩვენები მოერივნენ მათ); ღ(ო)-უ-
 ცად-ი — მთა (ს. ლეხიდრისთავი. დაუცალეუბელი?); წყარუ-ა — წყარო (ს. ბენ-
 თქოულა. შეიძლება -ა არის ზმნიდან ვივარაუდოთ — წყარო არის. ანდა ეს -ა
 კნინობითობის მაჩვენებელია); რუ-ა — თბილი ღელე იყო მექვენაში. სამკურ-
 ნალოდ ხმარობდნენ. დავით ნარინი ბანაობდაო. ახლაც არის ორი ტახტისებუ-
 რი აბაზანაო (რუ არის?); მალღეიდარი — სათესი (ს. მალღაკი. მალღით არი-
 სო, სხვა ადგილებთან შედარებით იგი უფრო მაღალია).

ადგილთა სახელებად გამოყენებულია მიმღეობა: ულ-ა: ჩაქვეუ-ულ-ა,
 ამოკირ-ულ-ა, გატყა-ულ-ა, მიხო-ულ-ა; ილ: გაქრი-ილი, შემოთხრ-ილი; ილა-
 შეწყობილ-ილა; ულ: მოხო-ული-ი, შეზენ-ულ-ი.

ბევრი საინტერესო ტოპონიმია წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე, მაგ-
 რამ, სამწუხაროდ, ჩვენი მეცნიერება ტოპონიმთა შესახებ იმდენად ახალია,
 რომ ყოველი მათგანის ეტიმოლოგიის გათვალისწინება შეუძლებელია.

დასკვნა

1. წყალტუბოს რაიონის მიკროტოპონიმთა მრავალფეროვნებას ქმნის მა-
 წარმოებელ ელემენტთა სიუხვე და მათი ნაირგვარად გამოყენება:

მართლმსახვრელიანი ტოპონიმების სახვრულეზად გამოყენებულია
 სიტყვები: ღ ე ლ ე (52)¹⁵: აკვანიის ღელე, ბოგირის ღელე, ჭიღელე (ჭის ღე-
 ლე)... წ ყ ა ლ ი (36): გუბისწყალი, გუბია წყალი, ცივ წყალა... წ ყ ა რ ო (29):
 ბერძნის წყარო, ერთიანის წყარო, კოდი წყარო... კ ო დ ი (12): დაბლა კოდი,
 ღრენია კოდი... აღნიშნული სიტყვების ასე ხშირი ხმარება უთუოდ იმით აიხს-
 ნება, რომ რაიონის ტერიტორიის მთაგორიან კუთხეებსა და დაბლობებში ბევ-
 რია წყლები და წყაროები. მეორე ელემენტად აგრეთვე ხშირადაა ნახმარი სა-
 ზღელები: გ ო რ ა — გ ო რ ი (27): ეკლესიის გორა, მთაშავას გორა, ვარდის გო-
 რა, საბეკი გორა, რუსების გორა... თ ა ვ ი — თ ა ვ ა (29): დიდელისთავი, ცხრა-
 თავა, ხარისთავა... ს ო უ ლ ი (17): კოხისაოული, მახარისაოული... გ ვ ე რ -
 დ ი (13): არყისგვერდი, ბალიგვერდი...

ქ ა ლ ა, მი წ ა, ვ ა კ ე, ძ ი რ ი — ძ ი რ ა, წ ვ ე რ ი, ვ ე ლ ი. ტ ვ ე რ ი
 გ ზ ა, პ ი რ ი, ფ ო ნ ი, ტ ყ ე, ბ ა ლ ი, ფ ე რ დ ი, ქ ე დ ი, კ ლ დ ე, შ ა რ ა,
 ც ი ხ ე, ნ ა ყ ა ნ ე ბ ი, გ რ ძ ე ლ ა, ყ ა ნ ა, ე ზ ო, კ ი ღ ე, მ ი ნ დ ო რ ი,
 ა ლ ა გ ი და სხვა მისთანანი კომპოზიტური ტოპონიმებისათვის წარმოადგენს
 საყრდენს და იმავე დროს სემანტიკურად უაღრესად ზოგად მასალას. მართ-
 ლაც, ღ ე ლ ე, შეიძლება იყოს აკვანიის, ბ ო გ ი რ ი ს, ჭ ი ს, ი ვ ა ნ ე ს
 და სხე.

ასევე შეიძლება სალოკალიზაციოდ „თავი“ ყოველგვარ სიტყვას შეუ-
 ცროდეს და ამ გზით ვაწარმოოთ სხვადასხვა სახის მიკროტოპონიმი: ქალა —

¹⁵ ფრჩხილებში მოთავსებული ციფრი უჩვენებს, თუ რამდენჯერ არის ეს სიტყვა კომ-
 პოზიტური ტოპონიმის წევრად აღებული.

ქალისთავი, დიდლეუ — დიდლელისთავი, ხარი — ხარისთავი. მოცემულ შემთხვევებში „თავი“ აღნიშნავს ან ტოპონიმის განსაზღვრულ პუნქტს, ან ადგილის რომელიმე ცხოველის თავთან მიმსგავსებას: ხარისთავა, კატისთავა. „წვერი“ ერთია, მაგრამ ყოველ სახელთან შეიძლება მისი შეერთება და მიკროტოპონიმის წარმოება: ბულისწვერი, ნასაკირალისწვერი, მუხრანისწვერი... „წვერი“ აქ საწარმოებელი სიტყვით აღნიშნული ერთეულის სიმაღლესაც აღნიშნავს და ამითვე ხაზს უსვამს ტოპონიმის ადგილსამყოფელსაც. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს იმას, როგორ ან რა აფიქსებიტაა ნაწარმოები ეს სიტყვები: ნასაკირალი — ადგილის სახელია, ტოპონიმიცაა ნა-სა-ალ აფიქსებით, მაგრამ მისგანვეა ნაწარმოები — ნასაკირალის წვერი უკვე სხვა ახალი მიკროტოპონიმი. მეორე ერთეული ტოპონიმისა „ნასაკირალი“-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოდგება თვით ნასაკირალზე არსებულ სხვა ერთეულების მსაზღვრელებად: ნასაკირალისწვერი, ნასაკირალისძირი, ნასაკირალისთავი, ნასაკირალისფორა...

2. მიკროტოპონიმთა სამყარო სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულებისაგან შედგება. წყალტუბოს რაიონის მიკროტოპონიმებიდან გამოიყოფა:

ა) სარწმუნოებრივი ხასიათის ტოპონიმთა ჯგუფი: ბარბარწმინდა, დედამღვთისა, მამაწმინდა, დანაფიცი, ნაეკლესიოვარი, ნასაყტარი. ნასაყდრები, რობაჯვარიღლე, საბერო (ტყე, წყარო), საეკლესიო, სალოცავა, სალოცველი, სამება, საყვერბია, სახტრის გვერდები, საჯვარე, უფლისციხე, ცაწმინდა, წმინდაელია, ხატალავი (ხატიადგილები, ხატისალავი). ჭარწიფელა, ჭვარიღლე, ჭვარისგორა, ჭვარბუდე, ჭვარაკეთი და ზხე. ამ რიგში წარმოების სხვადასხვა ჯგუფი შედის, მაგრამ მოყვანილ სიტყვათა სემანტიკაში კარგად ჩანს მათი სარწმუნოებრივი აღნაგობა.

ბ) ზღაპრული წარმომავლობის ტოპონიმთა ჯგუფში ექცევა ადგილის სახელები, რომლებიც ფოლკლორული სამყაროდან მოედინება: ათუღიანი, ეშმაკი კალო, საგველის შარა, დათვის საწუმბი, ოკატეიში (საკატია?), ორმელა, საგველეთი, სადათვია, სამაჩვია, სამაჩვანი, საქაჭია, ქორბუდისღლე, ჭურღმული და სხვ.

გ) თქმულება-გადმოცემებიდან (არის დანერგილი): დედოფლობის წყარო, ეპისკოპოსის ტყე, მეზისადგომი, მეფის წყარო, მკედრიანები, ნაომარი, ნარბრძოლარი, ნაციხვარი, ქვაკოჩია და სხვ.

3. წყალტუბოს რაიონის ტოპონიმთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტოპონიმი „აფშილეთი“ (ს. ოფურჩხეთი, ჩაის პლანტაცია), რომელიც თავისი აგებულებით აფშილეთის (აფშილების) ადგილსამყოფელს აღნიშნავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ოდესღაც დასახლებულ ადგილზე აფშილების ტომი ცხოვრობდა. ეს ის აფშილები უნდა იყვნენ, „რომლებიც ძველი აღმოსავლური ხანიდან არის საგულეველები“¹⁶ და სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ხეთურ წყაროებში ამოკითხულ აბეშლას-ს უკავშირდება. ამ ტომის წარმომავლობას რომ თავი დაეანებოთ, ტოპონიმი გვევარაუდებინებს, რომ აფშილებს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზეც უცხოვრიათ. ამასთან უთუოდ ორგანულ კავშირშია კოლხური გვარი

¹⁶ ი. ს. ხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წიგნი, II, გვ. 29. კოლხური ტოპონიმები მოგვცეს ალ. ლლონტის წიგნიდან — ტოპონიმური ძიებანი, I, თბ., 1971.

აბ შილა ვა. რაც შეეხება ტოპონიმის ბ-ს შეცვლას ფ-თი (აბშილები — აფშილები, ცნობილია აბსილებიც), ეს დასავლური კილოებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა და აღნიშნული მოსაზრების რაიმე სახის დამაბრკოლებელ საბუთად არ გამოდგება. ამ თვალსაზრისით მიკროტოპონიმთა შესწავლა უდავოდ ბევრ საინტერესო მასალას გამოაველენს. საკითხი სპეციალური კვლევის სფეროს განეკუთვნება.

4. დიდად საგულისხმოა ისიც, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით წყალტუბოს რაიონის მიკროტოპონიმული ერთეულები თითქმის სულ ისეთივეა, როგორცაა კოლხური მიკროტოპონიმები. ეს ეგებ იმით აიხსნება, რომ ამ ტერიტორიის ადრინდელი მემკვიდრე ზანების (მეგრელების) ტრადიცია ტოპონიმთა წარმოებისა თითქმის უცვლელად გააგრძელეს ზანების შემდეგ აქ ჩამოსახლებული ტომის თუ ტომთა წარმომადგენლებმაც. მხედველობაში გვაქვს ასეთი მონაცემები:

ბერის ჭა (წყალტუბოს რაიონის ტოპონიმი) — ბარლალი (კოლხური ტოპონიმი), ბლიანა — ბულანა, გოდოგანი — გოდოგანი (გოდოს გვერდი), გვიმრია — გვიმრონი, კოდის წყალი — კოდაში წყურვილი, თხილარი — თხირონა, კუდითი — კუდათი, ნაფარცი — ნაფარციე, საკიერე — საკიერეში, სარბები // სარბიელი — სამარული (რულა-რბენა).

ტოპონიმთა ამგვარი თანმთხვევა არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. მას რაღაც გარკვეული კანონზომიერება განაპირობებს. საფუძველი ქართულ-ზანურის ბგერითი შესატყვისობაა მაინც.

5. წყალტუბოს რაიონის რამდენიმე ტოპონიმის სემანტიკური გააზრება არ ხერხდება, მაგრამ მაწარმოებელი ელემენტები თითქოს ამათგანაც გამოიყოფა: -ათ: კჷა-ათ-ი, მგზვენ-ათ-ი, რუდ-ათ-ი... -ათ-ა: ჭახ-ათ-ა; -ეთ-ი: ბეჭერ-ეთ-ი, ვორაკ-ეთ-ი, იქინ-ეთ-ი, მალი-ეთ-ი... -ეთ-ა: გუმან-ეთ-ა.

6. არის ტოპონიმთა ერთი ჯგუფი, რომლის სემანტიკაც უცნობია და სტრუქტურაც: ბახვა, ბაქიორი, წუგნა, გურნა, ველიდა, ზოფხო, კამიანე, კარიოფი, კრიხი, ლია, ყათურა, რეხო, ცურცა, სიხტარი... ამ რიგის ტოპონიმებში სემანტიკური ბუნდოვნება შედეგია ფუძის ფონეტიკური ცვლისა, ან კიდევ ქართულურ ენათა ელემენტების იმგვარად შერწყმისა, რომ თავდაპირველი შედგენილობა გაუჩინარდა, ტოპონიმმა გაქვეყნებული ზანე მიიღო — აღნიშნავს ადგილს, მაგრამ არ ჩანს, რატომ შეიძლებოდა ამა თუ იმ ობიექტს ესა თუ ის სახელი დარქმეოდა (მხედველობაში გვაქვს ხალხური ეტიმოლოგია).

7. წყალტუბოს რაიონის ტოპონიმთა შორის მეგრული უნდა იყოს: ბანოჯა, დობილო (დობერა), ვაქეიში, კუჩხია, მარგვენა, ოგორო, ოკატეიში, ონტოფი, ოფურჩხეთი, ოქონა, ოლასკურა, ოლო, ოჩიები, ოწესი, ოჯუხეთი, ოხვილო, ოხოლენი, ჩუნუში, ჩქუნა, ჭარგვალი და სხვ.

მეგრულ ტოპონიმთა საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. განსაკუთრებით საძიებელია, თუ რატომაა მიჭარბებული მეგრული ტოპონიმები რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ოფურჩხეთი, ზარათი), უფრო დიდხანს ხომ არ ცხოვრობდა ამ უბანში მეგრული მოსახლეობა?

8. ყურადღებას იპყრობს წყალტუბოს რაიონის ტოპონიმებში არქაული ელემენტები:

ა) სოლომან-ეთ-ი (სათესი, ს. ჭილევი). -ეთ სუფიქსიან საკუთარი სახელები გვხვდება ძველი ქართლის ძეგლებში — ლიბარტეთი, პავლეეთი. -ეთ ამ რიგის სახელებთან მემკვიდრეობაზე მიუთითებდა ძველადაც და ამასვე აღნი-



შნავს ტოპონიმი — სოლომანეთი — ვილაც სოლომანის მემკვიდრეთა რისი.

ბ) სა-ქულბაქ-ე. ძველად დუქნები რომ იყო გაშენებული, იმ ადგილს ჰქეოდა (სადუქნე. დუქნები — შდრ. ქულბაქი“. — ქგლ.: ძვ. ბაზარი. — საბა, „ბაზრის დუქნები“. — დ. ჩუბინ.). გადმოცემით დასახელებულ ადგილზე მართლაც ყოფილა დუქნები.

გ) საყვერბია (სათაფლია, საყულია) ნაწარმოები ჩანს — ყვერბისაგან. ყვერბი — „ცეცხლის სანთები ადგილი, კერა, საცეცხლური. — ქგლ. საყვერბია — შემოკლებული ფორმა ჩანს — საყვერბელისა, რაც საახალწლოდ გამოცხვარ დიდ პურს (შუაში ჯვრით) ეწოდებოდა.

9. წყალტუბოს რაიონის ტოპონიმთა წარმოების მთავარი თავისებურება ისაა, რომ აქ მეტად ფართოდ არის გავრცელებული კნინობითის -ა- სუფიქსიანი წარმოება -ა როგორც დამოუკიდებელი მაწარმოებელი და -ა როგორც ყველა სუფიქსის თანმზლები. უკანასკნელ შემთხვევაში იგი უფუნქციოა, ოღონდ უფრო ხალხურობის ელფერს ანიჭებს ტოპონიმებს.

10. მაწარმოებლად გახშირებულია -ებ სუფიქსის გამოყენება. იგი აქ ტოპონიმის სიდიდეზე მიუთითებს და არა მრავლობითობასა და კრებითობაზე.

11. ტოპონიმები ენობრივი სამყაროს კლთენილებაა, ენობრივი ფაქტებია, უნის ლექსიკური შედგენილობის მეტად აქტიური ერთეულებია; ადამიანები მის გარეშე ყოველდღიურ საქმიანობასაც ვერ წარმართავენ სრულყოფილად.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. შიშიგურმა

მ უ რ ა მ კ ა რ ტ ო შ ი ა

არაინფორმალ ტურმეობითა წარმოებისათვის
ლაზურში

ლაზურს თურმეობითა რთული სისტემა ახასიათებს. საერთო-ქართველური ინვერსიული წარმოების გვერდით აქვს საკუთარი არაინვერსიული წარმოებაც. ეს უკანასკნელი კილოკაურად განსხვავებულია: ვიწურ-არქაბულსა და ათინურში ნამყო უსრულისა და აორისტის ფორმებს ერთვის მეშველი ზმნები: **დორე(ნ)** „არის“ და **დორტუ(ნ)** „იყო“; ხოფურში თურმეობითებს აწარმოებს -**ერე** სუფიქსი, რომელიც, დაერთვის რა ნამყო დროთა ზმნურ ფუძეებს, თავის მხრივ ბოლოში დაირთავს პირისა და რიცხვის ნიშნებს, ნამყო უსრულის -**ტ(ი)** დაბოლოებას!

როგორც ცნობილია, ლაზურს რ იანხმოენის დასუსტება-დაკარგვა ახასიათებს. ამიტომ თურმეობითების ზემოაღნიშნული მაწარმოებლები გამარტივებული სახითაც გვხვდება: **დორე(ნ) > დოე(ნ), ერე > ეე**.

გამოყოფენ თურმეობითთა შემდეგ სახეობებს:

ა) ვიწურ-არქაბულსა და ათინურში:

1. ნანამყოუსრულარი თურმეობითი: **ზ უ მ უ მ ტ უ-დ ო რ ე ნ** „თურმე ზომავდა“.

2. ნაორისტალი თურმეობითი პირველი: **ზ უ მ უ-დ ო რ ე ნ** „უზომავს“.

3. ნაორისტალი თურმეობითი მეორე: **ზ უ მ უ-დ ო რ ტ უ ნ** „ეზომა“².

ბ) ხოფურში:

1. ნანამყოუსრულარი თურმეობითი: **ზ ი მ უ ფ ტ-ე რ ე ნ** „თურმე ზომავდა“.

2. ნაორისტალი თურმეობითი პირველი: **ზ ი მ-ე რ ე ნ** „უზომავს“.

3. ნაორისტალი თურმეობითი მეორე: **ზ ი მ-ე რ ე-ტ უ** „ეზომა“.

4. პირობითისაგან ნაწარმოები თურმეობითი: **ზ ი მ ა ს უ ნ ტ-ე რ ე ნ** „თურმე უნდა ეზომა“.

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ერთი რიგის ზმნურ ფუძეებს ხოფურში **ერე > ეე** დაბოლოების ნაცვლად რთული **-ელ-ერე > ელ-ეე** სუფიქსი ერთვის. **-ერე** და **-ელ-ერე** დაბოლოებათა განაწილება ასეა წარმოდგენილი: „ხოფურში თურმეობითი პირველი იწარმოება **-ელ-ერე-ე** სუფიქსით, თუ ფუძეში **-რ-გვაქვს**, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში მხოლოდ **-ერე-ე** სუფიქსია გამოყენებული; შდრ.: ა ღ ა ქ უ წ ვ-ე რ-ე-ნ... I, 151⁹ ბატონს (ალას) უთქვამს, ბატო-

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936, გვ. 141, 143—144, 150.

2 უნდა აღინიშნოს, რომ თურმეობითთა ეს სისტემა მხოლოდ ვიწურ-არქაბულშია დაცული. რაც შეეხება ათინურს, გამოქვეყნებული ტექსტების მიხედვით, აქ მხოლოდ ნაორისტალი თურმეობითი მეორე იწარმოება. **დორენ** მეშველზმნიანი ფორმები, ე. ი. ნანამყოუსრულარი თურმეობითი და ნაორისტალი თურმეობითი პირველი, ათინურში არ ჩანს.

ნი „ნათქვამა“... და: ქოღინჯირ-ელ-ე-ნ I, 15₂₄ დაუძინია... აღაქეა
 იჯერ-ელ-ე-ნ ე-დო სკურაქითე ხანუმი ქანოქკირ-ელ-
 ე-ნ I, 15₂₇ ბატონს არ დაუჭერებია და სამართებით ქალბატონი დაუ-
 კლავს... რ-ს დაქარვეისს -ელ-ერ-ე სუფიქსების ნაცვლად გვჩვენებს: ელ-ე-ე:
 იათი მოხთეენ დო ხე ქუქუკიეღეენ I, 14₂₁ ისიც მოსულა და
 ხელი შეუყარავს... დაღის არ თხა ქანოქკიეღეენ I, 14₅ ტყეში
 ერთი თხა დაუკლავს...³.

ციტირებული ფრაზა სავსებით ზუსტად ვერ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. ჯერ ერთი, -ელ-ერე რთული სუფიქსი მთელს ზოფურ კილოკავს არ ახასიათებს, იგი მხოლოდ ზოგიერთი თქმისთვის არის ნიშნდობლივი; მეორეც, -ელ-ერე ყოველგვარ რ-თანხმოვნიან ზმნაში არა გვაქვს; მესამეა და, -ელ-ერე სუფიქსი ერთვის ისეთ ზმნებსაც, რომელთა ფუძე რ-ს არ შეიცავს. განვიხილოთ ეს საკითხები ცალ-ცალკე.

1. ნააორისტალ თურმეობითი რ-თანხმოვნიან ზმნურ ფუძეებზე რთულა -ელ-ერე სუფიქსის დართვა, რომელიც სარფულ მეტყველებას ახასიათებს, ზოფური კილოკავის რიგი თქმისათვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში, სხვა სოფლების (საკუთრივ ზოფას, ფხიგის, აზლაღას) მკვიდრთაგან დღემდე ჩაწერილ ტექსტებში -ელ-ერე სუფიქსს ვერ ვადასტურებთ. აქ ყოველგვარ ზმნურ ფუძეს ნააორისტალ თურმეობითი ერთადერთი -ერე სუფიქსი დაერთვის. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოფურის სხვა თქმებში დადასტურებულ -ერე სუფიქსიან ფორმებს, რომლებსაც სარფულში მუდამ -ელ-ერე დაბოლოებიანი ფორმები შეესაბამება:

ა) საკუთრივ ზოფას მეტყველება

დოგორეენ (<დოგორ-ერე-ნ): ისკანდერიქ დოგორეენ არ ჯოხო (ჩიქ. I, 165,12) „ისკანდერს მოუძებნია სახელი“. სარფში აღნიშნული ზმნა ასე ითქმის: დოგორელერენ/დოგორელეენ/დოგორელეენ.

დოპარეენ (<დოპარ-ერე-ნ): არქაღაშიქ მექთუბი დოპარეენ (იქვე, 166,23) „ამხანავს წერთი დაუწერია“. სარფში გვექნება: დოპარელერენ/დოპარელეენ/დოპარელეენ.

დინჩხაეენან (<დინჩხარ-ერე-ნ-ან): უჩურუმეშ თუღე მატაღი-კალა თელ-ლი დინჩხაეენან (დუმეზ. ართაშენ. გვ. 40,6,16) „ხრამში („ხრამის ქვეშ“) ნავითურთ ყველანი დამსხვრეულან“. სარფულში: დინჩხარელერენან/დინჩხარელეენან/დინჩხაეეენან.

ბ) ფხიგის მეტყველება

ქანიხიეეენან (<ქანიხირ-ერე-ნ-ან): გოწკედუში, ხორცი ვა ენ, ქანიხიეეენანი (ჩე. ლაზ. 152,29) „რომ გახედა, ხორცი არ არის, მოუპარავთ!“ სარფულში გვექნება: ქანიხირელერენან/ქანიხირელეეენან/ქანიხიეეეენან.

იხმარეენან (<იხმარ-ერე-ნ-ან): ბალი ბინეხი თოკიო ჭინე იხმარეენან (იქვე, 153,24) „თოკის ნაცვლად სვია უხმარიათ“. სარფულში: იხმარელერენან/იხმარელეენან/იხმარელეენან.

დოდურეენ (<დოდურ-ერე-ნ): ენდოვიტონჩხორო დოდურეენ, ართელი თოფალი ქოდოსქიდეენ (იქვე, 153,26) „ოცდაცხრამეტი დახოცილა, ერთი კოჭლი დარჩენილა“. სარფულში: დოდურელერენ/დოდურელეენ/დოდურელეენ.

³ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 154.

დუქთიენან (<დუქთირ-ერე-ნ-ან): არ ფუჯი ქომუყონეენ დო დუქთიენან ქაფჩიამ გეპუში გრასათამა (იქვე, 154,8) „ერთი ძროხა მოუყვანია ღა გაუცვლიათ ქაფშიის შესაწვევ კეცში“. სარფულად: დუქთირეღერენან/დუქთირეღერენან/დუქთიეღერენან.

გ) აზღალას მეტყველება.

ქოძირეენან (<ქოძირ-ერე-ნ-ან): ბეე ყვილეი, გვერდი ჰკომეი ნა ძიტუ, ქოძირეენან (ჩვენი მასალები: ლუთვეე ხალიდის ასული კარახასანიშითოფურიში, ბათუმი, 1967). „ბავშვი მოკლული, ნახეერადშეჭმული რომ იღვა, უნახავთ“. სარფულად გვექნება: ქოძირეღერენან/ქოძირეღერენან/ქოძიეღერენან.

ვერ ვიტყვით, რომ **-ელ-ერე** სუფიქსი მხოლოდ სარფულის კუთვნილება იყოს, იგი, როგორც ჩანს, სხვა თქმებსაც ახასიათებს. მაგ., ქოფურგიდან სარფში გამოთხოვილ ჰენიჭე ემირალოღლი-თანდილავას (დაბ. 1906 წ.) მეტყველებაში **-ელ-ერე** მკვიდრი სუფიქსია:

ჭადიმე კადუნქ იმგაეღეენ. იმგაეღეენში, მამულიქ ქოძიეღეენ აა. (ჩე. ლაზ. 57,32) „ფადიმე კადუნს უტირია. რომ უტირია, მამალს დაუნახავს ეს“; ქიმოლი-მეშიქ ია კულანი ნატუ ოხრასულე ცხენოშ კუღელის ქონუქიეენ. (იქვე, 59,2) „მის ქმარს ის გოგო („ის გოგო რომ იყო“), ცოლისდა, ცხენის კუღზე გამოუბამს“; ბეეში ნანაქ იმგაეღეენ, ყუეღეენ. (იქვე, 131,3) „ბავშვის დედას უტირია, უყვირია“; ეკულე ბეექ იმგაეღეენ ექონაში. (იქვე, 131,5) „მეუე ბავშვს უტირია იქ“; „ღონდღუღლითა დო ეშო მულითაა“ — ქოდულუყუეღეენ. (იქვე, 136,6) „დადნეთო და ისე მოიტანეთო!“ — დაუყვირია“.

შეიძლება გვეფიქრა, რომ **-ელ-ერე** რთული სუფიქსი ჰ. ემირალოღლი-თანდილავას ენაში გვიან გაჩნდა სარფული მეტყველების გავლენით. ასეთი რამ, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, მაგრამ საინტერესოა, რომ სარფულ მეტყველებას **-ელ-ერე** სუფიქსის ხმარების თვალსაზრისით ვერავითარი გავლენა მოუხდენია მეორე სარფელი ინფორმატორის — ხოფადან გამოთხოვილ ზეკე კიტმოროღლი-მემიშიშის (დაბ. 1898 წ.) მეტყველებაზე. ეს მოქმელი, ისევე როგორც სხვა ხოფელები (ე. ი. სოფ. ხოფად მკვიდარს), მხოლოდ **-ეე** (<**-ერე**) დაბოლოებას ხმარობს ყოველგვარ ფუქსთან. დოდურეენ „მოიკედარა“, ქოძირეენ „უნახავს“, იმგარეენ „უტირია“, დოგორეენ „მოუძებნია, უთხოვია“ და მსგავსი ფორმები მისთვის თურმეობითა ერთადერთი წარმოებაა.

2. ზმნის ფუქეში რ თანხმონის არსებობა საკმარისი პირობა არ არის **-ელ-ერე** > **-ელ-ეე** რთული სუფიქსის დართვისათვის. **-ელ-ერე** > **-ელ-ეე** მხოლოდ მაშინ დართვის ზმნას, როცა რ ფუქის ბოლოკიდური ბგერაა⁴. თუ რ

4 მნიშვნელობა არა აქვს იმას, ფუქისეული რ დაცულია თუ არა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის სადავო მოსაზრებები, რაც გამოთქმული აქვს ირინე ასათიანს ზოფური თურმეობითების შესახებ. მკვლევარი აღნიშნავს ზოფიერთი მოქმელის მეტყველებაში მის მიერ შენიშნულ თავისებურებას — თურმეობითის ეე (<ერე) დაბოლოებაში იდენტური ხმოვნების შერწყმას — და მიუთითებს, თითქოს რ-ფუქიან ზმნას, რომელიც თურმეობითის, ჩვეულებრივ, ელ-ერე-თი აწარმოებს, შეიძლება ერე დართოს, როცა ფუქისეული რ დაკარგულია. ავტორი წერს: „ნიქიეტუ (1,51) ნიქირ-ერე-ტ-უ „დაკულა“ რ-იანი ფუქეა, ამიტომ ერე სუფიქსის წინ მოსალოდნელი იყო ჩართვოდა **-ელ**, მაგრამ რადგანაც ფუქისეული რ დაკარგულია, გაფორმდა, როგორც ჩვეულებრივ თურმეობითი“. (ი. ასათიანი, ჰანური (ლაზური) ტექსტები, I, ხოფური კილოავი, თბ., 1974, გვ. 13).



ფუძის ბოლოს არ არის, თურმეობითის მიწარმოებლად -*ერე/-ეე* გვაქვს და არა -*ელ-ერე/-ელ-ეე*. მაგ.,

სარფული არ კოჩი გზას ნიტეენ-ში, არ გაურჯი ქონარგეენ. (ჩიქ. 1, 118,18) „ერთი სარფული კაცი გზაზე რომ მიდიოდა („მინავალა“), ერთი ქართველი შეხვედრია“.

ნოლედის ზამანის მსქვეიშა იგზალეენან. შედაწყედეენან — გზას არ გიინი ქონარგეენან. (ჩიქ. 1, 117,14) „ნოლედში ძველად ირემზე [სანადიროდ] წასულან. გაუხედავთ, გზაზე ერთი სახეღარი შეხვედრიათ“.

ბაბა-მუშიმ მეზანი ნა ჩუმეტუ, ცხენეფე აქოლენ მორგეეტუ. (ჩე. ლაზ. 43,31) „მამამისის საფლავს რომ სდარაჯობდა, ცხენები მამინ ეშოვნა („აქედან მოეგო“)“.

მუქორენ, ფიშვილუფე დიდო მარდეენი-ი? (ჩიქ. 1, 13,19) „როგორ არის, წყერები ძალიან გამზრდია?“.

აშო ნაკო წანაფე მიკილუნ, მუში ბეეფეთი დეარდეენ. (ჩე. ლაზ. 130,12). „ასე რამდენიმე წელს გაუვლია, თავისი ბავშვებიც დაზრდია“.

ია მცხულუფე კაი დირდეეტუ დო მცხულუფეთი მეჩანტუ. (ჩიქ. 1, 87,27) „ის მსხლებიც კარგად გაზრდილიყო და ნაყოფიც („მსხლებიც“) ესხა“. მჩხურის გინძე თომა დეარდერეტუ დო ყინი ვარ აყვეტუ. (ჩიქ. 1, 105,3) „ცხვარს გრძელი თმა გაზრდოდა და არ სციოდა“.

ნიკიეტუ ენბითის თურმეობითი კი არ არის, არამედ პოტენციალის ფორმაა, ნამყო უსრულია. ტექსტი სწორად არ არის ჩაწერილი. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ გრეცელ კონტექსტს, სადაც ეს ზმნაა ნახმარი: „47. ოხოშა დომიჯოხეს. 48. „ფუჯიშ (ტექსტში: ფუჯიშ. — გ. კ.) გენი ქამეშვიკირი“-ა. 49. მან-თი ბაქიშა გუფთი დო მწყუფის, გენი-შა, დო, ფუჯი ქამეშვიკი. 50. ა ჩქვა გეხოთი, ფუჯი ქამეშვიკი. 51. „ფუჯი ნიკიეტუ“-ა. 52. მიწვეს მან დო უუეს“. (ჩქვე, გვ. 28—29). ი. ასათიანი ასე თარგმნის ამ ფრაზებს: „47. სახლში დამიძახეს. 48. „ძროხის ხბო დამიკალი“-ო. 49. მეც ბაქში ჩავედი და სიბნელეში, ხბო შეთქი და, ძროხა დავკალი. 50. ახლა ისინი რომ ჩამოიდნენ, ძროხა დამიკლავს. 51. „ძროხა დაუვლდა („დაკლულა“)“-ო. 52. მიიხრეს მე და იყვირეს“. „**ფუჯი ნიკიეტუ**“-აჲს ნაცულად უნდა იყოს: „**ფუჯი ნიკიეტუ-ი**“-ა, რაც ნიშნავს: „ძროხა დამიკლავდაო?“ („ძროხის დავკლა იქნებოდაო?“ — უყვირიან გაბრაზებული მასპინძლები ზღაპრის ვმირს). პოტენციალისის ნამყო უსრულს (ნიკიეტუ) ერთვის -*ი-ა* (კითხვითი ნაწილაკი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი). ავტორს ეს -*ი-ა* სხვათა სიტყვის -*აა*-ში აურევია (აქედან — კითხვითის ნაცულად თბრობითი წინადადება). ნებისმიერია ზმნის მნიშვნელობის გადმოსახედავ ქართულად: „დაუვლავთ („დაკლულა“)“. შეენიშნავთ, რომ ანალოგიური შეცდომა აქვს დაშვებული მკვლევარს **იყვილეთუ**-ს კვალიფიკაციის შემთხვევაშიც. მისი აზრით, „იყვილეთუ (48,26(<იყვილერეთუ> იყვილეთუ „იყვილებოდა თურმე“). (დასახ. ნაშრ., გვ. 13). სინამდვილეში აქაც პოტენციალისის ნამყო უსრული გვაქვს. დაბეჭდილია: **ფააშენი კოი იყვილეთუაა**, უნდა იყოს: **ფააშენი კოი იყვილეთუ-ი**“-ა, ე. ი. „ფულისთვის კაცი მოიკლავდაო?“

ასევე ვერ დავთანხმებით ი. ასათიანის შემდეგ მსკერლობასაც: „თავისებურად არის გადაწყვეტილი ერთად თავმოყრილი ორი რ-ს საკითხი ფორმაში: პოგოიილეენ (2,47)<პო-იო-ი-ილ<კირ>-ეე<ტრ>-5 „მომილო ყოფილა“: ფუძისეული <რ>-ლ-ს, ამიტომ თავიდან აცილებულია -ელ-დამბეტიბითი ელემენტის ჩართვა“. (ჩქვე, გვ. 13).

პოგოიილეენ სარფულში შეუძლებელი ფორმაა. ჯერ ერთა, ბოლოკიდური ნ (მესამე სუბიექტური პირის ნიშანი) აქ უდავლოა. გო-პრევერბის უცვლელად შემონახვა სათავისო ტყევის ი ნიშანთან (გო-ი და არა გუ-ი) იმაზე მიუთითებს, რომ აქ პირველი პირის ფორმაა: მეორეც, გაუგებარია, რატომ უნდა ქვეუღიყო ფუძისეული რ ლ-? ვფიქრობთ, აქ უნდა ვქონდეს ჩვეულებრივი, წესიერი წარმოება: **პოგოიილეე** (<პოგოიიერ-ელ-ერე> „შემომიყრავს, შემომიხვევია“. კონტექსტე ამას უჭერს მხარს: 46. ...მწყუფის მანი-მანი დოლო-ქუნეფე დოლოქუნაჲ. 47. ოხოჩამ შავალი თის პოგოიილეე, ბაშული მინქიტუ. (ჩქვე, გვ. 32) „ბნელში ჩქარ-ჩქარა ტანისამოსს ვიკვამ. ქალის შარვალი თავზე შემომიხვევია (შემოვიყარი თურმე), ყაბალახი მიგონა“.

მითხანეფე მოხთერეტეს დო ჩქინი ზეჟიე ქამორკეეტეს. (ჩიქ. 48,15) „ვილაყეები მოსულიყენენ დო ჩვენი ზეჟიე მოეტაკათ“.

ქომებთეს ია დვევი ოხოიშა, ნაჲა დვევი ნა მურკეეტუ ნოლამისა. (ჩე. სარფ. 3,83) „მივიდენენ იმ დვევის სახლში, რომელ დევსაც მოეტაკა სა-
 ცოლე“.

ქაბეში ნეკაქალა არ ჭუჲაა, გობიწელი ბეჟე მენდილი დო რჩეენ დო
 ფაა კოობუფს, იყვანს. (ჩე. ლაზ. 102,25) „ქაბის კართან ერთ ღარიბ, [ტან-
 საცმელ] შემოგლეჯილ ბიჰს მანდილი დაუფენია და ფულს აგროვებს, მათხოვ-
 რობს“.

შქვით დღაშა ანთეფეს მუთუ ვა დვარინეენან. (ჩიქ. 1, 117,26)
 „შვიდ დღეში („დღემდე“) ამათ ვერაფერი დაუბადიათ“.

პოლის, ჰუქუქუბეთის ჯუმიოში ქაფუი (დერგულა) დუტრუხეენ დო
 ჯუმიო ქოღვაბენ. (ჩიქ. 1, 26,2) „სტამბოლში მთავრობას ძმრის ქვევრი (დერ-
 გულა) გასტენია და ძმარი დადერია“.

მეღაწყელუში, ჟილე მეგეემ დიდი აყლია წიწილა დო ხროცქეენ დო
 ემუში პიჯიშენ ალუ ნა დიბეტუ, ია გიტეენ. (ჩე. ლაზ. 110,33) „რომ გაიხედა,
 ზემოთკენ თურმე დიდი გველუშაბი მომკვდარა და იმისი პირიდან რომ საწამ-
 ლავი იღვრებოდა, ის ჩამოდიოდა თურმე“.

ქუმანი მეფთიში, დევე მისელეენ დო ეშუშელი ქოგუწყიდეენ, ეშუშელი
 დო ხროცქეენ. (ჩე. ლაზ. 123,21) „დილას რომ მივედი, აქლემი ამდგარა
 და სახედარი წამოუყიდა, სახედარი მომკვდარა“.

თი ქვას-ნა გემაჩერეტუშენი, ქავოვისერსემერეტი. (ჩიქ. 1, 92,12)
 „თავი ქვაზე რომ დამიკრავს („დამიკრა“), გავოგნებულვარ („გავოგნებულ-
 ყავი““).

ფათიშის არ კულანი უყოუნტერენ დო კულანი ია ბიჰის დვაყორო-
 ვეენ. (ჩე. ლაზ. 28,35) „ხელმწიფეს ერთი ქალიშვილი ჰყოლია და გოგოს
 ის ვაჟი შეჰყვარებია“.

3. სარფულში ნაორისტალი თურმეობითების -ელ-ერე დაბოლოება აქვთ
 იმ ზმნებსაც, რომელთა ფუძე რ თანხმონით კი არა, არამედ ხმონით ბოლოვ-
 დება.

მაგ., ფაი (<თურქ. pay) „წილი, ხვედრი, ნაწილი“ სახელიდან ნაწარ-
 მოები ზმნის აორისტია დოფაუ („განაწილა“), მისგან ნაწარმოებ თურმეობი-
 თებში -ელ-ერე დაბოლოება გვაქვს: დოფაელეენ (<დოფაელერენ) „გაუნაწი-
 ლებია“. შდრ. მაგ., გიინი დოყვილეენან. ე-ნა ი ფ ა ე ე ე ე ა ნ, არის კუჩხეფე
 დვანქერენ, ოხოიშა მინდილეენ დო დოგობეენ. (ჩიქ. 1, 117,18) „სახედარი
 მოუკლავთ. რომ გაუნაწილებიათ, ერთს ფეხები რგებია, შინ წაუღია და მოუ-
 ხარშავს“.

არაბულ-თურქული silâh „იარაღი“ ლაზურში სხვადასხვა სახეობითაა
 გადმოსული: სილაჰი/სილახი/სილაღი. სარფულში ჩვეულებრივია სილაი ფორ-
 მა, სადაც ფუძის ბოლოკიდური ჰ დაკარგულია (შდრ. სპ.-თურქ. padisah >
 ფ ა თ ი შ ა ჰ ი / ფ ა თ ი შ ა ლ ი / ფ ა თ ი შ ა ი). ამ სახელიდან ნაწარმოები ზმნის
 აორისტია გუისილაუ „შეიარაღდა“, თურმეობითი პირველი კი — გუისილაე-
 ლეენ „შეიარაღებულა“, სადაც სუფიქსად -ელ-ერე გვაქვს.

სარფულში დასტურდება ბოლოთანხმოვანდაცული ფუძეც: სილაჰი. აქე-
 დან ნაწარმოები ზმნის თურმეობითში უკვე -ერე დაბოლოება გვაქვს: გუისი-
 ლაჰეენ (<გუისილაჰერენ) „შეიარაღებულა“.



-ელ-ერე დაბოლოება გვაქვს კაი „კარგი“ სიტყვიდან ნაწარმოებ ნააოგნულ ტალ თურმეობითმიც. სარფში ითქმის დოკაელენ „მოურჩენია“, დიკაელენ „მორჩენია“.

საერთო-ქართველური ყივ ფუძიდან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში ლაზურ-რი ფუძისეულ ვ-ს კარგავს: ყიფს „ყივის“, დიყიუ „დაიყიულა“. ამ ზმნის ნააოგნული თურმეობითებიც სარფულში -ელ-ერე-თი ფორმდება: დიყი-ელენ „დაუყიელია“.

ეს, ერთი შეხედვით, უცნაური მოვლენა ადვილად აიხსნება. ლაზურში ფართოდა გავრცელებული რ-ს დაკარგვა ორ ხმოვან შორის. ამავე დროს მოქმედებს საპირისპირო პროცესიც: ორ ხმოვან შორის რ-ს განვითარება, ასე ვთქვათ, დაკარგულ ნაწარმულევი რ-ს „აღდგენა“. ზოგიერთი მოქმელი, რო-ზელიც ცდილობს რ თანხმოვნის დაცვას, მას აღადგენს ხმოვანთა შორის ისეთ შემთხვევაშიც, სადაც რ არასდროს არ ყოფილა.

ასე რომ ზმნებში, სადაც სუფიქსისეულ ხმოვანს წინ ფუძისეული ხმოვანი უძღვის, დღევანდელი ინფორმატორისათვის რ თანხმოვანი ივარაუდება დაკარ-გულად. -ელ-ერე სუფიქსის დართვისათვის კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნიშნენლობა არა აქვს, ფუძის ბოლოკიდური რ დაცულია თუ დაკარგული, მთავარია, მისი არსებობა ივარაუდებოდეს.

რ-თანხმოვიან და ხმოვანფუძიან ზმნათა თურმეობითების წარმოების თა-ვისებურებები საინტერესოა -ელ-ერე მაწარმოებლის შედგენილობის გარკვევი-სათვის.

ლიტერატურაში ადრევე გამოითქვა ვარაუდი, რომ ლაზური თურმეობითე-ბის წამოებისათვის გამოყენებულია გარდაუვალ ერთპირიან ზმნათა თურმეო-ბითის ყალიბი: ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღობა+მეშველი ზმნა.

5 არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 354.

6 ხმოვნებს შორის რ თანხმოვნის ჩართვის შესახებ არქაბულში იხ. ს. ქლენტი, ქა-ნური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938, გვ. XVI—XVII. ეს პროცესი გავრცელებუ-ლია სარფულშიც. მაგ. ერთ-ერთი მოქმელის (სალიხ თანდილავას) მეტყველებაში გვხვდება ასეთი ფორმები: ამბარა [⟨ამბარა⟩ (ჩვ. ლაზ. 83,6) „ამბავი“, კარი [⟨კარი⟩ აწონე (იქვე, 83,19) „გაუხარდა“, ქლორინა [⟨ქლორინა⟩ თურქ. kény] (85,14) „სოფელი“; მუროშვანი [⟨მუროშვანი⟩ (83,22) „შეისუნთქა“, ქოკურიბღეს [⟨ქოკურიბღეს⟩ (83,36) „შეიყარნენ“, დიჩოღურა? [⟨დი-ჩოღურა?⟩ (85,32) „გათავდაო?“, სი მითი გიყორუნია? (84,3) „შენ ეინმე გყავსო?“ საინტერე-სოა ეს უკანასკნელი მაგალითი. გიყორუნ ფორმისათვის ამოსავალია გიყორუნ, რომლისგანაც 5 თანხმოვნის დისიმილაციური დაკარგვით ხოფურში მიიღება გიყორუნ (იხ. გ. კ ა რ ტ ზ ი ა, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის: კრებ. ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968, გვ. 135—136); ერთმანეთის მუხობლად მოხვედრილ ორ ხმოვან შორის კი „აღდგა“ რ-ს უადგილო აღდგენის კარგი მაგალითია ერთ-ერთი მოქმელის მიერ რ-ს ჩართვა პრეგერბსა და ფუძისეულ ხმოვან შორის ქართულ ზმნაში: გამოაშვარავდა>გამორაშვარავდა (ჩვ. ლაზ. 127,15). საინტერესოა, რომ აქ რ-ს ჩართვისათვის ხელი არ შეუშლია ფუძეში მეორე რ-ს არ-სებობას.

7 Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1910, გვ. 46, § 78; И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке (Из лингвистической экскурсии в Русский Лазистан), СПб, 1911, გვ. 4. ნ. მარს თურ-მეობითის მიმღობური წარმოების ნიმუშად მოჰყავს დიხინერენ (<დიხინერ რენ) „გახუნე-ბულა“ და დიხომუდორენ (<დიხომუდორ დორენ) „გამხმარა“. მკვლევარს მიანდა, რომ აქ მეშველი ზმნა დართვის მიმღობის შეკვეცილ (სახელობითის ნიშანდაკარგულ) ფორმას. ნ. მარ-ი მაგან განარჩევდა თურმეობითის ისეთ წარმოებას, როცა მეშველი ზმნა დართვის ზმნის პირიან ფორმას, კერძოდ, აორისტს: დივუ დორენ „გამხმარა“. მაგრამ ასეთი ახსნა არ უნდა

ფიქრობენ, რომ ხოფურ ნააორისტალ თურმეობითებში -ერე და -ელ-ერე სუფიქსების მონაცვლეობა დაკავშირებულია ნამყო დროის მიმდევობის ორგვარ წარმოებასთან. ზმნები, რომელთა ფუძეში არ არის რ თანხმოვანი, მიმდევობას -ერ სუფიქსით აწარმოებენ (კიდ-ერ-ი „აშენებული“), იმ ზმნურ ფუძეებს კი, რომელთაც რ აქვთ, მიმდევობის სუფიქსად -ელ ერთვით: სუფიქსეული რ დისიმილაციას განიცდის ფუძისეული რ-ს გავლენით (ჭარ-ელ-ი <ჭარ-ერ-ი „დაწერილი“). ვარაუდობენ, რომ -ერ-სუფიქსიან მიმდევობას მეშველ ზმნად ერთოდა რენ ფორმა: კიდერ-რენ > კიდერენ „უშენებია“, -ელ-სუფიქსიან მიმდევობას კი — ორენ (რადგან -ელ-რენ თანმიმდევრობა ფონეტიკურად შეუწყნარებელია): ჭარელ-ორენ > ჭარელერენ „უწერია“⁸.

ამიტომ არის, რომ ზმნები, რომლებსაც ნამყო დროის (ენებითი გვარის) მიმდევობა -ერ სუფიქსით ეწარმოებათ, თურმეობითში -ერე დაბოლოებას ავლენენ; ის ზმნები კი, რომლებსაც მიმდევობის სუფიქსად -ელ აქვთ, თურმეობითებში -ელ-ერე დაბოლოებას ირთავენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, თურმეობითში -ერე დაბოლოებიანი ზმნები მიმდევობას -ერ სუფიქსით აწარმოებენ, ხოლო -ელ-ერე სუფიქსიანები — -ელ-ით.

სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო ის ფაქტი, რომ ზმნები, რომელთა ფუძეში რ თანხმოვანი გვაქვს, მაგრამ არა ბოლოკიდურ პოზიციაში, და რომლებიც თურმეობითებს -ერე სუფიქსით აწარმოებენ, ენებითის მიმდევობებს ორგვარად წარმოგვიდგენენ. მიმდევობის მაწარმოებლად -ელ სუფიქსიცა გვაქვს და -ერ დაბოლოებაც. ხოფური კილოკავი, რომელშიც, სხვა ლაზური კილოკავებისაგან განსხვავებით, მეტად ძლიერია ორი რ-ს დისიმილაციის ტენდენცია⁹, არაბოლოკიდური რ თანხმოვნის მქონე ზმნური ფუძეებისაგან ენებითის მიმდევობის წარმოებისას ნაკლებად ამქლავებს ამ ტენდენციას. მაგ.,

ხოკქერი [<ხოკქერი (ჩიქ. I, 91,4) „მკვლარი“, შქურიინერი (იქვე, 45,1) „მეშენებელი“; მშქირონერი (იქვე, 41,20) „მშოიერი“, თი-ხერზური (მარი, 115,2,1) „თავგახერზილი“, მონდრიკვი (ჩიქ. I, 101,7) „მოღუნული“, თი-გელან-

იოს ზუსტი. დიხინერენ ხოფურ ნააორისტალ თურმეობითს წარმოადგენს. ამაზე მიუთითებს ზმნაში ენებითის ი- პრეფიქსის არსებობა: დიხინერენ < *დო-ი-ხინერენ. რაც შეეხება დიხომუდორენ ფორმას, გვეს იწვევს მისთვის ამოსავლად ნავარაუდელი დიხომუერ- მიმდევობის არსებობა ლაზურში. უფრო სავარაუდოა, რომ აქვე ნააორისტალ თურმეობითი გვაქვს ვიწურ-არქაბული წარმოებისა: დიხომუ-დორენ. გარდაუვალ ზმნათაგან თურმეობითთა მეშველზმნიანი წარმოება ლაზურში დღეს ერთადერთ ყოფ- ფუძეს აქვს შემონახული: ყოფერენ < ყოფერ-რენ „ყოფილა“. შდრ., ათი თამარ მეფეში ყოფერენ (ტერენ). (ყოფ. ჰან. 5,5) „ესეც თამარ მეფისა ყოფილა“; ეყულე ექ-თი ექაფაგი ბაღი ყოფერენ დო ემუქ ენთედეს უწვეგრენ-ქი... (ჩიქ. I, 117,22) „მერე იქაც მერლაბრე ბერიკავი ყოფილა და იმას მათთვის უთქვამს...“; არ ფათიში ყოფერენ დო სემ ბიჭი უყულენტენ. (ჩე. ლახ. 22,10) „ერთი ხელწმიფე ყოფილა და სამი ვატი ჰყოლია“; ემ აერის-თი მთელი აარი-აარი ყოფერენ ან. (ყოფ. ჰან. 1,16) „იქაც სულ ცალკალე ყოფილან“. პრ. აჭარიანის მიერ ჩაწერილ ტექსტებში (რომელიც გადმობეჭდილი აქვს ნ. მარს თავის ქრესტომათიაში) დასტურდება ყოფ- ფუძიდან ნაწარმოები მიმდევობური თურმეობითის კიდევ ერთი ვარიანტი — დოყოფუერენ: ააა მეფეეფე დოყოფუერენ „ეს ხილი დამწიფებულა“ (Н. М а р р, Грамматика чанск. яз. გვ. 122).

⁸ ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961, გვ. 34. -ელ-ერე დაბოლოების სხვაგვარი ახსნისათვის იხ. ს. ქლენტი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 132—134; ირ. ასათიანი, -ერე სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, 1970, გვ. 150.

⁹ ს. ქლენტი, დასახ. ნაშრ., გვ. 130 შმდ.



დიკერი [<თი-გელანდრიკერი] (ჩე. ლაზ. 23,27) „თავდახრილი“, გობიწვი [<გობრიწვი] (ჩიქ. I, 60,32; 103,17; ჩე. ლაზ. 99,33) „დახეული, დაფხრე-წილი“; მგაიწერი [<მგაინერი] (ჩიქ. I, 64,15; 104,30) „მტირალი“; გოსერს-მერი (იქვე, 92,14) „ვაოგნებული“.

ზმნები, რომელთა ფუძე რ-ზე თავდება, ხოფურში ყოველთვის -ელ სუფიქსით აწარმოებენ ვნებითი გვარის მიმღობას: **პარელი** „დაწერილი“, **ღურელი** „მკვდარი“, **მეჭკირელი** „მოჭკირილი, დაკლული“... **პარერი**, **ღურერი**, **მეჭკირერი** და მსგავსი ფორმები ხოფურში შეუძლებელია. ამიტომაც ამ ზმნებს თურმეობითებში -ელ-ერე აქვთ და არა -ერე.

არაბოლოკიდური რ-ს მქონე ზმნური ფუძეები მიმღობის -ერ სუფიქსიანი ვარიანტით ურთუო ფუძეებს ეკედლებიან, რომლებსაც მიმღობა -ერ სუფიქსით ეწარმოებათ და, მაშასადამე, თურმეობითში -ერე დაბოლოება აქვთ და არა -ელ-ერე.

ვნებითი გვარის მიმღობისა და თურმეობითის წარმოების კავშირი კარგად ჩანს იმ ზმნების მაგალითზედაც, რომლებსაც ფუძე ბოლოზმონიანი აქვთ.

ფაი, **კაი** და მსგავს ბოლოზმონიან სახელთაგან ნაწარმოები ზმნები, რომლებსაც ნაიორისტალ თურმეობითებში -ელ-ერე/-ელ-ეე მაწარმოებელი ახასიათებთ, მიმღობებს -ელ სუფიქსით აწარმოებენ: ფაელი „განაწილებული“, კაელი „მორჩენილი“.

როგორც აღვნიშნეთ, თურქ. silâh „იარაღი“ სარფულში ორგვარად გამოითქმის: **სილაი/სილაპი**. ის პირნი, რომლებიც აღნიშნულ სახელურ ფუძეში ბოლო თანხმოვანს იცავენ (სილაპი), თურმეობითში -ერე დაბოლოებას იყენებენ (გუისილაპეენ); ისინი კი, რომლებიც ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანს კარგავენ (სილაი), თურმეობითს -ელ-ერე-თი აწარმოებენ (გუისილაეეენ). მსგავსი ვითარებაა მიმღობის წარმოების დროსაც. ის, ვინც **სილაპი**-ს ამბობს, მიმღობას -ერ სუფიქსით აწარმოებს: **გოსილაპერი** „შეიარაღებული“ (მდრ. მაგ., ჩიქ. I, 30,23; 31,18; 31,27); **სილაი**-ს მოქმელი კი -ელ სუფიქსიან მიმღობას იტყვის: **გოსილაელი**.

აღნიშნული პარალელიზმი სარფულში თურმეობითისა და ვნებითი გვარის მიმღობის წარმოებაში შემთხვევითი არ უნდა იყოს. -ელ-ერე დაბოლოებაში -ელ სუფიქსი, მართლაც, მიმღობის სუფიქსია წარმოშობით.

თურმეობითის წარმოებისას რ-ბოლოკიდურიანი და რ-ს არმქონე ზმნური ფუძეების ერთნაირი ქცევა, ხოფურ-აზლალურ-ფხიჯურ მეტყველებაში რომ დასტურდება, მეორეული მოვლენა ჩანს. იგი შედეგი უნდა იყოს იმისა, რომ დაიჩრდილა ძველი კავშირი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების არაინვერსიული თურმეობითებისა და გარდაუვალ ზმნათა მიმღობური თურმეობითების წარმოებას შორის, რის შედეგად ზმნის არაინვერსიული თურმეობითების საწარმოებლად აორისტის ფორმას ყველგან -ერე (<ორე) მეშველი ზმნა დაერთო.

შემოკლებანი

დუმეზ. ა რ თ ა შ ე ნ .: G. Dumézil, Textes en laze d'Ardešen: Bedi Karthlisa, Revue de Kartvélogie, vol. XXIX—XXX, Paris, 1972, გვ. 32—41.

მ ა რ ი: Н. Марр, Хрестоматия чанского языка: Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1910, გვ. 81—123.

ყიფ. ჰან.: ი. ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, თბ., 1939.

ჩვ. ლაზ.: ვ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1972.

ჩვ. სარფ.: ვ. კარტოზია, მასალები ლაზური ზემპირსიტყვიერებისათვის: კრებ. ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968, გვ. 149—178.

ჩიქ. I: არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ხოლური კოლოკაცია, თბ., 1929.

Г. А. КАРТОЗИА

К ОБРАЗОВАНИЮ НЕИНВЕРСИВНЫХ РЕЗУЛЬТАТИВНЫХ ФОРМ ГЛАГОЛА В ЛАЗСКОМ ДИАЛЕКТЕ

Резюме

Неинверсивные результативные («заглазные») формы глагола по-разному образуются в лазских поднаречьях. В вицско-архавском (и атинском) к формам прошедшего несовершенного и аориста присоединяются вспомогательные глаголы დორენ doren «есть» и დორტუნ dortun «был». В хопском поднаречии результативные формы образуются при помощи суффикса -ერე -ere > -ეე -ee, присоединяющегося к глагольным основам прошедших времен.

В литературе (А. С. Чикобава) подмечена следующая закономерность образования результативных форм из аориста в хопском поднаречии: если глагольная основа содержит согласный რ г, образователем результативных форм выступает сложный суффикс -ელ-ერე -el-ere; в случае отсутствия в основе согласного რ г суффиксом является -ერე -ere. Ср. ქოდინჯირ-ელ-ერე-ნ kodinjir-el-ere-n «он, оказывается, заснул» и უწვ-ერე-ნ ucv-ere-n «он, оказывается, сказал ему».

Это положение нуждается в некоторых коррективах.

1) Сложный суффикс -ელ-ერე -el-ere свойственен не всему хопскому поднаречию. В некоторых его говорах (напр., Хопа, Пхиги, Азлага) -ერე -ere является единственным суффиксом результативных форм для всех глаголов, в том числе и глаголов с согласным რ г в основе. Напр., დოჭარ-ე(რ)ე-ნ dočar-e(r)e-n «он, оказывается, написал»; ср. форму сарпского говора დოჭარ-ელ-ე(რ)ე-ნ dočar-el-e(r)e-n.

2) И в тех говорах, где он имеется, сложный суффикс -ელ-ერე -el-ere употребляется не во всех глаголах с согласным რ г в основе. Для его наличия необходимо, чтобы რ г был исходным элементом основы. Если რ г находится в начале или внутри основы, суффиксом результативных форм выступает опять -таки -ერე -ere. Напр., დორდ-ე(რ)ე-ნ dord-e(r)e-n «он, оказывается, вырастил его», დვაჟროფ-ე(რ)ე-ნ dva dgor-e(r)e-n «он, оказывается, влюбился в него».

3) Сложный суффикс -ელ-ერე -el-ere употребляется и в глаголах с гласным исходом основы. Напр., от именной основы ქაი k'ai «хороший» в

сарпском говоре образуется аорист დიკაუ diḡau „он выздоровел“; отсюда I результативное დიკა-ელ-ე(რ)ე-ნ diḡa-el-e(r)e-n „он, оказывается, выздоровел“.

В литературе (Н. Я. Марр, И. А. Кипшидзе) предполагается, что лазские неинверсивные результативные формы образуются по образцу результативных форм переходных глаголов в грузинском языке (причастие прошедшего времени страдательного залога + вспомогательный глагол); суффикс -ელ -el в сложном окончании результативных форм хопского поднаречия отождествляется с суффиксом причастия (Н. Р. Натадзе). В статье указывается на некоторые параллели в образовании причастий и результативных форм в лазском, подтверждающие эти соображения.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

ახორახ ლომთაჲ

ემფატიკური ხმოვნები

ახალ ქართულში მიცემით, ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში ყველა სახელი მხოლოდობითშიც და მრავლობითშიც (-ებ-იანიც და თ-იანიც) მორფემათა ბოლოს დაირთავს -ა ელემენტს.

ძველ ქართულში ეს -ა ელემენტი, რომელსაც ნ. მარმა ემფატიკური უწოდა, დაერთვის სამ ბრუნვას: მიცემითს, ნათესაობითსა და მოქმედებითს და სისტემატურად იხმარება საზოგადო სახელებში, სადაც ის ძველი ქართულის ნორმებით აუცილებელია. ზოგჯერ ემფატიკური -ა არ გვხვდება ამ ბრუნვებთან, რაც იმავე ძველი ქართულის ნორმებითაა განპირობებული: ემფატიკური -ა არ დაერთვის სახელებს, როცა ის: 1. კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილია; 2. შედგენილი შემასმენლის ნაწილია; 3. თანდებულისა (მოქმ. ბრ.); 4. ზმნიზედადაა გამოყენებული წინადადებაში¹; 5. საკუთარი სახელია.

სიიდან მივიღეთ ეს ემფატიკური -ა?

ნ. მარი თვლიდა, რომ ნათესაობითსა და მოქმედებითში იგი განსაზღვრებად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელის, მას, ნაშთს წარმოადგენდა, მიცემით ბრუნვაში კი -ა ამ ბრუნვის სუფიქსისებულ გადასმულ ხმოვნად მიაჩნდა: ადგილ-ახ > ადგილ-სა².

არის მეორე, შედარებით უფრო დასაბუთებული, მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც -ა „წარმოშობით ნაშთია განსაზღვრებითი ნაწილაკისა (ე. წ. ნაწევრისა, ანუ ართრონისა), სახელთან შეზრდილი“³: კაც-ს-ა < კაც-ს ამას, კაც-ის-ა < კაც-ის ამის, კაც-ით-ა < კაც-ით ამით.

გამოდის, რომ განსაზღვრებითი ნაწილაკი სახელობითსა და მოთხრობითში უშუალოდ მოსდევდა სახელის ფუძეს. სახელობითში ის იყო იგი: კაც-ი < *კაც-იგი: მოთხრობითში სახელს შეზრდია ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა: მან (იგივე III პირის ნაცვალსახელი): კაც-მა < კაც-მან < *კაც მან... დედა-მ < *დედა-მა < *დედა-მან < *დედა მან. ამგვარად, ეს ნაცვალსახელი აფორმებს ორ ახალ ბრუნვას: სახელობითსა და მოთხრობითს, რამდენადაც ამ ბრუნვათა სუფიქსებად ხდებიან მისი სხვადასხვა ფორმები. ძვე-

¹ ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში, თსუ შრომები, XXX—XXXI, 1947, გვ. 218—223.

² Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 22—23.

³ ა. შანიძე, მორფოლოგია, თბ., 1930, გვ. 24; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 48; К. Ф. Дондуа, К вопросу о родительном эмпатическом в древнелитературном грузинском языке, „Известия Академии Наук СССР, Отделение Гуманитарных Наук“, 1930, № 3, გვ. 209.



ლი ფორმაციის ბრუნვებში კი, როგორც ჩანს, განსაზღვრებითი ნაწილს იკავებს მისი ფორმები: მიც. კაც-ს-ა < *კაც-ს ამას, ნათ. კაც-ის-ა < *კაც-ის ამის, მოქმ. კაც-ით-ა < *კაც-ით ამით... ამავე დროს, ეს ნაცვალსახელები არ არიან იგი-ს და მან-ის რიგის III საფეხურის ჩვენებითი, არამედ I საფეხურის ატი-ს ტიპის ჩვენებითი ნაცვალსახელებია. მაშ, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მასალისაგან წარმოქმნილ ერთგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე⁴.

რა მდგომარეობაა ახალ ქართულში?

1. ახალ ქართულში ემფატიკური -ა მეოთხე ბრუნვასაც, ვითარებითსაც, დაერთვის: კაც-ად-ა. 2. ემფატიკური -ა-ს გამოყენებას ახალ ქართულში საერთოდ ოდინდელი სისტემური სახე არ შერჩა, რადგან თვით -ა-მ დაკარგა განსაზღვრების ფუნქცია: ენა აღარ ასხვავებს საკუთარ და საზოგადო სახელებს; ის ერთნაირად დაერთვის ორივეს — ნიველირებაა მომხდარი.

ემფატიკური -ა-ს ხმარება ამჟამად (მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მწერალთა მეტყველების მიხედვით) გარკვეულ ახალ წესს ემორჩილება: იგი გვხვდება წინადადების ბოლოში, ან წინადადების შიგნით (ერთგვარ წევრებიან წინადადებაში, და კავშირის წინ), სადაც გვაქვს პაუზა⁵.

ემფატიკური -ა ხშირად გამოიყენება ნანათესაობითარ მსაზღვრელთან და -გან, -კენ, -თვის, -ვით თანდებულის სახელებთან.

ემფატიკური ხმოვნები არ გვაქვს ს ვ ა ნ უ რ შ ი, მაგრამ მოგვეპოვება ზანურში.

განსხვავება ზანურსა და ქართულს შორის, უპირველეს ყოვლისა, თვითნიშნებშია: ქართულში გვაქვს ემფატიკური -ა, ზანურში კი -ი, ჯ და უ. ისინი ფონეტიკურად ერთმანეთს არ შეესატყვისებია.

ქანურში სახეზგა მხოლოდ ემფატიკური -ი, რაც სისტემატური სახით ნანათესაობითი გამოიყოფა: კოჩი-შ-ი („კაც-ის-ა“), კუჩხე-შ-ი („ფეხ-ის-ა“), ოხორეფე-შ-ი („სახლებ-ის-ა“)⁶.

მეგრულში ემფატიკური ხმოვნებია: -ი, ჯ, -უ, რაც ძირითადად ოთხ ბრუნვაში გვხვდება: მოთხრობითში, მიცემითში⁷, ნათესაობითსა და მოქმედებითში⁸. როგორც ვხედავთ, ქართულთან შედარებით, აქ გვაკლია ვითარებითი ბრუნვა, სამაგიეროდ მეტია მოთხრობითი. მეგრულის ვითარებითსა და დანიშნულებითში ემფატიკური ხმოვნები იშვიათად შეინიშნება. ის სრულებით არ ახასიათებს ამ დიალექტის მიმართულებითსა და დაშორებითს, რაც ასეც იყო მოსალოდნელი... თქმულიდან ჩანს, რომ ემფატიკური ხმოვანი ზაშინ ახლავს ბრუნვის სუფიქსს, როცა ის ოდენთანხმოვნია ან თანხმოვანზეა დასრულებული; არ ახლავს, თუ ბრუნვის სუფიქსი ხმოვანია ან ხმოვანზეა

⁴ არნ. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის, კრ.: სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956, ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 133—134.

⁵ თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური -ა ახალ ქართულში, სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 228, 231—233.

⁶ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 54, 56, 58 და შშდ.

⁷ И. Книшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914, § 11.

⁸ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 56; შდრ. ი. ყიფშიძის დასახ. შრომა, §§ 11, 15, 16 ა, ბ, 17 ც, პარადიგმები: IV, V, VI, VII.

დასრულებული (შდრ. მას არ დაირთავს ბოლოთანხმოვნინი -ოსუფიქსით ნაწარმოები ვითარებით: კოჩ-ო, ამავე სუფიქსით ნაწარმოები დანიშნულებით: კოჩი-ო-ა; -ა, -და სუფიქსებით ნაწარმოები მიმართულებით: კოჩ-იშ-ა, ჩქიმ-და; -ე, -დე სუფიქსებით ნაწარმოები დაშორებით: კოჩი-შ-ე, ჩქიმ-დე).

ემფატიკური ი დამახასიათებელია სენაკური კილოკავისათვის და დაცულია ზემოთ აღნიშნულ ყველა ბრუნვაში:

სენაკ. მოთხრ. ყურძენი დომიქვეს... ს ი ნ ჩ ხ ე ქ (ი): ყიფ. I, 13⁹ „ყურძენი დაგვიწვა... სიცხემ“. ღვინქი ბრელქ იყუუ: ყიფ. I, 17 „ღვინო ბევრი მოვიდა“. ქკიდქი მისუტეს: ყიფ. I, 17 „ქადმა გვილადა“ („ქადი ცოტა მოვიდა“). აფხანაკიქი მაჟირა აფხანაკის უწუუ: ყიფ. 3, 18 „ამხანაგმა მეორე ამხანაგს უთხრა“.

მიც. ამუსერი ართი სოფელსი მეუხირუნა ხოჯი: ყიფ. 12, 6 „ამაღამ ერთ სოფელში მოუპარავთ ხარი“. ზუგდის(ი) თქვა ქემერთით(ი) უჩარდიშა: ყიფ. 2, 1 „ზუგდიდში თქვენ მიდით უჩარდიასთან“. თელი სოფელსი ნოჩქვე: ყიფ. 12, 3 „მთელ სოფელს სცოდნია“.

ნათ. ცხოვრენღუ ხეალე მუში დუდიშო: ხუბ. 1, 2 „ცხოვრობდა მარტო თავის თავისთვის“. ათე ოსურიში თის ართი ახალგაზრდა ბოშიკოს ქიგიასერუ: ხუბ. 1, 3 „ამ ქალის სახლში ერთ ახალგაზრდა ვაჟაკეს შემოაღამდა“. მინილუ ჰერიში გათანაფუშა: ხუბ. 1, 6 „შევიდა ღამის გასათევად“. თქიანაში ხენწიფეს... ხუბ. 1, 11 „ამ ქვეყნის ხელმწიფეს... მეულუ მუში მუმაში დინატუბ ლეკური: ხუბ. 2, 6 „მიაქვეს თავის მამის დანატოვები ხმალი“. ქუმორთუ თე ბოშეფიში დიდაქ: ხუბ. 2, 33 „მოვიდა ამ ბიჭების დედა“. მუს ძირუნს კოჩიში თოლი ენეფიში უჯგუშის: ხუბ. 3, 34 „რას ნახავს კაცის თვალი ამათზე უკეთესს“. იში გარზე დღას მუთუნნი ვარე ცალო დინაში შქასია: ხუბ. 4, 5 „იმის გამძლე არაფერი არისო ცასა და დედამიწას შორის“. ჯაბიში გაბორებულქ ცუდუშა ქომორთუ: ხუბ. 1, 18 „ჯაურისგან გამოთაყვანებული შინ დაბრუნდა“.

მოქმ. დერეჟანთი მიდაზოჯუ(ნ)თი და, აღირუაფუ ართი მანათი, ფაიტოჯოთი — ძირი: ყიფ. 1, 10 „დილიყნით თუ წაბრძანდებით, ეღირებთ ერთი მანეთი, ეტლით — ორი“. პარახოდიო გუუტეს შორიშ ქალაქეფიშა: ყიფ. 4, 10 „გემით გაუშვეს შორ ქალაქებში“. დუქუნუნა ნოშოთი: ყიფ. 12, 10 „დაუფარავთ ფოთლებით“.

ვით. ჩქიმი ცირასქუალეფი მეჩინამუ თქვანდა საჩილოთია: ყიფ. 17, 31 „ჩემი ქალიშვილები მომიცილო თქვენთვის საცოლოდ“.

ჯგირ დო ფური — არძართიე იშოთი „ქარგი და ცუდი — სულერთია მისთვის“. გლახა დღას ვამოკო მეზობელიშოთი „ცუდი არასდროს მინდა მეზობლისათვის“.

ემფატიკური ჯ ახასიათებს სენაკურსაც და ზუგდიდურ-სამურხაყანულსაც⁹, მაგრამ ნათესაობითის გამოკლებით. ამ ბრუნვაში ორსავე კილოკავს ჯ-ს ადგილას, როგორც კანონი, ი აქვს წარმოდგენილი¹⁰:

2:

სენაკ. მოთხრ. ნჯორამი კოჩქე მართახი ქემკაბუნუუ: ყიფ. 13, 33 „ჯორინამა კაცმა მართახი დაკიდა“. მარა ნდიში ყურენცე ვამახვამილეცე ქასაგანქე ლანკიშა: ყიფ. 17, 7 „მაგრამ დევის მომხრებმა („მხრიანებმა“)

⁹ შდრ. ი. ყიფშიძე, დასაბ. შრომა, გვ. XVIII და § 6, 1.

¹⁰ შდრ. იქვე, § 11, 15, 16 a, 6, 17 c, პარაღებები: IV, V, VI, VII.

ვერ მოახვედრეს ისარი სამიზნეს“. ნ დ ი ი ქ ე დოჰვილ დეჰვი: ყიფ. 17,12 „დეგმა დახოცა ღორები“. გიმილდ ეურე ბოშოქ ე ქეეფიანო: ყიფ. 33,14 „გამოვიდა იქიდან ვაი შექეფიანებულად.“ ასე ნ დ ი ე ნ ქ ე ქომორთესია: ყიფ. 33,17 „ახლა დეგები მოვიდნენო“. თეში მაქიმიონარქ ე მუთი მიწუანი, დეუჰერათია: ყიფ. 33,19 „ამის გამკეთებელმა რაც გვიტარას, დეუჰეროთო“. ორდოს გეედირთე ცირაქ ე: ყიფ. 38,25 „დილას ადგა ქალიშვილი“. ჯო რ ა მ ქ ე უჰუჰუ: ყიფ. 13,20 „ჯორიანმა უტხრა“.

მიც. ორჯინესე, ნ დ ი ი ს ე: ყიფ. 17,11 „აჯობეს დეეს“. დოსაშე დო ტ ა ბ ა კ ი ს ე ქიგლანწყარე: ყიფ. 17,13 „მოხარშა და ტაბლაზე დალაგა“. ი მ უ ს ე რ ს ე თექი რღე: ყიფ. 38,24 „იმ ღამეს იქ იყო“. ასე მ ი ს ე შეეგვადუქინი, არძას ვკითხურენქ: ყიფ. 1,19 „ახლა ვისაც შეეგვადები, ყველას ვეკითხები“.

მოქმ. ღიახ, მოკოლა, ვიბიდე ჩქიმ ფარათი „ღიახ, თუ მინდა, ვიყიდი ჩემი ფულით“. მუ გოვალე გ უ რ ი თ ი, ვამიჩქუ „რა ვაგევა გულით, არ ვიცი!“ ვაკეთეს კოჩითი დო ფულუნა „ვააკეთეს კაცითა და მალავენ“.

ვიო. ქანდიში მაშხვათე ქიმიბირე: ყიფ. 13,12 „ბუზის სისხო („სისხლო“) მოჩანს“.

ზუგლ-სამ. მოთხრ. ქიმერთე ტყაში კოჩქ ნდემეფიშა: ყიფ. 82,20 „მივიდა ტყის კაცი დევებთან“. ეთი ნ დ ე მ ქ ე ქომიხვამილუჰ: ყიფ. 82,27 „იმ დეგმა ჩამიგლო ხელში“. დო რ ქ ე ქომორთუ ბაღანაში დაბადებაში: ყიფ. 83,8 „დრო დადგა ბავშვის დაბადებისა“. ჩქინი სქუაქ ე ქომორთუა: ყიფ. 83,23 „ჩვენი შვილი მოვიდაო“. ქედებადე ბოშოქ ე: ყიფ. 83,27 „დაბადა ცაი“. ართი კაკალქ ე გეგშალე დო ზღვასე ქინოლე: ყიფ. 101,6 „ერთი კალი ამოვარდა და ზღვაში ჩავარდა“. ათე თუმაში მინჯექ ე ჩქიმი ოსურქ ე ვეჰუ და, ჩქიმი რინა თე ქეჰანსე დორონთქ ე ვაჰუსე: ყიფ. 101,10 „ამ თმის პატრონი თუ ჩემი ცოლი არ იქნა, ჩემი სიცოცხლე ამ ქვეყანაზე ღმერთმა ნუ ქნას!“.

მიც. ათე თუმასე წყარქ უფადუ, უფადუ დო... ყიფ. 101,6 „ეს თმა წყალმა აქანავა, აქანავა და...“ თისე ჩქიმი დინაფილი ძღაბი ჩონგურცე მელუანცე ნი... ყიფ. 99,7 „მას ჩემი დაკარგული გოგო ჩონგურს რომ უკრავს...“ ტირი თუთასე ქორდეს წორო: ყიფ. 88,33 „ორ თვეს იყენენ ერთად“. მუჰო ოკო ბადღესე კეთება: ყიფ. 91,3 „როგორ უნდა ბაღს კეთება?“ ბაღანქ მინდოროცე ლაჰაფი ქედლიჰუჰე: ყიფ. 83,33 „ბავშვმა მინდოროში თამაში დაიწყო“. ენა ჯვეში ტარიელემცე ვო უჩქედე: ყიფ. 84,30 „ეს ძველმა ვაჟკაცებმა არ იცოდნენ“.

მოქმ. წონათე ტიროში ფუთიქ იჰუსენი, ეფერი: ყიფ. 84,2 „წონით ორასი ფუთი რომ იყოს, ისეთი“. ხრისტაგანიში ჰავათე ვიში მიოჯანდღე: ყიფ. 67,7 „ხრისტაგანის ჰაერით იქით აწებოდა“. გინასქალედი ოქკუმალეფი მონალე ბოშოქ ე ნიხორითე ქიმულუჰ: ყიფ. 93,29 „მონარჩენი საქმელები მოსამსახურე ბიჰმა გობით მიუტანა“. რაშიქ მიდართე ჟი დო ჟი ჰაერითე: ყიფ. 98,15 „რაში წავიდა ზევით-ზევით ჰაერით“. თიოჯ კითი გოჰკირე: ყიფ. 98,23 „მით თითი შეუხვია“. მა, ნანა-სქუა, მოინალეთე ქედაკინია: ყიფ. 101,29 „მე, შვილო, ამიყვანეო მოსამსახურედ“. სიმა ნოსათე მოკოქ: ყიფ. 103,5 „შენ მე რძალად მინდისარ“. მოლართეს ჟი დო ჟი ჰავათე: ყიფ. 104,11 „წამოვიდნენ ზევით-ზევით ჰაერით“.

ვიო. მაგირა დღასე ქიგიორინეს მებალეთე: ყიფ. 91,4 „მეორე დღეს დააყენეს მებალედ“.

ი:

სენაჯ. ნათ. დიდაში გური ირწინაწალუ სქუაშენი „დედის გულა ყოველთვის წუხს შვილის გამო“. სქუაში ცოროფა დიდე „შვილის სიყვარული დიდია“. აწ დივქყათ ოკო ორტინიში თასუა „აწი უნდა დავიწყათ ბოსტნის თესვა“. წყარიში ძალა მერჩამუდას, სქუა „წყლის ძალა მოგცემოდეს, შვილი“.

ზუგდ-სამ. ნათ. ათენა ცოფენია ჩქიმი კიბირიში ქუაში წამალი: ხუბ. 290,18 „ეს ყოფილაო ჩემი კბილის ტკივილის წამალი“. წურაფილი აფუდეს მუნეფიში ცუდე: ხუბ. 277,32 „მინასწავლი ჰქონდათ თავიანთი სახლი“. სუმხოლო ოსურსქუაში გათხულ ფარას ქიფინქია: ხუბ. 284,7 „სამივე ქალიშვილის გასათხოვ ფულს ვიშოვნო“. გრჯინიში ტენის ოქკომუნქენი... ხუბ. 290,4 „ვირის ტენის რომ შექამ...“ ხენწუფეში დობორემა ხოლომა ქიმერთ: ხუბ. 288,16 „ხელმწიფის სასახლესთან ახლოს მივიდა“. ეთი კოჩიში შქვიდაფაჟა ქომუჩით ართი პასუხი: ხუბ. 292,28 „იმ კაცის დახარბამდე მომეცით ერთი პასუხი“. ქალწლე იყუნესგ მუში დაში სურათი ჯიბეშა დო მეულე თენა: ხუბ. 290,26 „რომ წაიყვანეს, ჩაიდვა თავისი დის სურათი ჯიბეში და მიაქვს ეს“. მიდართ მუში ოსურიში ცუდეშა: ხუბ. 299,37 „წაივდა თავის ცოლის სახლში“. სისქვაჟემე თქვა ზოჯენთე არძა ცირეფიში მათა: ხუბ. 314,5 „სილამაზით თქვენ ბრძანდებით ყველა ქალიშვილის (ქალიშვილების) მეფე“.

ემფატიკური -უ შეინიშნება სენაკურ კილოკავში (კერძოდ, აბაშურ მეტყველებაში), მაგრამ მხოლოდ მოთხრობითსა და მიცემითში. ყოველ შემთხვევაში, ასეა დაბეჭდილი ტექსტების მიხედვით. რაც შეეხება ნათესაობით ბრუნვას, აქ ემფატიკური -უ არ გვაქვს და არცაა მოსალოდნელი დადასტურდეს. მის ადგილასაც ყოველთვის იზის:

მოთხრ. ყურძენი დომიქვეს დიოდე ჩხურუქუ დო... ყიფ. 1,13 „ყურძენი დავიწყვა ჯერ სიცივე დო...“ ათე ბოშეფქუ ეთეშ გინირთეს, გრანციფიშა პარახოდეფი გილალედეს: ყიფ. 3,14 „ეს ბიჭები ისეთები განდნენ, რომ საზღვარგარეთ გემები დაუდრიდათ“. ამდღა დურაქუ ხოლო გპირდ: ყიფ. 4,25 „დღეს სიკვდილი კიდევ გაპირდა“. უწუღ ეშმაკიშოთ მორაგადექუ: ყიფ. 5,17 „უთხრა ეშმაკის მხარეზე მოლაპარაკემ“.

მიც. უბრხოლოსუ ართიანიში მაჟალე ქუმოლისქუა ცუნდუ: ყიფ. 3,7 „ორივეს ერთმანეთის ტოლი ვაჟიშვილი ჰყავდა“. ეშმაკი აკეთენსო კოსუ დო ლორთით: ყიფ. 3,20 „ეშმაკი ამდირებს კაცს, თუ ღმერთი?“

მეგრული დილაექტის ორსავე კილოკავში ბუნებრივია ბრუნვათა ისეთი ფორმებიც, სადაც ემფატიკური ხმოვანი სრულებით არაა მოცემული:

სენაჯ. მოთხრ. მარა გერიიქ უწუღ: ყიფ. 33,27 „მაგრამ გერიამ უთხრა“. მეშხურექ გააჩინე ვეზირფიში გენარჩქინასე ნი... ყიფ. 43,11 „მეცხვარემ რომ გასინჯა („გახედა“) ვეზირების განაჩენი...“ ხენწუფექ ენა ქოძირე: ყიფ. 43,11 „ხელმწიფემ ეს ნახა“. ბოშიქ ქაჯუნეს: ყიფ. 45,23 „ვაქმა აკოცა იმ მზეთუნახავს“. უწუღ დიანთირქ: ყიფ. 45,27 „უთხრა დედამთილმა“. ეჩხომქ კინი სოდე ხედე ნი, თეჟი ქედაახუნუ: ყიფ. 38,28 „ამ თევზმა ისევ საღაც იჭდა, იქ დასვა“. ჯორამი კოჩქ უწუღ: ყიფ. 13,15 „ჯორიანმა კაცმა უთხრა“. არძაქ ზუგიდიშა მიმოწურუ: ყიფ. 1,20 „ყველა ზუგიდიზე მიმსწავლა“.

მიც. სოვიდენი, ართი ქიძანას, ართი ხენწიფე ქოყოფე: ყიფ. 43,4 „საღდაც, ერთ ქვეყანაში, ყოფილა ერთი ხელმწიფე“. მეშხურეს უზოჯე: ყიფ. 43,12 „მეცხვარეს უბრძანა“. ართი ხენწიფეში ოსურისქუას ქომონს მიათხინდეს თიჯგურას, ნამუთი ჯიხუურს თი ცხენით ეშასაუნდუნ: ყიფ. 45,12 „ერთი ხელმწიფის ქალიშვილს ათხოვებდნენ ისეთ კაცზე („ქმარზე“), რომელიც ჯიხურს („ჯიხურზე“) ზევით ცხენით აახტებოდა“. ჩხომს ქორას ყუნსე: ყიფ. 38,27 „თევზს მუცელში ჰყავს“. ენეფს ქაუხვადე მეწამალქე: ყიფ. 11,14 „ამათ შეხვდა მკურნალი („მეწამლე“)“. თქვა მუს იტყუთი: ყიფ. 1,20 „თქვენ რას იტყუთ?“ ათე სოფერს მუჯოხო: ყიფ. 1,3 „ამ სოფელს რა ჰქვია?“ ყურძენს წიჯგირი პიჯი უღუღუა: ყიფ. 1,15 „ყურძენს წელს კარგი პირი უჩინდაო“.

ნათ. ენა სქან კქუაშ ოკითხე ვაგოხოლ „ეს შენი კქუის საკითხავი არ გახლავს“. კიბირიშ ქუა მანუხენს „კბილის ტკივილი მანუხებს“.

მოქმ. მუთი შნღებე ზუგიდიშა ულა? — ცხენით: ყიფ. 1,8 „რით შეიძლება ზუგიდიშში წასვლა? — ცხენით“.

ზუგდ.-სამ. მოთხრ. მიდართე მუში შარაშა ჯგირი ჯიმაქ: ხუბ. 300,13 „წვიდა თავის გზაზე კარგი ძმა“. ოსურქ შხვას ქემქქულენ იში ბარგი: ხუბ. 289,31 „იმ ქალმა სხვას ჩააცვა მისი ტანისამოსი“. მეწონე ათე ოსურ-სქუაში სურათიქ: ხუბ. 291,3 „მოეწონა ამ ქალიშვილის სურათი“. უბედური ბედში კოჩქ: ხუბ. 319,35 „უბედური ბედის კაცმა“. გლახა ვაშმორადადუა მითინი ღორონთიში ჰყერქ: ხუბ. 320,21 „ცული რამ არ ჩამალაპარაკო ვინემ, ღვთისაგან დაწყევლილმა“.

მიც. ქოძირე დიდ შინდორს დიდი ჰყონი გედგდენ თეში: ხუბ. 296,17 „ნახა დიდ შინდორზე დიდი მუხა, რომ იღვა ისე“. ქომუნაქო თიში ნებას: ხუბ. 317,11 „მომცემ იმის ნებას?“ ბეაღო თუთას სი აჩავრე: ხუბ. 314,9 „მზესა და მთვარეს შენ ჩავრავ“. ზარფაში წამალს მიზადენდე: ხუბ. 321,5 „ზადრის წამალს მიმზადებდე“. ართი ოქუშარეს ქეჯავაშინე მუში და ეკატერჯენქე: ხუბ. 221,1 „ერთ დილას გაახსენდა თავისი და ეკატერინე“.

ნათ. სქანი კიბირიში ქუაშ წამალი რენია: ხუბ. 290,4 „შენი კბილის ტკივილის წამალიაო“. კიბირიში ქუაშ წამალი თინარე: ხუბ. 289,1 „კბილის ტკივილის წამალი ის არის“.

მოქმ. ხენწეფე ქოძირე მუში თოლით: ხუბ. 291,2 „ხელმწიფემ ნახა თავის თვალით“.

ვით. ხურხიში კილათ სი მიმოჩქექე: ხუბ. 322,16 „კისრის ნაქად („გასაღებად“) შენ მიმაჩნისარ“. უსქანეთ დროში ტარება... ხუბ. 321,15 „უშენოდ დროის ტარება...“

ემფატიკური ხმოვანი ყოველთვის ახლავს აღნიშნულ ბრუნვათა მორფემებს, როცა მათ მოსდევს რაიმე სუფიქსი ან ნაწილაკი. ამავე დროს, ასეთ შემთხვევაში ვგაქვს როგორც ი, ისე გ-ც¹¹, მაგრამ იშვიათია უ.

ემფატიკური ი ამ პოზიციაში დამახასიათებელია სენაკურისთვისაც და ზუგიდიურ-სამურზაყანულისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელისათვის ი ამ ფუნქციით არაა ბუნებრივი საერთოდ:

¹¹ ი. ყიფშიძე, დასაზ. შრომა, გვ. 012—013; გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962, I, გვ. 40; Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, გვ. 52.

სენაკ. მოთხრ. ქიგვეთ თენა ჭიჭე ბოშ იქინი... ხუბ. 1,19 „ეს რომ პატარა („უმცროსმა“) ბიჭმა გაიგო...“ მოტრიხუ კარქინი... ხუბ. 3,16 „კარი რომ მოტყდა...“ დინილუ უჩაშ იქინი... ხუბ. 3,30 „რომ ჩავიდა უფროსი...“ ქუმორთუ ჟირი ბოშ ენქინი... ხუბ. 2,19 „რომ მოვიდა ორი ვაჟი („ორი ვაჟები“)...“ თექ გერჩქინდუ ნდიქით: ხუბ. 4,29 „იქ გაჩნდა დევიც“.

მიც. მა ივოლა [ხეს] ჩქიმი ხენწიფაღასია: ხუბ. 1,16 „მე ხელს ავიღებ ჩემს ხელმწიფობაზეო“. მა ვავაჟვილექ ინენსია: ხუბ. 2,11 „მე ვერ მომკლავენო ისინი“. ღორონსით გაურისხვებუ თინფე: ყიფ. 12,7 „ღმერთსაც შეურისხავს ისინი“.

ვით. ენა ქუნორგებე ჩქინი ჯიმათია: ხუბ. 2,22 „ეს ვარგებულაო ჩვენ ძმად“.

ზუგდ.-სამ. მოთხრ. გეკოსხაჲ ართი ბურთი-ჯგუა კეაკვალიაქ, მუღგაქი- (რ) ენ: ხუბ. 295,5 „ამოხტა ერთი ბურთივით რალაც მრგვალი“.

მიც. ათე ქყონსია კარი გილაბუნია: ხუბ. 296,18 „ამ მუხას კარი ჰკიდილო“. თი ბოშის ვენარაჟუნქიაჲო ქვაბისია: ხუბ. 286,35 „იმ ბიჭს არ ჩაადგებო ქვაბში?“ პაპა თითო ლავან ფარას არხენსია მუში სქუასია: ხუბ. 285,35 „მღვდელი თითო ქვევრ ფულს აძლევსო თავის შვილს“. ტკიბირსია რადგანს წყარქ გითრლუა... ხუბ. 284,1 „საცერში რადგან წყალი გავიდო...“ ეფერი პირობა ქიმეფათია ართიანსია... ხუბ. 283,18 „ისეთი პირობა მიცეთო ერთმანეთს...“ მიღვა მა დემოგურუანსია ქარუაკი — თხირსიე... ხუბ. 283,16 „ვინც მე შემასწავლის წერა-კითხვასო...“ ათე-დო-ათე დიხასია კაჟ-დემი მიკოკირენია: ხუბ. 303,14 „მავან და მავან ადგილას კაჟა-დევი არისო მიბმული“. ათე დო ათე მუხურცი... ყიფ. 85,9 „ამა და ამ მხარესო...“ დამქადაფევა ქკადლეფსია: ხუბ. 301,36 „დააქედინეო მუღდლებს“.

ნათ. ქიმიბლანქია ხორცობუს ნადირიშის: ხუბ. 305,14 „მოვიტანო ლორცეულობას ნადირისას“. სქანი ფარავა მიდღია, ბაბა, სუმ ზოლო ლავგვანიშია ღო მეუა: ხუბ. 286,11 „შენი სამივე ქვევრის ფული წაიღეო, შვილო („მამა“), და წაიღო“.

როგორც ეთქვით, მითითებულ პოზიციაში ორივე კილოკავისათვის ბუნებრივი ჩანს ემფატიკური ჯ-ც:

სენაკ. მოთხრ. მუჭოთი ქიგუნენს თენა სქულენქენი, სუმინოლოქ მინდომეს ოგურაფუშა ულა: ყიფ. 7,14 „ეს როგორც კი გაიგონეს შვილებმა, სამივემ მოინდომა სასწავლებლად წასვლა“. გიმიჯინე გერიოქქენი... ყიფ. 30,30 „რომ გამოიხედა გერიამ...“ ნამუქქეთი ქასავანი ეი, ცაშა, ოჯოთ: ყიფ. 17,9 „რომელმაც ისარი ზევით, ცაში, ისროლა“:

მიც. ათე კოსეთი შევაგონი: ყიფ. 6,6 „ამ კაცსაც ჩავაგონე“. მიკააჯინენი მუში ჯგირი ბოშალასენი, ძირაფაქ ახოლო: ყიფ. 33,13 „რომ შეხედა თავის კარგ ბიჭობას, ნახვა გაუხარდა“. ორენა დიარასენი... ყიფ. 33,30 „რომ არიან ქორწილში...“ მაჟირა სერსეთი მუმაქ გამეეცხად: ყიფ. 45,7 „მეორე ღამესაც მამა გამოეცხადა“.

ზუგდ.-სამ. მოთხრ. უწუთიქეთი: ყიფ. 100,12 „უთხრა იმანაც“. ბეაქეთი ალულას ქიმიოდირთ: ყიფ. 82,13 „მზემაც ჩასვლა დაიწყო“. ბელთავანქეთი გური ქუუჩე: ყიფ. 87,9 „ბელთავანიც მიხვდა“. ათაში ოშქარქე ღო ათაში უკულაშიქეთი: ყიფ. 91,32 „ასე შეათანამ და ასე უმცროსმაც“.

მიც. მუსხთველი მიკაწენსენი, ირიფელსე დოჭუნსე: ყიფ. 87,21 „რასაც მიესხება, ყველაფერს დაწვავს“. გულენა ბაღსჯანი... ყიფ. 91,14 „რომ სეირანობენ ბაღში...“ მუსხთველი შქა ჰქუმი — შუმა იყინი... ყიფ. 91,28 „როცა შუა ჰამა-სმა იქნება...“ მისჯთი ანტინენი, ინტე: ყიფ. 97,29 „ვინც შეძლო გაქცევა, გაქცა“. მუსხთველი ქოჩორაქ დოღურენი... ყიფ. 103,17 „როცა ქოჩორა მოკვდა...“

ვით. მიღვასე გიშაგორუნცე საქომონჯოთენი... ყიფ. 91,31 „ვისაც აარჩევს საქმროდ...“

ემფატიკური ხმოვანი მეგრულშიც ჩვეულებრივია პაუზების ადგილას, კერძოდ, წინადადების ბოლოში და კავშირების წინ:

სენაჯ. მაეირა დღას უწუთ რაშიქე: ყიფ. 33,16 „მეორე დღეს უთხრა რაშია“. დიდე არიკი დო დუბაღე მარჩქილესე: ყიფ. 33,28 „დიდა ზღაპარი დო ეყოფა მსმენელს“. ყურძენი დომიჭვეს დიოდე ჩხურუქუ დო უქული — სინჩხექ (ი): ყიფ. 1,13 „ყურძენი ჯერ სიცივემ დაგვიწვა, შემდეგ — სიცხემ“. ორჯინე ნდიისე დო მუში მაძალეფცე: ყიფ. 17,11 „აჯობა დევსა და მის ამხანაგებს“. უჯგუში რე ფაიტიონითი, ვარდა დერეჯანითი: ყიფ. 1,8 „უფრო კარგია ეტლით ანდა დილიჯანით“.

ზუგდ.-ხამ. ლური ვამიღუ დღაში დო სერით: ხუბ. 321,14 „ძილი არა მაქვს დღითა და ღამით“. ბოშის ძალამქ ახიოღე ეამბეექე: ყიფ. 23,34 „ბიჭს ძალიან გაუხარდა ეს ამბავი“.

პირველი საკითხი, რომელიც აქ უნდა დაისვას, ესაა ამ ემფატიკური ხმოვნების ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხი: რომელია მათგან პირველადი და რომელია მეორეული?

საერთოდ ნახევარხმოვანი, როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში (სვანურსა და ზანურის მეგრულ დიალექტში) მეორეულ ბგერადაა მიჩნეული¹². მას თვლიან სხვადასხვა რიგის სრული ხმოვნების (უ, ო, ი...) დასუსტების, ანუ რედუქციის შედეგად მიღებულ ხმოვნად. რაც შეეხება ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავის ემფატიკურ გ-ს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის წარმოადგენს განვითარებულ ბგერას: დანართს (თუთას > თუთასე) ან ჩანართს (თუთასე-ნი... მიქე-თი, მუსხთველი)¹³. ამ დებულების მიხედვით, განვითარებულად ჩაითვლება სენაკური კილოკავის ემფატიკური ი-ც, რადგან ამ კილოკავში ი ხმოვანს ეძღვევა¹⁴.

როგორც ზემოთ გაანალიზებული მასალიდან ენახეთ, ემფატიკური ე ახასიათებს მეგრულის ორსავე კილოკავს (სენაკურში ის ჩვეულებრივია მთიანი მხარის მეტყველებისათვის). უ მხოლოდ სენაკურში შეინიშნება და ისიც მეტად იშვიათად. ნათესაობით ბრუნვაში კი ისინი სრულიად არა გვაქვს, მათი ადგილი ყველგან და ყოველთვის ი-ს უკავია, ი-ს, რომელიც სენაკურში სხვა ბრუნვებშიც კარგადაა დაცული და ფონეტიკურად ზუგდიდურ-სამურზაყანულის გ-ს შესატყვისია. ამავე დროს, -ი ზუგდიდურ-სამურზაყანულში გვაქვს ნაწილაკების წინ, სადაც ის ადღეინილი ჩანს. ეს ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ე და უ

12 ა. ლომთაძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, 1925, გვ. 173; არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკა, ანალიზი, გვ. 20; გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, ტფ., 1938, გვ. 159; ს. ჯღენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1963, § 17; ვ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, § 7.

13 გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, § 20.

14 იხ. იქვე.

ხმოვნებისათვის ამ შემთხვევაში საერთო ი არის ამოსავალი: $o > g > u^{15}$. პირიქითა შემთხვევის დაშვება შეუძლებელია, რადგან ნათესაობითში g -სა და u -ს არსებობა არაა სავარაუდო. რა მიზეზით შემოგვრჩა ნათესაობითში ამოსავალი o , სარკვევია. შესაძლებელია, აქ გარკვეული როლი ეთამამა ამ ბრუნვის ერთგვარ მორფოლოგიურ შებოჭილობას (სხვა ბრუნვებთან შედარებით...) მასთან დაკავშირებული სახლერული სახელით.

რა იწვევს $o > g$ -ს სხვა ბრუნვებში (მოთხრ., მიც., მოქმ...)?

o ხმოვნის g -ში გადასვლა ხდება ფუძისეული მახვილის გავლენით:

სახ.	ღრრონთ-ი	„ღმერთი“	კრძღე	„კლღე“
მოთხრ.	ღრრონთ-ქ-ი	>ღრრონთ-ქ-ღ	კრძღე-ქ-ი	>კრძღე-ქ-ღ
მიც.	ღრრონ-ს-ი	>ღრრონ-ს-ღ	კრძღე-ს-ი	>კრძღე-ს-ღ
ნათ.	ღრრონთ-იშ-ი		კრძღე-შ-ი	
მოქმ.	ღრრონთ-ით-ი	>ღრრონთ-ით-ღ	კრძღე-თ-ი	>კრძღე-თ-ღ
ვით.	ღრრონთ-თ		კრძღე-თ-ი	>კრძღე-თ-ღ
დანიშნ.	ღრრონთ-რშ-ოთ-ი	>ღრრონთ-რშ-ოთ-ღ	კრძღე-შ-ოთ-ი	>კრძღე-შ-ოთ-ღ

როგორც ჩანს, წინა პოზიციის მახვილი ასუსტებს ფუძის ბოლოში უმახვილო o -ს და იწვევს მის ნაწილობრივ რედუქციას.

როგორია თვით ემფატიკური o -ს გენეზისი?

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ეს o მეგრულსა (და ჭანურის) ემფატიკური დაბოლოებაა, ე. ი. იმავე ღირებულების მქონეა, რაც ქართული o “¹⁶. მაგრამ არაფერია ნათქვამი მისი წარმომავლობის შესახებ.

ჩვენი შეხედულებით, მეგრულ-ჭანურის ემფატიკური o -ს გენეზისი ქართული ემფატიკური o -ს გენეზისის ანალოგიურია: ის მიღებული უნდა იყოს განსახლდრების ფუნქციით გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან, მაგრამ არა I საფეხურის ნაცვალსახელისაგან, როგორც ეს ქართულშია (ა-მან, ა-მის, ა-მით), არამედ III საფეხურის o , ინა („ის“) ნაცვალსახელისაგან:

სახ.	ბოშ-ი	< *ბოშინა	
მიც.	ბოშ-სა	< *ბოშინ-ს	o-ს / ინა-ს/
ნათ.	ბოშ-ში	< *ბოშინ-შ	o-შ / ინა-შ/
მოქმ.	ბოშ-თი	< *ბოშინ-თ	o-თ / ინა-თ/ ¹⁷

ე. ი., მის შემდეგ, რაც სახელობითი გაფორმდა o -თი და ის, გაგებული როგორც ფუძის დაბოლოება, შეეზარდა ფუძეს¹⁸, განსახლდრებითი ნაწილაკები გამოყენებული უნდა ყოფილიყო ირიბ ბრუნვებში. დროთა ვითარებაში კი თავიკიდური o -ს (o -ს, o -ში, o -თ...)) შეზრდა აქაც განზორციელებულა, მაგრამ შეზრდა ბრუნვათა ფორმებთან და არა ფუძესთან, როგორც ეს სახელობითში გვაქვს.

¹⁵ შდრ. ი. ყ. ფ შ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 012, 013; გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, გვ. 40, 41, 49, 50.

¹⁶ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 56.

¹⁷ შდრ. ჭანური o -ა || ჰი-მ „იგი“ — მოთხრ. ჰი-მუ-ქ, მიც. ჰი-მუ-ს, ნათ. ჰი-მუ-ში, მოქმ. ჰი-მუ-თე(6). (იხ. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 79—80).

¹⁸ სახელობითის ნიშნად ეს გამოყენება ჭანურში (კუჩხ-ე „ფეხი“... კოზ-ე-ფე „კაციები“) არ უნდა ყოფილიყო ფართო გავრცელებისა, რადგანაც $o > e$ შესატყვისობა ქართულსა და მეგრულ-ჭანურს შორის მეტად სპორადული ხასიათისაა. ამიტომაც მეგრული o -ნა-ს („ის“, „იგი“), ასევე თი-ნა-ს („ის“, „იგი“) ხ ხმოვანი არ გადასულა e -ში. მაშასადამე, სახელობით-შიც საესებოთ კანონზომიერად o იყო მოსალოდნელი აფიქსად (დაწვრლებით სხვა დროს).¹⁹

ქართლის სახელობითი III საფეხურის ნაცვალსახელი იგი-, ის(ი)-ს თავ-კიდური ხმოვანი ეზრდება ფუძეს და ქმნის სახელობითის ნიშანს: კაც-ი < *კაც იგი, კაც ის(ი), ძველ ირიბ ბრუნვებში კი I საფეხურის ნაცვალსახელის -აგი-ს თავკიდური ხმოვანი ეზრდება ბრუნვათა ფორმას და ქმნის ემფატიკურ ნიშანს: კაც-სა < *კაც-ს ამას, კაც-ისა < *კაც-ის ამის, კაც-ითა < *კაც-ით ამით.

მეგრულში კი სახელობითის სუფიქსაც III საფეხურის ჩვენებითი ნაცვალსახელი ქმნის: ბოშ-ი < *ბოშ ინა და ირიბ ბრუნვათა ემფატიკურ ხმოვნებსაც: მიც ბოში-სი < *ბოში-ს ის, ნათ. ბოში-ში < *ბოში-შ იშ, მოქმ. ბოში-თი < *ბოში-თ ით.

ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ, რომ მოთხრობითში ემფატიკური ხმოვანი (-ა) არა გვაქვს ქართულში, მაგრამ გვაქვს მეგრულში და ის აქაც ი არის: მუმა „მამა“ — მუმა-ქი... ბოში-ი „ვუი“ — ბოში-ქი... კოჩი-ი „კაცი“ — კოჩი-ქი.

რატომ არა გვაქვს მოთხრობითთან ემფატიკური ხმოვანი ქართულში? ამას საესებოთ სამართლიანად ხსნიან იმით, რომ მოთხრობითი ბრუნვა თვითონ განსაზღვრებითი ნაწილად (III პირის მან ნაცვალსახელით) გაფორმებული ბრუნვაა და ის, ამდენად, არ საჭიროებდა განსაზღვრებას.

რატომ გვაქვს მეგრულში?

გ. კლიმოვის ახსნით, ის ამ შემთხვევაში მეორეულია და მიღებულია სხვა ბრუნვების ანალოგიით. ის წერს: „Если считать, что эмфатический гласный при падежных морфемах по существу является показателем, эквивалентным в какой-то мере формативам субъектно-объектного и субъектного падежей, то возможность присоединения к занскому -к эмфазиса кажется несколько неожиданной. В таком случае следует думать, что это явление для мегрельско-чанского вторично: эмфатический элемент мог распространиться здесь и на морфему субъектного падежа по аналогии с другими падежными морфемами, при которых его употребление было исторически оправдано“¹⁹.

ამგვარი ახსნა შეუძლებელი, რა თქმა უნდა, არაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მოთხრობითის -ქ სუფიქსის წარმოშობის ისტორიას, ნათელი გახდება, რომ აქ საქმე გვაქვს იმავე ფუძის ხმოვანთან, საიდანაც -ქ სუფიქსია მიღებული.

ქართველოლოგიაში გაზიარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით, ისე, როგორც ქართულში, მეგრულ-ქანურშიც მოთხრობითი ბრუნვის -ქ სუფიქსი წარსულში განსაზღვრებით ნაწილად გამოყენებული ი-გ-ი, ე-გ-ე-ს ტიპის ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს გ-ს დაყრუების (გ>ქ) ნიადაგზე (იხ. ზემოთ)²⁰.

რაკი ქართულში მოთხრობითის ფორმას III პირის განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ქმნის (კაც-მა < *კაც მან), უნდა ვიფიქროთ, რომ მეგრულშიც ერატივი III პირის ნაცვალსახელური ფუძისაგან გაფორმდა და ეს ფუძე იყო ქი < *გი (ჩვენებითი ნაცვალსახელურ ძირთან ერთად ი-ქი < *ი-გი. შდრ. ქართ.

¹⁹ Г. Климов, Склонение... გვ. 56.

²⁰ არნ. ნიქობაძე, მოთხრობითის გენეზისი ქართველურ ენებში, გვ. 173—174. შდრ. Ал. Цагарели, Мингр. этюды, I. СПб., 1880, გვ. 32.

ი-გი... მეგრ. ა-ქი „აქ“, ე-ქი „იქ“²¹, სადაც ი ხმოვანი ფუძისეულია²². ისტორიული სურათი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ბოში-ქი < ბოში ქი < *ბოში ი-ქი < *ბოში იგი („ბიჭი იგი“)²³.

ამგვარად, მოთხრობითის ე. წ. ემფატიკური ი სულ სხვა წარმოშობისაა, ვინემ ირიბ ბრუნვათა ან სახელობითის ი. ამავე დროს, ეს ი მოთხრობითში არაა მეორეული. ის ამ სუფიქსის შემადგენლობაში ისევე ძველია, როგორც ქ. შემდეგში მისი გამოყენების არე თანდათანობით შემცირებულა. ეს განსაკუთრებით ჭანურს ეხება, სადაც ის უკვე იშვიათად გვხვდება, მეგრულში კი ემფატიკური ხმოვნები ჭერ კიდევ ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში.

თუ თქმული სწორია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეგრულ-ჭანურსა და ქართულს სახელთა ბრუნება განმსაზღვრელი ნაწილაკებით ერთნაირად ახასიათებდა დიფერენციაციამდე, მაგრამ თვით განმსაზღვრელ ნაწილაკებად ყოველთვის ერთი და იგივე ნაცვალსახელი არ ჰქონიათ გამოყენებული (ირიბი ბრუნვები, მოთხრობითი) მიუხედავად იმისა, რომ ამ დანიშნულების ნაცვალსახელები მათ საერთო ჰქონდათ. თითქოს დიალექტური სხვაობა იგრძნობა.

²¹ III საფეხურის ჩვენებითი ნაცვალსახელი და მესამე პირის ნაცვალსახელი ქართველურ ენებში ისტორიულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო. იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკა, ანალიზი, § 19.

²² იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 101.

²³ მეგრულ-ჭანურის მოთხრობითში ქართ. ნ-იანი ტიპის (მა-ნ, ვი-ნ) ძველი აფიქსიანი ფორმა არ დასტურდება. ამიტომ ბუნებრივია, ფუძის განმსაზღვრელ ერგატევი ნაცვალსახელის სახელობითის ფორმა გვქონოდა.

ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს ასრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

შუპრი კოტაბიშვილი

ფონემათა დისტრიბუციული ანალიზის ცდა ქართული ენის CVC ტიპის სიტყვებში

ნებისმიერი ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერისას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფონემური ერთეულების დისტრიბუციულ შესაძლებლობათა შესწავლას. ე. ი. უნდა დადგინდეს ის წესები, რომლებიც ზღუდავენ ცალკეული ფონემების ხმარებას სხვა ფონემების მეზობლობაში. ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი გულისხმობს არა მარტო უშუალო მეზობლობაში მყოფი ფონემების კომბინატორიკის შესწავლას, არამედ ერთმანეთისაგან დაშორებული (ძირის ან სიტყვის ფარგლებში) ფონემებისაც. ხშირად ასეთი წესების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ფონემათა ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

დისტრიბუციული ანალიზის მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ელემენტი უნდა განისაზღვროს ჯერ ერთი იმ პოზიციების სიმრავლით, რომლებშიც ის გვხვდება, და მეორეც — აგრეთვე ორი მიმართების საშუალებით: ა) ელემენტების მიმართება სხვა ელემენტებთან, რომლებიც ერთდროულადაა წარმოდგენილი გამონათქვამის იმავე მონაკვეთში (სინტაგმატური მიმართება) და ბ) ელემენტთა მიმართება ურთიერთჩამნაცვლებელ ელემენტებთან (პარადიგმატული მიმართება)¹.

ფონემათა კომბინატორიკა ნებისმიერ ენაში ექვემდებარება თავის საკუთარ კანონებს, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა მხოლოდ მოცემული ენისათვის. დისტრიბუციული კანონების დადგენა საჭიროა ცალ-ცალკე თითოეული ენისათვის. ფონემათა დისტრიბუციული ტიპების კვლევა შეიძლება წარმართოს სხვადასხვა საზღვრებში, ე. ი. ფონემათა კომბინატორიკა სხვადასხვა პირობებში შეიძლება იქნეს შესწავლილი. ეს დამოკიდებულია შერჩევაზე ფონოლოგიური ერთეულისა, რომლის ფარგლებშიც უფრო მიზანშეწონილია ფონემათა კომბინატორული წესების შესწავლა. ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი შეიძლება ჩატარდეს: როგორც სიტყვებს შიგნით, ისე რთული სიტყვების მეზობელ ნაწილებს შორის საზღვრების გათვალისწინებით, მხოლოდ სიტყვებს შორის საზღვრების გათვალისწინებით, სიტყვებსა და სიტყვის ნაწილებს შორის საზღვრების გათვალისწინების გარეშე².

ცნობილია, რომ ყოველი კონკრეტული ენა იძლევა გარკვეულ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ დისტრიბუციულ წესებს, რომელთა საშუალებით ენის ფონემური ინვენტარის ელემენტები შეეხამებიან ერთმანეთს.

1 Э. Бенвенист, Уровни лингвистического анализа, Сб. «Новое в лингвистике», III, М., 1965, стр. 435.

2 К. Черри, М. Халле, Р. Якобсон, К вопросу о логическом описании языков в их хронологическом аспекте, Сб. «Новое в лингвистике», II, М., 1962, стр. 283.

ენების ფონოლოგიური სტრუქტურის კომბინატორული თვისებების აღწერისას გამოყენებულია სხვადასხვა თეორიული აპარატი. შესაძლებელია, მაგალითად ფონემური წყვილების მიმართებათა აღწერა რაოდენობრივად შეფასების მეთოდით: ფონოტაქტიკურ მოვლენათა ახსნამ წარმოშვა ბევრი საინტერესო თეორია. ესაა ამერიკელი ინგლისურის კონსონანტური ჯგუფების დისტრიბუციულ მიმართებათა კვლევისას წარმოქმნილი თეორიები: ე. წ. „სონორობის კანონი“⁴, „სტატისტიკური ალბათობის თეორია“⁵, „ლაბირინთისა და წესის მოდელი“⁶, „საპორთას ჰიპოთეზა“⁷ და სხვ.⁸

ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი შეიძლება ჩატარდეს როგორც გზამული ტექსტის საფუძველზე, ისე ლექსიკონის მასალის მიხედვით. ამგვარი ანალიზი საჭიროა ლექსიკურ კოდში არსებული დისტრიბუციის შესწავლისათვის.

წინამდებარე შრომაში ჩვენ მიზნად ვისახავთ წარმოვადგინოთ ქართული ენის კონსონანტთა სისტემის დისტრიბუციული ანალიზი CVC ტიპში. თანხმობანათა კომბინატორიკის კვლევისას საანალიზო ერთეულად სიტყვა გამოვიყენეთ.

ჩვენს საანალიზო მასალას წარმოადგენდა რუსულ-ქართული ლექსიკონი და ქართულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნები¹⁰.

შესწავლილ იქნა CVC სტრუქტურის მორფემები. ამგვარი კვლევის საფუძველზე დადგინდა წესები, რომლებიც ასახავს თანხმოვნების დისტრიბუციის თვისებებს. ეს წესები ვადმოცემს სტრუქტურული ხასიათის აკრძალვებს და მათი საშუალებით შეიძლება განისაზღვროს ენაში დაშვებული თანხმოვანთშეხამებანი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა საფუძვლიანად შესწავლილ ენას წარმოადგენს, არც ერთი მისი მკვლევარი არ შეხებია ფონემათა კომბინატორიკის საკითხს.

ქართული ენა მიეკუთვნება ირანულ ენათა დასავლურ ჯგუფს, ქართული ენა იყოფა რიგ დიალექტებად, რომელთაგანაც მთავარია ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის დიალექტები. ჩრდილო-დასავლეთის დიალექტზე მეტყველებენ თურქეთის ქურთისტანის, ირანისა და ერაყის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთები. ეს დიალექტი ცნობილია კურმანჯის სახელწოდებით.

³ F. Harary, H. Paper, Toward a general calculus of phonemic distribution, Language, v. 33.2, 143—169.

⁴ Jasui M., Consonantal Patterning in English, Tokyo, 1963.

⁵ Haltzen L., Allen J., Minor M., Tables of transitional Frequencies of English Phonemes, 1964.

⁶ Harris Z., Structural Linguistics, Chicago, 1960; Whorf B. L., Linguistics as an Exact Science, The Technology Review, XLIII, 2, 1940.

⁷ Saporta S., Frequency of Consonant Clusters, Language, 31, 1—2, 1955.

⁸ ფონოტაქტიკური თეორიები ამერიკელი ინგლისურის თანხმოვანთა სისტემაზე დაწერილებით არის განხილული შრომაში: R. S. Scholes, Phonotactic Grammaticality, The Hague, Paris, 1966.

⁹ К. Черри, М. Халле, Р. Якобсон, К вопросу о логическом описании языков в их фонологическом аспекте, გვ. 297.

¹⁰ Курдские эпические песни-сказы, издательство Восточной литературы, М., 1962; Эраб Шамилов, Жийна Бахтавар, Ереван, 1959; Ордиხანე Шалил, Дькоед Шьмаა'та Кӧრда, Ереван, 1964; Шасма Шалил, Афრӧндне კвисკარე Корманица советის, Ереван, 1948; Ордиხანე Шалил, Шьლӧრ პოემ, Ереван, 1959.



ბით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთებიც ამ დიალექტზე ვსაუბრობენ. სამხრეთ-აღმოსავლეთის დიალექტის ენაზე მეტყველებენ მენის (მეპაბადი, ქერმანშაპი, სექეზა, სენე) და ერაყის ზოგიერთი რაიონის (მანდალი, სულეიმანი, რევანდუსი) ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთები. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დიალექტი სირიანის სახელწოდებით არის ცნობილი.

ქურთული ენის შესწავლა დაიწყო მე-18 საუკუნის ბოლოს. ადრინდელი ხანის მკვლევრები მას უდგებოდნენ როგორც სპარსული ენის ერთ-ერთ დიალექტს. მიუხედავად ამ მცდარი შეხედულებისა, რევოლუციამდელი ხანის ქურთოლოგიამ თავისი წვლილი შეიტანა ქურთული ენის მეცნიერული აღწერის საქმეში.

ქურთული ენის შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში (ლენინგრადის, სამარყანდის, ერევნის უნივერსიტეტებში). უკანასკნელ დროს გამოიყენა გრამატიკები, გამოკვლევები, ლექსიკონები. ამ მხრივ აღსანიშნავია საბჭოთა სპეციალისტების კ. კურდოვის, ი. ავალიანის, რ. ბაქაევის და სხვათა ნაყოფიერი მუშაობა¹¹.

წარმოების ადგილის მიხედვით ქურთული თანხმოვნები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგ ლოკალურ რიგებად:

წყელიბაგისმიერები (ბილაბიალურები):

ბ — მჟღერი, ხშული, ქართული ბ-ს შესატყვისი;

ფ — ყრუ-ფშვინვიერი, ხშული, შეესატყვისება ქართულ ფ-ს;

პ — ყრუ, ხშული, მკვეთრი, შეესატყვისება ქართულ პ-ს;

ჭ — ბილაბიალური მჟღერი სპირანტი.

კბილბაგისმიერები (ლაბიოდენტალური):

კ — მჟღერი სპირანტი, ქართული კ-ს შესატყვისი;

ქ — ყრუ სპირანტი, შესატყვისი ბგერა ქართულ ენაში არა გვაქვს.

დენტალური:

დ — მჟღერი, ხშული, ქართული დ-ს შესატყვისი;

თ — ყრუ ფშვინვიერი ხშული, ქართული თ-ს შესატყვისი;

ტ — მკვეთრი, ქართული ტ-ს შესატყვისი.

წინა ალვეორალური (სისინა):

წ — მჟღერი, სპირანტი, ქართული წ-ს შესატყვისი;

ს — ყრუ სპირანტი, ქართული ს-ს შესატყვისი.

უკანა ნუნისმიერი ალვეოლარული (შიშინა):

ჯ — მჟღერი, აფრიკატი, ქართული ჯ-ს შესატყვისი;

ჩ — ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი, ქართული ჩ-ს შესატყვისი;

ჭ — ყრუ მკვეთრი, აფრიკატი, ქართული ჭ-ს შესატყვისი;

ც — მჟღერი, სპირანტი, ქართული ც-ს შესატყვისი;

შ — ყრუ სპირანტი, ქართული შ-ს შესატყვისი, რამდენადმე დარბილებული.

წინა ველარული:

გ — მჟღერი, ხშული, შეესატყვისება ქართულ გ-ს;

ქ — ყრუ, ხშული, პალატალიზებული ფშვინვიერი, შეესატყვისება ქართულ

ქ-ს;

კ — მკვეთრი ხშული, შეესატყვისება ქართულ კ-ს.

უკანა ველარული:

¹¹ Грамматика курдского языка (Курманич), М.—Л., 1957.

- ღ — მღღერი სპირანტი, ქართული ღ-ს შესატყვისი;
- ხ — ყრუ სპირანტი, ქართული ხ-ს შესატყვისი;
- ყ — ყრუ მკვეთრი, ხშული, შეესატყვისება ქართულ ყ-ს.
ფ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ე ბ ი :
- ჭ' — ყრუ ფშვინვეერი ხშული;
ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ე ბ ი :
- ჰ — ყრუ სპირანტი, ქართულ ჰ-ს შესატყვისი.
ს ო ნ ო რ ე ბ ი :

- მ — ბაგისმიერი ნაზალი,
- ნ — წინენისმიერი ნაზალი,
- რ — გვხვდება ორი ვარიანტი,
- I რ — ერთდარტყმიანი ვიბრანტი,
- II რ — ორდარტყმიანი ვიბრანტი.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მივიღეთ შემდეგი დასკვნები:

I. თუ C₁ არის წინაველარული თანხმოვანი (გ, ქ, კ), მაშინ C₂ უკანაველარულ (ყ) თანხმოვნით არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი, ყველა სხვა რიგის თანხმოვანი შეიძლება წარმოდგეს C₂-ის როლში.

II. თუ C₁ არის უკანაველარული (ყ); მაშინ C₂ არც წინაველარული (გ, ქ, კ) არც უკანაველარული (ყ) თანხმოვნით არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ყველა სხვა რიგის თანხმოვანი შეიძლება წარმოდგენდეს C₂-ის როლში.

III. თუ C₁ არის სპირანტი ვ-ფ, მაშინ C₂ ბაგისმიერი (ბ, ფ, პ) თანხმოვანი არ შეიძლება იყოს, ყველა სხვა რიგის თანხმოვანი შეიძლება შეგვხვდეს C₂-ის როლში.

ბაგისმიერი თანხმოვნით (ბ, ფ, პ) დაწყებულ CVC ტიპის სიტყვებში მეორე თანხმოვნად შეგვხვდა ყველა რიგის თანხმოვანი.

ხ შ უ ლ ე ბ ი : ბ ა გ ი ს მ ი ე რ ე ბ ი : ბ ა ბ „თავი“, „მამა“; დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი : ბ ე ლ „ბოროტი“, ბ ა ლ „წიგნი“, ბ ი ლ „ტირიფი“, ფ ო ტ „ჩაჭვი“, ბ ე ტ „კაბი“, ბ ა ტ „სავატი“. უ კ ა ნ ა ნ უ ნ ი ს მ ი ე რ ე ბ ი : ბ ო ზ „რისთვის“, პ ა ზ „კოცნა“, ბ ა ჭ „წინამხარი“, პ ა ჯ „საცხენოსნო ტანსაცმელი“, ბ ა ჯ „გადასახადი“. წ ი ნ ა ე ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი : ბ ა გ „ბატონი“, ფ უ ე „ბუკი“, ბ ე ე „ზრუნვა, ბუე „ჭერი“, ფ ე ე „მომწესრიგებელი“, პ ო ე „ღრძილი“, ფ უ ე „წარღვნა“. უ კ ა ნ ა ე ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი : ბ ა ე „კოცნა“, ბ ე ე „ბაყაყი“ ბ ა ე „კავშირი“, ბ ო ე „საკმარისი“, ბ ი ე „მხიარულება“, ბ ი ე „ხიზილალა“, ბ ო ხ „ფული“; ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ე ბ ი : ბ ა მ „ბაღნარი“.

ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი : ბ ა ე „მამა“, ბ ა ზ „შევიარდენი“, ფ ა მ „უკანა“, ფ ა ზ „წინამხარი“, ე ც ხ ა რ ი ა „პაზ „შინაური ცხოველი“, ბ ა ე „მიწა“, ბ უ ზ „ყინული“, ბ ა მ „კარგი“, ნ ა ს „საკმარისი“, ბ ე ზ „გამარჯვება“, ბ ე მ „ხარკი“, ბ ი ზ „მადა“, ბ ო მ „ბევრი“, ბ ო ზ „ცხოველი“, ბ ი ე „ნამსხვრევი“, ფ ა ს „ბინაური“, პ ი ფ „ჭროლი“. ს ო ნ ო რ ე ბ ი : ბ ე ლ „მდგომარე“, ბ ა ლ „ხევი“, ფ ე ლ „ტალღა“, ფ ა ლ „ჭროლი“, ფ ე ლ „ღრო“, ბ ი ლ „გამონაკლისი“, ბ ო ლ „საკმარისი“, ფ ა ლ „მხარე“, ბ ა რ „ზარგი“, ბ ა ნ „თოკი“, ბ ო რ „განიერი“, ფ ი რ „მოხუცი“, ფ ი ნ „მცენარე“, ფ ა ნ „ლანჩა“, ბ ი რ „წყალსაცავი“, ბ ე რ „ბარი“, „ქვეშ“, ბ ი რ „ჯგუფი“, ბ ო რ „სერი“. ფ ი რ „ბევრი“, ფ უ რ „ხობობი“.

ღ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი თ (ღ, თ, ტ) დაწყებულ CVC ტიპის სიტყვებში მეორე თანხმოვნად შეგვხვდა ყველა რიგის თანხმოვანი.



ბ შ უ ლ ე ბ ი: ბ ა გ ი ს მ ი ე რ ე ბ ი: დაბ „ჩვევა“, ცაბ „მოთმინება“, ტაბ „წესი“, თაბ „ხელის გული“, ტიბ „შრიფტი“, თობ „ბურთი“. დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი: ტატ „სულელი“, დუდ „კეკალი“ დად „დედა“, თოტ „შეძახილი“, ტუტ „თუ-თა“. წ ი ნ ა ვ ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი: დიკ „მამალი“, ტაკ „ჭერი“, დეკ „სირუე“, ტიკ „მიადალი“, ტეკ „ერთად“, თოკ „ბუ“. უ კ ა ნ ა ვ ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი: ტაყ „ბაზარი“, დაყ „ლაქა“ დეყ „ომი“, „სართული“, ტოყ „სალტე“, ტან „უბანი“, ტეზ „გროვა“. უ კ ა ნ ა ა ლ ვ ე ო ლ ა რ ე ბ ი: დაჩ „ცოცხალი“, „ცოცვა“, ტაჩ „გვირგვინი“. ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ე ბ ი: დაპ „ათი“, დოპ „გუშინ“, „ნიშანი“, დაპ „მითა“.

ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი: ტას „ფინჯანი“, ტაშ „ქვა“, ტავ „მზე“, ტაუ „ტომრის ნახევარი“, დოშ „დაქანება“, დავ „ხაფანგი“, დაძ „ბარაბანი“, დიზ „ქურდი“, დუვ „ხაფანგი“, დაძ „დოლი“, დუვ „კუდი“, დუზ „პირდაპირი“, დოზ „მოთმინება“, დავ „პირი“, დუზ „თიხის ქოთანი“, დევ „დევი“, ტაუ „საფუძველი“, ტუუ „მწარე“, ტიუ „ხევი“, ტოუ „რიგი“, ტომ „განგაში“, ტივ „ოჯახი“, ტოზ „მტვერი“, ტუზ „არყის ხე“, ტუშ „ველი“. ს ო ნ ო რ ე ბ ი: დამ „კუდი“, დილ „გული“, „ტყევი“, დოლ „ხრამი“, ტელ „ძაფი“, ტილ „ტრიალი“, ტოლ „შურისძიება“, დარ „ხე“, ტამ „სასესე“, ტარ „წონა“, დარ „გარშემოწერილობა“, ტარ „ექვსი“, ტამ „გემო“, ტარ „თარო“, დარ „ადგილი“, თარ „ურვადი“, დარ „დადუნვა“, დინ „ცქერა“, დემ „სახე“, დირ „ცივი“, დორ „წრე“, დან „ნახევარდღე“, დომ „დრო“, დან „საღებავი“, დემ „სინოტივე“, დერ „ეკლესია“, დინ „სხვა“, დირ „გაგდება“, დორ „გარშემო“, დან „ფუძე“, ტარ „ექვსი“, ტუნ „გამოქვებული“, ტამ „სურვილი“, ტან „ტანი“, ტირ „ისარი“, ტერ „მადლარი“, ტირ „სხვა“, თორ „მძივი“, ტომ „ყოველთვის“.

წინაველარულებით (გ, ქ, კ) დაწყებულ CVC ტიპის სიტყვებში მეორე თანხმოვანდა არ შეიძლება შეგვხვდეს უკანაველარული თანხმოვანი (ყ).

ბ შ უ ლ ე ბ ი: ბ ა გ ი ს მ ი ე რ ე ბ ი: გაპ „პირი“, კაპ „კოჭი“, კობ „საუკუნე“, დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი: კატ „დრო“, ქუტ „ბურთი“, ქად „დროშა“, კოტ „ერთი“, კოდ „ფილა“, კუტ „ბურთი“; წ ი ნ ა ვ ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი: კოკ „სიამოვნება“, ვიშკ „ყველაფერი“, კაკ „უფროსი ძმა“, ვაკ „თითქოსდა“, კოკ „ფესვი“; უ კ ა ნ ა ა ლ ვ ე ო ლ ა რ ე ბ ი: კაჩ „კუზიანი“, კოჭ „ქვა“, კაჭ „ამაყი“; უ კ ა ნ ა ვ ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი: კახ „ფილა“; ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ე ბ ი: ნოპ „ყური“, გუპ „კუთხე“, გაპ „დრო“.

ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი: გაზ „მარმაში“, კას „გაკვირვებული“, გავ „ნაბიჯი“, გომ „სელის ბოჭკო“, ვაზ „ნაკებნი“, ვეუ „გავიყვებული“, ვაუ „იერიში“, ვიუ „კულულებიანი“, ვაჭ „მუქარა“, ვაუ „სეზონი“, ქაჭ „ასო“, კაუ „ფიჭვი“, კაშ „მარგალიტი“, ქაჭ „ტყევი“, კაჭ „ნაპრალი“, ქას „პიროვნება“, ქიჭ „ტომარა“, კეჭ „ხასიათი“, ქუს „ფუნჯი“, ქეშ „სელა“, ქომ „გრანტი“, კოვ „ორმო“, კოუ „შინაგანი“, გომ „სელი“, ვაშ „აყვავებული“; ს ო ნ ო რ ე ბ ი: გელ „სულელი“, გალ „ჩგუფი“, კალ „მოღუნული“, კალ „ძველი“, ქილ „საფლავის ქვა“, კილ „გუნდა“, კოლ „ურჯული“, კალ „მერი“, კამ „სურვილი“, კარ „თხა“, ქან „სიცილი“, კარ „ყრუ“, კან „ბოროტება“, კერ „საჭირო“, კონ „ძველი“, გამ „ორმო“, გარ „წრე“, გარ „ვირი“, ვინ „ვიწრო“, კარ „საქმე“, კერ „დანა“, კირ „ადელგება“, კომ „კრებული“, კომ „ქუდი“, კორ „ვაჟი“, კურ „ღრმა“, ვირ „დედა“, გორ „სურვილი“, ვინ „კვერცხი“, გორ „მგელი“.

უკანაველარული თანხმოვნით (ღ, ხ, ყ) დაწყებულ CVC ტიპის სიტყვებში მეორე თანხმოვნად არ შეიძლება არც წინაველარული (გ, ქ, კ) და არც უკანაველარული (ყ) თანხმოვანი.

ს შ უ ლ ე ბ ი: ბ ა გ ი ს მ ი ე რ ე ბ ი: ყაბ „ყუთი“, ხაბ „მორცყუება“, ხობ „ლამაზი“, ყაბ „უქმარისობა“, ყოფ „დაზიანებული ხელი“. დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი: ყაღ „საზღვარი“, ყატ „ნაკეცი“, ხოტ „შენ თვითონ“, ხატ „ხაზი“, ყატ „ნაკეცი“, ყატ „მთლიანად“, ყათ „ნაჭერი“, ყოტ „მოცხარი“, ყუტ „მარცვალი“; უკანაველარული სმიერებე: ყაჩ „მუხლი“, ყიჩ „ბარძაყი“, ყუჯ „გროვა“, გოჯ „ნაჭერი“, ყუქ „ხელი“, ხაჯ „ჯვარი“.

ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი: ყაფ „თავი“, აბგერის სახელი“, ყაფ „გაფუჭებული“, ყაზ „ბატი“, ყოშ „ამხანაგი“, ყაფ „კლდე“, ყიზ „თვირილი“, ყიზ „ქალიშვილი“, ყიშ „ჭიკჭიკი“, ყაზ „სუსტი“, ყოშ „წილი“, ყეფ „გამოშვებრილი“, ყუშ „კუზინი“, ყუშ „ფრინველი“, ხაშ „შალითა“, ხაშ „დამალული“, ხას „შიშველი“, ხაზ „გაუვალი“, ხიშ „გულთანი“, ხას „ძვირფასი“, ყაშ „ჩამჩა“, ხოფ „სამიშროება“, ხოშ „ლაშქრობა“, ხუშ „გაღუნული“; ს ო ნ ო რ ე ბ ი: ყაღ „ჩხუბი“, ყიღ „კბილი“, ყოღ „ხელი“, ყელ „ორმო“, აბბრი“, ყამ „სიგრძე“, ყარ „მოციქული“, ყარ „ყვირილი“, ყარ „კილეა“, ყირ „სიკვდილი“, ყუნ „უკანა ნაწილი“, ყირ „დაღუნვა“, ყორ „რიგი“, ყურ „აგური“, ყირ „ღრიალი“, ყარ „უქმარისობა“, ხარ „ხაზი“, ხურ „ქვიშა“, ხარ ნიშანი“, ხერ „ოჯახი“, ხალ „ბიძა“, ხუნ „სისხლი“, ხან „ოთახი“, ხარ „გაღუნული“, ხარ „ვირი“, ხამ „ღარდი“, ხენ „გარდა“, ხერ „სიკეთე“, ხიმ „ინდაური“, ხირ „ცუდი“, ხომ „მე თვითონ“, ხორ „მზე“, ხან „ოთახი“, ხამ ნესტიანი“, ხამ „ღარდი“, ხირ „წყებულა“, ხომ „თვით“, ხორ „ჩქარი დინება“.

უკანა ნუნისმიერი ალვეოლარებით (ჯ, ჩ, ჰ) დაწყებულ CVC ტიპის სიტყვებში მეორე თანხმოვნად ყველა რიგის თანხმოვანი გვხვდება.

ს შ უ ლ ე ბ ი: ბ ა გ ი ს მ ი ე რ ე ბ ი: ჯაბ „მშენებლობა“, ჯაბ „საზომი“, ჯიბ „მუხლი“, ჯაბ „მარცხენა“, ჩეპ „ძროხა“, ჩობ „მინდორი“; დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი: ჯაღ „ჩაქარება“, ჯედ „თმის დახვევა“, ჯოტ „წყვილი“, ჯუღ „ხელგაშლილობა“, ჯატ „სულელი“, ჯუტ „მიტკალი“, ჯატ „ეარდნილი“, ჯოტ „გულთანი“, ჩატ „ხერე-ლი“, ჩუტ „ჩითი“; წ ი ნ ა ვ ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი: ჯაქ „ქარი“, ჰაქ „იარაღი“, ჰოგ „მუხლი“, ჰაქ „ტყორცნა“, ჰაქ „გულისცემა“, ჰიკ „ნაჭერი“, ჩოკ „მუხლი“, ჩუკ „ბედურა“.

უკანაველარული ლე ბ ი: ჯაყ „შუა“, ჰაყ „შიკრიკი“, ჩაბ „დრო“, ჯიბ „შირშა“, ჩიბ „მაუდი“; ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ე ბ ი: ჩაპ „ორმო“, ჰაპ „ღობე“, ჩიპ „ადგილი“.

ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი: ჯეფ „ჯიბე“, ჯოშ „ადუღებული“, ჯუბ „რაიმი“, ჯეზ „არაფერი“, ჯეს „სინჯვა“, ჯიზ „ნამტრევი“, ჯას „გარდა“, ჯუს „საზანი“; ს ო ნ ო რ ე ბ ი: ჯაღ „შეკრება“, ჩაღ „ორმო“, ჰაღ „სერი“, ჯოღ „ცალკე“, ჯამ „ფიჭვი“, ჩარ „ოთხი“, ჩან „რამდენიმე“, ჩარ „როგორი“, ჯიმ „ვაზონი“, ჩინ „ჩინელი“, ჰერ „შეურაცხყოფა“, ჰირ „ხმელი“, ჰირ „საესე“, ჯამ „ჯამი“, ჯან „ახალგაზრდობა“, ჰორ „ერთი“, ჰარ „განცხადება“, ჯამ „თანხა“, ჯიმ „წინდებული“, ჰარ „ბელტი“, ჰარ „მოწოდება“, ჰინ „ემმაკი“, ჰუნ „სერი“, ჰუმ „ტანსაცმელი“, ჰერ „დინება“, ჰირ „მეგარი“, ჰურ „წითური“.

ლარინგალებით (ჰ) დაწყებულ CVC ტიპის სიტყვებში მეორე თანხმოვნად არ შეიძლება შეგვხვდეს დენტალური (ღ, თ, ტ) რიგის თანხმოვანი.



ბშულები. ბაგისმიერები: ჰაბ „თესლი“, ჰობ „მეცნიერება“, ჰობ „სიყვარული“; წინაველარულები: ჰაკ „გრავიურა“, ჰეკ „კვერცხი“; უკანაველარულები: ჰაყ „სამართალი“, ჰონ „ლაშქრობა“; უკანანუნისმიერი ალვეოლარები: ჰუჯ „არაფერი“, ჰეჟ „გაზვიადებული“, ჰოჟ „ნაჭერი“, ჰეჟ „არაფერი; ლარინგალურები: ჰირ „ოჰ“.

სპირანტები: ჰაჟ „მხარი“, ჰაე „ცოდნა“, ჰას „გრძნობა“, ჰაე „მეგობარი“, ჰემ „ქარვის ლურსმანი“, ჰიმ „სიწყნარე“, ჰაჟ „მხარე“, ჰაე „გრძნობა“, ჰიმ „ტყავის ტომარა“, ჰიმ „გაფუქებული“, ჰიგ „პეკა“, ჰიჟ „მთვარე“, ჰაე „სესხი“, ჰემ „გარე კუთხე“, ჰას „გრძნობა“, ჰომ „ყვირილი“, ჰოე „გარეული“, ჰონ „ოჯახი“, ჰონ „სანგარი“; სონორები: ჰალ „მდგომარეობა“, ჰელ „სინამდლე“, ჰალ „გალხობა“, ჰოლ „თანამემამულე“, ჰალ „გასწორება“, ჰოლ „სანგარი“, ჰან „სეთი“, ჰან „შველა“, ჰარ „შეკაცრი“, ჰარ „ბოროტი“, ჰინ „შესწავლა“, ჰიმ „ურთიერთ“, ჰირ „ისევ“, ჰირ „შემოძახება“, ჰურ „პატარა“, ჰორ „ძლიერი“, ჰურ „ნაწლავები“, ჰან „აღლევა“, ჰარ „გაცოცხლებული“, ჰირ „თავბელი“.

სპირანტი თანხმონით ვ-ჟ; ზ-ჟ, ჟ-შ დაწყებულ CVC სიტყვებში შემდეგი კანონზომიერება გვხვდება: თუ C₁ არის სპირანტი ვ-ჟ, მაშინ C₂ ბაგისმიერი (ბ, ფ, პ) თანხმონი არ შეიძლება იყოს.

ბშულები. წინაველარულები: ვეკ „შეგროვება“, ჰეკ „საყვირი“. უკანაველარულები: ვეხ „ანთება“, ჰაყ „ლოყა“.

სპირანტები: ვ-ჟ — ვიზ „ტრიალი“, ჰეზ „მალაი“, ჰიმ „სტენა“. სონორები: ვალ „სანაყი“, ჰალ „მძუნობა“, ჰელ „სენი“, ჰალ „მეითხაობა“, ჰილ „სპილი“, ჰურ „ფრენა“, ჰურ „აჩქარება“, ვინ „სურვილი“, ვან „ზმნის ფორმა“, ვირ „აქა“, ვირ „ტყუილი“, ჰურ „საქმიანი“, ჰან „სიცრუე“, ჰარ „სათამაშო“.

ბშულები: ზ-ს — ბაგისმიერები: ზოფ „ძლიერი“, ზიბ „ლამაზი“. დენტალები: ზად „პროდუქტი“, ზედ „სამშობლო“. წინაველარულები: ზიკ „ლოყა“, ჰმუცელი“, სიკ „სიმი“. უკანაველარულები: ზოყ „გამოწვეული“, ზიყ „ყვირილი“, ზახ „შიში“, ზახ „გულადი“. ლარინგალურები: ზაჰ „ხაზი“, ზოჰ „ჩირქი“.

სპირანტები: ზაჟ „ბევრი“, ზიგ „ვერცხლი“, ზის „ძლიერი“, ჰეგ „ლარი“, ზილ „ყმაწვილი“, ზალ „ძველი“, ზოლ „დრო“, ზამ „პრობობა“. სონორები: ზენ „მზერა“, ზერ „ოქრო“, ზირ „უნაყოფო“, ზურ „მოჩერება“, ზორ „ძალა“, სერ „ნაღვლიანი“, სან „ავადმყოფობა“, სორ „გამხდარი“, ზორ „ქვედა ნაწილი“, სინ „საცოლე“, სორ „მამდარი“, ზენ „გამჭირაობა“, ზირ „უნაყოფო“, სირ „გამგებიანი“, ზილ „ცოლი“.

ბშულები: ჟ-შ — ბაგისმიერები: ჟეზ „მილი“, ჟაბ „შემჭიდროებული“, შაბ „ღამე“, შობ „კვალი“, ჟაბ „მოჭმულნი“. დენტალები: ჟად „აჟი“, ჟედ „სარგებელი“, შატ „მდინარე“, შეტ „გეიჟი“, სუტ „ლურჯი“. წინაველარულები: ჟიკ „ცუდი“, ჟუკ „ბაზარი“, შაკ „ტალღა“, შიკ „მოსაზრება“. უკანაველარულები: ჟიყ „ზოლი“, საყ „სახურავი“, ჰაედ „ლობა“, ჟაყ „ქვის სახურავი“, შაყ „ახალი“, შახ „ცოცხალი“, შახ „ტოტი“, შოხ „ნაბიჯი“. ლარინგალურები: შაჰ „შახი“, ჟაჰ „სმენა“, შაჰ „ცუდი“.

სპირანტები: სს. ძველი, ჟიგ „დაგვიანება“, ჟახ „ჩანგი“, შის „სწორი“, ჟეგ „ეგზილი“, სოხ „სიტყვა“. შაშ „ელამი“, შაე „ღამე“, შიმ „რკინა“, შოგ „კვალი“. სონორები: შან „გაბრაზებული“, ჟაგ „საშინელება“, შალ

„ქორწინების დროს ჩასაცემელი ქვედა კაბა“, შალ „კოჭლი“, შილ „ნესტიანი“, შულ „ბრწყინვალეა“, ქალ „ქვის ღუმელი“, ქოლ „ტუფლი“, შამ „თეთონი“, შან „მხარი“, შილ „სეული“, შორ „ქალაქი“, შამ „სანთელი“, შარ „ჩხუბი“, შინ „მომწვანო“, შენ „გაფურჩქნელი“, შერ „ლომი“, შირ „ღირსეული“ („გახეული“), შამ „მხიარული“; ეან „აღნაგობა“, ეარ „ცივი“, ევერცხლი“, ეირ „ნიორი“, ეერ „სეირნობა“, ეიმ „კოცონი“, ეირ „სექტორი“, ეორ „წითელი“, ეურ „მხიარულება“, შოვ „კვალი“, შუნ „ხმალი“, სირ „საიდუმლოება“, სურ „ღობე“.

სონორი თანხმოვნით (ვ, ლ, მ, ნ, რ) დაწყებულ CVC ტიპის სიტყვებში მეორე თანხმოვანად ყველა რიგის თანხმოვანი შეგვხვდა.

ბ შ უ ლ ე ბ ი: ბ ა გ ი ს მ ი ე რ ე ბ ი: ლაბ „ფანჯარა“, ლაბ „თამაში“, ლებ „ტყუილი“, ლებ „ხაზინა“, ლობ „მარცვალი“, ლაბ „მთლიანად“, ლებ „მოტყუება“, ნაბ „სუფთა“, ნაბ „გოდება“, რაბ „სიმძიმე“. დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი: ვაღ „ბირადად“, ლეღ „აღდგომა“, დოდ „ზევინი“, ლოტ „ნახტომი“, ლატ „უბედური“, მაღ მიღეთი“, მეტ „დეიდა“, მატ „სწორი“, მოღ „მოღა“, რაღ „განადგურება“, რაღ „შემოწმება“, რუტ „ტიტველი“. წ ი ნ ა ვ ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი: ლაქ „ხმალი“, ლაქ „ძალი“, „საკმელი“, ლექ „ჯგუფი“, მაქ „აღდა“, ნაქ „რაც არ უნდა“, ნოქ „მუხუდო“, ნექ „ჩქარა“, ნიქ „იქვე“. უ კ ა ნ ა ვ ე ლ ა რ უ ლ ე ბ ი: ვაყ „გრძნობა“, ვაბ „დარდი“, დაყ „სათანადო“, ლიყ „ნაოქი“, მიხ „ლურსმანი“, მახ „წყარო“, ნოყ „მარცვლები“, ჩაყ „გამომშრალი“, როხ „სახე“, რახ „ეტლი“. უ კ ა ნ ა ლ ე ო ლ ა რ ე ბ ი: ლაჯ „შეჯიბრი“, მიჯ „ჭერი“, მიჩ „ხევი“, მაჩ „კოცონი“. ლ ა რ ი ნ გ ა ლ ე რ ე ბ ი: ლეპ „ნიაღვარი“, ნოპ „ათი“, ნუპ „ნუ“, სიპ „გონი“.

ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი: ვაპ „ინტერესი“, ლაპ „ტრაზახი“, „საწყენი სიტყვა“, ლაპ „ლეში“, ლაპ „ჩქარა“, ლაპ „მომენტი“, ლეპ „დეგნა“, ლეპ „ტუჩი“, ლაპ „მოფერება“, ლის „ბუდე“, მაპ „გოროხი“, „სვლა“, მის „თაფლი“, მუპ „ბუზი“, მიპ „შარი“, მეპ „მაგიდა“, მაპ „მაშა“, მიუ „ღრუბელი“, მიპ „საკმაბრისი“. ს ო ნ ო რ ე ბ ი: ვარ „ინტერესი“, ვალ „აღბნეული“, ვილ „ტირილი“, ვარ „ჩაფარდნა“, ვამ „ვაშლი“, ვარ „ადგილი“, ვარ „ამგვარად“, ვორ „თავბრუ“, დალ „მუნჯი“, ლარ „ლარი“, ლამ „უბედური“, „ნიჭიერი“, ლირ „ლირა“, ლომ „ძალაყინი“, მალ „ჩიტი“, მევ „ღვინო“, მალ „სახლი“, მილ „ნიშანი“, მან „ქონება“, მარ „გველი“, მამ „მომხიბველი“, მინ „მინა“, მირ „თავადი“, მონ „სუსტი“, მორ „ბეჭდვა“, მურ „სანთელი“, მუნ „ნაჭერი“, მერ „მამაკაცი“, მონ „სუსტი“, მუშ „სუფთა“, მუშ „სითხე“, რამ „შეჩვეული“, რან „წვივი“, რან „ბარძაყი“, რიმ „ასლი“, რონ „ნათელი“, რუნ „ჩქარი“.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მივიღეთ შემდეგი დასკვნები:

CVC სტრუქტურის სიტყვებში დისტრიბუციული შეზღუდვები ვლინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც C₁ წარმოდგენილია წინაველარული ან უკანაველარული რიგის თანხმოვნით. რაც შეეხება ხმოვნებს, მათი დისტრიბუცია თავისუფალია, შეზღუდვები არ ვლინდება, ე. ი. CVC ტიპის სიტყვებში ვოკალური შეიძლება იყოს წარმოდგენილი ენის ნებისმიერი ხმოვნით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრასთან არსებული ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ცნობები და შენიშვნები

მანანა გუღავა

ერეკლე მეორის რამდენიმე წერილი დაღესტნის თემებისადმი.

საქართველოსა და დაღესტანს შორის, როგორც მეზობელ ქვეყნებს შორის, ძველთაგანვე არსებობდა მკიდრო პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარ ხასიათს ატარებდა. ერეკლე მეორის მეფობის წლებში, XVIII ს. მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია, ეს ურთიერთობა მთიელთა თავდასხმების გამო გამწვავებული იყო. ერეკლე მეორე ცდილობდა მეზობელ მთიელ ტომებთან მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარებინა, თუმცა ამის განხორციელება მტრულ გარემოცვაში მოქცეული სამეფოსათვის ადვილი არ იყო.

მოღწეულია მრავალი წერილობითი დოკუმენტი (და ზეპირი გადმოცემა), რომელიც ამ ხანებში საქართველო-დაღესტნის ურთიერთობას ასახავს. მათ შორის საინტერესოა ერეკლეს წერილები, სხვადასხვა შემთხვევის გამო მიწერილი დაღესტნის ცალკეული თემებისადმი, აულებისადმი, ხანებისადმი. ზოგი მათგანი დაცულია თბილისში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, საკმაოდ ბევრია ასეთი წერილები დაღესტანშიც. ნაწილი ამ წერილებისა ინახება პ. წადასას სახელობის დაღესტნის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში, მაგრამ უდიდესი ნაწილი კერძო კოლექციებშია დაცული (ხშირად ასლების სახით).

ერეკლეს ურთიერთობას დაღესტნის თავისუფალ თემებთან ასახავს ის რამდენიმე წერილი, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ. ამ წერილებით სარგებლობის ნება დამართეს დაღესტნის ხსენებული ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლებმა ნურმაპომედ ნურმაპომედოვმა და თემურ აითბეროვმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. სამივე აქ გამოქვეყნებული წერილი ინახება მათს კერძო კოლექციებში.

ჩვენი წერილების ადრესატებია კაპუქას, ანსალტას და ბელაქნის თემები. კაპუქა ერთ-ერთი დიდოური თემია დაღესტანში წუნტის რაიონში, მდებარეობს კახეთის მახლობლად. ანსალტა ხუნძური აუღია, თუმცა იმყოფება ანდიურ ენებზე მეტყველ აულთა გარემოცვაში, მდებარეობს ბოთლიხის რაიონში, დაღესტანში. ბელაქანი ამჟამად აზერბაიჯანშია კახეთის აღმოსავლეთით, ისტორიული ჭარ-ბელაქნის ტერიტორიაზე. ხუნძური აუღია. ამჟამად მოსახლეობის დიდი ნაწილი აზერბაიჯანულია.

წერილების ტექსტები:

1.

انه من جناب والى الولايات العظام إیرکلی خان الى رؤساء وكبراء جماعة
 انسالدى حفظهم الله تعالى من بليات الدارين و بعون المراد من المزبور قد بلغ الينا
 مكتبكم فبمنا مضمونه فلما كتبتم في خصوص و قوع حكت العرفين اعلموا باننا

ნრიდონ اصلاح و اينا منكم الان لزم عليكم بان ترسلوا كم رجلا من معتبراتكم حتى نبينوا مواجبكم و مواجب قائدین و دبیركم بعد الوصول فان تقبلوا و ترضوا اعطاء مواجب الموعد و تقبلوا خلطنا فهو المطلوب و الا لترسلوكم سالما و غاغا الی مكانكم بلا ضر و بل على المحبة و الاحسان باقى اقوالنا فی فم حامل السلام و الدعاء

2

انه من والی الولات العظام ایركلى خان والی كرجستان و كبرائه و رؤسائه الی العلماء و شیوخ جماعة بلكان احسن الله احوالنا و احوالكم قد وصل عندنا عبدنا عبد العلی و حسین و بلغا سلامكم و رضينا منكم برضاء كامل و اردتم بان تجيئون عندنا اعلموا ايها الاحبائنا لقد كنتم معنا على المحبة و المودة و الصداقة و انتم مطمئنون منا و نحن منكم و نحن سمعنا بان احمد خان و رفقاؤه يتجهون و يخرجون علينا و اذا كان الامر كذلك فلزم لكم بان تسكنوا فی مكانكم و لا تجيئون عندنا فی هذا الزمان و انظر من البعد المسفة فاذا يحصل لنا فراغة من مهم احمد خان و رفقاؤه و ينقطع الدعوى فان شاء الله تعالى ندعوكم و نكلفكم و نذهبكم الی مكان الذى يتفقون منه باخذ الغنيمة الكبيرة و تكونون مرضيا و ممنونا منا و ان تريدون بان ترسلواكم من رجالكم عندنا فارسلوا من رؤسائكم رجلا ورجلين و مع كل واحد منهما رجلين او ثلاثة رجل و مجموعهم خمسة عشر رجلا لا ازيد منهم فان خیر الامر هكذا و لا تكونوا مترددا باشتغال على الامور الاعداء الذين يخرجون علينا و توجه على اكرامكم فافهموا من القليل كثير باقى الكلام فی فم حامل الرقيمة و لاجل هذا ما قبلنا مجئى جيوشكم فان لا يمكن لنا فرصة سبب ورود الاعداء ان نكرم جيوشكم و ان شاء الله تعالى بعد فراغ من مشاغل الاعداء الذين يجيئون علينا نرسل هديتكم الموعد و نكتب لكم مكتوبا لمجيئكم عندنا و تعلموا بطريق اعلامنا و تجيئون عندنا هكذا لاجل خاطرنا

3

انه من والی الولات العظام ایركلى خان الی جماعة كابوج بلغكم الله تعالى بجميع التمنيات آمين و بعد فقد بلغ اينا سليمان و فهمنا ما قلتم لنا به من اوله الی آخره و شتمت لتجيئوا الی نكرس و كنتم فی فصل الشتاء فيه بعد بلوغ مزبورنا الیكم جيئوا الی نكرس و لا تخافوا منا و من تواجبنا قط و سائر الاقوال و الاحوال فی فم حامل السلام سليمان فتكلموا بخبركم ما قلنا لنا و اكتبوا دائما كيفية حالناكم مع مهامكم اينا و السلام.

თარგმანი

1

ქუშმარიტად, მისი აღმატებულებისაგან, დიდებულ ვალიათა ვალის ერეკლე ხანისაგან ანსალტის ჯამათის თავაკებესა და დიდებულებს, მაღალი ალამიც დაიდარავს მათ საიქიოს და სააქაოს უბედურებისაგან.

ამ წერილის მიზანია [აი რა]: მივიღეთ თქვენი წერილი, გავიგეთ მისი შინაარსი. თქვენ გეწერით ორ მხარეს შორის მეგობრობის დამყარების შესახებ. იცოდეთ, რომ ჩვენ გვსურს მშვიდობა და ჩვენს მიმართ თქვენგან [ასევე]. ახლა ხაშს, რომ თქვენ გამოგზავნოთ რამდენიმე კაცი თქვენს პატრიც-

მულთაგან, რომ ჩვენ განემარტოთ [თქვენი] ჩაოსვლის შემდეგ თქვენი ვალდებულებები და ვალდებულებები მეთაურებისა და იმათი, ვინც უკანაა [თქვენს შორის]. თუ თქვენ თანახმანი იქნებით და კმაყოფილნი ამ დაპირებულ ვალდებულებათა მიღებით და მიიღებთ ჩვენს მეგობრობას, ეს იქნება სწორედ ის, რასაც ჩვენ ვეძებდით. და თუ არა, ჩვენ გამოგზავნით სელიმს და ლაღას უვნებლად თქვენს ადგილას დიდაც სიყვარულით და სიკეთით. დანარჩენ ჩვენს ნათქვამს გეტყვით სალამისა და დალოცვის გადმომცემი.

2.

დიდ ვალიათა ვალის ერეკლე ხანისაგან, საქართველოს მმართველისაგან და მისი დიდებულებისა და თავკაცებისაგან ბელაქნის ჯამაათის სწავლულებს, უხუცესებსა და ახალგაზრდებს. მაღალი ალაპიმე გამოასწორებს ჩვენსა და მათს მდგომარეობას.

მოვიღწენ ჩვენთან ჩვენი ყმა აბდულალი და ჰუსეინი. ორივემ გადმოგვცა თქვენი მოკითხვა და ჩვენ ძალიან კმაყოფილნი ვართ თქვენით. თქვენ გსურთ, რომ ჩამოხვიდეთ ჩვენთან. იცოდეთ, ო ჩვენო ძვირფასებო, რომ თქვენ ჩვენთან ხართ სიყვარულსა, გულითადობასა და მეგობრობაში და თქვენ ხართ კმაყოფილნი ჩვენით და ჩვენ — თქვენით.

გავიგეთ ჩვენ, რომ აჰმედ-ხანი და მისი მეგობრები ეშაღებთან და გამოემართნენ ჩვენს წინააღმდეგ. და თუ საქმე ასეა, ხამს, რომ თქვენ დარჩეთ თქვენს ადგილზე და არ მოხვიდეთ ჩვენთან ამჟამად და უყურეთ შორიდან. როდესაც ჩვენ განვთავისუფლდებით აჰმედ-ხანის და მისი მეგობრების საქმისაგან და შეწყდება დავა, მაშინ, თუ ინებებს მაღალი ალაპი, ჩვენ გინმობთ თქვენ და დაგავალებთ [საქმეს] და გაგაგზავნით ისეთ ადგილას, საიდანაც თქვენ მიიღებთ სარგებლობას დიდი ნადავლის აღებით და თქვენ იქნებით კმაყოფილნი და მაღლობელნი ჩვენი. თუ გსურთ გამოგზავნოთ რამდენიმე თქვენი კაცი ჩვენთან, — გამოგზავნეთ თქვენ თავკაცთაგან კაცები და თითოეულ მათგანთან ორი ან სამი ადამიანი, სულ 15 კაცი, არა უმეტესი. და, ჰეშ-მარიტად, ასეთი საქმე საუკეთესოა. ნუ იქნებით მერყევენი იმ მტერთა საქმეებში, რომლებიც გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ მივმართავთ თქვენს სულგრძელობას. გავიგეთ მცირედით ბევრი. დანარჩენ სიტყვებს გადმოგცემთ წერილის მომტანი. ამის გამო ჩვენ არა ვართ თანახმანი თქვენი ჯარის მოსვლაზე. თუ ჩვენ მტრების თავდასხმის მიზეზით არ გვექნა ხელსაყრელი მომენტი, რომ პატივი ვცეთ თქვენს ჯარებს, მაშინ, თუ ინებებს ალაპი, იმის შემდეგ, რაც განვთავისუფლდებით იმ მტერთა საქმეებისაგან, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოდიან, გამოგზავნით თქვენ დაპირებულ საჩუქარს. ჩვენ მოგწერთ წერილს ჩვენთან თქვენი მოსვლის შესახებ. ამას გავიგებთ ჩვენი შეტყობინების გზით და თქვენ მოხვალთ ჩვენთან ჩვენი სურვილის თანახმად.

3.

დიდ ვალიათა ვალის ერეკლე ხანისაგან კაბუქას ჯამაათს, მაღალი ალაპიმე შეგისრულებთ ყველა სურვილს. ამენ.

და შემდეგ [აი რა]: მოვიდა ჩვენთან სულეიმანი და ჩვენ გავიგეთ, რაც თქვენ უთხარით მას ზეპირად თავიდან ბოლომდე. თქვენ გინდათ მოხვიდეთ ნეკრესში. თქვენ ყოფილხართ იქ ზამთარში. იმის შემდეგ, რაც თქვენ მიიღებთ ჩვენს წერილს, მოდით ნეკრესში და ნუ გეშინიათ ჩვენი და ჩვენი ქვეშევრდომებისა ნურასოდეს. დანარჩენ სიტყვებს და მდგომარეობას გად-

მოგვცემთ სულეიმანი, ის, ვინც მოგიტანთ ჩვენს სალამს. ელაპარაკეთ მას, ის გაცნობებთ თქვენ იმას, რაც ჩვენ ვილაპარაკეთ ზეპირად. მოგვეწერეთ ყოველთვის, როგორაა თქვენი მდგომარეობა და საქმეები. სალამი.

წერილების ტექსტში საკმაოდ ბევრია ენობრივი ხასიათის უზუსტობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც უცხოა კლასიკური არაბული ენისათვის და კალკს უნდა წარმოადგენდეს მშობლიური ენისა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ წერილების დამწერს არ ცოდნია ზედმიწევნით კლასიკური არაბული ენა.

ტექსტში ძირითადად გვხვდება შემდეგი ხასიათის უზუსტობანი:

მსაზღვრელის არასწორი ხმარება ერთგვაროვან წევრებთან. მაგ., პირველი წერილის დასაწყისში ვკითხვლობთ: **الى رؤساء و كبراء جماعة انسادى** აღი კლასიკური არაბული ენის გრამატიკული ნორმების თანახმად კი უნდა ყოფილიყო: **الى رؤساء جماعة انسادى و كبراء**

ანალოგიური მაგალითია მეორე წერილშიც: **الى علماء و شيوخ و شبان جماعة** უნდა ყოფილიყო: **الى علماء جماعة بلكان و شيوخ و شبان**.

პირველ წერილში არის კიდევ ერთი თავისებურება, დაკავშირებული ერთგვაროვანი წევრების ხმარებასთან. წერია: **واجب قاندين و دبيركم** აქ ერთი ერთგვაროვანი წევრი დგას მრავლობით რიცხვში, ხოლო მეორე — მხოლოდობითში; ამავე დროს ერთი წევრი განსაზღვრულია ნაცვალსახელური სუფიქსით, მეორე კი არა, მსგავსად ზემოთ განხილული მაგალითებისა. კლასიკური არაბული ენის ნორმების თანახმად ორივეს უნდა ჰქონოდა მსაზღვრელი ნაცვალსახელური სუფიქსი და ორივე უნდა ყოფილიყო ან მხოლოდობითში ან მრავლობითში, ე. ი. უნდა გვექონოდა **واجب قانكم و دبيركم** ან **واجب قاندينكم و دبيراتكم** კონტექსტის მიხედვით უფრო სწორი იქნებოდა მეორე წინადადება, ე. ი. როდესაც ორივე წევრი მრავლობით რიცხვშია.

გვხვდება უზუსტობანი მაშინაც, როდესაც საქმე ეხება დამატების ბრუნვას. მაგ., პირველ წერილში არის ასეთი ფრაზა: **نريدون اصلاح** ფორმის მიხედვით **اصلاح** შეიძლება იყოს სახელობითი ან ნათესაობითი ბრუნვა, მაშინ როდესაც, როგორც დამატება უნდა მდგარიყო ამ შემთხვევაში მიცემით ბრუნვაში. ანალოგიური მაგალითი გვაქვს მეორე წერილშიც: **افهموا** უნდა გვექონოდა **كثيرا من القليل** ან **كثير**.

რიგი უზუსტობა შეიმჩნევა სახელის განსაზღვრაშიც. Status constructus-ის დროს გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც al- არტიკლი დაერთვის როგორც მსაზღვრელს, ისე საზღვრულს. მაგ., **من بعد المسفة**, უნდა ყოფილიყო: **على امور الاعداء — على الامور الاعداء** (ორივე მაგალითი მეორე წერილიდანაა), გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სახელი განსაზღვრულია როგორც al- არტიკლით, ისე ნაცვალსახელური სუფიქსითაც: **الاحياء** (მეორე წერილი). წესის თანახმად აქ უნდა გვექონოდა განსაზღვრა ან მხოლოდ არტიკლით, ან ნაცვალსახელური სუფიქსით (ე. ი. ან **الاحياء** ან **احياء**). კონტექსტის მიხედვით უფრო მართებული იქნებოდა **احياء**.

ზოგჯერ დარღვეულია შეთანხმება მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, მაგ. *اعطاء المواجه الموعود*. მსაზღვრელი *موعود* დგას მიმართით სქესში, მაშინ როცა მსხერეული მრავლობითის ფორმასთან (*مواجه*) უნდა ყოფილიყო მდებარეობით სქესში, ე. ი. უნდა გვექონოდა *اعطاء المواجه الموعودة*.

წარმოდგენილი წერილები ადასტურებენ იმ გაცხოველებულ ურთიერთობას, რაც ერეკლე მეორეს დაღესტანთან ჰქონდა. ყველა წერილი მიმართულია ხუნძური ტომებისადმი. ეს არის ფაქტიურად საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე მოსახლე თემები.

პირველი წერილიდან, რომელიც ანსალტელებისადმი მიმართული, ჩანს, რომ ანსალტელებს მიუშართავთ ერეკლესათვის მეგობრობის თაობაზე. ამ მიზნით მათ ერეკლესთან გამოუგზავნიათ სელიმი და ლაღა. ერეკლე თანახმაა მეგობრობისა და თავისი წერილით ატყობინებს ანსალტელებს, რომ მათ გამოგზავნონ რამდენიმე კაცი, რათა დადგინდეს შეთანხმების კონკრეტული მუხლები. როგორც ჩანს, წერილი მშვიდობიანი ხასიათისაა და გვიჩვენებს ერეკლეს ცდას, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს დაღესტანთან. სამწუხაროდ, ეს წერილი, ისე როგორც იქ გამოქვეყნებული ყველა დანარჩენი წერილი, უთარიღოა, ხოლო წერილის შინაარსი არ იძლევა საშუალებას, რომ თარიღი დავადგინოთ.

განსხვავებული შინაარსისაა მეორე წერილი, ბელაქნელებისადმი მიმართული. როგორც ცნობილია, ჭარ-ბელაქანი საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო და მთავარ დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა ლეკების გამუდმებული თავდასხმების დროს. ჭარ-ბელაქანთან ურთიერთობას მეტად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა. წერილიდან ირკვევა, რომ ბელაქნელებს ერეკლესთან გამოუგზავნიათ ორი კაცი (აბდულალი და ჰუსეინი). ბელაქნელებს სურთ ჩამოსვლა საქართველოში თავიანთი ჯარით და ერეკლეს პირდებიან მეგობრობასა და სიყვარულს. თავის წერილში ერეკლე ურჩევს მათ ჯერჯერობით თავი შეიკავონ ჩამოსვლისაგან. რადგან საქართველოზე თავდასხმას აპირებენ აჰმედ-ხანი და მისი მოკავშირეები და სანამ ეს საქმე არ დამთავრდება, სჯობია არ ჩამოხვიდეთო. ამ საქმის დამთავრების შემდეგ ერეკლე პირდება ბელაქნელებს, რომ დაუძახებს მათ თავიანთი ჯარით. ამასთან წერილში იგრძნობა (ორიოდე სიტყვით ვადმოცემული) რჩევა ბელაქნელებისადმი, რომ მათ მონაწილეობა არ მიეღონ აჰმედ-ხანთან მოსალოდნელ შეტაკებაში (ცხადია, აჰმედ-ხანის მხარეზე) და ამ მცირე სიტყვებიდან ბევრი რამ გაიგონ!

როგორც ჩანს, ერეკლესა და ბელაქნელებს შორის ადრევე ყოფილა მოლაპარაკება ერეკლესთან ბელაქნელთა ჯარის ჩამოსვლის შესახებ. ივარაუდება, რომ ერეკლესა და ბელაქნელთა შეერთებული ძალები სადღაც საერთო ლაშქრობას აწყობენ და ერეკლე ბელაქნელებს დიდ ნადავლს პირდება. ცხადია, საქართველო-ბელაქნის ურთიერთობა ყოველთვის სამხედრო კონფლიქტის ხასიათს როდი ატარებდა. ერეკლე ცდილობდა ბელაქნელთა ჯარის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას ბელაქნელთა მატერიალური დაინტერესების გზით.

წერილის დათარიღება ძნელია. ბელაქნელებთან ურთიერთობა წარამარა იცვლებოდა, თავდასხმებსა და ყაჩაღობას მშვიდობის პერიოდი ცვლიდა (როდესაც ვუშინდელი მტრები ერთმანეთს მეგობრობას ეფიცებოდნენ) და პირი-

ქით. ასე გრძელდებოდა ათეული წლების მანძილზე. აპიტომ ძნელია მივეუ-
 თითოთ, თუ სახელდობრ რომელ წელს განეკუთვნება ეს წერილი.

წერილის დათარიღებაში გადამწყვეტ როლს შეასრულებდა აჰმედ-ხანის
 ვინაობის გარკვევა, რომელიც, როგორც ჩანს საქართველოზე თავდასხმას
 აპირებს, მაგრამ ამ ბირის იდენტიფიკაცია ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ცნობი-
 ლია ერთი აჰმედ-ხან მულანელი, რომელიც 1748 წელს აწყობს კოალიციას
 განჯის მმართველ შაჰ-ვერდი-ხანის (დაღესტნელი სურხაი ხანის შვილის), აგ-
 რეთევ ქარელებისა და თალელების მონაწილეობით ერეკლეზე თავდასასხმე-
 ლად. თავდასხმის მიზანი იყო დახმარება აღმოეჩინათ აბდულა-ბეგისათვის,
 რომელიც ალყაშემორტყმული იყო ერეკლეს მიერ. ამ აბდულა-ბეგის ლაშ-
 ქარში ქარელებიცა და დაღესტნელებიც იყვნენ¹. როგორც ცნობილია, ამ
 ბრძოლაში ერეკლემ გაიმარჯვა. თუ ჩვენს წერილში ნახსენები აჰმედ ხანი
 წარმოადგენს აჰმედ-ხან მულანელს, მაშინ წერილი დაახლოებით 1748 წელს
 აღმოჩნდებოდა დაწერილი.

მესამე წერილი, მიმართული კაპუქას თემისადმი, როგორც ეტყობა,
 ეკრძომიური ხასიათისაა. კაპუქა კახეთის უშუალო მოსაზღვრე დიდოური
 თემია. კაპუქელები, ისევე როგორც საერთოდ დიდოელები, ფრიალ დანტე-
 რესებულნი იყვნენ საქართველოსთან ეკონომიური ურთიერთობით. არსები-
 თად კახეთი მათი ბელელი იყო. კახეთშივე ჩამოჰქონდათ მათ თავიანთი ნა-
 წარმი გასაყიდად. უნდა ვიფიქროთ, წერილში ისეთი მდგომარეობაა ნაუ-
 ლისხმევი, როდესაც კაპუქელებს ჩამოსვლა სურთ კახეთში (ნეკრესში), მაგ-
 რამ შექმნილი რთული მდგომარეობის გამო ეშინიათ. ამ წერილით ერეკლე
 მათ ატყობინებს თავის კეთილ სურვილებს და ჰპირდება უშიშროებას. ეს წე-
 რილი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ერეკლე ცდილობდა კეთილ-
 მეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა დაღესტანთან.

განხილული წერილები უმნიშვნელო ნაწილია ანალოგიური ხასიათის ძეგ-
 ლებისა, რაც დაღესტანში მრავლად მოიპოვება. მათი შეკრება და მთლიანი სა-
 ხით გამოცემა² კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ერეკლეს მოღვაწეობის რიგ
 მხარეს. საინტერესოა ეს წერილები დაღესტნის ისტორიის თვალსაზრისითაც.

М. Т. ГУДАВА

НЕСКОЛЬКО ПИСЕМ ИРАКЛИЯ II ДАГЕСТАНСКИМ ОБЩЕСТВАМ

Резюме

В статье рассматриваются три неизвестных письма Ираклия II (1720—1798) дагестанским вольным обществам. Письма хранятся в частных коллекциях сотрудника отдела восточных рукописей Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы Дагестанского Фи-

¹ Хроника войны Джара в XVIII столетии. Баку, 1931, гл. 45—47. ცნობილია, რომ ამ ბრძოლაში ქარეღია და დაღესტნელთა ერთი ნაწილი ერეკლეს მხარეზე იყო.

² დაღესტნური დოკუმენტების შესწავლაზე მუშაობენ როგორც დაღესტანში, ისე ჩვენ-
 ში. თბილისში ამ საკითხებზე მუშაობენ დოც. თ. მარგველაშვილი და კ. კეკელიძის სახ. ხელ-
 ნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ნ. ყანჩაველი. საქართველოსა და დაღესტნის
 ურთიერთობას ეხება თ. ბოცვაძის საგანგებო გამოკვლევა — „საქართველო-დაღესტნის ურთი-
 ერთობის ისტორიიდან (XV—XVIII სს.)“, თბილისი, 1968.

ლიალა ან СССР Нурмагомеда Нурмагомедова и аспиранта того же института Тимура Айтберова (г. Махачкала).

Адресатами писем являются общества Ансалта, Белахан и Капу-ча. Содержания писем мирного характера и свидетельствует о попытках Ираклия II наладить с дагестанскими обществами добрососедские отношения.

Письма не датированы. Написаны они на арабском языке. Отмечены некоторые неточности в языке, несовместимые с нормами классического арабского языка, напр., неправильное согласование определения с однородными членами, неверные падежные окончания, дополнения, неточности при определении имени status constructus-ом и др.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიოტიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა

მ ო ზ ო ნ ე მ ბ ა ნ ი

პ ა ლ მ რ ი ა ნ ე ბ ა ა ნ ა ა შ ვ ი ლ ი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ს ე მ ი ნ ა რ ე ბ ი

(რ ა მ დ ე ნ ი მ ე ფ უ რ ც ე ლ ი ა ს პ ი რ ა ნ ტ ი ს ჩ ა ნ ა წ ე რ ბ ი დ ა ნ)

ი. ჯავახიშვილის სემინარები დიდი და ფართო თემაა. ამასთან ერთია მისი სემინარები უნივერსიტეტის სტუდენტთა აუდიტორიაში, მეორე — ასპირანტებთან სემინარული მუშაობა.

მათ შორის მსგავსებაც იყო და განსხვავებაც. მსგავსება მდგომარეობდა იმაში, რომ ი. ჯავახიშვილი არასოდეს არ ამარტივებდა სემინარის საგანს (საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის მეცნიერულ დამუშავებას, ტექსტოლოგიურ დაკვირვებასა და ანალიზს), განსხვავებას კი ქმნიდა სტუდენტისა და ასპირანტის მომზადების დონე, საუნივერსიტეტო სწავლების მიზანი და თავისებურება. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძირითადად სტუდენტთა აუდიტორიაში დამუშავებული ი. ჯავახიშვილის მიერ ისტორიის დამხმარე დისციპლინები: პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია და სხვ.

სემინარი უნივერსიტეტის პროფესორს ან დოცენტს თავისი დაკვირვების, აზრის, ჰიპოთეზის შემოწმების და, ზოგჯერ, დამტკიცების მრავალნაირ საშუალებას და მასალას აძლევს. ასეთნაირად იქცეოდა, რა თქმა უნდა, ი. ჯავახიშვილიც. უკეთ სემინარში თვითონაც მუშაობდა და სტუდენტებსაც და ასპირანტებსაც ამუშავებდა.

სემინარულმა მუშაობამ უდიდესი როლი შეასრულა უნივერსიტეტების ვანეთარებაში, სემინარმა საშუალო სკოლა უნივერსიტეტად გადააქცია. სემინარი ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტად იქცა ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

სემინარებს ყველა უნივერსიტეტში ანდობდნენ მრავალწლოვანი მუშაობით გამოცდილ პროფესორებს.

ჩემი სტუდენტობის დროს (20-იანი წლების დასასრული და 30-იანი წლების დამდეგი) ხშირად ამბობდნენ, რომ უნივერსიტეტის დაარსებიდანვე იქ სემინარებს ატარებდნენ საუკეთესო ძალები (მათს შორის მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერებიც იყვნენ) ისტორიასა და გეოგრაფიაში, უნათმეცნიერებასა და ფილოსოფიაში, იურისპრუდენციასა და ეკონომიკაში, ბიოლოგიაში და მედიცინაში, მათემატიკაში.

აღნიშნავდნენ იმასაც, რომ როგორც რექტორი ი. ჯავახიშვილი ყურადღებით ადევნებდა თვალს სემინარული მუშაობის მიმდინარეობას უნივერსიტეტის პუბლიცისტულ და საბუნებისმეტყველო დარგებში. თვითონ ი. ჯავახიშვილი სემინარული მუშაობის ნამდვილი ოსტატი იყო.

ბატონი ივანე (ასე უწოდებდნენ მას სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც) ურთავარად აგრძელებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ



ენათა ფაქულტეტის იმ ტრადიციას, რომელიც XIX—XX სს. მიჯნაზე მსოფლიოში იყო ცნობილი. ი. ჯავახიშვილის სტუდენტობისა და ლექტორობის დროს მსოფლიო ორიენტალისტიკის ამ ახალ ცენტრში გამოჩენილი მეცნიერების მოღვაწეობდნენ (ყუკოვსკი, როზენი, მარი, ბარტოლდი, კრაჩკოვსკი, ოლდენბურგი...). მათი სემინარული მუშაობა პეტერბურგის უნივერსიტეტში საკმაოდ კარგად არის ცნობილი (მოგონებებისა და ისტორიოგრაფიული ნარკვევების საშუალებით). თითქმის არაფერი დაწერილა ი. ჯავახიშვილის სემინარული მუშაობის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-იქ გავკრით ნათქვამ მომენტებს.

ჩვენი მცირე მოგონებაში წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ფურცელი იმ სემინარული მუშაობისა, რომელსაც ი. ჯავახიშვილი სისტემატურად უტარებდა თავის ასპირანტებს. მოგონებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ორ ასპირანტთან მუშაობა (ამ სტრიქონების ავტორთან და ავთანდილ იოსელიანთან).

საასპირანტო მუშაობა მიმდინარეობდა თითქმის სამი წლის განმავლობაში (1937—1940 წწ.) კვირაში ერთხელ (აქვე უნდა დავსძინო, რომ ამ ხნის განმავლობაში ი. ჯავახიშვილს არც ერთხელ არ გაუცდენია სემინარი).

ვმუშაობდით ბატონი ივანეს კაბინეტში, სახელმწიფო მუზეუმის ქვედა სართულის პატარა ოთახში, სადაც ორი მაგიდა იდგა: მარჯვნივ — ივანე ჯავახიშვილის, მარცხნივ — გრიგოლ წერეთლის. სარდაფის დაბალი ფანჯარებიდან მოჩანდა გამველთა შარვლის ტოტები და კაბის ბოლოები (30-იანი წლების დასასრული იყო). ოთახში საკმაოდ ბნელოდა. მაგრამ იქ მუდამ აკადემიური განწყობილება იყო გამეფებული. ბევრჯერ შევსწრებივარ ივანე ჯავახიშვილისა და გრიგოლ წერეთლის საუბარს. რაზე არ ლაპარაკობდნენ! — მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე.

ერთხელ ავთანდილ იოსელიანს შეაგვიანდა („მოვუცადოთო“, მითხრა ბატონმა ივანემ. ცოტა ხნის შემდეგ ავთანდილმა კარი შემოაღო ათასნაირი ბოდვის მოხდით).

ი. ჯავახიშვილმა და გრ. წერეთელმა დაწყებული საუბარი განაგრძეს. ლაპარაკობდნენ ჩაიკოვსკის ახალგამოსულ წერილებზე. ხშირად ახსენებდნენ ფონ მეკს და მის ბარათებს. სულგანაბული ვუგვებდი ყურს. პაპიროლოგიც და ისტორიკოსიც, ჩანდა, ბრწყინვალედ იცნობდნენ მუსიკას, მუსიკოსებს. ერთდროულად, რომელსაც ისინი ამკლავებდნენ ინტიმური საუბრების დროს, ჩვენთვის, ახალგაზრდობისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც აკადემიური, ისე აღმზრდელი თვალსაზრისით. მთავარი აქ ის იყო, რომ ეს ორი დიდი მეცნიერი თავიანთ აზრებს, ფიქრებს, შეხედულებებსა და შთაბეჭდილებებს ახალგაზრდების თანდასწრებით გამოთქვამდნენ.

ბატონ ივანეს მუზეუმის პირველი სართულის კიბის ფლორაცზე ან მისი კაბინეტის კარბთან ვუცდიდით (ყოველთვის ადრე მივდიოდით, დაგვიანების გერიდებოდა). არ იგვიანებდა ჩვენი ხელმძღვანელიც; ღამილით მაგრად გვარჩმევდა ხელს. ზამთრობით მის ოთახში ძალიან ციოდა, თითქმის ყინვდა, მაგრამ ბატონი ივანე პალტოს იხდიდა და ჩვენც, რა თქმა უნდა, უპალტოოდ ვისხედით. სემინარის დაწყებისთანავე ყოველგვარი ურთიერთობა ი. ჯავახიშვილსა და გრ. წერეთელს შორის წყდება. არ მახსოვს უბრალო ვაღალაპარაკებაც კი. მთელი ორი საათი მთლიანად სემინარს ჰქონდა დათმობილი.

ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელი.



ი. ჯავახიშვილი მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი იყო. ელევანტური, ფაქტურად, ძალიან უხდებოდა თეთრი თმის გვირგვინი, ხოლო კეზიანი ცხვირი მის სათანო გამომეტყველებას ვაკეცურ იერს ანიჭებდა. ოცდახუთი წლის ახალგაზრდა ვიყავი და ჩემი შთაბეჭდილებაც ამ ასაკის შესაფერისი იყო. თავი ოლიმპზე მეგონა ღმერთაკთან ერთად. ეს აღტაცება ხელს არ მიშლიდა (ასევე ავთანდილ ოსელიანს) სერიოზულად მემუშავა ი. ჯავახიშვილის სემინარებში.

სამუშაო ბლომად გვქონდა. ჩემი თაობის ასპირანტების სამუშაო გეგმაში ათასნაირი სავალდებულო საგანი იყო შეტანილი. ამ საგნებში მუშაობას თვითონ ი. ჯავახიშვილი ადევნებდა თვალყურს როგორც ხელმძღვანელი.

ძველ ქართულს მთელი ორი წლის განმავლობაში აკაცი შანიძესთან ვსწავლობდი (ბატონმა აკაციმ „ვეფხისტყაოსნიდან“ ამომიწერინა „მცა“ ნაწილად, მთლიანად გადაიწერინა ოთხთავი. ყოველკვირა ამოწმებდა ჩემს რვეულებს, რომელშიაც განმარტებული იყო ძველქართული ტერმინები ან სიტყვები და ბოლოში წითელი მელნით აწერდა ხოლმე: ა. შ.), არქეოგრაფიას — მ. პოლიევქტოვთან, ეთნოგრაფიას — გ. ჩიტაისთან, ნუმისმატიკას — თ. ლომოურთან, ძველსომხურს — ილია აბულაძესთან, სპარსულს — ვ. ფუნთურჩიძესთან, თურქულს — ს. ჭიჭიასთან. ამ არ ვასახელებ საასპირანტო მინიმუმით ვათვალისწინებულ სხვა საერთო საგნებს. განთავისუფლებული ვიყავი მხოლოდ ევროპული ენებისაგან, რადგან იმ დროს ზოგ ენაზე თავისუფლად ვლაპარაკობდი, ზოგსაც ვკითხულობდი.

მიუხედავად ამისა ყველაფერს ვასწრებდი, რის მოსწრებასაც ახალგაზრდული ასაკი მოითხოვს. დღისით წიგნს ვუჩქეი (ხშირად ვიყავი საჯარო ბიბლიოთეკის კავკასიისმცოდნეობის განყოფილებაში), საღამოობით არ ვაკლდებოდი კონცერტს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში და პრემიერას ოპერისა თუ დრამატულ თეატრებში.

ასპირანტურის მრავალსაგანიანობას ერთი დიდი ღირსება ჰქონდა. თავს საკმაოდ ღონივრად ვგრძნობდი ი. ჯავახიშვილის სემინარებში, რომელიც ვაკილებით დიდხანს ვაგრძელდა, ვიდრე ჩასაბარებელი და ჩასათვლელი საგნები.

ი. ჯავახიშვილმა სემინარში მუშაობისათვის ორი ტექსტი შეგვიჩოჩა: ჯერ „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“, ხოლო შემდეგ „ხელმოწიფის კარის გარიგება“. ამ ორი ძეგლის ტექსტზე ვმუშაობდით თითქმის სამი წლის განმავლობაში. ყოველ სემინარზე ვკითხულობდით და ვაანალიზებდით ორ ან სამ სტრიქონს. ამ ორი ან სამი სტრიქონის ანალიზს სჭირდებოდა მთელი ორი საათი. ჩვენ ვალდებული ვიყავით წაკითხული კონტექსტიდან გამოვეტანა ყველაფერა, რის გამოტანაც იქიდან შეიძლებოდა. ყურადღება ექცეოდა ყველა დეტალს, ყოველგვარ ნიუანსს, სიტყვის ან ფრაზის ყველა შესაძლებელ მნიშვნელობას. ერთი სიტყვით, სათანადო წყაროს სათანადო კონტექსტში უნდა დაგვეჩინა ის, რაც გარეგნულად შეუქმნეველი იყო და მხოლოდ გამახვილებულ და გაწაფულ თვალს შეეძლო შეემჩნია. თვალის გამახვილება და გაწაფვა ხანგრძლივ დროს, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. ამ მიმართულებით მიჰყავდა თავისი ასპირანტები ი. ჯავახიშვილს.

ყოველთვის მაოცებდა მისი მოთმინება, თავშეკავება. მეც და ავთანდილიც თავდაპირველად უხემ შეცდომებს ვუშვებდით, ზოგჯერ ენაც გვებოდა, ველავდით კიდევ. დამშვიდებული იყო ჩვენი ხელმძღვანელი, უკმაყოფილების, გაწყრომის, ვაკილვის, მით უმეტეს ირონიის ნასახიც არ ეტყობოდა. ეს ჩვენ მსწრაფად გვმატებდა, რწმენას ვვიძლიერებდა. გაორკეცებული ენერგიით ვმუ-

შობდით. ყოველ ცისმარე დღეს უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში საჯარო ბიბლიოთეკაში ვისხედით, წიგნებს ვუტრიალებდით, დავალებებს ვასრულებდით. ასპირანტურის მეორე კურსზე ჩვენ სულ სხვანი ვიყავით, ვიდრე პირველ კურსზე: გვიხაროდა და კმაყოფილების გრძნობა გვეუფლებოდა, როცა კონტექსტის ყველანაირ ანალიზს შეუმცდარად ვახდენდით, ხოლო ჩვენს ხელმძღვანელს ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი მოწონების ღიმილი დასთამაშებდა.

ი. ჯავახიშვილს ურთი თვისება ჰქონდა: სემინარებში არც გვაქებდა და არც გვაძაგებდა (ძალიან დიდი ხნის შემდეგ, უკვე უნივერსიტეტის პროფესორმა, ზოგი რამ ჩემს შესახებ ნათქვამი მისი ნათესავებისაგან გავიგე). მხოლოდ ერთხელ პირდაპირ მითხრა ის, რისი ღირსიც ვიყავი.

ერთ-ერთ სემინარში როგორღაც დავიტრამბახე (არ ვიცი, რა ღმერთი გამიწერა!):

— ბატონო ივანე, მე უკვე სპარსულად ვკითხულობ.

— რა წაიკითხეთ? — მკითხა.

— ჰამდალამ ყაზვინის „თარიხ-ე გოზიდე“.

კოპები შეკრა და მკაცრად გამაგებინა:

— „თარიხ-ე გოზიდე“ მარტივი ენითაა დაწერილი, მისი წაკითხვა ძნელი არ არის. თქვენ XIV—XV საუკუნეების სხვა სპარსული ისტორიკოსები წაიკითხეთ და თუ გაიგებთ, სპარსულის ცოდნაც მაშინ დაიტრამბახეთ!

იმ დროიდან XIV—XV სს. სპარსულ და სპარსულენოვან ისტორიკოსთა ისეთ კონტექსტებსა და კონსტრუქციებს შევეკიდე, რომ თვით ეშმაკიც კისერს მოიტეხდა და რომელთა გაბრტყელებულ, უადრესად ღვარჯნილ და მაღლფარდოვან შინაარსს სპარსულის მცოდნე ფრიდრიხ ენგელის სიცილით უყვეოდოდა ხოლმე კარლ მარქსს. ამ ღვარჯნილი სტილის დასაუფლებლად, XIV—XV საუკუნეებში რომ დამკვიდრდა სპარსულ ისტორიოგრაფიაში, აუცილებელი იყო ხანგრძლივი ვარჯიში, გამოცდილება და ათასნაირი ლექსიკონის ჩხრეკა.

ი. ჯავახიშვილი თავის ასპირანტებს არა მარტო აკადემიურ ცოდნას აძლევდა, არამედ სერიოზულობის, თავდაპერილობისა და სიფრთხილის გრძნობასაც უვითარებდა.

ჩვენი ხელმძღვანელი კეთილი, ღმობიერი ადამიანი იყო, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა მკაცრი მომთხოვნი ყოფილიყო. საოცარი ის იყო, რომ ამას იგი ყოველგვარი დიდაქტიკისა და იძულების გარეშე აკეთებდა. ყოველივე თითქოს თავისთავად ხდებოდა. ყოველი ახალი სემინარი წინამორბედ სემინარზე უფრო რთულიც იყო და მდიდარიც.

როგორ ახერხებდა ამას ი. ჯავახიშვილი?

როცა უნივერსიტეტში მე თვითონ ვხელმძღვანელობდი სტუდენტებსა და ასპირანტებს, ხშირად ვუსვამდი ამ კითხვას ჩემს თავს. საოცარი რამ ხდებოდა! სემინარული მუშაობის დროს ჩემთვის ცხადად ირკვეოდა ის, რასაც ასპირანტურის წლებში ან ბუნდოვნად ვხვდებოდი ან სულ ვერ ვგებულობდი. ასე უკავშირდებოდა ჩემი საკუთარი დაკვირვებები ჩვენი ხელმძღვანელის სემინარებს. ი. ჯავახიშვილი არა მარტო დიდი მეცნიერი იყო, არამედ ბრწყინვალე აღმზრდელიცა და პედაგოგიც.

სემინარებში აქტიურები ჩვენ, ასპირანტები ვიყავით, პასიური — ჩვენი ხელმძღვანელი (საერთოდ ეს სემინარული მუშაობის ერთ-ერთი ცნობილი თვისებაა). როგორც შეგვეძლო ისე უნდა მოგვეძებნა შესაფერისი ახსნა ან პასუ-

ხი კონტექსტის შინაარსში, უნდა გვეწვალა, ოფლი მოგვესლოდა, მაგრამ ჩვენ თვითონ, დამოუკიდებლად უნდა მიგვეგნო წყაროს სათანადო ადგილის იმ აზრისა და მნიშვნელობისათვის, რომელსაც მანამდე არც ერთი მკვლევარი ყურადღებას არ აქცევდა. ამავე დროს უნდა მოგვეხდინა ამ აზრისა და მნიშვნელობის ყველა შესაძლებელი ანალიზი, შეგვეფასებინა, განგვეზოგადებინა და გამოგვეტანა დამაჯერებელი დასკვნა. განმარტება ზოგჯერ მართებული იყო, უფრო ხშირად მცდარი, მაგრამ ამას ხელმძღვანელი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მთავარი იყო ძიების მომენტები. ასე გვაჩვენდა ი. ჯავახიშვილი დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის წესებს, ხერხებსა და საშუალებებს.

ასპირანტებმა მალე მივაქციეთ ყურადღება ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: სემინარში ჩვესი ხელმძღვანელი ჩვენთან ერთად მუშაობდა.

მის წინ მაგიდაზე გადაშლილი „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ (მ. ჯავახიშვილისეული გამოცემის) ეგზეგეზული ყურადღებას იქცევდა ვრცელი, მელნით დაწერილი მარგინალიებით, ტექსტის სტრიქონები მრავალგან იყო ხაზგასმული, ხოლო გვერდის მინდვრები შენიშვნებით აჭრებულნი; ასევე შენიშვნებით იყო ვაცვებული „ხელმწიფის კარის გარიგებაც“ (ე. თაყაიშვილის გამოცემა). სემინარში მას კალამი ყოველთვის მომარჯვებული ჰქონდა, ხელახლად უსვამდა ხაზს რომელიმე სტრიქონის მისთვის საინტერესო სიტყვას ან აზრს, უკეთ იმას, რასაც მხოლოდ ახლა აქცევდა ყურადღებას, ანდა ახალი დაკვირვება ვაჰქონდა მინდორზე, სადაც შენიშვნების ტევა აღარ იყო. ასეთი მარგინალიებისაგან (და მრავალიცხოვანი ბარათებისაგან) მის სიცოცხლეში იქმნებოდა დიდი გამოკვლევები, გარდაცვალების შემდეგ კი აღდგენილ იქნა არაერთი ნაშრომი, სემინარში ი. ჯავახიშვილი ხშირად სდუმდა, მაგრამ განუწყვეტლივ ფიქრობდა და აზროვნებდა.

ამ დროს ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რას ან რატომ აქცევდა იგი ყურადღებას, რა მოვლენებს როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისას.

ი. ჯავახიშვილი კონტექსტის ცნობების ანალიზს მარტივი ხერხებით ვაწყებინებდა და თანდათან ართულებდა მას. ჩვენგან იგი მოითხოვდა ტექსტში დამოწმებული სიტყვის ან ტერმინის ანალიზს, გვეკითხებოდა სიტყვის სადაურობაზე, მის აღრინდელ და გვიანდელ მნიშვნელობაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველქართული ლექსიკისა და ცნებების ცოდნას. ყოველივე ეს ჩვენთვის შედარებით ადვილი იყო. გაცილებით უფრო რთული იყო, მაგალითად, ეკლესიის სფეროში დემოკრატიული იდეების ფესვების გამოკვლევა ანდა სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტების დახასიათება, ამ ინსტიტუტების ევოლუციის გამაპირობებელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური მიზეზების აღნიშვნა. ამ შემთხვევაშიც მართებული თუ მცდარი აზრი ჩვენ უნდა გამოგვეთქვა.

ასე ნელ-ნელა, თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად ვიწაფებოდით ტექსტოლოგიურ და ისტორიულ-კრიტიკულ ანალიზში, ვეუფლებოდით სიტყვაზე ან ისტორიულ ფაქტზე დაკვირვების, ანალიზის და განზოგადების მეცნიერულ ხერხებს. ყველაფერი ეს მიზნად ისახებდა ასპირანტურაში დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებას. საამისოდ, როგორც უკვე აღვნიშნე, ხელმძღვანელი მრავალნაირ ხერხსა და საშუალებას მიმართავდა. ყოველ ახალ სემინარში რაღაც ახალი მომენტი ჩნდებოდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა და



ამდღერებდა, როგორც ისტორიკოსები ამბობენ ხოლმე, ჩვენს „ტექნიკურმა მუშაობამ იარაღებას“.

ისტორიულ ფაქტზე დაკვირვების უნარის განმტკიცების მიზნით ი. ჯავახიშვილი ხშირად იყენებდა ეტიმოლოგიურ ძიებებს. ასპირანტი ვალდებული იყო ეჩვენებინა კონტექსტში დამოწმებული ყოველი ახალი სიტყვის ან ტერმინის (თუ ის წინა სემინარში გარჩეული არ იყო) ყველა შესაძლებელი მნიშვნელობა, გაერჩია ის ეტიმოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით. ჩვენთვის ძნელი არ იყო (იმის გამო, რომ ინტენსიურად ვსწავლობდით ძველქართულს, სპარსულსა და სომხურს) ისეთი სიტყვების ეტიმოლოგიური ამოსნა, როგორიცაა „ტომი“ (ნაწარმოებია სპარსულ „თომი“-იდან, ნიშნავს „თესლს“), „გვარი“ (სპარსულად „გოპარ“ — „მარგალიტის თვალი“), „ნათესავით აზნაური“ (სემინარებში ჩვენი ხელმძღვანელი დიდ ყურადღებას აქცევდა X—XV სს. საქართველოს სოციალურ სტრუქტურას, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის დახასიათებას, სოციალური ბრძოლის ეპიზოდებს...) და სხვ.

მაგრამ ხელმძღვანელი წაკითხული კონტექსტის შინაარსისა და ლექსიკოსაგან სრულიად დამოუკიდებლად ვეისვამდა ისეთ კითხვებსაც (როგორც იმ დროს ჩვენ გვეჩვენებოდა, განგებ და გარკვეული მიზნით), რომელზედაც პასუხის გაცემა გვიძნელდებოდა ან არ შეგვეძლო. მხედველობაში მაქვს მრავალი სიტყვის ეტიმოლოგია (ზოგიერთი მათგანი შეტანილია ი. ჯავახიშვილის დიდ მონოგრაფიულ გამოკვლევაში „კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობისათვის“).

აი, მაგალითად, არ გინდათ განმარტოთ „ფუტკრის“ ეტიმოლოგია?! ან „მერცხლის“? ანდა „ფაცხის“?

ჩვენ ვლუმდით, პაუზა დიდხანს გრძელდებოდა, ბატონი ივანე ასეთ დროს ტუჩებს შორის ძლივს შესამჩნევ ღიმილს ჩაეკეცავდა ხოლმე (საოცარია, ხმამალა ვაცილებული ი. ჯავახიშვილი არასოდეს მინახავს, თუმცა მას სამი წლის განმავლობაში სულ სხვადასხვა ვითარებაში ვხვდებოდი იმ საბედისწერო წუთამდე), ხელში მომარჯვებულ კალამს მაგიდაზე დებდა და ლაპარაკს იწყებდა. ამ მომენტიდან სემინარში აქტიური ჩვენი ხელმძღვანელი იყო.

მისი განმარტება მეცნიერულად ყოველთვის გამართული და დახვეწილი იყო. მსჯელობის მიმდინარეობა კი ერთდროულად მრავალ კომპონენტს მოიცავდა, ითვალისწინებდა ახსნისა და განმარტების ყველა შესაძლებლობას: ეჭვს, ვარაუდს, ჰიპოთეზას, დამაჯერებელ მტკიცებას. მის მსჯელობაში ნეგატიურიც (მეცნიერება იმის აღმოჩენაც, რომ ამა თუ იმ ფაქტს ან მოვლენას ისტორიაში ადგილი არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა) ისევე მეცნიერული იყო, როგორც პოზიტიური აზრი.

— ფუტკარი? ფუტკარი, — გვიხსნიდა ი. ჯავახიშვილი, — ტკ..., ტკ... — ტკბილი. — მერცხალი... მერცხალი. გაიხსენეთ, ყმაწვილებო, როგორ აქვს მერცხალს კუდი შეპრილი, მოწნული. ცხ..., ცხ...; აქედანაა ნაწარმოები მერცხალი, აქედანვეა ნაწარმოები მეგრული „ფაცხაც“. ფაცხაც ხომ მოწნულ ნაგებობას ნიშნავს!

მაღე დავრწმუნდი, რომ ი. ჯავახიშვილი სემინარში თავის თავს ამოწმებდა. ცოტა ხნის შემდეგ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში წაკითხულ მოხსენებაში მან სწორედ დასახელებულ და მსგავს მაგალითებზე შეაჩერა ფართო აუდიტორიის ყურადღება.

შეიძლება გავიზიაროთ ან არ გავიზიაროთ ამგვარი ახსნა-განმარტება (უფრო ხშირად ი. ჯავახიშვილს მოჰქონდა ისეთი ეტიმოლოგიები, რომელნიც არავითარ ეპკს არ იწვევდნენ. მაგ., „ცოცხლის“ წარმოება „ცხელიდან“ და სხვ.), მაგრამ თითოეული მათგანი მეცნიერული მსჯელობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა.

მაგონდება სხვა მაგალითებიც: „ატამი“ — „ქათამი“ — ბუსუსიანი. „ხაშური“ — სპარს. „ხაქ.“ — ნაცარტუტა, მიწა, ნიადაგი, „შურ“ — მლაშე. აქედან „ხაქურ“ („მლაშე მიწა“). ქართულ სინამდვილეში — „ხაშური“.

ი. ჯავახიშვილი მხედველობაში იღებდა ხაშურის ნიადაგის თავისებურებას, მის კლიმატურ პირობებს. მაგრამ შედგენილი სიტყვის ირანული წარმოშობის დასამტკიცებლად იგი სხვა საბუთებსაც იშველიებდა, ხალხლობრ, ირანული წარმოშობის ტოპონიმების არსებობას აღმ. საქართველოში: დარიალი (და სხვა მრავალი ირანული ტოპონიმი, რომელიც არც ი. ჯავახიშვილს და არც სხვას აღნიშნული არა აქვთ და რასაც ყველა მწყემსი ვეტყვით ჯვრის გადასასვლელთან), „ხანდაკი“ (თხრილით შემოვლებული სიმაგრე) და სხვ. ასევე ირანულიდან მომდინარეობს: „რუ“ (ამჟამად ყველა მკვლევარი არ იზიარებს ამ სიტყვის ირანულ წარმოშობას), „ხვასტაგი“, „ხოდაბუნი“ და სხვ. ყოველივე ეს ირანულ ტომებთან და ხალხებთან ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის შედეგი იყო და, ამდენადვე, ხაშურის ირანული სიტყვების ნიადაგზე ახსნას გარკვეული საფუძველი ენიჭებოდა.

ი. ჯავახიშვილი გვესწავლიდა, თუ როგორ შეიძლება ერთი სიტყვის მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ისტორიული ფაქტის ან მოვლენის სხვადასხვა ვარიანტის მოცემა, ცალკეული სიტყვის თუ ტერმინის ყველა შესაძლებელი მნიშვნელობის დადგენა.

წყაროს შედარებით მარტივ „გარეგან კრიტიკასთან“ ერთად გვავარჯიშებდა უფრო რთული „შინაგანი კრიტიკის“ ხერხებისა და საშუალებების გამოყენებაში. ზეღმძვანელი ამის შესაბამისად ართულებდა დასმულ კითხვებს. მაგონდება ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი: „იოანესა და ეფთვიმეს“ ცხოვრებაში დასახელებულია „სპანიის“ იბერია. ათონის ივერთა მონასტრის ბერებს ესპანეთში ქართველთა თანამონათესავენი ეგულებოდათ. ამ ქვეყნის მონახულება სწყუროდათ, იქითკენ მიილტვოდნენ (ამ ცნობას გაზ. „კომუნისტში“ ვრცელი წერილი მიეძღვნა, როცა თბილისში ბასკი ფეხბურთელები თამაშობდნენ). ზელმძვანელმა, რა თქმა უნდა, ამის ანალოზი მოგვთხოვა. ორი ალბანეთი, ორი იბერია კავკასიასა და ევროპაში — არ გინდათ ამის ახსნა, ამის განმარტება?! თან მან კიდევ უფრო გაართულა ჩვენი ამოცანა. „მიაქციეთ ყურადღება, — გვეუბნებოდა იგი, — ერთმანეთთან მსგავსებას ამქვანებენ რეინი, რონა და რიონი. ამ მდინარეების სახელები ერთი ძირიდან წარმომდგარი ჩანან. რატომ? როგორ? რანაირად?“. მართლაც, რატომ, როგორ? რანაირად?

მეტსიმეტად რთული კითხვები იყო დასმული, მაგრამ ამავე დროს გასაღებიც იყო მოცემული. ჩვენ გაგვახსენდა ი. ჯავახიშვილის მიგრაციის თეორია. ამ თეორიის მიხედვით ქართველური ტომები სამხრეთის შორეული ქვეყნიებიდან არიან წამოსულნი და კავკასიის ტერიტორიაზე დამკვიდრებულნი (არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად ეს თეორია ავტოქთონური თეორიით შეიცვალა, ოღონდ ქართველ ტომთა განფენილობა სამხრეთში კვლავ დარჩა). მიგრაცია, ვუკვირდებოდით და ვფიქრობდით ჩვენ, შეიძლებოდა მომხდარიყო არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთით, არამედ ჩრდილო-დასავლეთითაც. ერთი სიტყ-

ვით, დიდი ტომობრივი გავრთიანების ნამსხვერვეები შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ევროპაშიც და კავკასიაშიც. თამამი ჰიპოთეზაა? ჰო, მართალია, მაგრამ რა ვუყოთ ბასკებს? ეტრუსკებს? წინაბერძნულ მოსახლეობას? თავიანთი ენობრივი და კულტურული თავისებურებებით ისინი ხომ არაფრით არ არიან დაკავშირებული „კლასიკურ“ ევროპასთან? ზოგჯერ ამგვარი ორწერტილებით და კითხვის ნიშნებით მიმდინარეობდა მსჯელობა სემინარში. მისახვედრს, უკეთ—გასაღებს მაინც ხელმძღვანელის მიერ მარჯველ დასმული კითხვები იძლეოდა. ასე თანდათან ვეუფლებოდით საკითხის დასმისა და გაშუქების, დასაბუთებისა და მტკიცების ელემენტებს.

თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ი. ჯავახიშვილის სემინარები, შემიძლია ერთი მაგალითი კიდევ დავასახელო. პავიოგრაფიული ძეგლების ერთი ყველაზე დიდი და უღვაყო ღირსება ის არის, რომ მათში მრავალგანაა აღბუქდილი ყოველდღიური ცხოვრების და ადამიანთა ურთიერთობის ამსახველი დეტალები. რელიგიურ აღტყინებას ყველგან ენაცვლება სავსებით მიწიერი ამბებიც. ლაპარაკია იქ სხვადასხვა სნეულებაზეც. ხშირად არის დასახელებული თითოეული სნეულების სახელწოდება. ზოგჯერ კი საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ავადმყოფობის მიმდინარეობა. განკურნების პროცესი, გამოჯანმრთელება, რადღვან პავიოგრაფები ყოველივე ამას სასწაულებს უკავშირებდნენ. განსაკუთრებით ბევრი ადამიანი იყო განკურნებული ღეთისმშობლის მიერ. ი. ჯავახიშვილი კონტექსტის არც ერთ სიტყვას, არც ერთ ტერმინს, არც ერთ დეტალს უუუ-რადღებოდ არ ტოვებდა; გვეკითხებოდა ტექსტში დასახელებული სნეულების შესახებაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვდუმდით, ოღონდ ძიებისა და დაფიქრების გამომეტყველებით (ვიცოდით, რომ ესეც ასპირანტებთან მუშაობის ერთგვარი მეცნიერული ხერხი იყო, თვით საგნის არცოდნას მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუკი იგი დაფიქრებას იწვევდა და დაკვირვების უნარს აძლიერებდა). ხანგრძლივ დუმის ისევ ხელმძღვანელი არღვევდა (მუდამ მაოცებდა მისი მოთმინება), ლაპარაკს იწყებდა და ყველა დაავადებას გვიხასიათებდა.

პავიოგრაფიულ ძეგლებში უფრო ხშირად ლაპარაკია ნერვულ დაავადებებზე საინტერესო ტერმინოლოგიით (ასეთ დროს ი. ჯავახიშვილი ანალოგიას ავლებდა წაითხულსა და ცხოვრებაში მომხდარ ფაქტს შორის. ასე, მაგალითად, მან გაიხსენა ერთი თავისი ნაცნობი მანდილოსანი, რომელსაც მოეჩვენა, რომ ლუკმის გადაყლაპვა აღარ შეეძლო. ეს მას გააკეთებინეს უბრალო წყლით, რომელშიც რაღაც ნარევი იყო გარეული და წამლის სუნი ასლიოდა). საინტერესოდ ახსნა ი. ჯავახიშვილმა ეფთვიმეს ავადმყოფობა, ენაჩავარდნილო ბავშვის ამეტყველება სიზმარში გამოცხადებული ღეთისმშობლის მიერ (ტექსტში ხაზგასმულია გაბერძნებული ყრმის ქართულად ალაპარაკება).

— არც თამარ მეფის სნეულების ამბავი იცით? — გვეითხა ერთხელ. თამარის ერთ-ერთ ისტორიკოსს საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი დედოფლის სნეულება, მიმდინარეობა, თანდათან გაუარესება, ადგილსამყოფელის ხშირი გამოცვლა, როგორც ჩანს „პერის გამოცვლის“ მიზნით, უფრო მეტად მთის შედარებით ზომიერ ზოლში დასადგურება, მკურნალთა სრული უმწეობა და მახლობელთა სასოწარკვეთილება. რაც ენაზე მოგვადგა, ყველაფერი ვთქვივით (მე ქსანზე აკიდებული ცივბაც გავიხსენე და ტუბდისპანსერში გატარებული რამდენიმე დღეც).

ივანე ჯავახიშვილი განმარტებისათვის მოემზადა. დიდხანს ლაპარაკობდა. შევატყუეთ, რომ მედიცინაზე ლაპარაკი უყვარდა. ჩვენ ისიც გვჭონდა გავიონ-

ლი, რომ იგი თვალყურს ადევნებდა სამედიცინო ლიტერატურას. გინეკოლოგიური მონაცემები კი „ქართველი ერის ისტორიაში“ ჰქონდა გამოყენებული ქართველ მეფეთა ზეობის წლების დასადგენად (მითითებულია, დასაბუთების მიზნით, გინეკოლოგიური გამოკვლევა გერმანულ ენაზე). ინტერესით ვისმენდით. ი. ჯავახიშვილი უაპროპრიოდ არა როგორც ისტორიკოსი, არამედ როგორც მკურნალი. მან ისტორიკოსის აღწერილობის მიხედვით ისევე დაუსვა დიაგნოზი თამარ მეფის სნეულებას, როგორც ექიმები დიაგნოზს უსვამენ ველასკესის პორტრეტების პერსონაჟებს. სამწუხაროდ, ყველა დეტალი აღარ მახსენდება, არ მინდა შეცდომა დაეუშვა და ი. ჯავახიშვილს მივაწერო ის, რაც მას არ ჰქონდა ნათქვამი (თუ არ ვცდები, იგი გამორიცხავდა „ქლექის“ ფართოდ გავრცელებას ძველ დროსა და შუა საუკუნეებში). ეს მე ვერ გავიხსენე მაშინაც, როცა „ქართული მედიცინის ისტორიის“ მრავალტომეულის შედგენასა და რედაქტირებაში ვმონაწილეობდი, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დიდ ყურადღებას აქცევდა ი. ჯავახიშვილი ქრონოლოგიის ცოდნასაც. თუ კონტექსტის შინაარსი ამას მოითხოვდა, ჩვენ უნდა დაგვეთარღებინა X—XIV სს. საქართველოს ისტორიის ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა, ზოგჯერ კი ერთი შეხედვით თვით უმნიშვნელო ფაქტიც კი; უნდა გვცოდნოდა ვინ როდის, რა დროიდან რა დრომდე მოღვაწეობდა. ყველაფერი ეს ახდენდა ჩვენი ცოდნის მობილიზებას, გვიმტკიცებდა მეხსიერებას.

საოცარი ის იყო, რომ ჩვენი ხელმძღვანელი არასოდეს არ გვეკითხებოდა X საუკუნემდელი და XIV ს-ის მომდევნო პერიოდის საქართველოს ისტორიის არც ერთ თარიღს, არც ერთ ფაქტს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ მისთვის არ არსებობდა X საუკუნემდელი და XIV ს-ის შემდგომი საქართველოს ისტორია. მალე მივხვდით, თუ რატომ აკეთებდა ამას ასე ჩვენი ხელმძღვანელი. უსიტყვოდ. ყოველგვარი დიდაქტიკის გარეშე გაგვაგებინა, რომ ჩვენ მისგან სრულიად დამოუკიდებლად უნდა გვემუშავა ადრინდელი და გვიანდელი საქართველოს ისტორიის საკითხებზე ისევე, როგორც ჩვენ მის სემინარებში X—XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხებზე ვმუშაობდით (მხოლოდ ერთხელ, ეტყობა თეატრალური სპექტაკლების გავლენით, გავკადნიერდით და ჩვენს ხელმძღვანელს ვსთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი გიორგი სააკაძის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე. მოკლედ მოგვიპირა: „ვერც კარგს ვიტყვი, ვერც ავსაო“ და ისევ X—XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხებს მიუბრუნდა. მაგრამ ამ მოკლე ფრაზასაც, ალბათ დამეთანხმებით, კარგი გაკვეთილის მნიშვნელობა ჰქონდა).

ერთი სიტყვით, ი. ჯავახიშვილი ჩვენს ყურადღებას აჩერებდა X—XIV სს. საქართველოს ისტორიის ყველა თვალსაჩინო და საყურადღებო დეტალზე, ფაქტზე, ეპიზოდზე, მოვლენაზე. უყურადღებოდ არ ტოვებდა არც მსხვილმანს, არც წვრილმანს. ყველაფერი საინტერესო იყო მისთვის როგორც ისტორიკოსისათვის.

განსაკუთრებით უყვარდა იქსკურსები ქართული კულტურის ისტორიის სფეროში (შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ დროს იგი ინტენსიურად მუშაობდა მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებზე და სემინარში თავის დაკვირვებებს ერთხელ კიდევ ამოწმებდა).

როცა დასამუშავებელ კონტექსტში შეგვხვდა სიტყვა „საცვალი“, მან ამაზე ხანგრძლივად შეაჩერა ჩვენი ყურადღება. „საცვლის“ დამოწმება ძველ სა-

ქართველოში იმას ნიშნავდა, რომ იმდროინდელი ქართველები (ყოველ შემთხვევაში პრივილეგირებული ზედაფენა) ხშირად იცვლიდნენ თეთრეულს. ეს გარემოება თვითონ სიტყვაში ცხადად იყო აღბეჭდილი — „საცვალი“. ასეთსავე მნიშვნელობას ანიჭებდა სემინარის ხელმძღვანელი ტექსტებში დამოწმებულ ჩანგალს, სკამს და მისთანებს (ძალიან გვიან, XVIII ს-ის პირველ ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონს ქართული კულტურის დაქვეითებად მიაჩნდა ის, რომ მისი დროინდელი ქართველები „ხელითა სკამდიან“ და სკამებზე კი აღარ იხსდნენ, არამედ ტახტზე იყვნენ ფეხმოკეცილინი). საცვალიც, ჩანგალიც და სკამიც ქართული კულტურის მაღალ დონეს მეტყველებს. მათზე ყურადღების გამახვილება ორგანულად უკავშირდებოდა ქართული კულტურის მნიშვნელოვან, მანამდე წუელსწავლელ საკითხებს (მათი უმრავლესობა დამოუკიდებელი აღმოჩნდა ი. ჯავახიშვილის „ქართული მატერიალური კულტურის ისტორიაში“, რომელიც მკვლევრის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა) და მათი დასახელება მიზნად არ ისახავდა მხოლოდ დავირებებასა და ანალოზის სხვადასხვა ხერხში გაწაფვას.

შეცნიერებაში ახლაც დიდი კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ ვინ შექმნა „საპონი“ — დასავლეთმა თუ აღმოსავლეთმა (ცხუც პირველად სემინარში გავიგე). გერმანელები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ რაკი მათი წინაპრები გრძელი თეთრი ხალათებით იყვნენ შემოსილი (სწრაფად რომ ქუჭყიანდებოდა), „საპონი“ სწორედ მათ უნდა შემოეღოთ და გავერცელებინათ. მაგრამ არც აღმოსავლეთის ხალხები თმობენ ამასი პირველობას. „საბუენ“ ყველა აღმოსავლურ ენაში არის დამოწმებული და, როგორც ჩანს, აღმოსავლეთიდან არის ჩვენში შემოსული და დამკვიდრებული.

კულტურის თვალსაზრისით X—XII საუკუნეებში აღმოსავლეთი ვაცილებით მაღლა იდგა დასავლეთზე. კ. მარქსი ღრმად დარწმუნებული იყო, როცა ამბობდა, რომ ევროპელმა ჭეაროსნებმა ხელის ბანა აღმოსავლეთში ისწავლეს.

სემინარში მივიწყებული არ იყო არც ქართული ხელოვნების ისტორიის მომენტები. მაგონდება, ერთ საათზე მეტი დასჭირდა ეკლესიის ნაწილების აღმნიშვნელი სახელების ჩაწერას. მანამდე ჩაწერილი გვექონდა ქართული მონასტრების სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსის ყველა დამახასიათებელი კომპონენტი. ვიწერდით იმას, რაც ასე ხშირად გვხვდება ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა ნაშრომებში და ურომლისოდაც ძნელია გავერკვეთ ქართული ხუროთმოძღვრების თავისებურებებში. ძალიან დიდხანს ეს სემინარული ჩანაწერი ზეპირად მასსოვდა და ვიყენებდი კიდევ, როცა სამეცნიერო ექსპედიციაში ვმონაწილეობდი. 1946 წელს სიძველეთა დაცვის კომიტეტის ექსპედიციამ კახეთში, შილდის ჩრდილოეთით ტყეში შესანიშნავი ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინა. ერთმა შილდელმა ბიჭმა მას ბარცანა უწოდა. არ გაგვიკირვებია ბარცანას დათარიღება — IX საუკუნის ძეგლად მივიჩინეთ. სემინარული ჩანაწერები დიდ დახმარებას მიწევდნენ, როცა გრემს, ნეკრესს, იოანე ნათლისმცემლის (საბუენს ზემოთ, ყადორის გადასასვლელთან) და აღდგომის ტაძრებს ვეცხოვროდით და ვსწავლობდით.

ი. ჯავახიშვილი ვვისახელებდა და გვიხასიათებდა ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. ემოციების აღაშიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, მაგრამ კარგად მაგონდება როგორი მღელვარებით, როგორი აღტაცებით ლაპარაკობდა ყინწვისის ანგელოზზე. „რა მოძრაობაა, რა მოძრაობაა, — ამბობდა იგი და ისედაც ნათელი სახე კიდევ უფრო უნათლებოდა, — სივრცეში დაშვებული და ფრთებგაშლილი ანგელოზისა და როგორ გაშეშებული გამოიყურებიან ფი-

გურები ჩვენი დროის მხატვრების ტილოებზე. რა სამწუხაროა, რა სამწუხარო. ნიმუში კი წინ აქვთ“. მისი ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი თანამედროვე ქართული მხატვრობის მდგომარეობასაც ადევნებდა თვალს. ყინწვისის ანგელოზზე საუბრის საბაზი გახდა „უხორცოს“ განმარტება. „უხორცო“ ძველ ქართულ ტექსტებში ანგელოზს ნიშნავს.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ თავისი ფორმით, შინაარსით და ლექსიკით არსებითად განსხვავდებოდა ჰაგიოგრაფიული ძეგლებისაგან. ამის მიხედვით შეიძლება ჩვენი მუშაობის ხასიათიც. რა თქმა უნდა, კონტექსტზე დაკვირვების ხერხები ძველი დარჩა, მაგრამ სრულიად ახლებური იყო კონტექსტის შინაარსის ინტერპრეტაცია. ჩვენ ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ვსწავლობდით საქართველოს ფეოდალური მონარქიის „კონსტიტუციას“, სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებს. ერთი სიტყვის თუ ტერმინის ან ინსტიტუტის ყოველმხრივი ანალიზი ზოგჯერ ნამდვილი გამოკვლევის სახეს იღებდა (ამგვარი ანალიზის მეთოდები მე გამოყენებული მაქვს რინდის, ჯიმრის, ფუშთუქუს, მელიქის, საულარის და სხვ. მნიშვნელობის დადგენისას, როცა სოციალურ და აგრარულ ურთიერთობათა საკითხებს ვარკვევდი). მთავარი ყურადღება მაინც „ხელმწიფის კარის გარიგების“ თავდაპირველი ტექსტის აღდგენის ცდებს ექცეოდა. სწორედ ასეთ მომენტებში ჩვენი ხელმძღვანელი ჩვენთან ერთად ინტენსიურად მუშაობდა.

„ხელმწიფის კარის გარიგებამ“ ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. ქართული სახელმწიფო სამართლის ეს შესანიშნავი ძეგლი ქართლის რომელიღაც სოფელში დიასახლისმა ცოცხს გამოაყოლა და პირდაპირ ხელეში მიუგორა ე. თაყაიშვილს. ეს იყო ნამდვილი აღმოჩენა! „ხელმწიფის კარის გარიგების“ ისტორიული, იურიდიული და ეკონომიური მნიშვნელობა განუზომილია. სამწუხაროდ, მას აჯალა ფურცლები, ზოგან ფურცლებს გვერდები აქვს შემოგლეჯილი, ალაგ-ალაგ კი მხოლოდ რამდენიმე სტრიქონია გადაჩენილი. მიუხედავად ამისა, მთლიანად მთელი ხელნაწერი საკმაოდ სრულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ადვილებს მის აღდგენას. რაკი ძველ ქართულში საკმაოდ გააფუღული ვიყავით, მთავარი ყურადღება გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებს ექცეოდა. საამისოდ მივმართავდით როგორც დოკუმენტურ, ისე ნარატიულ წყაროებს. დოკუმენტები შეზღუდული რაოდენობით არსებობდა, ამიტომ სათანადო ცნობები უმთავრესად საისტორიო თხზულებებიდან გამოგვეჩინა (თამარის ისტორიკოსები, ტამთაღმწერელი...).

ი. ჯავახიშვილის სემინარში პირველად გავიგე ისიც, რომ ქართული გვარების „შეილით“ დამთავრება მხოლოდ XIII ს. წესდება და ამ დროიდან ფართოდ ვრცელდება მთელ საქართველოში. ამ ფაქტის ცოდნას მნიშვნელობა აქვს იმ ფეოდალური „სახლების“ ისტორიის გასათვალისწინებლად, რომელთაც XV ს-ის დამლევს საქართველო პოლიტიკურ დაშლილობამდე მიიყვანეს.

ზემო აღნიშნული მაგალითების მიხედვით მკითხველმა ადვილად შეიძლება წარმოდგინოს, თუ რამდენად დამლელი უნდა ყოფილიყო ჩვენი სემინარები. ორი საათის განმავლობაში დაძაბული ვისხედით. ჩვენი ყურადღება უღარესად იყო კონცენტრირებული იმ დროსაც კი, როცა მე და ავთანდილი კონტექსტის შინაარსის ანალიზში ერთმანეთს ვენაცვლებოდით. სწორედ ამ დროს ი. ჯავახიშვილი მიმართავდა გამოცდილი პედაგოგებისათვის ცნობილ ხერხს: იწყებოდა შესვენების მომენტები. ეს შესვენება არა ნაკლებ შინაარსიანი იყო, ვიდრე თვით სემინარი და ანალიზი. თუმცა იმ დროსაც და შემდე-

გაც მე ისე მეჩვენებოდა, რომ „შესვენების მომენტებიც“ სემინარის ორგანულ, მის შემადგენელ და მისგან განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

თავისი პირადი ცხოვრების შესახებ ი. ჯავახიშვილი იშვიათად გვიამბობდა რასმე (მაგონდება, ერთხელ დაწვრილებით მოგვიყვია, თუ როგორ დაეწყო კუჭის ტკივილები ერთ საკონდიტროში სახელდახელოდ დანაყრების შემდეგ). უფრო ხშირად გველაპარაკებოდა თავის მეცნიერულ შეხვედრებზე, კოლეგებთან ურთიერთობის ზოგიერთ საინტერესო ფაქტზე.

სამი წლის განმავლობაში მას ყოველკვირა სისტემატურად ვხვდებოდი და არ მახსოვს ვინმე აუგად მოეხსენიებინოს ან გაეკიცხოს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მის წინააღმდეგ ისეთ რეცენზიებს ბეჭდავდა, რომელთა ტონი ბევრს ალბათ წონასწორობას დააკარგვინებდა. მხოლოდ ერთხელ გაისმა მის ნათქვამში საყვედურის მსგავსი რამ ერთი თავისი ყოფილი მოწაფის მისამართით.

... 1916—1917 წწ. თურქეთის ფრონტი გაიძღვა და თბილისს თურქთა ჯარის შემოჭრის საფრთხე შეექმნა. დაიწყო არქივის, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების ევაკუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ გეორგიევსკში. მათ შორის იყო XII ს-ის ქართული სიგელებიც. სამოქალაქო ომის მსვლელობაში ყველა სიგელი, რა თქმა უნდა დედნები, სამუდამოდ დაიღუპა. ვადარჩა მხოლოდ მათი ერთი ნაწილის ფოტოპირები. ეს ფოტოპირები ი. ჯავახიშვილს მისმა მოწაფემ საჩუქრად მიართვა, მაგრამ სულ მალე კაცი მიუგზავნა და მირთმეული ფოტოპირების უკან დაბრუნება მოსთხოვა. ბატონმა ივანემ, როცა ამას გვიამბობდა, ხელები გაკვირვებით გაშალა და წარმოთქვა: „პირველად გავიგე, რომ საქართველოში ნობათს უკან თხოულობდნენ“. ეს იყო და ეს.

საყვედური სხვის მიმართ, ვინმეს აუგად მოხსენიება ან გაკიცხვა, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ მისგან არასოდეს არ გავიგეოთ. რა თქმა უნდა, აუგოთან და გაკიცხვასთან არაფერი ჰქონდა საერთო იმას, რომ ი. ჯავახიშვილი ზოგი მეცნიერის აზრს არ ეთანხმებოდა და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთებას გულმოდგინედ ცდილობდა.

როგორც წედან ვთქვი, ჩვენი ხელმძღვანელი თავის შესახებ თათქმის არაფერს ლაპარაკობდა. ერთხელ კონტექსტში ყურძნის ერთი განთქმული ჯიში აღმოჩნდა. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა საკმაოდ ვრცელი ექსკურსი საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიიდან. ბატონ ივანეს ეგონებ ჩვენი პასუხები მოეწონა, გავკვირდით და გვითხრა: „იცით, ყმაწვილებო, მე ჯერ ღვინის ერთი წვეთიც არ დამიღვია“. ტუჩის ბაგეებში თავისი ძლივ შესამჩნევი ღიმილი ჩაეკცა და რატომღაც თვალი გრიგოლ წერეთლისაკენ გააპარა. სამინლად გავივიკირდა. ამას ამბობდა კაცი, რომელსაც ყურძნის ასნაირი ჯიში ჰქონდა და შესწავლილი, ყველა მათგანის სახელი გამორკვეული, თვისება და ღირსება დადგენილი, ხოლო მეღვინეობის განსაკუთრებული ადგილი ძველი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში — დაწვრილებით აღწერილი (მე პირველად ი. ჯავახიშვილის სემინარში გავიგე „ბოლოლოწოს“, როგორც კვების ერთ-ერთი მთავარი რაციონის, მნიშვნელობა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის საქართველოს სამეურნეო დაქვეითების პერიოდში).

ზოგჯერ ბატონი ივანე ლაპარაკობდა თავისი მეცნიერული მუშაობის წარსულზეც და მომავლის განზრახვებზეც.

ერთხელ სემინარში, მორიგი „შესვენების“ დროს, მან გვითხრა, რომ იგი დიდი ხანია აღარ მუშაობს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე.

მაშასადამე, მას თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთი ტომი უნდა დაესრულებინა 20-იანი წლების დამდეგს, რადგან შემდეგ იგი ინტენსიურად მუშაობდა მხოლოდ ქართული სამართლის, საქართველოს ეკონომიური ისტორიის, ქართველი ერის მატერიალური კულტურის და ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებზე, თუმცა ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მერმინდელი გამოკვლევა მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალი.

საკმაოდ ვრცლად დავიხსენიებთ ი. ჯავახიშვილმა თავისი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ სემინარში მისგან ჩვენ გავიგეთ, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დაწერა მას ხუთ ტომად აქვს განზრახული. ჩვენი სემინარული მუშაობის დროს, ე. ი. 1937—1940 წლებში, გამოქვეყნებული იყო „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი ორი ტომი. ი. ჯავახიშვილის ლაპარაკიდან ჩანდა, რომ იგი აპირებდა დანარჩენი ტომების გამოქვეყნებას. ისიც ვითხრა, თუ რომელი ტომი საქართველოს ეკონომიური ისტორიის რა საკითხისათვის იყო გამიზნული. ერთ-ერთი ტომი მთლიანად ეთმობოდა ქალაქებს და საქალაქო ცხოვრებას. დანარჩენი ტომების შინაარსი, სამწუხაროდ, კარგად არ მახსენდება (ალბათ — გადასახადები და საგადასახადო სისტემა). ი. ჯავახიშვილის არქივში „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ III, IV და V ტომები დასრულებული სახით არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ დიდი რაოდენობით იყო იქ დაცული საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალები. ამ მასალების რამდენიმე წიგნი უკვე გამოქვეყნდა, დანარჩენი კი მზადდება გამოსაცემად.

ერთ-ერთ სემინარში ი. ჯავახიშვილმა ძალიან საინტერესო ცნობა მოგვაცოცხლა.

ამის გამო მან ლაპარაკი დაიწყო თურქული წარმოშობის სიტყვა „იარაღთან“ დაკავშირებით. XIII ს-ში თურქულმა „იარაღმა“ შეცვალა ქართული „ქურქელი“ და მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ლექსიკაში. ამიერიდან რას არ ეწოდებოდა „იარაღი“ — „საომარი იარაღიდან“ დაწყებული და „აბანოს იარაღით“ ვათავებული.

ი. ჯავახიშვილმა ჩვენი ყურადღება მიიქცია იმაზე, რომ XIII—XIV საუკუნიდან მოყოლებული თურქული ტერმინოლოგია საქართველოშიც (ისევე როგორც კავკასიისა და წინა აზიის მრავალ ქვეყანაში) ფართოდ ვრცელდება, მაშინ როდესაც წინარე საუკუნეების ქართულ ტექსტებში. მათ შორის „ვეფხისტყაოსანში“, თურქული წარმოშობის სიტყვა თითზე ჩამოითვლება. ამას მოჰყვა საუბარი საქართველოს თურქულ სამყაროსთან ურთიერთობის თავისებურების თაობაზე, კერძოდ აღნიშნა საქართველოს ოსმალეთთან დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმები და ერთ-ერთი, ყველაზე მძიმე ფორმის ნიმუშად დაასახელა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ეს „დავთარი“ უშუალოდ და ორგანულად დაუკავშირა მან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გაოსმალების ცდებს.

ყოველივე ამას ი. ჯავახიშვილმა დასძინა: „იცით, ყმაწვილებო, მე სპარსულად მაქვს ისეთივე „დავთარი“, როგორც თურქულად დაწერილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ვახლავთ“. — ეს ცნობა მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ რაღაცნაირად ამოვარდა ჩემი მეხსიერებიდან. დიდი ხნის შემდეგ, როცა მე ინტენსიურად ვმუშაობდი სპარსულ და თურქულ დოკუმენტებზე, გამახსენდა ბატონ ივანეს ნათქვამი მის ხელნაწერებში დაცუ-

ლი სპარსული დავთრის შესახებ. დავტრიალდი, მაგრამ როგორ დავტრიალდებოდა? სად არ მივიკითხ-მოვეკითხე, ვინ არ შევაწუხე, ვის არ ვკითხე. არ გამომჩინა არც ერთი ქართველი ორიენტალისტი და სპარსულის მცოდნე. შევაწუხე ი. ჯავახიშვილის ასული ქალბატონი ნათელაც, რომელიც თავის მამის სახელობის კაბინეტს ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განაგებდა, ახლა კი ხელნაწერთა ინსტიტუტში განაგებს, მაგრამ სპარსულ დავთარს ვერსად მივაგენით. ის ი. ჯავახიშვილის არქივში არ აღმოჩნდა. ასე მიეფარა თვალს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროთაგანი, რომელშიაც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ხასიათის ისეთივე ცნობები უნდა ყოფილიყო, როგორც ასე უხვადაა დაცული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“.

ვინ დაკარგა სპარსული დავთარი? სად დაიკარგა? ვის ჩაუვარდა ხელთ? დღემდე არაფერი ვიცი. რა უფლება გვაქვს ემკვიდრე ვეგვი დავაყენოთ ის, რაც ი. ჯავახიშვილმა სემინარში თავის ასპირანტებს უთხრა? ამიტომ იყო, რომ ჩემს გამოკვლევებში მაინც გამოიყენე ჩემი მასწავლებლის ეს ცნობა.

სპარსეთშიც ისევე აღგენდნენ ხალხისა და ქვეყნის აღწერის დავთრებს, როგორც ამას ოსმალეთში აღგენდნენ (სპარსულად არის შედგენილი, მაგალითად, უშუნ-ჰასანის დროინდელი დავთარი). ოღონდ თუ თურქულმა დავთრებმა საკმაოდ დიდი რაოდენობით მოაღწიეს (გურჯისტანის, ბალქანეთის, აღმ. ევროპის დავთრები...), XVI—XVIII სს. ამგვარივე დავთრები სპარსულად ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. მით უფრო დასაინანია იმის დაკარგვა, რაც თავის სემინარში ი. ჯავახიშვილმა დაასახელა.

ასეთი დავთარი საქართველოში არ შეიძლებოდა შეედგინათ ქართველი მეფის ირანის შაჰზე ვასალური დამოკიდებულების ან, მით უმეტეს, დამოუკიდებელი მდგომარეობის პირობებში. ხალხი და ქვეყანა აღიწერებოდა მხოლოდ დამოკიდებულების ისეთი პოლიტიკური ფორმის დროს, როდესაც ქვეყანას მეფის მავირ ირანის მოხელე განაგებდა. თუნდაც ეს მოხელე ბაგრატიონთა დინასტიიდან ყოფილიყო. XVI—XVIII სს. მანძილზე ასეთი ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში ორჯერ იყო: 1562—1577 წლებში (დაუთ-ხანის დროს) და 1735—1749 წლებში (ყიზილბაშობის დროს). ორჯერვე სპარსეთის მოხელეებს ხალხი და ქვეყანა უნდა აღეწერათ. ასეთი აღწერის ფაქტს 1735—1749 წლებში გვიდასტურებს პაპუნა ორბელიანი, რომლის „ისტორიაში“ პირდაპირ არის ნათქვამი, თუ როგორ „დაწერეს“ ქვეყანა სპარსეთის შაჰის მუშეიზებმა.

რაკი ქვეყანა „დაწერილი“ იყო, ცხადია, არსებობდა მისი სპარსული ტექსტიც. მაგრამ რომელი ტექსტი იყო ი. ჯავახიშვილის ხელთ? პირველი თუ მეორე „ყიზილბაშობის“ დროინდელი? რა თქმა უნდა, ორივე ერთნაირად საინტერესო იქნებოდა ჩვენთვის, ერთნაირად ძვირფასი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიისათვის. თუმცა პირველი „ყიზილბაშობის“ (1562—1577 წწ.) და მეორე „ყიზილბაშობის“ (1735—1749 წწ.) ახლო ხანისათვის ორი თურქული დავთარი მოგვეპოვება, ერთის შინაარსი მხოლოდ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის მოიცავს, მეორე კი აღმოსავლეთ საქართველოსას (ძირითადად ქართლს), მის მოსახლეობას, მეურნეობის დარგებს და გადასახადების რაოდენობას ცალკეული ქალაქებისა და სოფლების მიხედვით.

არ ვიცი კიდევ რა ვთქვა, ჩვენი სემინარული მუშაობის კიდევ რომელი მაგალითი დავასახელო. კარგად ვგრძნობ, რომ ზემოთ დიდი და დაძაბული მუშაობის მხოლოდ რამდენიმე ფურცელი წარმოვადგინე; თან სულ იმას ვცდი-

ლობდი, არაფერი მიმემატებინა იმისათვის, რაც ი. ჯავახიშვილის ასპირანტებთან სემინარული მუშაობის დროს ხდებოდა. მოკლებით კი ბევრი არამოვაკე-ლი. დაუსრულებლივ შემეძლო მომეტანა წყაროს ცნობაზე და კონტექსტის შინაარსზე დაკვირვების სხვადასხვა, გარკვეული სიტუაციისა და ცნების დადგენის მიზნით გამოყენებული ხერხები, რომელთა დაუფლებაში ხელმძღვანელი მოთმინებით გვევარჯიშებდა (მაგალითად, „საუბროს“ წარმოშობა „უბნიდან“, „ლაპარაკის“ — „რაპარაკიდან“ (სირიულში მოედანს ნიშნავს) და სხვა მრავალი; ამნაირი მაგალითები ან ქალაქის გარეგანი სახის აღდგენას უკავშირდებოდა, ანდა ქალაქის როლისა და მნიშვნელობის ჩვენებას). ქართული მასალების გარდა ხელმძღვანელი მიმართავდა ბერძნულ, სომხურ, სირიულ, სპარსულ და არაბულ მასალებს და ჩვენგანაც მოითხოვდა ამ ენების ცოდნას, მათ შესწავლას. უამისოდ წარმოუდგენელი იყო ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში მუშაობა.

ასპირანტურის მესამე კურსზე შეწყდა სემინარული მუშაობა და დაიწყო კონსულტაციები დისერტაციაზე მუშაობასთან დაკავშირებით.

ბატონმა ივანემ ავთანდილ იოსელიანს სადისერტაციო თემად „იეგ ოსეს შვილის თავგადასავალი“ შეურჩია, მე „ქართლის სამეფოს სახელმწიფო წესწყობილება დასტურლამალის პიხედვით“. გაგვიკვირდა. ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენ X—XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხებს ვამუშავებდით, ამდროინდელ ტექსტებს ვკითხულობდით, ხელმძღვანელი კი სადისერტაციო თემებს XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან გვისახელებდა. ი. ჯავახიშვილს ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, ერთი სრულიად გარკვეული მიზანი ჰქონდა: უზრუნველყო ჩვენი დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობა. ეს თავისთავად ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ახალი იყო ჩვენთვის საუკუნეც, მასალაც და სპეციალური ლიტერატურაც.

სემინარების დასაწყისშივე ი. ჯავახიშვილმა განგვიმარტა სიტყვა „ასპირანტის“ (ლათინურად „ქოქთმწიფარას“ ნიშნავს) მნიშვნელობა. მაგრამ ასპირანტების ხელმძღვანელობას იგი არასდროს არ ცვლიდა მეძიძვობით. მთელი მისი ენერჯია და ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ ასპირანტისაგან სავსებით დამოუკიდებელი, დამოუკიდებლად მოაზროვნე მეცნიერი ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ, ამავე დროს, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი კოლექტიურ მუშაობას მეცნიერებაში, კარგად ჩანს მისი გამოხატებიდან ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე. ი. ჯავახიშვილი ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი იყო.

კარგად მახსოვს ჩვენი სემინარების უკანასკნელი დღე (მაგრამ მაინც დიდხანს თვალწინ მედგა ხელმძღვანელის მაგიდაზე გადაშლილი „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ და „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტები და, რა თქმა უნდა, თვითონ ხელმძღვანელი, ყოველ მეცადინეობაზე მეცნიერული დაკვირვებებით და მსჯელობით გატაცებული და მუდამ კალამომარჩევბული, რათა ახალი აზრის ან დაკვირვების ფიქსაცია მოეხდინა ათასჯერ გადაკითხული ტექსტის აპრელებულ ფურცლებზე). იმ დღეს საუბარი მხოლოდ ახალდასახელებული სადისერტაციო თემების გარშემო მიმდინარეობდა. ი. ჯავახიშვილი, ასე მაგონდება, გეთავაზობდა არა მარტო დაბეჭდილი ტექსტების, არამედ ხელნაწერების გაცნობასაც.

მეც და ავთანდილმაც ჩვენ-ჩვენი თემა ქალაღზე ჩამოვწერეთ. ბატონმა ივანემ, როგორც ყოველი სემინარის დამთავრების შემდეგ იცოდა ხოლმე, კარებამდე მიგვაცილა, ხელი ჩამოგვართვა და გამოგვეშვიდობა.

ორთავენი აპარხლებული, უზომოდ გახარებული ვიყავით. ხუმრობა საქმე იყო, დისერტაციებზე მუშაობას ვიწყებდით.

„დასტურლამალი“ სახელმწიფო, აღმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის ძეგლია. მასზე მე ვმუშაობდი როგორც ისტორიკოსი, იურისტი, ეკონომისტი და ორიენტალისტი.

ძალზე, ძალზე ბევრი რამ მომცა „დასტურლამალის“ მრავალმხრივ შინაარსზე მუშაობამ. დროგამოშვებით საკონსულტაციოდ ხელმძღვანელთან დავდიოდი. ყოველთვის ხალისით მიღებდა, ყურადღებით მისმენდა, მაგრამ არასოდეს დასმულ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ მაძლევდა. არავითარი განმარტება, არავითარი დაზუსტება, პასუხს ისეთნაირად აგებდა, რომ პირველხანებში ვერაფერს ვგებულობდი, ვერ ვერკვეოდი. ვუკვირდებოდი კი, რა როგორ იყო მის მიერ ნათქვამი. აღრე თუ გვიან პასუხს მე თვითვე დამოუკიდებლად ვპოულობდი ხშირად სრულიად უადგილო ადგილზე: ოპერის იარუსებსა და ამფითეატრში, ტრამვაის სკამზე, კონცერტზე, სპორტდარბაზში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე და ბროსეს ქუჩის პატარა სასპორტო მოედანზე, სადაც შუა და უმცროსი თაობის მეცნიერ მუშაკები ფრენბურთს ვთამაშობდით.

ზოგჯერ „დასტურლამალის“ ესა თუ ის ტერმინი, მისი განმარტების სხვადასხვა შესაძლებელი ვარიანტი ან დებულება ძილშიც ჩამყვებოდა ხოლმე, თავიდან ვედარ ვიშორებდი სანამ ასე თუ ისე ხელშესახებ, ჩამოყალიბებულ სახეს არ მიიღებდა (ასე მივაკვლიე ვეზირის, მუნშის და მუსტოფის სამოხელეო ფუნქციებს). „ეს ჩვენ არ ვიცოდითო“ — მითხრა ნიკო ბერძენიშვილმა. ამგვარადვე დადგინდა ქართული ძეგლის „საულღარის“ და სპარსული წყაროების „სლიურღარის“ ურთიერთდამოკიდებულება და სხვ.). ყველაფერი ეს განუწყვეტელი ძიების შედეგი იყო. ასეთ ძიებას სამი წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი გულსყურით გვაჩვენდა დიდი ივანე.

„დასტურლამალზე“ ჩემი მუშაობა ნაყოფიერი აღმოჩნდა. 1943 წელს დაებეჭდე დისერტაციის ერთი ნაწილი: „დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით“ (უკვე მეცნიერებათა კანდიდატი ვიყავი, როცა ეს ჩემი პირველი წერილი დაიბეჭდა). იმავე 1943 წელს ჩემს ხელთ აღმოჩნდა „დასტურლამალის“ უძველესი, 1729 წელს მირველ თუმანიშვილის მიერ გადაწერილი ხელნაწერი (დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში). ამ ხელნაწერს დიდხანს ვსწავლობდი. კარებად დაყოფილი მისი შინაარსი (ამან და-დასტურა ი. ჯავახიშვილის ადრე გამოთქმული მოსაზრება „დასტურლამალის“ კარებად დაყოფის თაობაზე) ქართული სახელმწიფო სამართლის ამ ძეგლის თავდაპირველი შედგენილობის აღდგენის ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. მისი აღწერილობა გამოვაჭყეყენ ათი წლის შემდეგ.

ასევე ნაყოფიერი აღმოჩნდა ავთანდილ იოსელიანის მუშაობაც. მან გამოსცა „იესე ოსეს შვილის ცხოვრება“ (ტექსტი და გამოკვლევა). გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომი: „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ (გეზის მიმცემი ი. ჯავახიშვილის ამავე თემაზე დაწერილი პატარა წერილი იყო და ისტორიოგრაფიული ხასიათის ის კონსულტაციები, რომელსაც ხელმძღვანელი თავის ასპირანტს უწევდა).

ყოველივე ამას ორივენი, რა თქმა უნდა, ჩვენს დიდ მასწავლებელს ვუ-
მადლით.

... 1940 წლის სექტემბრის დამდეგი იყო. ციხისძირიდან ახალდაბრუნებუ-
ლი ვიყავი. ზღვაზე მზით გარუჯულს ღონეც მომდევნა და ჯანიც. ხალისიანად მი-
ვუბრუნდა ჩემს წიგნებს, ხელნაწერებს, „დასტურლამალს“. რამდენიმე კითხვა
გამიჩნდა და საკონსულტაციოდ ჩემს ხელმძღვანელს მივმართე. მართო დამხვდა
(ძველი კაბინეტი ახლით შეეცვალათ, უფრო ვრცელი, ნათელი და მზიანი ოთა-
ხით). დამინახა თუ არა, მომამახა: „მობრძანდით, მობრძანდით“. სავარძლიდან
წამოდგა, შუა ოთახში შემეგება და ხელი ჩამომართვა. მოკითხვით არ მოვუ-
კითხივარ, ყურადღებით კი შემათვალისწინებდა. სავარძელში აღარ ჩამჯდარა, საწერი
მაგიდის წინ ვეწური სკამი დაიდგა და მეც სკამზე დაჯდომა შემომთავაზა.

ი. ჯავახიშვილთან თანაყოფობაში მოწიწების გრძნობა მიპყრობდა ხოლმე.
ახლაც მოკრძალებული ვიჯექი. ორივე მუშტი მუხლისთავებზე მქონდა დალა-
გებული. უხერხულად არ ვიშმუშნებოდი, მაგრამ ალბათ მღელვარება მეტყო-
ბოდა, მით უმეტეს, რომ სამი წლის განმავლობაში ასეთი სცენის მოწმე მხო-
ლოდ ახლა ვხდებოდი, ეს ჩემთვის მოულოდნელიც იყო და იმ მომენტში გაუ-
გებარიც.

თვითონ, თითქოს ჩემს გასამხნეველად და გასათამამებლად, სკამის ზურგ-
ზე ოდნავ გადაქანებული იჯდა (ისე არა, როგორც უნივერსიტეტის უზოს
კვარცხლობეის სავარძელში, უფრო ლალად, უფრო უშუალოდ). შემომხედა და
მკითხა:

— იცით რატომ გადმოვიდა იმერეთიდან ქართლში ლუარსაბ II და რა-
ტომ მიუვიდა შაჰ-აბასს?

იმ დროს წაკითხული მქონდა ისქანდერ მუნშის თხზულება და სხვა დე-
ტალებსაც კარგად ვიცნობდი შაჰ-აბასის საქართველოში ლაშქრობასთან და-
კავშირებით.

გაიცინა და მითხრა:

— ჰო, შეიძლება ვერცე ყოფილიყო, მაგრამ სხვა მიზეზიც იყო. იმერეთას
მეფე გიორგიმ ლუარსაბ მეფესთან თანაყოფობაში ფეხი ფეხზე შემოიღო. ძველ
საქართველოში უფროს-უმცროს შორის ეს უზრდელობად ითვლებოდა. ლუარ-
საბ მეფემ ითაკილა, იმერეთიდან ქართლში გადმოვიდა. ქართლის მეფე ხომ
უფროსად თვლიდა თავის თავს ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის დროსაც.

კარგ გუნებაზე იყო. როგორ შეიქმნა შინაურული განწყობილება, არ ვიცი.
გამიართა ხანგრძლივი დიალოგი მასწავლებელსა და მოწაფეს შორის.

მე დაწერილებით მოვეუყევი, რა როგორ მქონდა გაცეთებული. გათამამე-
ბულმა მომავალი დისერტაციის კომპოზიციაც მოვხაზე. ისიცა ვთქვი, თუ რო-
გორ ვეძებდი „დასტურლამალში“ დამოწმებული ინსტიტუტების ანალოგიურ
ინსტიტუტებს აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში. ყურადღებით მისმენდა.
ის იყო ჩემი რამდენიმე კითხვა უნდა მიმეცა, რომ მოულოდნელად სიტყვა
ბანზე ამიგდო და მკითხა: „მავანისა და მავანის მოხსენებას თუ დაესწარიო“.
ეტყობოდა ამ მოხსენების შინაარსი, დებულებებზე და საბუთიანობა აინტერე-
სებდა. მე დაწერილებით მოვეუყევი ყველაფერი. „საინტერესოა“, „საინტერე-
სო“, — თქვა ი. ჯავახიშვილმა და თან დასძინა: — მაგრამ „ბარბალოს“ და „ბორ-
ბალოს“ ურთიერთდამოკიდებულება საეჭვოდ მეჩვენება. „უცებ მომიბრუნდა
და მკითხა: წაკითხული მქონდა თუ არა ერთი ცნობილი მეცნიერის ახალგამო-
ქვეყნებული გამოკვლევა. როცა ვუთხარი — წაკითხული მაქვს-მეთქი, მითხრა:



„ნიჭიერი კაცია, შესანიშნავი მკვლევარი, მაგრამ, ჩემი აზრით, უკეთესი შერჩევა შეეძლო და უკეთესად დაწერა“. ჰერ გონზე ვერ მოვედი, დავიბენი კიდევ. ეს შენიშვნა ძალიან ცნობილ მეცნიერს ეხებოდა. ბატონი ივანე ისევ ისე შინაურულად განაგრძობდა ლაპარაკს. შინაურული ტონის მიუხედავად საუბრის შინაარსი უაღრესად აკადემიური იყო. ანაზღად ჯული სიხარულით და სიამაყით ამევსო. ვიგრძენი, რომ ბატონ ივანეს ჩემი სწამდა და სჭეროდა, რადგან ისეთ მეცნიერულ აზრს მიზიარებდა, რასაც ყველას არ უზიარებენ და ეუბნებიან ხოლმე.

მისი ეს შენიშვნაც ერთგვარი გაკვეთილი იყო ჩემთვის. რაც უფრო მეტ გამოცდილებას ვიძენდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცნიერებაში თემის შერჩევას, დაწერილს კი მხოლოდ მაშინ ვუბრუნდებოდი (ესეც ი. ჭავჭავაძის გვირჩია თავის სემინარებში), როცა მისი შინაარსი თითქმის დაეწევილი მქონდა და ახალი შთაბეჭდილებები განვაგრძობდი მის საბოლოო დამუშავებას (გადაწერას, გადათეთრებას, კორექტურაში სწორებას, რაც ჩემი ახალგაზრდობის წლებში მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლებოდა).

იმ დღეს კონსულტაცია ისე დასრულდა, რომ დისერტაციასთან დაკავშირებით ბატონ ივანესათვის არც ერთი კითხვა არ მიმიცია. ჩვეულებისამებრ კარებამდე მიმაცილა, ხელი ჩამომართვა და გამომემშვიდობა.

დიდხანს, დიდხანს ვიდექი მუზეუმის კიბეებზე „გულსაყეს“ (ცმაცოფილი), როგორც იმ ტექსტებში ეწერა ხოლმე, რომელსაც ჩვენ ი. ჭავჭავაძევილი სემინარებში გვაკითხებდა.

ვერასგვით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს დღე მეცნიერული კონსულტაციების უკანასკნელი დღე აღმოჩნდებოდა. ი. ჭავჭავაძის არ უნახავს არც ჩემი და არც ავთანდილის დასრულებული სადისერტაციო ნაშრომები.

გარდაიცვალა იგი 1940 წლის 18 ნოემბერს.

უკანასკნელად მას ხელოვნების მუშაკთა სახლის კიბის ფოლორცზე შევხვდი. ყველას ჩამოგვიარა და სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა. თან დასძინა: — „დადლილი ვარ, ძალიან დადლილი“. თავისი კეთილი ღიმილი თან გაიყოლა და გაგვიცოდა. პატარა სცენაზე პატარა მაგიდას მარტოდმარტო მიუჯდა. დიდხანს ლაპარაკობდა. უცებ სიტყვა „თათარზე...“ თავი ჩაჰკიდა და გათავდა.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტებსა და ასპირანტებს სემინარებს ვუტარებდი. არ ყოფილა არც ერთი სემესტრის სემინარი, რომ მე არ მეტყვას, თუ ვისგან მომდინარეობდა ტერმინზე, კონტექსტზე ან ისტორიულ ფაქტზე დაკვირვების ის ხერხები, რომლებსაც მე მათთან მუშაობის დროს ვიყენებდი.

ესე მგონია, რომ ჩემი გამოკვლევები, რა ვუყოთ რომ მათს ღირსებაში მთლად დარწმუნებული არა ვარ, რაღაც უხილავი ძაფებით არის დაკავშირებული ივანე ჭავჭავაძის სემინარებთან.

ქ რ ო ნ ი კ ა დ ა მ ი ა

პ ე პ ს ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ტ ა მ ს ტ ი ს დ ა მ დ ზ ა ნ ე კ ო მ ი ს ი ა შ ი *

1975 წ. 28 თებერვალი

ს ლ ო მ ა ს დ ა ე ს წ რ ე ნ ე: ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ი. ვ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, ც. კ ი ვ ე ი ძ ე, ვ. მ ე ტ რ ე ე ლ ი, ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი.

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს ს ტ რ ო დ ე ბ ი: 365,1; 366; 367; 368; 369, 370 (პ რ ო ე კ ტ ი მ ო ა მ ზ ა დ ე ს ს. ც ა ი შ ვ ი ლ მ ა, გ. ა რ ა ბ უ ლ შ ა, ნ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ შ ა, თ. ც ი ტ ი შ ვ ი ლ შ ა, ნ. წ ა ჯ ა ლ ე შ ა); 371 (პ რ ო ე კ ტ ი მ ო ა მ ზ ა დ ე ს გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა მ, ე. ბ ი ლ ა ნ ი შ ვ ი ლ შ ა, ლ. კ ი ვ ნ ა ლ ე შ ა, ბ. მ ა ს ხ ა რ ა შ ვ ი ლ შ ა, ე. ტ უ რ ა ბ ე ლ ი ძ ე მ).

365,1 მ ე ლ ე მ ა ნ გ ა ს ც ა მ ა ს დ ლ ე ს ა მ რ ა ვ ა ლ ნ ი ს ა ჳ უ რ კ ლ ე ნ ი ა,
 ლ ა მ ქ ა რ თ ა მ ი ს ც ა უ რ ი ც ხ ე ლ ი ჯ ო კ ი, რ ე მ ა დ ა ც ხ ე ნ ა;
 თ ა ე ს ა გ ვ კ რ ა მ ა ლ ე ლ ე დ ა ს ი რ ც ხ ე ლ ა დ, ვ ი ა ხ ე ლ შ ე ნ რ ა ც ხ ე ნ ა;
 დ ა დ მ ე რ თ ს ა მ ც ა რ ა დ დ ა ჳ ა ლ ა მ ა თ ე ბ რ ნ ი ჳ ე ლ მ წ ი ლ ე ნ ი ა.

1956 წ ლ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ. 498) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ ი შ ი შ ე მ დ ე გ ე ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა: პ ი რ ვ ე ლ ი ტ ა ე პ ი ს ბ ო ლ ო ს წ ე რ ტ ი ლ - მ ი მ ი ს ნ ა ც ე ლ ა დ მ ი მ ე მ ა დ ა ს მ ე ლ ი, მ ე ს ა მ ე ტ ა ე პ ი ს ბ ო ლ ო ს — წ ე რ ტ ი ლ ი ს ნ ა ც ე ლ ა დ წ ე რ ტ ი ლ - მ ი მ ი შ ე. პ რ ო ე კ ტ ი მ ი ლ ე ბ ე ლ ი ძ ე ნ ა.

366 ვ ე ც ლ ე ბ ო დ ი, ა რ ა მ ც ა ლ ა ს ე ვ ე ლ ი ს ა ვ ა ნ თ ა ე ს კ რ ა მ ა ლ ა დ;
 ვ ი ვ ა ნ ზ ა ბ ი, ც ე ც ხ ლ ი უ უ რ ო მ ე ლ ე ბ ო დ ა გ ო ლ ა ა ლ ე ლ ა;
 წ ე მ ნ ი ს წ ო რ ნ ი წ ა ე ი ტ ა ნ ე ნ, წ ე მ ა დ ა ვ ე ჯ ე, მ თ ქ ე ა ნ ა ლ ე ლ ა,
 დ ა შ ე ე კ მ ე ნ ს მ ა დ ა ნ ა ლ ი მ ო ბ ა პ ა ტ ი ე თ ა დ ა ჳ ი რ თ ა მ ა ლ ე ლ ა.

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ. 362) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ ი შ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა რ ა რ ი ს. პ რ ო ე კ ტ ი მ ი ლ ე ბ ე ლ ი ძ ე ნ ა.

367 მ ო ლ ა რ ე მ ა ნ შ ი ნ ა უ რ მ ა ნ კ უ რ ს ა მ ი თ ხ რ ა ნ ა უ ბ ა რ ი:

«ქ ა ლ ი ვ ი ნ შ ე ი ე თ ს ა ხ ე ს: ი ნ ა ხ ე ს ი მ ც ა ა მ ა რ ბ ა რ ი?»

ზ ე წ რ ა რ ი თ ა მ ო ჳ უ რ ა ვ ს პ ი რ ი, ბ რ ა ძ ე ნ ა ს ა ქ ე მ ა რ ი ა;

დ ა ვ რ ქ ე ლ ი: «ს ა წ ო ლ ს წ ა ი ვ ე ა ნ ე, წ ე მ გ ა ნ ა რ ი ს ნ ა ქ მ ო ბ ა რ ი.»

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ. 363) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ ი შ ი შ ე მ დ ე გ ე ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა: ი ნ ა ხ ე ს ი მ ც ა (ი ნ ა ხ ე ს ი ც ა).

რ ე დ ა ქ ე ი ა მ ა ლ ა დ გ ი ნ ა წ ა ე ი თ ხ ე გ ა ი ნ ა ხ ე ს ი ც ა; მ ე ს ა მ ე ტ ა ე პ ი ს ბ ო ლ ო ს წ ე რ ტ ი ლ - მ ი მ ი ს ნ ა ც ე ლ ა დ დ ა ს ი ვ ა წ ე რ ტ ი ლ ი.

368 ა ე დ ე გ, მ ს ხ ლ ო მ ნ ი ნ ა დ ა მ ი მ ო ბ ა დ ა ე მ ზ ა დ ე ს ა ხ ა ყ რ ე ლ ა დ;
 შ ა რ თ ი უ თ ხ ა რ: «ნ ე უ ა ს დ ე გ ბ ი თ, მ ო ვ ა ლ ხ ა ნ ა დ ა უ ზ მ ე ლ ა დ ა;
 გ ა მ ო ე ჯ დ ა ს ა წ ო ლ ს შ ე ე, მ ო ნ ა მ ო ლ გ ა კ ა რ ს ა მ ც ე ლ ა დ.

დ ა გ ო ლ ი მ ი ე ე ც თ ო მ ო ბ ა - კ მ ნ ა თ ა ა ე უ გ ს ა ს ა კ რ ა მ ა ლ ე ლ ა დ.

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ. 364) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ ი შ ი შ ე მ დ ე გ ე ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა: უ თ ხ ა რ (ვ ე უ თ ხ ა რ).

რ ე დ ა ქ ე ი ა მ მ ე ო რ ე ტ ა ე პ შ ი შ ა რ თ ი შ ე ე ვ ა ლ ა შ ა რ დ ი ჟ ო რ მ ი თ, რ ო მ ე ლ ს ა ც მ ხ ა რ ს უ ქ ე რ ს ზ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ა ხ ს ი ლ ე ტ უ რ ი უ მ რ ა ე ლ ს ო ბ ა.

369 კ ა რ ს ა შ ე ვ დ ე გ, ქ ა ლ ი წ ი ნ ა მ ო მ ე გ ე ბ ა, თ ა ე ჳ ა ნ ი ს - მ ე ჯ ა;
 მ ი თ ხ რ ა: «მ ო ს დ ე გ ა თ ქ ე უ ნ ს წ ი ნ ა შ ე კ უ რ თ ხ ე უ ლ ა რ ს, ვ ი ნ ც ა დ ი რ ს მ ც - ა»
 გ ა მ ი კ ე ლ ი რ ა დ, მ ი ვ ე ნ უ რ ი ს ა თ ა ე ჳ ა ნ ე ბ ა ე ქ მ ნ ა ვ ი ს მ ც ა?

დ ა ვ თ ქ ე ლ ი: «ა რ ი ც ი ს ა მ ო კ ო ბ ა; თ უ მ ც ი ც ო ლ ა, წ ე ნ რ ა ლ ზ ი ს მ ც ა!»

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ. 365) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ ი შ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა რ ა რ ი ს. პ რ ო ე კ ტ ი მ ი ლ ე ბ ე ლ ი ძ ე ნ ა, ო ლ ო ნ დ ს ტ რ ო ლ ი ს ბ ო ლ ო ს ძ ა ხ ი ლ ს ნ ი შ ნ ი ს ნ ა ც ე ლ ა დ დ ა ს ი ვ ა წ ე რ ტ ი ლ ი.

370 შ ე ე ე, დ ა ვ ე ჯ ე ტ ა ბ ტ ზ ა ჳ ე დ ა, ქ ა ლ ი მ ო ლ გ ა ნ ო ხ თ ა პ ი რ ს ა,
 წ ე მ ა ს ა ხ ლ ო ს დ ა ს ა ჯ დ ო მ ლ ა დ თ ა ე ი მ ი ს ა რ ა ლ ი რ ს ა;

* გ ა გ რ ე ლ ე ბ ა. დ ა ს ა წ ე ი ს ი ბ. «მ ა ც ე ნ ე», 1974, № № 3, 4; 1975, № № 1, 3, 4; 1976, № 1.

კარტეზი: «მანდა რად ზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გვირის?»

და მან პასუხი არა მითხრა, ჩემთვის სკვანდა სიტყვატობისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 366) შედარებით პროექტში ცვლილება: პირველ ტაემში (ცეზურასთან) მძიმე დასმული წერტილ-მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

371 მითხრა: «დღე ვეე სარცხუილად, მუღების გულსა აღობა:

გვონა ჩემგან წინაშე მაგისტოტის მომავლობა,

მაგრა აწ მიღებს იმედსა შეგან ცდისაღა მალობა.

და ამას თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყუი, მაკლია ღმრთისა წყალობა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 367) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

1975 წ. 14 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 372; 372,1; 372,2; 373; 373,1; 374; 374,1; 374,2; 375; 375,1; 376 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიაძე, ე. ბელანიშვილი, ლ. კენაძე, ბ. მასხარაშვილი, ე. ტურაბელიძე); 377; 378; 379; 380; 381; 382 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალიშვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუმბალიშვილი, ნ. ცეტიშვილი).

372 ადგა, მითხრა: «თქვენს კრძალვასა ჩემთვის ცნობა უხევეა;

ნუ მეჭუტ, რაცა პატრონისა ბრძანებასა უთქვეია;

ეზომ დიდსა შემართებად გულსა მისსა უთხვეია,

და ამა წიგნმან გაგავონოს, ჩემოტის ვისცა უქნევიანა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 368) შედარებით პროექტში ცვლილება: ამა (ამან). რედაქციამ ს. ცაიშვილისა და ივ. გიგინეიშვილის წინადადებით მეოთხე სტრიქონში უქნევიანს ნაცვლად მიიღო წაიკითხვა უსცენევიან. რომელიც დაცულია A²B¹² ხელნაწერებში. რედაქციამ შეცვალა აგრეთვე სახეები ნიშნები: მეორე სტრიქონის ბოლოს დაიწერა მძიმე, ხოლო მესამე სტრიქონის ბოლოს — წერტილ-მძიმე.

372,1 მიბრძანა, მითხრა ამავე, იცოდა ჩემის ნებისა;

ყურსა მიაშო ხაბარი ჩემისა ვახარებისა;

«შეგყარე ბოლოდ, ვისიცა შეხელდა გენატრებისა!»

და წიგნი მომარაუა, გაეკაცხე, კსა უთხარ მიბრუნებისა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 506) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: მიამბო (მიანბო), შეგყარე ბოლოდ, ვისიცა (შეგყარანა, ბოლოდ ვისიცა); მესამე ტაემი ჩასმულია ბრჭყალებში (ტაემის ბოლოს ტირე ამოღებულია).

პროექტი მიღებულ იქნა.

372,2 გამოიჭირა, შემეზარნეს: «ესე რამან ათქმევიანა?!

ვინ მპოვაო სადაურმან, საღით მიცნობს იგ შე ვინა?!

მის მგონესა ყოფა ჩემი ერთობ სრულად დამკარკეინა;

და ნუ ყოს ღმერთმან, მისად ნაცვლად შხეცა მიმხუღეს, მინდა მინა!»

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 507) შედარებით პროექტში ცვლილება: შემეზარნეს: «ესე (შემეზარნეს, ესე); პირველი სტრიქონის ბოლოს ნაცვლად წერტილ-მძიმისა დასმულია კითხვის ნიშანიც; მესამე სტრიქონის ბოლოს ძახილის ნიშანიც; მეორე სტრიქონის ბოლოს ძახილის ნიშანიც წინ მიეწერა კითხვის ნიშანიც; მესამე სტრიქონის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილ-მძიმეა; მეოთხე სტრიქონის ბოლოს ნაცვლად წერტილისა დასმულია ძახილის ნიშანიც და დახურულია ბრჭყალები.

რედაქციამ მეოთხე სტრიქონში ნაცვლად წაიკითხვისა მინდა მიიღო წაიკითხვა გინდა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

373 „წიგნი ენახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა;

მიეწერა მზისა შუქსა: «ნუ დაიწე, ღომო, წულულსა!

მე შენი ვარ, ნუ მოკლდე, მაგრა ბნედა ცული მძულსა.

და აწ ასმათი მოვაკუნებს ყველაქსა ჩემგან თქმულსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 369) შედარებით პროექტში ცვლილება: მეორე სტრიქონის ბოლოს ნაცვლად წერტილ-მძიმისა დასმულია ძახილის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

373,1 ასმათ დგას ჩემთვის მისისა წიგნისა წასაკითხავად;

თქტა: «ძე-ღან შენი ამავეი მითხრან, ვასცა ეკითხ, ავად.

კობრძანებს: მესმის, მივლენო ლაშქარნი შენად მკითხავად.

და ღომსა მით მართებს ვაგლახი, თუ მისი თავი ითხა ვად.



1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 509) შედარებით პროექტში ცვლილება: თქვა: ძოღა (თქვა: ძოღა), ვკითხ, ავად (ვკითხ ავად), გიბრძანებს: მესმის, მოვლენო ლაშქარნი (გიბრძანებს, — მესმის, მოვლენო, ლაშქარნი); სტროფის ბოლოს დახურულია ბრწყინვალე.

პროექტი მიღებულ იქნა.

374 ბედითი ბნედა, ხიჭქილილი რა მახუნურობა გვინა?

